# კვირის პალიტრა

## ყოველკვირეული გაზეთი

32 გვ

№ 44 (289) ◆ 30 ოქტომბერი — 5 ნოემბერი, 2000 წ. ◆ ფასი 50 თეთრი ◆ დაარსებულია 1995 წ.


## „დამსჯელიც და დასასჯელიც... ყველა დასასჯელია!“



— საავაშვილს და მაჭავარიანს ამომწურავი ინფორმაცია აქვთ იმისა, სად და როგორ კეთდება დიდი ფული და ვინ აკეთებს ამ ფულს.

*დავით ბერძენიშვილი*

— უკანონოდ შეძენილი ქონება დაექვემდებარება კონფისკაციას.

— სკანდალური რეკომენდაციის მუხლი მემორანდუმში სავალუტო ფონდის მისიის პარლამენტის თავმჯდომარესთან შეხვედრის შემდეგ შევიდა.

— ქვეყანაში დამნაშავე უნდა დაისაჯოს, მაგრამ უნდა იყვნენ ისინიც, ვისაც დასჯის მორალური უფლება ექნება.

გვ.3

## კონტრაბანდული „მალბორო“ თბილისში მზადდება?!

### (ყოველი 4 გაყიდული კოლოფიდან 3 კონტრაბანდაა)

საქართველოში 2,5 მილიონი მწეველი ყოველდღიურად 2 მილიონ ლარზე მეტს იხდის... აქედან დაახლოებით მილიონ-ნახევარი ლარი კონტრაბანდისტების ხელში ტრიალებს, რაც წელიწადში 600 მილიონ ლარს უტოლდება...

გვ.5

**თბილისობა** თავისუფლების მოედანზე, რომელსაც „ზვიადისტები“ ზვიადის სახელობის მოედანს უწოდებენ.



**მონაწილეობენ:** „თემური და მისი რაზმი“; „მანანა და ზვიადისტები“ გვ.4

— საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მიმართვა მოსახლეობას...

— მოსახლეობის თხოვნა საპატრიარქოსადმი...

ერთად დგომით იქნება ავცდეთ კატასტროფას...

გვ.8

## რომ ჩაეძინოს თარგამაძეს?!



— საქართველოში ყველას ესიზმრება პრეზიდენტობა. მე არ მესიზმრება... პრეზიდენტმაც თქვა: თარგამაძეს არ ესიზმრება პრეზიდენტობა იმიტომ, რომ არ სძინავსო.

— მართალი კაცი ვარ... არ ვარ მორჩილი... ვინ გყავთ, შსს გარდა, ვისაც ქვეყანა დაეყრდნობა?

გვ.7

## ღმერთმა ყველა დაიფაროს ასეთი საშინელებისაგან...

**მამა** — ჩემი თავიდან მოშორება სურდათ... ჩემი ქალიშვილის პრესტიჟის დასაცავად დავიბრალე ყველაფერი.

**დედა** — ნეტა სულ არ გამჩენოდა შვილი... თურმე ჩემი მეუღლე შვილთან სქესობრივ კავშირს ამყარებდა...

**შვილი** — მეუბნებოდა, როცა გათხოვდები, მაშინ ხომ იქნები ჩემთან, როგორც ჩვეულებრივი ქალიო... (ქუთაისის ციხეში ქალიშვილის გაუპატიურებაში ეჭვმიტანილი ახალგაზრდა კაცი ზის).

გვ.6

ამ ზამთარს ელექტროენერგიით გვ.31
გათბობის იმედია ყველაზე ნაკლები

მკითხველის ლეიცინები

## ფინანსთა სამინისტრო შპს „მეტეხს“ ვალის გასტუმრებას სთხოვს

გვ.21

„მეტეხის“ ხელმძღვანელობა აცხადებს, რომ ვალის გასტუმრების თავი არა აქვს... ზურაბ ნოღაიდელს ამის ნაკლებად სჯერა და „მეტეხს“ წილის გაყიდვას ურჩევს...

## სად „გაქრნენ“ ჩეჩენი ბოევიკები?

გვ.5-6



ექსკლუზიური ინტერვიუ — (ინფორმატორები არხოტისა და ასას ხეობის მცხოვრებნი)

ჩეჩნები 19-ში გამოჩენილან, ჩვენებმა მხოლოდ 21-ში შეიტყვეს.

## „მრავალჟამიერიდან“ — მეფობელი დედის გინებამდე

საინგილოში თამადა სუფრის ერთ წევრს მიუბრუნდა, — შენ ამ სადღეგრძელოს გამოტოვებო... მერე მეორეს უთხრა, — ახლა შენ გამოტოვეო...

— რატომ-მეთქი, — გამიკვირდა...

— ცოტა შეთვრა და რომ გამოფხიზლდეს, იმიტომო...

— თქვენთან ეგეთი წესია-მეთქი?

— ჩვენთან კი არა, მთელ საქართველოში ასე იყოო, შვილო,— მიპასუხა.

გვ.14 *ვახუშტი კოტეტიშვილი*

## ავტოსალონი:

გვ.20

სტუმრად „კვირის პალიტრის“ ავტოსალონში... გელოდებათ უამრავი საინტერესო, ფერადად ილუსტრირებული ინფორმაცია.



## რას წერენ ჩვენზე:

ქუთათელაძემ პირველად განაცხადა, რომ საქართველოს ხელისუფლება მზად არის, გადასცეს რუსეთის მხარეს თბილისის საავადმყოფოებში მყოფი ჩეჩენი ბოევიკები.

გვ.12 *იზვესტია*

## თუ მზოში დაფნა გიდგათ...

...ცოტამ თუ იცის, რა მაგიური ძალა აქვს ამ ხეს;

...ცოტას თუ ახსოვს, რა სევდიანი ლეგენდიდან მოდის ეს ხე.

გვ.25


## ფირმა „ბერმუხა“



ბრტყელი სახურავების, საძირკვლების და აუზების ჰიდროსაიზოლაციო სამუშაოები ადგილობრივი და უცხოური მასალებით, რესპუბლიკის ტერიტორიაზე. გარანტია 10 წელი.

წერეთლის გამზ. №55, ბინა №53

☎96-06-00; 35-15-05; 899-50-06-50


## საკვირაო ტელე-კინოაფიშა

30 ოქტომბერი

5 ნოემბერი



გვ. 16-17

ვერსია

## ძარცვა ჰაერში — გაბედული ტერორისტი ლამის გმირად გამოაცხადეს

ძიებამ მხოლოდ რამდენიმე საათის შემდეგ აღადგინა თავდამსხმელის გაუჩინარების დეტალები... შუა გზაზე ბოროტმოქმედს თვითმფრინავის მუცლის ქვეშ პატარა ლიუკი გაუხსნია და ზურგჩანთიდან ამოღებული პარაშუტით გარეთ გადაშვებულა.

მეორე დღესვე ნამდვილ გმირად შერაცხეს მამაცი მძარცველი...

გვ.10


Неделя
Коммандос
Частная жизнь
Телохранитель
За рубежом
Московские новости
Newsweek
Focus
Общая газета
Der Spiegel
Комсомольская правда
МК
stern
Сегодня
Клюква
Известия
Труд
Совершенно секретно
Аргументы и факты
Иностранец
Le Figaro Magazine
Paris Match
ТВ Парк
Лица
Огонёк
Коммерсантъ daily
Le nouvel Observateur
Итоги


იკითხეთ „კვირის პალიტრის“ ახალი ჟურნალი — „გზა“

ყვითელი ლურჯი შავი წითელი

## კატასტროფის მიზეზებს იკვლევენ

საქართველო-რუსეთის გართულებული ურთიერთობების ფონზე აჭარაში რუსეთის თავდაცვის სამინისტროს თვითმფრინავის ИЛ-18-ის დაღუპვამ და ადამიანთა ტრაგედიამ უკანა პლანზე გადასწია ყველა პოლიტიკური პრობლემა და ხელისუფალნიც, სამხედროებიც და რიგითი ადამიანებიც, რუსებიც და ქართველებიც, შეაკავშირა! ალბათ, გამოძიება და ეგრეთ წოდებული შავი ყუთების გაშიფვრა გაარკვევს კატასტროფის ნამდვილ მიზეზებს, მაგრამ ამთავითვე ისმის რამდენიმე სერიოზული კითხვა: რატომ წამოვიდა ИЛ-18 ბათუმის აეროპორტში დასაჯდომად ჩრდილოეთიდან, ანუ მთების მხრიდან, როცა ყველა თვითმფრინავი ყოველთვის ზღვის მხრიდან ეშვება აეროპორტში? რა საუბარი შედგა აეროპორტის მორიგე დისპეტჩერსა და თვითმფრინავის მეთაურს შორის, ანუ რა მითითება მისცეს ხმელეთიდან ეკიპაჟს? რას უნდა ნიშნავდეს მფრინავის ბოლო ფრაზა — „ჩვენ ძალიან სწრაფად ვკარგავთ სიმაღლეს?!“

კატასტროფამ 86 ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა, მათ შორის 9 საქართველოს მოქალაქეა. დაღუპულთა შორის ბევრია ქალი და ბავშვი. ჯერჯერობით, მხოლოდ 45 დაღუპული ადამიანის ამოცნობა მოხერხდა, დანარჩენები ისე არიან დამწვარ-დანაწევრებულნი, რომ მათ ამოსაცნობად გვამები რუსეთის საგანგებო კვლევით ცენტრში გადაასვენეს... ამასთან, დღემდე გრძელდება მტირალას მთის ფერდობებზე გაფანტული თვითმფრინავის ნამსხვრევების შეგროვება-დანომვრა, რომელთა შესწავლა დამატებით ინფორმაციას მიაწვდის გამოძიებას კატასტროფის ზუსტი მიზეზების დადგენის საქმეში...

და კიდევ: რუსეთის მხარე უაღრესად მადლიერი (თითქოს გაოცებულიც კი) დარჩა იმ ფაქტით, რომ კატასტროფის ადგილზე ლამის საქართველოს მთელი ხელისუფლება ჩავიდა და განსაკუთრებით იმით, რომ პრეზიდენტმა შევარდნაძემ რუსეთის მსგავსად, საქართველოშიც 27 ოქტომბერი გლოვის დღედ გამოაცხადა... ამის აღნიშვნისას გრძნობებს ვერ მალავდნენ აჭარაში მყოფი რუსეთის ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანი სერგეი ივანოვი და განსაკუთრებულ სიტუაციათა მინისტრი სერგეი შოიგუ. თავისი მადლიერება პრეზიდენტმა პუტინმაც გამოხატა შევარდნაძესთან სატელეფონო საუბრისას...

## გზების გადაკეტვა ტრადიციად იქცა

ზამთრის მოახლოებასთან ერთად, დედაქალაქის მკვიდრნი სულ უფრო ხშირად ხდებიან კარგად „აპრობირებული“ და ტრადიციული სურათის მოწმენი — უშუქობით გაწამებულ-გაბოროტებული ხალხი ქუჩებში გამოდის საპროტესტო პიკეტებით და ზოგჯერ ყოველგვარ ზღვარს გადასული ქმედებებით. მაგალითად, ისნის რაიონის მოსახლეობას ქრონიკული უშუქობის გარდა, ქრონიკული უწყლობაც დაატყდა თავს და ხალხმაც აეროპორტისკენ მიმავალი გზატკეცილი გადაკეტა. წარმოიდგინეთ იმ ადამიანთა მდგომარეობა, რომლებსაც თვითმფრინავის რეისზე აგვიანდებოდათ, თუმცა არც თავთავიანთ საქმეზე მიმავალ მოქალაქეებს დასდგომიათ კარგი დღე...

როგორც ჩანს, გზების გადაკეტვის ტრადიცია მყარად იკიდებს ფეხს ჩვენს საზოგადოებაში და უკვე საშიშ ხასიათსაც იძენს... მსგავი აქციებით დაზარალებულნი ისევ და ისევ მოქალაქეები დარჩებიან და არამც და არამც ხელისუფლება ან მაიქლ სქოულის უწყება...

## მინისტრმა ანგარიში ჩააბარა

ქვეყანაში მძვინვარე მორიგი ენერგობაკქანალიის ფონზე პარლამენტის პლენარულ სხდომაზე სასწრაფოდ დაიბარეს სათბობენერგეტიკის მინისტრი დავით მირცხულავა. მინისტრის დაკითხვა (ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით) რამდენიმე საათს გაგრძელდა, თუმცა მირცხულავამ დეპუტატებს სანუგეშო ვერაფერი აუწყა. ენერგოკრიზისის უპირველეს მიზეზად დასახელდა „ეი-ი-ეს-თელასი“, რომელიც არც ნაკისრ ვალდებულებებს ასრულებს, არც შესყიდული თბილსრესის მე-9-10 ბლოკების რემონტი მიუყვანია ბოლომდე, რაც დედაქალაქში ხშირი გამორთვების მიზეზია...

ასეთი იყო მირცხულავას მიერ პარლამენტში გაკეთებული „ანგარიში“, რამაც პარლამენტართა გულისწყრომა გამოიწვია და უკვე იმაზეც ალაპარაკდნენ ხმამაღლა, რომ მინისტრმა ვერ გაამართლა! პარლამენტარებმა არც „ეი-ი-ეს-თელასი“ დაივიწყეს და მირცხულავა იმაშიც დაადანაშაულეს, რომ სათბობენერგეტიკის სამინისტრო ამერიკული კომპანიის მიმართ პრინციპულობას არ იჩენს, რაც „ეი-ი-ეს-თელასის“ თვითნებობის საფუძველი ხდებაო. მინისტრმა მხოლოდ იმის პირობაღა დადო პარლამენტში, რომ ზამთარში თბილისში იქნება გაცილებით უკეთესი გრაფიკი ელექტროენერგიით მომარაგებისა, ვიდრე შარშან იყო...

მინისტრის ამ განცხადებამ და მის მიმართ პარლამენტში გამოთქმულმა შეურაცხმყოფელმა გამოთქმებმა („მოქალაქეებმა“ თავიანთი წინასაარჩევნო დაპირების, 24-საათიანი ელექტრომომარაგების შეუსრულებლობა მთლიანად მირცხულავას გადააბრალეს(!)) ისე დაუკარგა მოთმინება ერთ-ერთ დეპუტატს, რომ მან პირდაპირ ურჩია მინისტრს — ამდენი საჯარო გაკიცხვისა და შეურაცხყოფის მოსმენის ნაცვლად, დაეხურა ქუდი და დაეტოვებინა თანამდებობა... მინისტრმა არ მიიღო ეს რჩევა და განაცხადა, რომ ამ პოსტზე ის საქმის საკეთებლად არის მოსული და არა თანამდებობისათვის(!).

## „ეი-ი-ეს-თელასი“ გადაწყვეტილებას გაასაჩივრებს

ენერგოკრიზისის ფონზე ერთმანეთს დაუპირისპირდნენ „ეი-ი-ეს-თელასი“ და თბოელექტროცენტრალიც. თბოელექტროცენტრალის ხელმძღვანელთა თქმით, „ეი-ი-ეს-თელასს“ ამ ორგანიზაციის ხელში ჩაგდებაც სურს, რასაც არ უარყოფს მაიქლ სქოულიც. არადა, თბოელექტროცენტრალი თბილისში ერთადერთი ელექტროგამომმუშავებელი და გამანაწილებელი ობიექტია და მას შეუძლია ქალაქის დიდი ნაწილის მომარაგება ელექტროენერგიით. მაგრამ ეს ორგანიზაცია სადღეისოდ არ გამოიმუშავებს ელექტროენერგიას, რისი მიზეზიცაა ის, რომ მის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის ყიდვაზე „ეი-ი-ეს-თელასი“ უარს აცხადებს(!). დედაქალაქისთვის ელექტროენერგიის მიწოდების ლიცენზია კი მხოლოდ „ეი-ი-ეს-თელასს“ აქვს. ამიტომ არ არის გასაკვირი, რომ თბოელექტროცენტრალი „ეი-ი-ეს-თელასს“ ენერგეტიკის ბაზრის მონოპოლიზებაში ადანაშაულებს.

თავად „ეი-ი-ეს-თელასის“ ხელმძღვანელთა თქმით, ქონების მართვის სამინისტრო ვალდებულია შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება და რამდენადაც თბოელექტროცენტრალი წარმოადგენს ელექტროენერგიის გამანაწილებელი ქსელის ნაწილს, ეს ორგანიზაცია უნდა გადაეცეს „ეი-ი-ეს-თელასს“...

დღეისათვის თბოელექტროცენტრალი მხოლოდ გამტარის როლს ასრულებს, ანუ „ეი-ი-ეს-თელასი“ ელექტროენერგიას ქალაქის ცენტრს მისი საშუალებით აწვდის, თუმცა თბოელექტროცენტრალს ელექტროენერგიის განაწილებისათვის დაწესებულ თანხას არ უხდის. ახლახან საოლქო სასამართლომ „ეი-ი-ეს-თელასს“ თბოელექტროცენტრალის სასარგებლოდ 360 ათასი ლარის გადახდა დააკისრა, თუმცა „ეი-ი-ეს-თელასმა“ ყურიც არ ათხოვა ამ გადაწყვეტილებას და მის გასაჩივრებას აპირებს...

## პატიმრებს „შოუ“ ჩაეშალათ

ქართულმა პენიტენციალურმა სისტემამ კინაღამ კიდევ ერთხელ შეირცხვინა თავი. ჯერ არ განელებულიყო „რესბალნიციდან“ 12 პატიმრის გვირაბით გაქცევის ფაქტით მიღებული დარტყმის ეფექტი, რომ იუსტიციის უკვე ახალ მინისტრს მიშა სააკაშვილსა და გივი ყვარელაშვილის მემკვიდრეს ისეთ „შოუს“ უმზადებდნენ ქსნის მკაცრი რეჟიმის კოლონიის პატიმრები, რომელიც განხორციელების შემთხვევაში ნამდვილად შევიდოდა გინესის წიგნში. დიახ, ქსნის კოლონიის 250 პატიმარი გაქცევას გეგმავდა და თანაც აბსანძე-ქობალიას მიერ აპრობირებული ისეთი მეთოდით, როგორიც გვირაბის გათხრაა! კოლონიის ხელმძღვანელობამ, რომ იტყვიან, სულზე მოასწრო გვირაბის აღმოჩენა, რომელიც პატიმართა საცხოვრებელი კორპუსის შიგნიდან იწყება და მისი სიგრძე... 34 მეტრია(!). პატიმრებს სამუშაოს დასრულებამდე მხოლოდ და მხოლოდ... 2 მეტრის გათხრაღა აკლდათ, როცა ფაქტზე დაიჭირეს.

ამ ახალი სამთო-საინჟინრო „ნაგებობის“ სანახავად თბილისიდან დელეგაცია დელეგაციაზე დაიძრა ქსნის კოლონიისკენ, უწინარესად კი „ნაგებობა“ მიშა სააკაშვილმა მოინახულა და არც იმის თქმა დავიწყებია, რომ ინფორმაცია გვირაბის თხრისა და გაქცევის მზადების შესახებ უკვე რამდენიმე დღის წინ ჰქონდა(!).

საგულისხმოა, რომ სააკაშვილმა ქსნის კოლონიის უფროსი ნადარაია, მისივე თქმით, დროულად გაათავისუფლა თანამდებობიდან და კოლონიის ახალი უფროსის დანიშვნისთანავე გვირაბის საქმე გასკდა, რომელიც ახალმა უფროსმა შემოვლისას აღმოაჩინა! ამჟამად დაკავებულია(!) ორი ექვმიტანილი მსჯავრდებული, რომელთა საწოლების ქვემოთაც ითხრებოდა გვირაბი...

## „მსოფლიოში თავი მოგვეჭრება“

**(გეა)** „ქონების კონფისკაციის აქტით მთელ მსოფლიოში თავი მოგვეჭრება, მაგრამ აუცილებელია ასეთი ნაბიჯის გადადგმა, რადგან სხვა გამოსავალი არ არის“, — ასე შეაფასა ლიბერალურ-ეკონომიკური პარტიის თავმჯდომარემ ბესო ჯუღელმა სავალუტო ფონდის მისიის მიერ გამოთქმული მოსაზრება, რომელიც უკანონოდ ნაშოვნი ქონების კონფისკაციას ეხება. ჯუღელის თქმით, ამ სამარცხვინო ნაბიჯის გადადგმა საჭირო არ შეიქნებოდა, ქვეყნის ხელისუფლებას კორუფციისათვის თავად რომ მოევლო.

თავის მხრივ, ეროვნულ-დემოკრატიული ალიანსის ლიდერი ირინა სარიშვილი-ჭანტურია აცხადებს, რომ პირველ რიგში გასარკვევია, რომელი დეკლარაცია გახდება ათვლის წერტილი და რომელი ქონება დაექვემდებარება ინსპექტირებას, თანამდებობის პირზე თუ მის ნათესავ-ახლობლებზე გაფორმებული.

## რუსოს მკვლელობით რუსეთმა კვალი წაშალა?

იტალიელი ჟურნალისტის, ანტონიო რუსოს სიკვდილის მიზეზი შესაძლოა რუსეთის არმიის მიერ ჩეჩნეთში გამოყენებული, გასაიდუმლოებული ბაქტეოროლოგიური იარაღის შესახებ ინფორმაციის ფლობა იყოს. ასეთი ვარაუდი გამოთქვეს ჩეჩენმა და ქართველმა „მწვანეებმა“ ერთობლივ პრესკონფერენციაზე. ჩეჩნები ირწმუნებიან, რომ ანტონიო რუსოს გადასცეს ორი ვიდეოკასეტა, რომელზეც ასახული იყო რუსების მიერ გამოყენებული ბაქტეოროლოგიური იარაღის შედეგად განადგურებული ტყის მასივები და ნიადაგი! ჩეჩენ „მწვანეთა“ მტკიცებით, ამ ახალი იარაღის გამოყენება ხდება როგორც ავიაციის მეშვეობით, ისე „დედამიწა-დედამიწას“ ტიპის რაკეტებით, რითაც ბომბავდნენ გროზნოს და სხვა ქალაქებსა თუ სოფლებს. სხვათა შორის, რუსეთის დუმის საგანგებო კომისიამაც დაადასტურა გასულ ზაფხულს, რომ ჩეჩნეთში უმძიმესი ეკოლოგიური მდგომარეობააო, თუმცა არ დაუკონკრეტებიათ, თუ რისგან იყო გამოწვეული ეს ეკოლოგიური კატასტროფა...

რაც შეეხება რუსოს მკვლელობის გარემოებებს, გამოძიებას, ჯერჯერობით, ახალი არაფერი უთქვამს!

## „შეშა, დენი და ფული!“ — ითხოვდა ქუჩის მუსიკოსი

გორში ნამდვილი სოციალური დრამა გათამაშდა. ქალაქის გამგეობაში შეჭრილი ხელყუმბარიანი მოქალაქე რამდენიმე საათის მანძილზე ითხოვდა ხელისუფლებისგან... შეშას, მუდმივ დენსა და 5 ათას ლარს. აფხაზეთის ომის მონაწილემ, დღეს კი ქუჩის მუსიკოსმა 35 წლის სოსო ხერხეულიძემ მძევლად აიყვანა გამგებლის მოადგილე. იგი თავის ასეთ უკიდურეს ნაბიჯს ოჯახის გაჭირვებით ამართლებდა. მისი თქმით, შარშან სიცივისგან მცირეწლოვანი შვილი გარდაეცვალა. ხერხეულიძესთან მოსალაპარაკებლად ჯერ მისი უახლოესი მეგობარი შეუშვეს, შემდეგ კი ცოლ-შვილი... მათმა შეგონებამ გაჭრა და ხერხეულიძე ჩაბარდა სამართალდამცავებს. მის წინააღმდეგ კი დაუყოვნებლივ აღძრეს სისხლის სამართლის საქმე.

## კრიშნაიტები სამართალს ეძებენ

რამდენიმე თვის წინ პოლიციისგან დაჩაგრული კრიშნაიტები, რომლებსაც რელიგიური ლიტერატურა წაართვეს სამართალდამცავებმა, გენერალურ პროკურატურასა და ადამიანის უფლებათა დამცავ ორგანიზაციებს მიადგნენ და შველა სთხოვეს. კრიშნაიტების მტკიცებით, მათთვის წართმეული ათასობით წიგნი გლდანი-ნაძალადევის პოლიციის შენობის უკან ყრია და წვიმისგან ფუჭდება.

კრიშნაიტებს დახმარებას შეჰპირდნენ...

## აფხაზური პრესის დაგვიანებული კომენტარი

**(გეა)** აფხაზური პრესა წალკაში ადგილობრივ ბერძენ მოსახლეობასა და აჭარიდან სტიქიის შემდეგ ჩასახლებულთა შორის რამდენიმე თვის წინ მომხდარ კონფლიქტს მოგვიანებით გამოეხმაურა და ინციდენტის ინიციატორად ქართველი მოსახლეობა დაასახელა.

როგორც თვითმარქვია რესპუბლიკის სამთავრობო გაზეთი „რესპუბლიკა აბხაზია“ იუწყება, თურმე ამ რაიონიდან ძირძველი მოსახლეები, ძველი ელინები იდევნებიან. ამასთან, აფხაზური მთავრობა ეყრდნობა რა ინფორმაციას საბერძნეთის მიერ საქართველოსთვის სამხედრო დახმარების შესახებ, „იმედოვნებს“, რომ „შემდგომში წალკაში სიმშვიდის დამრღვევ ბერძნებს საბერძნეთის მიერ ნაჩუქარი ცეცხლსასროლი იარაღით დააშოშმინებენ“.

## ტუღუშს 1 მლნ-ის მიღების სურვილი აქვს

**(გეა)** 30 ოქტომბერს, 11 საათზე საოლქო სასამართლო საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების თავმჯდომარის, ირაკლი ტუღუშის სარჩელს განიხილავს, რომელიც ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ს, მის გადაცემა „60 წუთს“, ამ გადაცემის ავტორს აკაკი გოგიჩაიშვილს და ჟურნალ „60 წუთს“ (რომლის მხოლოდ ერთი ნომერი გამოვიდა და დღეს აღარ არსებობს) საკუთარი პატივისა და ღირსების შელახვას ედავება.

ირაკლი ტუღუშს ამ სარჩელით 1 მილიონი ლარის მიღების სურვილი აქვს, რადგან აღნიშნულ გადაცემაში მისი „პატივისა და ღირსების შემლახავი 50-60 პუნქტი აღმოაჩინა“, რომელსაც წარუდგენს კიდეც სასამართლოს.

„არც მე, არც ჟურნალი, რომელიც არ არსებობს, არც გადაცემა და არც ტელეკომპანია „რუსთავი-2“ ტუღუშისათვის ამ თანხის გადახდას არ ვაპირებთ“, — ოლიმპიური სიმშვიდით განაცხადა აკაკი გოგიჩაიშვილმა.

## დააკავეს „საქენერგოს“ ყოფილი შეფი

28 ოქტომბერს დააკავეს „საქენერგოს“ ყოფილი შეფი ემზარ ჩაჩხიანი, რომელსაც წაყენებული აქვს ბრალდება სამსახურებრივი თანამდებობის ბოროტად გამოყენებისათვის, რითაც სახელმწიფოს და „საქენერგოს“ განსაკუთრებით მძიმე ზარალი მიადგა. გამოძიების დასკვნით, ზარალმა 4 მლნ 750 ათასი ლარი შეადგინა. ჩაჩხიანს 5 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრება. ყველაფერი კი, როგორც ცნობილია, დაიწყო გაზაფხულზე, მთავრობის ერთ-ერთ სხდომაზე, კონტროლის პალატის ახალი თავმჯდომარის, სულხან მოლაშვილის სენსაციური და სკანდალური განცხადებით, სადაც მან ქართველ „ენერგომამებს“ გარეწრები უწოდა და კრედიტების დიდი ოდენობით გაფლანგვასა და სხვა ფაქტებში დაადანაშაულა. მიმდინარე წლის სექტემბერში აღიძრა სისხლის სამართლის საქმე „საქენერგოსა“ და სხვა თანამდებობის პირთა მიერ სახელმწიფოსათვის განსაკუთრებით დიდი ოდენობით ზარალის მიყენების თაობაზე. ძიებისას ამოტივტივდა, ეგრეთ წოდებული „მაზუთის საქმეც“. გაირკვა, რომ „საქენერგო“, რომელსაც კონტრაქტი ჰქონდა დადებული მაზუთის მომწოდებელ ფირმასთან „მეზაკომ ლთდ“-სთან, იმაზე მეტ თანხას უხდიდა მომწოდებელს, ვიდრე რეალურად მიღებული მაზუთისა და მისგან გამომუშავებული ელექტროენერგიის რაოდენობა იყო. წინასწარი დაკავების იზოლატორში მყოფი ჩაჩხიანი თავს დამნაშავედ არ გრძნობს და მისივე თქმით, მზადაა ამომწურავი პასუხი გასცეს ბრალდებას, თუ რით იყო გამოწვეული აღნიშნული მაზუთის შემოტანა და ასეთი ანგარიშსწორება.

## ბრიუსელში ქართული ეკლესია აკურთხეს

ბელგიის დედაქალაქ ბრიუსელში, 26 ოქტომბერს გაიხსნა წმინდა თამარ მეფის სახელობის ქართული მართლმადიდებლური ეკლესია. ეს გახლავთ დასავლეთ ევროპაში ბოლო დროს გახსნილი მეორე ქართული ეკლესია, სტრასბურგის ქართული ეკლესიის შემდეგ. უფრო ადრე პარიზში დაარსებული წმინდა ნინოს სახელობის ქართული ეკლესიისგან განსხვავებით, რომელიც კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს იურისდიქციაში შედის, ბრიუსელისა და სტრასბურგის ეკლესიები საქართველოს საპატრიარქოს ემორჩილება. ბრიუსელის ეკლესიის კურთხევას ბელგიასა და ჰოლანდიაში მცხოვრები ასობით ჩვენი თანამემამულე დაესწრო. ტაძარი აკურთხა დეკანოზმა ბასილ კობახიძემ, რომელიც მესამე წელიწადია საფრანგეთში ცხოვრობს და სტრასბურგის უნივერსიტეტის თეოლოგიის ფაკულტეტზე სწავლობს.

## ახლა „ზამთრის დროა“

**(გეა)** 29 ოქტომბერს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, „ზამთრის დროის“ შემოღებასთან დაკავშირებით, ღამის სამ საათზე საათის ისრები ერთი საათით უკან გადაიწია. ამით საქართველოში გაუქმდა ე.წ „ზაფხულის დრო“.

ამავე დღეს ევროპის თითქმის ყველა ქვეყანაში, სადაც „ზაფხულის დრო“ მოქმედებდა, საათის ისრები ასევე ერთი საათით უკან გადაიწია.

## 48 საათიანი ჯოჯოხეთი




**(რუსული პრესის მიხედვით)** აღმოსავლეთ ინდოეთში სოფელ ნოლიასაშის მახლობლად უძლიერესმა შტორმმა ერთ ღამეში შეიწირა 8 ათას 495 ადამიანის სიცოცხლე, უამრავი ადამიანი უსახლკაროდ დარჩა. სტიქიის შედეგები შესაძლოა კიდევ უფრო მძიმე ყოფილიყო, მაგრამ საბედნიეროდ მეთევზეთა დასახლება ნოლიასაში ოკეანის მხრიდან ტყის ზოლითაა დაცული. სწორედ ხეებმა მიიღეს მთავარი დარტყმა. სტიქია 48 საათს მძვინვარებდა.

## ნარკომანმა ოჯახი ამოწყვიტა

**(გეა)** ბრაზილიის ქალაქ სან-პაულუში 24 წლის მამაკაცმა სამზარეულო დანით დახოცა თავისი ოჯახის 6 წევრი. მათ შორის, დედაც. კიდევ ორი ნათესავი დაშავდა. მკვლელი დააკავეს სახლთან ახლოს მდებარე ეკლესიაში. სან-პაულუს პოლიციის ცნობით, მკვლელი ჯერ ამტკიცებდა, რომ აღასრულა აფრო-ბრაზილიური ღმერთების ნება, შემდეგ კი აღიარა, რომ ძლიერი ნარკოტიკული ნივთიერების ზემოქმედებას განიცდიდა. თურმე ნათესავები ძალზე ხმაურობდნენ, ამიტომ იძულებული შეიქნა, დაეხოცა.

## აღმოაჩინეს კლეოპატრას ავტოგრაფი

**(გეა)** უნიკალური ისტორიული დოკუმენტი — ეგვიპტის დედოფალ კლეოპატრას მსოფლიოში ერთადერთი ავტოგრაფი, რომელიც ბერლინის ეგვიპტოლოგიის მუზეუმში აღმოაჩინეს, საზოგადოების სამსჯავროზე წარდგა.

ექსპერტების მიერ უძველესი პაპირუსი ჩვენს წელთაღრიცხვამდე 33 წლით არის დათარიღებული. მასზე ეგვიპტის დედოფლის ხელითაა წაწერილი ბრძანების ტექსტი, თანამედროვე ენით რომ ვთქვათ, რეზოლუცია: „აღსრულდეს!“. წარწერა ძველბერძნულ ენაზეა შესრულებული.

უძვირფასესი ექსპონატის აღმომჩენმა, ჰოლანდიელმა მეცნიერმა პეტერ ვან მინენმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ავტოგრაფის ჭეშმარიტებაში ეჭვი არავის ეპარება. ეს დაადასტურა მუზეუმის დირექტორმა დიტრიხ ვილდუნგმაც, რომლის განკარგულებითაც შესაბამისი სამეცნიერო გამოკვლევები ჩატარდა.

საქართველოში საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისიის მორიგი სამუშაო ვიზიტი, მართლაც რომ სენსაციური შედეგით დასრულდა, და არა მარტო იმიტომ, რომ შემოსავლების სამინისტროს წარმატებული მუშაობის შედეგით კმაყოფილმა ფონდის მისიამ იმედი მისცა საქართველოს ხელისუფლებას, რომ უკვე დეკემბერში სავალუტო ფონდის დირექტორთა საბჭოს წარუდგენენ მოხსენებას და წინადადებას საქართველოსთვის ფინანსური დახმარების გამოყოფის შესახებ, არამედ უწინარესად იმით, რომ სავალუტო ფონდის მისიის მიერ შედგენილ დოკუმენტში, სახელწოდებით „2001-2003 წლების ეკონომიკურ-ფინანსური პოლიტიკის მემორანდუმი“, ქვესათაურით — „კორუფციასთან ბრძოლის სტრატეგია“, პუნქტი №46, V ნაწილი, სიტყვასიტყვით წერია შემდეგი: „შემოსავლების წყაროს დასადგენად უმოკლეს დროში უნდა განხორციელდეს იმ თანამდებობის პირთა ქონებრივი დეკლარაციების ანალიზი, რომლებმაც ცოტა ხნის წინ აიშენეს სახლები და შეიძინეს ავტომობილები. უკანონო წყაროებიდან შეძენილი ქონება დაექვემდებარება კონფისკაციას! ეს არის კორუფციასთან ბრძოლის ღონისძიება. კონფისკაციას ითხოვდა ანტიკორუფციული კომისია. ეს პირობა იმდენად საინტერესო და ეფექტიანი იყო, რომ შევიტანეთ მემორანდუმში...“



*ამ რეკომენდაციისა და მისი შესაძლო რეალიზაციის პერსპექტივაზე ქვემოთ, ახლა კი სავალუტო ფონდის მისიის ვიზიტის შედეგების მნიშვნელობის შესახებ ვესაუბრები პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის ხელმძღვანელს* ***რომან გოცირიძეს***:

— საერთაშორისო სავალუტო ფონდის პროგრამის განახლება უმნიშვნელოვანესია, რადგან თითქმის ორი წელიწადია ფონდის ტრანში არ მიუღია ქვეყანას. მართალია, სერიოზული ფინანსური რესურსები შემოვა, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია, რომ სავალუტო ფონდის ის რეკომენდაციები, რომლებიც მომავალი ტრანშის მიღების პირობად არის ჩადებული, გახლავთ ქვეყნის იმ სწორ კალაპოტში დაბრუნება, რომელსაც ნებისმიერი „ზიგზაგისას“ ავცდებით ხოლმე. მნიშვნელოვანია ის, რომ საქართველოს მთავრობას უკვე აღებული ექნება ვალდებულებები, რომლებიც უნდა შეასრულოს. არადა, როცა ვალდებულება არ გააჩნია, მთავრობა მოქმედებს იმპროვიზაციებით, საკუთარი ინიციატივებით; შეიქმნება პრობლემა და მისი გადაწყვეტის ლოკალურ გზებს დაუწყებენ ხოლმე ძებნას, რაც, ერთი შეხედვით, მარტივი და სწორი მოჩანს, მაგრამ მაკროეკონომიკური თვალსაზრისით, ყველა ასეთი ინიციატივა რამდენიმე თვეში კრახით მთავრდება! ანუ, საქართველოში არსებობს პრობლემებისადმი მიკროზე მიკროეკონომიკური მიდგომა, იქნება ეს გადასახადების კორექტირება ნავთობპროდუქტებზე, სიგარეტზე, რაღაც შეღავათების დაწესება თუ კიდევ სხვა რამ მაგალითად, „თბილგაზს“ დაუდგა პრობლემა და „გამოსავალი“ იმაში ნახეს, რომ თქვეს, მოდით, გავათავისუფლოთ გადასახადებისაგან და პრობლემაც მოიხსნებაო(!). აი, ასეთი პრიმიტიული მიდგომების შედეგად დაიკარგა ქვეყანაში ის, რასაც ეკონომიკური პოლიტიკა ჰქვია, ექსპერიმენტების პოლიტიკამ კი ძალიან დაგვაზარალა.

— **და თქვენი აზრით, რამდენადაა დღეს მზად ხელისუფლება აღებული ვალდებულებების შესასრულებლად...**

— თუნდაც ანტიკორუფციული ბრძოლის დაწყების შესახებ აღებული დეკლარაციული ხასიათის ვალდებულება, მაინც ქმნის მორალურ წნეხს ხელისუფლებაზე. მთავარი მაინც ბიუჯეტთან, ენერგოსექტორსა და სხვა სფეროებთან დაკავშირებით ნაკისრი ვალდებულებებია, მაგრამ ეს გახლავთ, ჯერჯერობით, ზოგადი ვალდებულებები, როდესაც პროგრამაზე დაიწყებენ მუშაობას, მას მოჰყვება სერიოზული მოთხოვნები აბსოლუტურად ყველა სფეროსთან დაკავშირებით.

— **ალბათ, შემთხვევითი არ არის, რომ სავალუტო ფონდის მისიის ყურადღების საგანი ერთ-ერთი ისეთი უმნიშვნელოვანესი სფეროს რეფორმირებაც შეიქნა, როგორიც ენერგეტიკაა... სწორედ მისიის ვიზიტის დასრულების დღეს გავრცელდა ინფორმაცია ემზარ ჩაჩხიანის დაკავებისა და სხვა ყოფილი „ენერგომამების“ წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრის შესახებ...**

— ალბათ, ყველაფერს ძიება გაარკვევს, მაგრამ ჩვენთან „როცა ურემი გადაბრუნდება, მაშინ ეძებენ გზას“, არადა ენერგეტიკაში შექმნილი უმძიმესი ვითარების შესახებ რამდენი წელიწადია მიდის საუბარი? რამდენი ხანია გაიძახიან, რომ ენერგეტიკაში ჩადებული უზარმაზარი რესურსები იფლანგება? ამიტომ არ მინდა, რომ ეს ფაქტი ანტიკორუფციული ძალისხმევის რაღაც პროპაგანდისტულ შოუს დაემსგავსოს! თუ ხელისუფლება რეალურად აპირებს კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლას, მან ეს ბრძოლა უნდა დაიწყოს სერიოზული ორგანიზაციული და სამართლებრივი ინსტიტუტების შექმნით. უნდა გამოვლინდნენ დასასჯელები, მაგრამ ქვეყანაში უნდა იყვნენ ისინიც, რომლებსაც დასჯის განხორციელების მორალური უფლება აქვთ. დღეს კი დამსჯელიც და დასასჯელიც... ყველა დასასჯელია!

— **და კვლავ ჩვენი „უკვდავი“ ბიუჯეტის თემა. ამ ეტაპზე რა მდგომარეობაა?**

— ფაქტობრივად, ირღვევა საკონსტიტუციო ნორმა. 2001 წლის ბიუჯეტის პროექტი შემოსულია პარლამენტში, მიმდინარეობს საკომიტეტო განხილვები და უკვე ხდება მისი კორექტირება! ალბათ, პარლამენტი ისევ უკან გააბრუნებს ბიუჯეტს და ისიც დაბრუნდება შეცვლილი და ალბათ, უფრო რეალისტური...

მიმდინარე წლის სეკვესტრირებული ბიუჯეტი კი, შეიძლება უკვე თამამად ითქვას, არ შესრულდება. როგორც ჩანს, ამ ფაქტზე სავალუტო ფონდმაც დახუჭა თვალი და ხელისუფლებაც არ ამახვილებს მასზე ყურადღებას, რადგან გარკვეული მიმართულებით შეინიშნება მცირეოდენი წინსვლა. საერთოდ, როცა ბიუჯეტს 300 მილიონით შეკვეც და კვლავაც ვერ შეძლებ შესრულებას, მაშინ ძნელია ილაპარაკო, გვაქვს თუ არა სახელმწიფო, მაგრამ აშკარაა, საქართველოსთან თანამშრომლობის გაგრძელება სავალუტო ფონდის სტრატეგიული პოლიტიკის შედეგია. რაც უფრო მიგვატოვეს „ობლად“, მით უფრო დაძაბუნდა და მოუვლელი გახდა „ბავშვი“. აქედანაა, რომ ფონდის წარმომადგენლები ცდილობენ უფრო დადებითი ეძიონ, ვიდრე უარყოფითი...

— **ამ შეუსრულებელ და სეკვესტრირებულ ბიუჯეტს, მიახლოებით, რამდენი მილიონი მოაკლდება?**

— მიმდინარე წლის ბიუჯეტს დააკლდება, დაახლოებით, 50 მილიონი ლარი. დაახლოებით 30 მილიონის დანაკლისი იქნება შემოსავლების კუთხით, დაახლოებით 20 მილიონს ვერ მიიღებს პრივატიზაციიდან. ამასთან, ათი თვე დამთავრდა და გრანტები კვლავაც არ ჩანს, ამიტომ თუ წლის ბოლომდეც არ გამოჩნდა, გარღვევა გაცილებით დიდი იქნება. არადა, როგორ შეიძლება ბიუჯეტში ჩაიდოს ის თანხები (გრანტებს ვგულისხმობ), რაც ბოლომდე არ არის გარკვეული და შეთანხმებული?! მოკლედ, ბევრი სფერო არ დაფინანსდება. რაც შეეხება პენსიებსა და ხელფასებს, აქ ერთი „პატარა“ გამოსავალია: ზემოთ მოყვანილი საბიუჯეტო გარღვევის რაოდენობის თანხა, დაახლოებით 49 მილიონი ლარი ჩადებულია რუსეთისადმი საქართველოს ძირითადი ვალის წლევანდელი ნაწილის გასტუმრებაზე. როგორც ჩანს, საქართველო იძულებული გახდება, არ გაისტუმროს რუსეთის ვალი და ეს თანხა მიმართოს პენსიებისა და ხელფასების დასაფარავად. სხვა გზა ბიუჯეტის ხარჯების დასაფარავად — არ არსებობს! უნდა ავირჩიოთ — ან რუსეთს ვაძლევთ ვალს, ან პენსიებსა და ხელფასებს ვისტუმრებთ! ვფიქრობ, ჩვენი მთავრობა მეორე გზას დაადგება, რადგან სავალუტო ფონდი საგარეო ვალების რესტრუქტურიზაციაში დაგვეხმარება. ამასთან, რუსეთის ვალი რომ გავისტუმროთ, ეროვნული ბანკის რეზერვები 25 მილიონი დოლარით შემცირდება და ეს მაშინ, როცა რეზერვი მხოლოდ — 110 მილიონი დოლარია.

— **გმადლობთ!**

# ერთი კორუმპირებული ჯგუფის წინააღმდეგ ბრძოლა, შესაძლებელია მხოლოდ მეორე კორუმპირებული ჯგუფის გაძლიერებით...

*საგულისხმოა, რომ ქონებრივი დეკლარაციების ანალიზთან ერთად, სავალუტო ფონდი ენერგეტიკის სექტორის რეფორმას და საგზაო პოლიციის საგუშაგოების გაუქმებასაც ითხოვს და მიაჩნია, რომ ამ საკითხთა მოუგვარებლად ეკონომიკური მაჩვენებლები არ გაუმჯობესდება. ყველაზე მრავლისმთქმელი კი ის გახლავთ, რომ ამ მართლაც სკანდალური რეკომენდაციის მუხლი მემორანდუმში პარლამენტის თავმჯდომარესთან სავალუტო ფონდის მისიის შეხვედრის შემდეგ გაჩნდა... ახლა ყველა ელის პრეზიდენტის განცხადებას ამ მოვლენასთან დაკავშირებით და საგანგებო კომისიის მიერ შემუშავებული ეროვნული ანტიკორუფციული პროგრამის გამოქვეყნებას, მაგრამ პრობლემა ის არის, იქნება კი პოლიტიკური ნება ამ პროგრამის რეალურად განხორციელებისთვის? ამასთან, საინტერესოა, სავალუტო ფონდის მიერ მემორანდუმში ჩაწერილი რეკომენდაცია, თანამდებობის პირთა უკანონო ქონების კონფისკაციის შესახებ ხომ არ იქცევა საკუთრივ ხელისუფლებაში ურთიერთბრალდებებისა და პოლიტიკური ანგარიშსწორების შესანიშნავ საშუალებად და საბაბად? ამ და სხვა საკითხებზე კომენტარი ვთხოვე რესპუბლიკური პარტიის ლიდერს* ***დავით ბერძენიშვილს***:

— ბუნებრივია, ამას შეეცდებიან! მოქკავშირის რეფორმატორებად წოდებული ნაწილი არ არის ისეთი ფინანსური ბერკეტების მქონე ქართულ შავ ეკონომიკაში, როგორც ნომენკლატურული ჯგუფები. ამიტომ მათ ინტერესებშია ამ ნომენკლატურული ჯგუფების ერთი ნაწილის გამოყენება მეორე ნაწილის წინააღმდეგ. რა თქმა უნდა, ეს ბერკეტები გამოყენებული იქნება ცალკეული არასასურველი პერსონების, აგრეთვე არასასურველი და პოლიტიკურად მოსაშორებელი ჯგუფების წინააღმდეგ. მაგრამ, როცა ქვეყანაში კორუმპირებული სისტემაა, ამ სისტემის ერთი კორუმპირებული ჯგუფის წინააღმდეგ ბრძოლა შესაძლებელია მხოლოდ მეორე კორუმპირებული ჯგუფის გაძლიერების შედეგად. თუ დააპირებენ, ვთქვათ, შინაგან საქმეთა სამინისტროს მაღალჩინოსნებს შორის ურთიერთობის გარკვევას და თუ რომელიმე აღმოჩნდება კორუმპირებული, რომლის ქონებაც დაექვემდებარება კონფისკაციას, ეს შესაძლებელი იქნება, ერთი მხრივ, შინაგან საქმეთა სამინისტროში და, მეორე მხრივ, სხვა ძალოვან სტრუქტურებში კორუმპირებული ჯგუფების და პერსონების გაძლიერების შედეგად. ამიტომ ეს გახლავთ ჩაკეტილი წრე... ჟვანიას ჯგუფიც ხომ იღებს თამაშის ამ წესებს და ანტიკორუფციული ჯგუფისა და სავალუტო ფონდის ეს რეკომენდაციაც საშუალება იქნება მათთვის „გამოათავისუფლონ“ ადგილები! არ მინდა ყველაფერში ცუდი დავინახო და თუ მართლაც შემცირდება ნომენკლატურული კორუმპირებული ჯგუფების ასპარეზი, ეს, რა თქმა, უნდა მისასალმებელი იქნება, მაგრამ ამ სისტემაში პრინციპულად შეუძლებელია მათი ისე შემცირება, რომ დანარჩენები არ გაძლიერდნენ. ამასთან, რეკომენდაცია არაკანონიერი ქონების კონფისკაციის შესახებ, შეიძლება იქცეს მოქალაქეთა კავშირის, ანუ დღევანდელი ხელისუფლების შინაპოლიტიკური ინტრიგების ასპარეზად. ვიღაცის სიმამრის ვილა თუ ქონება დარჩება ხელშეუხებელი, ვიღაცის სიდედრის ქონებას კი სააშკარაოზე გამოიტანენ და კონფისკაციას „დაუქვემდებარებენ“, თუმცა არა მგონია, ამან რაიმე სერიოზული ფინანსური დარტყმა მიაყენოს მსგავს ჯგუფებს, პოლიტიკურ დარტყმას კი, იცოცხლეთ, მიიღებენ! საერთოდ, სანამ საქართველოში რეალურად ბრძოლის ობიექტი და სამიზნე არ გახდება თავად კორუმპირებული სისტემა, გარღვევა არა მხოლოდ ქვეყნის ეკონომიკის გაჯანსაღების, არამედ ჟვანიას პოლიტიკური ჯგუფის გაძლიერების თვალსაზრისითაც, არ მოხდება. საუბედუროდ, დღეს არსებული რეჟიმი არ ექვემდებარება გაჯანსაღებას. პრეზიდენტიც, პერსონალურადაც იმდენად არის უკვე კორუმპირებული სისტემის მძევალი, რომ მას აღარ ძალუძს ამ სისტემის ოდნავი გაჯანსაღებაც კი!

— **31 ოქტომბერს ერთი წელი სრულდება ამ მოწვევის პარლამენტის არსებობისა. თქვენი თვალთახედვით, რა გვიჩვენა ამ ერთმა წელიწადმა, უფრო სწორად, რა მოუტანა სასიკეთო ან არ მოუტანა ქვეყანას პარლამენტის მოღვაწეობამ?**



— გვიჩვენა ის, რომ კიდევ უფრო შემცირდა ქვეყანაში დემოკრატიულ პოლიტიკურ ძალებზე მოთხოვნილება; საბოლოოდ, გათამაშდა „მტრის ხატის“ კარტი, როცა მოქკავშირი და „აღორძინება“ ერთმანეთისგან ქმნიდნენ მტრის ხატს და ორივე ერთმანეთის მადლიერი უნდა იყოს, რომ პარლამენტში ამ რაოდენობით არიან წარმოდგენილნი. მეორე მხრივ კი, ეს ეფემერული გამარჯვება ბუმერანგივით ცუდად მიუბრუნდა იმ ხალხს, ვისაც წარმატების და გაძლიერების იმედი ჰქონდა. იმავე ასლან აბაშიძემ რა მოიგო ამ არჩევნებში? ცალკე რომ გამოსულიყო, ანუ მხოლოდ „აღორძინების კავშირით“, მას იგივე მდგომარეობა დარჩებოდა, რაც ადრე ჰქონდა, ანუ პარლამენტში ეყოლებოდა საკუთარი ფრაქცია უფრო დიდი რაოდენობით, ვიდრე დღესაა. რეალურად მას არ აღმოაჩნდა პერსპექტივა, რომ საქართველოს ხელისუფლება მისი კონტროლის ქვეშ ყოფილიყო და ამას მიხვდა თვითონაც. ძალიან შორი გზით იარა აბაშიძემ და მივიდა საწყის პოზიციამდე, ანუ დაკმაყოფილდა მისი მთავარი ინტერესი, რომ საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებას არ ჰქონდეს იმის სურვილი და ძალა, რომ აბაშიძე აკონტროლოს თბილისიდან და დაასუსტოს! აბაშიძის ძალისხმევით კი, მოგებული დარჩნენ ტრადიციონალისტები და სოციალისტები, რომლებმაც მუქთად მიიღეს ფრაქციები პარლამენტში, ერთწლიანი ჯახირის შემდეგ კი რჩეულიშვილმა მიიღო ვიცე-სპიკერის პოსტიც, კაკო ასათიანს კი კარგი ასპარეზი მიეცა პოლიტიკური აქტიურობისთვის. მეტიც, თუ ასათიანი გაბედავს და გარისკავს, მას შესანიშნავი შანსი აქვს პარლამენტში ოპოზიციონერობისა, მით უმეტეს, რომ ოპოზიცია პარლამენტში დღეს არ არსებობს. საერთოდ, ჩვენთან პოლიტიკური სისტემა ვერ ჩამოყალიბდა ისე, რომ საპარლამენტო პარტიები ავსებდნენ პოლიტიკურ ცხოვრებას, როგორც ეს ცივილიზებულ ქვეყნებში ხდება. სამწუხაროდ, დეპუტატების უმრავლესობა, უწინარესად, ისეთივე ერთჯერადი „მეჩაიე“ დეპუტატები არიან, როგორიც კომუნისტების დროს, იმ განსხვავებით, რომ ძველ მეჩაიე დეპუტატებს კლანური ინტერესები არ ჰქონდათ იმიტომ, რომ კლანები არ ჰყავდათ. ანუ, იმის თქმა მსურს, რომ დღევანდელი დეპუტატები, როგორც პოლიტიკოსები, წარმოადგენენ პოლიტიკურ ჭაობს, მაგრამ ატარებენ გარკვეული კლანების ინტერესებს... პოლიტიკური თვალსაზრისით, ამ დეპუტატებს ტყუილად უჭირავთ ადგილები პარლამენტში...

რაც შეეხება „მრეწველებს“ და მმართველ პარტიას, აშკარაა სხვადასხვა ჯგუფთა დისტანცირების ფაქტები ფრაქციათა ხელმძღვანელობისგან. ფიქრია ჩიხრაძის გადასვლა „ახალ ფრაქციაში“ არ არის კონფრონტაცია თოფაძესთან, მაგრამ გამყრელიძე-გაჩეჩილაძის დისტანცირება ფრაქცია „მოქალაქეთა კავშირიდან“, არის პირდაპირი კონფრონტაცია ჟვანიასა და ფრაქციასთან...

საინტერესოა, რომ ჟვანიას ჯგუფი საქართველოს ხელისუფლებაში პარლამენტში უფრო სუსტად არის წარმოდგენილი, ვიდრე მთავრობაში. მიშა მაჭავარიანი და მიშა სააკაშვილი მართალია არ არიან ძალოვანი სტრუქტურების ხელმძღვანელები, მაგრამ მათ საკმაო საშუალებები და ბერკეტები აქვთ გავლენისთვის, ბოლოს და ბოლოს, მათ ამომწურავი ინფორმაცია აქვთ იმისა, თუ სად, როგორ კეთდება დიდი ფული და ვინ აკეთებს ამ ფულს. მაგრამ მათი წასვლით ძალიან დასუსტდა ჟვანიას ჯგუფი, საიდანაც გავიდა ნინო ბურჯანაძე, ხოლო კახა ჩიტაიას დაბრუნებამ ფრაქციაში ამინდი ვერ შეცვალა. რეზო ადამია კომიტეტის შესანიშნავი თავმჯდომარე გახლდათ, რომელსაც უშუალოდ უხდებოდა კვალიფიციური ურთიერთობები, მოლაპარაკებები ნატოსთან, რუსეთთან და არა მგონია, რომ მან გია ბარამიძის სახით ტოლფასი შემცვლელი დატოვა თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის პოსტზე... ბარამიძეს თავიდან ექნება შესაქმნელი ის იმიჯი, რაც ადამიას ჰქონდა... ბარამიძეს ხშირად უყვარს პოლიტიკური განცხადებების კეთება და რბილად რომ ვთქვა, არა მგონია, მოლაპარაკებათა მაგიდასთან მისი დიდი აქტიურობა ყოველთვის სასიკეთოდ წაადგეს საქართველოს ინტერესებს...

და კიდევ: რეზო ადამია არ არის საჯარო პოლიტიკოსი იმ თვალსაზრისით, რომ ფრაქციის თავმჯდომარის პოსტზე იმდენ შემოტევას უპასუხოს, რამდენსაც მიშა სააკაშვილი ახერხებდა, თუნდაც მეტისმეტი კონფრონტაციული და პოპულისტური გამოსვლებით. რეზო ადამია არ არის არც პოპულისტი, არც კონფრონტაციული პოლიტიკოსი და თუ მისი ზომიერება შეაჩერებს ფრაქციის დეზინტეგრაციის პროცესს, მეორე მხრივ, ამ ფრაქციის წარმოჩენა საპარლამენტო პოლემიკებში არ იქნება ისეთი თვალსაჩინო და ხმაურიანი, როგორიც მიშა სააკაშვილის დროს იყო. თავად სააკაშვილმა კი მართლაც დროზე გაასწრო პარლამენტიდან და ფრაქციიდან, სადაც მისი რეიტინგი ნულს უტოლდებოდა... კალვინის შკალით!

— **ბოლო დროს, „საჯილდაო ქვად“ ქცეული გუდაუთის სამხედრო ბაზის ირგვლივ მიმდინარე პროცესებში ჩაერთვნენ აფხაზეთის სეპარატისტული რეჟიმის წარმომადგენლებიც, რომლებმაც ახლახან თბილისში ყოფნისას პირდაპირ განაცხადეს, გუდაუთის ბაზის შეიარაღებას, ინფრასტრუქტურას, ქონებას თითს ვერავინ დააკარებს აფხაზეთის პოზიციის გაუთვალისწინებლადო... თქვენი აზრით, რა პოლიტიკური თამაში, გნებავთ, გარიგება შეიძლება დაიწყოს გუდაუთის ბაზის გატანა-ტრანსფორმაციასთან დაკავშირებით და რა სავარაუდო დივიდენდებს უნდა ელოდოს საქართველო ამ პროცესიდან?**

— ბუნებრივია, რუსეთი ეცდება გუდაუთის ბაზის შენარჩუნებას სახეშეცვლილი ფორმით. აფხაზები შეეცდებიან მაქსიმალური დივიდენდები და იარაღის ნაწილი მიიღონ გუდაუთის ბაზის გატანის შემთხვევაშიც და ამას მოახერხებენ კიდეც. ეს მართლაც „საჯილდაო ქვაა“. ერთადერთი სფერო, სადაც საქართველოს ხელისუფლების პოლიტიკა არ იყო უნიათო და წამგებიანი, ეს გახლდათ საგარეო პოლიტიკა, მაგრამ დღეს უკვე მიჩნდება სერიოზული პრეტენზიები ჩვენი საგარეო-პოლიტიკური კურსის მიმართ: აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარება, საქართველოს განვითარების პერსპექტივები, ჩვენი უშიშროება და სხვა უამრავი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ამოცანის გადაჭრის საკითხი პირდაპირ უკავშირდება საქართველოში რუსეთის გავლენის მინიმუმამდე დაყვანას, შემდეგ კი საბოლოოდ აღმოფხვრის ფაქტორებს, როგორც ეს ბალტიისპირეთმა მოახერხა. რუსეთის სამხედრო ყოფნა საქართველოს მიწა-წყალზე უნდა ჩაბარდეს ისტორიას. სხვანაირად ჩვენი ქვეყანა ფეხზე ვერ დადგება. რუსებს იმისი თავი და შესაძლებლობაც არა აქვთ, რომ სამხედრო ბაზების აქ დარჩენა გაგვიცვალონ აფხაზეთზე საქართველოს იურისდიქციის აღდგენაში. არ არის ისე საქმე, როგორც ზოგიერთს ჰგონია, რომ თუ რუსეთმა მოინდომა, აფხაზეთს ხვალვე დაგვიბრუნებს! ამასთან, ეს არც შედის რუსეთის ინტერესში. მის ინტერესს პასუხობს არც ომის და არც ზავის ვითარების შენარჩუნება, რითაც ეფექტურად ახერხებს თბილისისა და სოხუმის კონტროლს. ამიტომ საქართველოს პოზიცია, დასავლეთისგან მხარდაჭერილი და გამაგრებული, უნდა იყოს კატეგორიული — რუსეთის ბაზები უნდა გაუქმდეს, ხოლო თუ მოსკოვი დაარღვევს რაიმე ფორმით ხელშეკრულებებს, ეს უნდა გახდეს საქართველოს ხელისუფლებისთვის საერთაშორისო სკანდალების, დემარშების ატეხის საფუძველი. ან რა სამშვიდობო ძალების სარეაბილიტაციო ცენტრის შექმნაზეა ლაპარაკი, რა, ეს სამშვიდობო ძალები მემკვიდრეობით გვერგო? მოკლედ, აქ არანაირ დათმობაზე არ შეიძლება იყოს საუბარიც კი, თუ გვინდა საქართველოს ნორმალური განვითარება, მით უმეტეს, რომ რუსეთზე ზემოქმედების გარკვეული ბერკეტებიც გვაქვს ხელთ და აშშ-ის პრეზიდენტად ჯორჯ ბუშის არჩევის შემთხვევაში, გაცილებით მომგებიან პოზიციაში ვიქნებით... დიახ, „საჯილდაო ქვაა“ გუდაუთის ბაზა და მეშინია, რომ ჩვენმა ხელისუფლებამ შეიძლება ვერ ასწიოს ეს „ქვაც“ ისევე, როგორც სხვა „ქვები“ ვერ ასწია!

***ზურაბ მჭედლიშვილი***

## თბილისობა, თბილისობა!..

# „ომონი“ ეროვნულ დროშას თავზე ახევდა „ზვიადისტებს“...

ჩვეული სილაღით ვერ ხალისობდა წელს თბილისი თბილისობაზე. სიმღერა და ცეკვა-თამაში, მხიარულება აკლდა დედაქალაქს. რამდენიმე დღის წინ აჭარაში დატრიალებულმა ტრაგედიამ გაცრიცა და გააუფერულა შემოდგომის ეს ლამაზი დღესასწაული.

თუმც სიახლეები ამ დღეს მაინც მრავლად იყო — ახალი, ბელიაშვილის ქუჩა, სამების სახელობის ეკლესია ვაკეში, ქეთევან წამებულის გამზირზე ფარნავაზის ძეგლის გახსნა, ოპერის ბაღში კი ევგენი მიქელაძის ბიუსტი...

ეს სიახლეები მშვიდად, პომპეზურობისა და ზედმეტი სიტყვების გარეშე უძღვნეს თბილისელებს.



### „ზვიადისტები“ კი იუბილეს აღნიშნავდნენ

28 ოქტომბერი საქართველოს მრავალპარტიული არჩევნების გამარჯვების დღეა. ათი წლის წინ ამ დღემ მოუღო ბოლო კომუნისტურ რეჟიმს. „ზვიადისტები“ ჯერ კიდევ ერთი კვირის წინ ეპატიჟებოდნენ თბილისელებს თავისუფლების, ანუ როგორც ისინი უწოდებენ, ზვიად გამსახურდიას სახელობის მოედანზე.

მანანა არჩვაძე-გამსახურდიას მომხრეებმა ფანდი იხმარეს. ჩვეულ მსვლელობებსა და ხმაურიან მიტინგზე ამჯერად უარი თქვეს და მალულად, სხვადასხვა ქუჩით მიაღწიეს თავისუფლების მოედნამდე, მაგრამ „ომონმაც“ ჩვეული ოპერატიულობა გამოიჩინა. „თემური და მისი რაზმი“ მობილიზებული, ნიღბებითა და „დუბინკებით“ შეიარაღებული ელოდა საკბილოს. „ზვიადისტებმა“ 3 საათიანი „ხოტბა-დიდება“ უძღვნეს დღევანდელ ხელისუფლებას. შემდეგ კი „ქართველო, ხელი ხმალს იკარო...“ — დააგუგუნეს.

— გაუმარჯოს ზვიად გამსახურდიას გზას!

— გაუმარჯოს ქალბატონ მანანა არჩვაძე-გამსახურდიას გზას!

— შევარდნაძე არ არის და ვერც იქნება საქართველოს პრეზიდენტი!

ექსპრეზიდენტის მომხრეების ალყა გავარღვიე და **მანანა არჩვაძე-გამსახურდიას** რამდენიმე კითხვით მივმართე:

— **აქ უამრავი „ომონელია“, როგორ მოაღწიეთ მოედნამდე?**

— ეს ჩემი საიდუმლოა, ვერ გეტყვით, იმიტომ, რომ მომავალშიც ვაპირებ ამ ხერხის გამოყენებას.

— **ალბათ, ვარცხნილობის შეცვლის გამო ვერ გიცნეს და გაგატარეს.**

— არავითარი თმა და ვარცხნილობა... აქ ჭკუის ფაქტორია და მეტი არაფერი. ძალიან კარგად შემოვაღწიე მოედანზე და როცა მოვისურვებ, შემიძლია უზენაესშიც დავსკუპდე. დარწმუნებული იყავით... ამას უახლოეს მომავალში იხილავთ საკუთარი თვალით და მერე მკითხეთ — როგორ შემოაღწიეთო.

— **ვისი მეოხებით აპირებთ „უზენაესში“ მოსვლას, უცხოეთის დახმარების იმედი გაქვთ?**

— მე კიტოვანი, ჯაბა იოსელიანი და შევარდნაძე ნუ გგონივართ. არავითარი უცხო ძალები და უცხოელები არ გვჭირდება. მე მყავს ქართველი ერი, რომელსაც საკმარისი ძალა შესწევს, რომ აღადგინოს დაკარგული დამოუკიდებლობა. ჩვენ არ მივმართავთ იმ ბინძურ ხერხებს, რომლებიც მრავალგზის იქნა საქართველოს ანექსიისა



და ოკუპაციისთვის გამოყენებული.

— **თქვენ იმ ძალას გულისხმობთ, რომელიც დღეს აქ არის წარმოდგენილი... იმ 87%-თან შედარებით (რაც 10 წლის წინ იყავით) ცოტანი დარჩით. დღეს აქ 200-ოდე კაცია.**

— გაითვალისწინეთ ისიც, რომ ჩვენ დიდი ხანია არ გამოვსულვართ ქუჩაში. ახლა დავიწყებთ გამოსვლებს და მერე ნახეთ, რა ძალა ვიქნებით, 100%-ს რომ ავიღებთ. მალე შევარდნაძეს რომ ვერ იხილავთ, მაშინ დარწმუნდებით. ჩემი თხოვნაა, მაშინ ნახოთ შევარდნაძე (თუ იპოვით) და აიღოთ მისგან ინტერვიუ.



— **ხელისუფლებაში ანუ „უზენაესში“ მისვლას როგორ აპირებთ?**

— რა თქმა უნდა, არჩევნების გზით. სახალხო ბრძოლის გზას ვერავინ აკრძალავს, ის საერთაშორისო კანონებით არის მიღებული და აპრობირებული. მსოფლიომ 9 წლის განმავლობაში კარგად ამოიცნო ეს ხელისუფლება. ხომ ხედავთ, საერთაშორისო სავალუტო ფონდი მავანთა ქონების კონფისკაციის მოთხოვნით გამოდის. შევარდნაძის სავარძელი შერყეული კი არა, ჰაერში დაკიდებულია და თვითონ სად დავარდება, არავინ იცის.

— **თქვენ გარდა, აქ არც ერთი ოპოზიციური ძალა არ არის...**

— მრავალპარტიულ არჩევნებში გამარჯვებული ჩვენი პარტია იყო, ამიტომ აქ უმრავლესობა „მრგვალი მაგიდის“ წევრები ვართ. რა თქმა უნდა, კომუნისტები აქ არ მოვიდოდნენ. მათი ადგილი აქ კი არა, საქართველოშიც არ არის. ჩვენ დღესდღეობით გვაქვს ცკ და კომკავშირის ცკ.

— **თბილისობა არაფერს ნიშნავს თქვენთვის?**

— რას ნიშნავს თბილისობა? მე მთელი საქართველოს ზეიმისა მწამს. რა არის თბილისობა, ქუთაისობა, რუსთავობა? ეს ისევ განაწილება და ქალაქის ქალაქთან დაპირისპირებაა. მე არ ვარ ამის მომხრე. საქართველოს მრავალი საზეიმო დღე აქვს, მაგრამ თბილისობა? სადაც კარტოფილსა და ნიორზე ეპატიჟებიან ხალხს — ეს უზნეობაა. უფულო ხალხის დაპატიჟება იქ, სადაც ისინი მათხოვრის როლში აღმოჩნდებიან, არ შეიძლება! რისთვის ეპატიჟებიან? რომ თავიანთ ჭამა-სმას აყურებინონ? შევარდნაძეს ჩაეშალა თბილისობა. ეს იმის მაუწყებელია, რომ საქართველოში თბილისობა არასოდეს იქნება!

**ნოდარ ნათაძე:** სამწუხაროდ, დღეს მთელ საქართველოში მხოლოდ აქ აღინიშნება კომუნისტური რეჟიმის დამხობის ათი წლისთავი. ეს ფაქტი არის ცალსახა, ნათელი ილუსტრაცია იმისა, რომ დღევანდელი ხელისუფლება ისევ კომუნისტურია და არა პოსტკომუნისტური. და ის არის საქართველოს დამოუკიდებლობისა და ქართველი ერის მტერი. ეს კარგი ღონისძიებაა და ამიტომ ვარ აქ... მოველი, რომ იქნება დარბევის მცდელობა, მაგრამ წინააღმდეგობა უნდა გავუწიოთ. დღეს ამ კრებულის ხარისხი უნდა დაფიქსირდეს და არა რაოდენობა.

თბილისობა კი უნიჭო კომკავშირული კომედიაა... უნიჭოები არიან მისი რეჟისორიც და მონაწილეებიც. რა დროს თბილისობაა, რა გვეთბილისება — ხალხი შიმშილით კვდება.

ოთხის ნახევარზე „ომონმა“ ზვიადისტების დაშლა დაიწყო. მღებრიშვილი ჩვეული წყევლა-კრულვით აავსეს ექსპრეზიდენტის მომხრეებმა.

**მანანა არჩვაძე:** — შაოსნებო, უკან დაიხიეთ, ჩქარა!.. თქვენი არავის ეშინია, დაიხიეთ უკან, მანქურთებო!

**მომიტინგეები:** — ჩვენ რას გვიღებთ, ამ ნაძირალებს გადაუღეთ!

— მშობლები არ გყავთ, ოჯახი არ გაქვთ, მღებროვის სამსახურში რომ მიხვედით და ბარაბას გზას ადგახართ?

„ზვიადისტებმა“ „ლმობიერებით“ სცადეს **მღებრიშვილის** გაუვნებელყოფა, სიმღერითა და ტაშის ცემით შემოარტყეს ალყა.

— **ბ-ნო თემურ, ომონის რამდენი თანამშრომელია მოედანზე?**

— საკმარისად არიან.

— **მიტინგი სანქცირებულია?**

— არა, გოგო! სად არის მიტინგი? ვერ ხედავთ, ცეკვავენ და მღერიან.

**ერთ-ერთი მომიტინგე:** მერე რა გინდათ მოცეკვავე ხალხისგან?

— ფეხი რომ არ მოგიცურდეს და გლახად არ დაეცე, იმიტომ ვარ აქ.

— აფხაზებმა არ მომკლეს და თქვენ მკლავთ?

— რა აფხაზებმა?! ჩვენ რომ იქ ვიბრძოდით, თქვენ ტ...ში ნიხლებს ირტყამდით, ისე მორბოდით. აქ რომ დავბრუნდით, „ივერიაში“, სარეცხის თოკებზე უკვე თქვენი ნიფხვები იყო გამოფენილი.

— თქვენ იქ კი არ იბრძოდით, საქურდლად იყავით ჩამოსული!

— შენ კი დაგაყარე აფხაზეთის მიწა!

ამჯერად მღებრიშვილს მხარი თვით მიშა სალაძემაც აუბა (როცა ერთი „ზვიადისტი“ ქალბატონი „შემოეხვია“): გაიწი, ქალო, არაფერი გადამდოო.

„ომონმა“ აკივლებული „ზვიადისტები“ ლესელიძის ქუჩისკენ გარეკა. მალე „დუბინკებითა“ და ქართული დროშის ტარით „ფარიკაობის“ მოწმენიც გავხდით. ერთ-ერთ სპეცრაზმელს ექსტაზში შესულმა ქალბატონმა ნიღაბი ჩამოჰგლიჯა, — თუ კაცი ხარ, სახეს რატომ მალავო. ბევრს მოხვდა, ბევრმაც იტირა, ბევრსაც პიჯაკი შემოახიეს...

განა აქვს გამართლება იმ ფაქტს, რომ ექსპრეზიდენტის მომხრეები საქართველოს სახელმწიფო დროშას ხელკეტად იყენებდნენ (თუნდაც თავდაცვის მიზნით), ხოლო სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას „ქართული ომონი“ ეროვნულ დროშას თავზე ახევდა ზვიადისტებს.

ასეთი იყო თბილისობა „ზვიადისტებისათვის“.

ამ დავიდარაბის მომსწრეს გუნება წამიხდა. „ივერიისაკენ“ წავედი... შემოდგომის ნობათით ავსებულიყო რესპუბლიკის მოედანი. გლეხები თავიანთ ნაჭირნახულევს სთავაზობდნენ თბილისელებს.

ორი გოგონა ბებიას აქეთ-იქიდან ამოსდგომოდა და კუნტრუშით მიჰყვებოდა. ბებიკოს ხელში კარგა მოზრდილი კურდღელი ეჭირა: ოთხ ლარად ვიყიდე, ორი წელია მეხვეწებიან, გვიყიდეო და დღეს ავუსრულე ოცნება. ორ კვირაში ბაჭიები გვეყოლება და თქვენც გაჩუქებთ.

მერე კი რაჭველმა თეიმურაზ ორდინიძემ სახელდახელო სუფრაზე მიგვიწვია. მწვადიც მოგვართვა, შოთიც, მერე კი საფერავით სავსე ფიალით ჩვენც დაგვლოცა და მთელი საქართველოც, — ჩვენს ძირძველ, ტანჯულ საქართველოს გაუმარჯოს, რომელიც თავისი მეობისა და ზეობისთვის იბრძვის. მშვიდობა გქონოდეთ, ხალხს სიდუხჭირე გადაეტანოს და მომავლის იმედი გქონოდეთ ყოველ წამსო.

ჭეშმარიტად, მომავლის იმედი არ მოგიშალოთ ღმერთმა!

**იზო რიკაძე**






იკითხეთ კვირის პალიტრის დამატება ჟურნალი „მზა“

# კონტრაბანდული „მალბორო“ თბილისში მზადდება?!

შარშან სიგარეტის კოლოფზე აქციზის გადასახადის დამადასტურებელი ე.წ. მარკების სავალდებულო დაკვრამ დადებითი შედეგი გამოიღო. იმ წელს ადგილობრივი წარმოების თამბაქოს პროდუქციაზე გათვალისწინებული მარკების რეალიზაციამ თითქმის 80 მილიონს მიაღწია, ხოლო იმპორტიორებმა 235 მილიონ აქციზურ მარკაზე მეტი დახარჯეს, რამაც საერთო ჯამში სახელმწიფო ბიუჯეტს 62 მილიონი ლარი მოუტანა. ასეთი შემოსავალი, ისიც მხოლოდ სიგარეტიდან, სახელმწიფო ბიუჯეტს დამოუკიდებლად არსებობის მანძილზე არც დასიზმრებია. მაგრამ საერთაშორისო სავალუტო ფონდის ექსპერტთა დაჟინებული მოთხოვნისა და საქართველოს ხელისუფლების უპრინციპობის შედეგად 2000 წლიდან თამბაქოს ნაწარმზე აქციზური გადასახადი ექვსჯერ გაიზარდა, რამაც მყისიერად უარყოფითი შედეგი დააფიქსირა შემოსავლების სამინისტროს ანგარიშში. კერძოდ, — აქციზური სამსახურის მონაცემებით სიგარეტის ადგილობრივმა მწარმოებლებმა წელს მხოლოდ 2,2 მილიონი მარკა შეიძინეს. იმპორტიორებმა კი 58 მილიონი მარკა მოიხმარეს, რამაც ბიუჯეტი მხოლოდ 23 მილიონი ლარით შეავსო. მნიშვნელოვანი რეგრესი სახეზეა. წლის ბოლომდე დარჩენილ ორ თვეში ზემოთ მოტანილი ციფრები დიდი-დიდი 4-5 მილიონი ლარით თუ გაიზრდება, ისიც უკეთეს შემთხვევაში.

დაუსაბუთებელმა და ეკონომიკურად გაუმართლებელმა მაღალმა აქციზურმა გადასახადმა ადგილობრივი სიგარეტის მწარმოებლები კორუფციის ქსელში გახვია. უცხოური წარმოების სიგარეტის იმპორტიორებმა კი კონტრაბანდისტების რიგები შეავსეს, ან საერთოდ ჩამოსცილდნენ ამ ბიზნესს, რადგან მათ მიერ ლეგალურად ოფიციალური გზებით შემოტანილი იმპორტული სიგარეტი აქციზური გადასახადის მაღალი ტარიფის გამო კონკურენციას ვერ უწევს იმავე კლასის და ხარისხის ანალოგიურ კონტრაბანდული გზებით შემოზიდული თამბაქოს ნაწარმს.

სიგარეტის კონტრაბანდის მოცულობაზე, რაც აქციზური გადასახადის გაუმართლებელმა მომატებამ გამოიწვია, მოგვიანებით, სახელმწიფოს ოფიციალური პირებიც ალაპარაკდნენ. კერძოდ, პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის ხელმძღვანელის, რომან გოცირიძის განცხადებით, რესპუბლიკაში თამბაქოს საერთო რეალიზაციიდან კონტრაბანდული სიგარეტის ხვედრით წილზე 75% (?!) მოდის, ანუ ყოველი 4 გაყიდული კოლოფი სიგარეტიდან 3 კონტრაბანდაა.

უფრო საგანგაშო ციფრებს ასახელებს საქართველოს თამბაქოს საწინაალმდეგო ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელობა. მათი მონაცემებით ამჟამად ქვეყანაში დაახლოებით 2,5 მილიონი სიგარეტის მომხმარებელია. ყოველდღიურად ნიკოტინით მათ დაკმაყოფილებას სულ მცირე ამდენივე კოლოფი სიგარეტი სჭირდება, რისთვისაც მწეველები 2 მილიონ ლარზე მეტს იხდიან. აქედან, დაახლოებით მილიონ ნახევარი ლარი კონტრაბანდისტების საქონელბრუნვას წარმოადგენს, რაც წელიწადში 600 მილიონ ლარს უტოლდება.

როგორც ადგილობრივი თამბაქოს მრეწველები, ასევე იმპორტით დაკავებული პირები აღნიშნავენ, რომ კონტრაბანდული სიგარეტით წალეკილია საქართველოს თამბაქოს სამომხმარებლო ბაზარი. მათი განცხადებით მთავრობამ აქციზის გადასახადის გადიდებით მათ დანაშაულისკენ უბიძგა. „სხვა გზა წარმოების გაგრძელებისა არ არსებობდა. ან არალეგალური წარმოებისთვის უნდა მოგვეკიდა ხელი, ან საწარმოები უნდა დაგვეკეტა. ჩვენ პირველი ვარჩიეთ“ — განაცხადეს ადგილობრივმა თამბაქოს მწარმოებლებმა.

ოფიციალური მონაცემებით, ადგილობრივი თამბაქოს საწარმოების უმრავლესობა ან დაკეტილია ან მხოლოდ უმნიშვნელო დატვირთვით მუშაობენ. ესეც მხოლოდ იმიტომ, რომ დაზგადანადგარები დიდი ხნის უმოქმედობით მწყობრიდან არ გამოვიდნენ. სინამდვილეში ადგილობრივი თამბაქოს საწარმოების უმრავლესობა მთელი დატვირთვით მუშაობს. მათი იატაკქვეშა საქმიანობა არამკითხე მოამბეთათვის ცნობილი რომ არ გახდეს, ისინი რუსეთის ან უკრაინის თამბაქოს ფაბრიკების შესაფუთ მუყაოს კოლოფებს ადგილზევე ბეჭდავენ, სადაც მითითებულია უცხო ქვეყნის თამბაქოს მწარმოებელი ქარხნის დასახელება და ლოგო. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს მომხმარებელი რუსეთიდან კონტრაბანდული გზებით შემოტანილ თამბაქოს ყიდულობს, სინამდვილეში კი ეს პროდუქცია ადგილობრივი წარმოებისაა. ამ ხერხით დამზადებული სიგარეტების ლომის წილი რესპუბლიკის პერიფერიებში იყიდება, სადაც საგადასახადო ინსპექცია ნაკლებ ყურადღებას აქცევს უაქციზო თამბაქოს ნაწარმს. რაც შეეხება იმპორტული წარმოების ფილტრიან სიგარეტს, სანდო წყაროების ინფორმაციით, ბოლო დროს მისი დამზადებაც დაიწყეს ქართველმა მეთამბაქოებმა. მით უფრო, მას შემდეგ, რაც თბილისის ერთ-ერთ თამბაქოს ფაბრიკას „კრიშად“ მოევლინა ხელისუფლების მაღალ ეშელონებთან ძლიერ დაახლოებული პირი, რომელიც საქართველოს ჩრდილოვანი ეკონომიკის მეფის არაოფიციალურ ტიტულსაც ატარებს. ეს ფაბრიკა „იმპორტულ“ სიგარეტებს, მათ შორის „მალბოროსაც“ და „ვაისროისსაც“ ამზადებს და ფაბრიკის მშრომელთა „სასახელოდ“ უნდა ითქვას, რომ ქართული წარმოების აღნიშნული დასახელების სიგარეტების გარჩევა თავის ნამდვილ თანამოძმეთაგან სტაჟიან მწეველებსაც უჭირთ. სხვათა შორის, როცა ფაბრიკას შესაფუთი მასალა გამოელევა, ის „იმპორტული“ სიგარეტის ე.წ. „ნასიპნოის“ სახით გაყიდვასაც არ ერიდება და თბილისის გარეუბნებში ამ სახის სიგარეტს უკვე მასობრივად ყიდიან.



და კიდევ ერთი, რაც ადგილობრივი წარმოების სიგარეტზე შეიძლება ითქვას. მკითხველს ალბათ ახსოვს, რა ზარ-ზეიმით აღნიშნა ხელისუფლებამ გაზაფხულზე სამგორში კანადელი მოქალაქის ინვესტირებით აშენებული ფაბრიკის მწყობრში ჩადგომა, რომლის საზეიმო გახსნის ცერემონიალს საქართველოს პრეზიდენტიც ესწრებოდა. პრეზიდენტის ესკორტი საწარმოს ეზოდან წესიერად არც იყო გასული, რომ ფაბრიკა გააჩერეს და დღემდე მაღალი აქციზური გადასახადის გამო გაჩერებულია.

ახლა იმ გზებსა, არხებსა და მეთოდებზე ვთქვათ ორიოდ სიტყვა, რომლის საშუალებითაც ნამდვილი კონტრაბანდული სიგარეტი შემოდის საქართველოში.

კონტრაბანდული სიგარეტით აღმოსავლეთ საქართველო, ძირითადად ერგნეთის ბაზრობიდან და წითელი ხიდიდან მარაგდება. დასავლეთ საქართველოს სამომხმარებლო ბაზარი კი ამ „სიკეთეს“ აჭარიდან და ენგურის ხიდის გაღმიდან იღებს. თუმცა, სხვა გზებითაც მოედინება მცირე რაოდენობა. მაგრამ მსხვილი კონტრაბანდისტები შემოვლით გზებს არ იყენებენ, რადგან ისინი კეთილმოუწყობელია. მით უმეტეს, როცა ოფიციალური საბაჟოს გვერდის ავლითაც შეიძლება კონტრაბანდის შემოტანა, რა თქმა უნდა, კონტრაბანდისტი ცუდ გზებზე არ ივლის მაშინ, როცა ყველასთან „გამაზული“ აქვს.

საქართველოში კონტრაბანდული სიგარეტის შემოტანის რამდენიმე ხერხი არსებობს. პირველ ხერხს აშკარა კონტრაბანდა ეწოდება. ის შემდგომში მდგომარეობს: როცა სიგარეტი ყოველგვარი დოკუმენტაციის გარეშე გადმოკვეთავს სახელმწიფო საზღვარს მესაზღვრისა და მებაჟის თვალწინ, მაგრამ ვერავინ ვერაფერს, გასაგები მიზეზების გამო, ვერ ამჩნევს. ამ ხერხს როგორც მსხვილი, ასევე წვრილი კონტრაბანდისტები მიმართავენ. თითო ყუთი სიგარეტის გადმოტანა საზღვარზე დაახლოებით ათი დოლარი ღირს. წვრილფეხობა ზოგჯერ სიხარბით მებაჟეს წინასწარ არ ურიგდება. იმ შემთხვევაში, თუ მებაჟემ კონტრაბანდა აღმოაჩინა, „საჯარიმო სანქცია“ ამოქმედდება და ათი დოლარი ოც დოლარად იქცევა. მაგრამ ხანდახან ვერც ოცი დოლარი შველის საქმეს წინასწარშეუთანხმებელი კონტრაბანდის კონფისკაცია ხდება და მასალები ადგილობრივ პროკურატურას გადაეცემა. ამ წვრილფეხა კონტრაბანდისტების მეშვეობით იქმნება ილუზია, რომ მებაჟეები, საგადასახადო ინსპექცია და სხვა სამართალდამცველები უკომპრომისო ბრძოლას ეწევიან კონტრაბანდის წინააღმდეგ და ათეულობით ფაქტი აქვთ, მაგრამ აღმოჩენილი კონტრაბანდის შეფარდება იმასთან, რაც საზღვარზე გადმოდის, დაახლოებით ერთი ასზეა.

> სიგარეტის კონტრაბანდის მოცულობაზე სახელმწიფოს ოფიციალური პირებიც ალაპარაკდნენ. კერძოდ, პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის ხელმძღვანელის, რომან გოცირიძის განცხადებით, რესპუბლიკაში თამბაქოს საერთო რეალიზაციიდან კონტრაბანდული სიგარეტის ხვედრით წილზე 75%(?!) მოდის, ანუ ყოველი 4 გაყიდული კოლოფი სიგარეტიდან 3 კონტრაბანდაა.

კონტრაბანდის მეორე ხერხს ტრანზიტის მეთოდი ჰქვია, ანუ როცა სიგარეტი საქართველოში შემოდის როგორც სხვა ქვეყნისათვის განკუთვნილი ტვირთი, სინამდვილეში კი ის რესპუბლიკაში რჩება შემდგომი რეალიზაციისათვის. მაგალითად, ა.წ. 30 სექტემბერს ფინანსური ლეგიონის თანამშრომელთა მიერ დაბა ყაზბეგში დაკავებული იქნა ორი „მაზის“ ტიპის ავტომანქანა, რომელშიც აღმოჩენილი იქნა საერთო ჯამში 2.157 ყუთი უაქციზო სიგარეტი. ზუსტად ერთი კვირის შემდეგ იმავე უწყებამ სოფელ მისაქციელთან ასევე ორი ავტომანქანა დააკავა, რომლებშიც 1.838 ყუთი სიგარეტი იყო. არც ამ სიგარეტზე იყო აქციზური მარკები დაკრული. გამოძიებამ ჯერჯერობით მხოლოდ, ის დაადგინა, რომ ოთხივე მანქანა თურქეთიდან იყო გამოგზავნილი და მიემგზავრებოდა ვლადიკავკაზში. ტვირთი ეკუთვნოდა ვლადიკავკაზში რეგისტრირებულ კონკრეტულ ფირმას, რომლის ხელმძღვანელიც ქართველია. როგორც სამართალდამცველები ვარაუდობენ, ტვირთი სინამდვილეში კონტრაბანდაა, რადგან რუსეთში აქციზური გადასახადის ისეთივე კანონმდებლობაა, როგორიც საქართველოში, ანუ სიგარეტს აქციზის გადასახადის მარკირება მწარმოებელ ქვეყანაშივე უკეთდება.

თქვენმა მონა-მორჩილმა თავისი კავშირების საშუალებით დაადგინა, რომ თამბაქოს „მიმღებ“ ამ შპს-ს ასეთი რაოდენობის სიგარეტის რეალიზაცია დღიდან მისი არსებობისა არასოდეს მოუხდენია. ფინანსური ლეგიონის წარმატებით დამთავრებულმა ორმა აღნიშნულმა ოპერაციამ კონტრაბანდისტებს ტრანზიტით კონტრაბანდული სიგარეტის შემოტანას უხერხულობა შეუქმნა. ამიტომ ამჟამად ისინი მესამე ხერხს ამუშავებენ. კერძოდ, მსხვილი კონტრაბანდისტები აპირებენ შექმნან საქართველოში საქველმოქმედო ორგანიზაცია და ქველმოქმედებით შეინიღბონ, თითქოს ჰუმანიტარული აქციისათვის უცხოეთიდან გამოგზავნილი თამბაქოს ნაწარმი სოციალურად დაუცველ მოსახლეობაზე უნდა დაარიგონ. თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ სპირტიანი სასმელების კონტრაბანდისტებმა საქართველოში არაერთხელ შემოზიდეს აღნიშნული ხერხით ალკოჰოლური სასმელები, მეთამბაქოებს რატომ უნდა გაუჭირდეთ ანალოგიური ხერხის რეალიზება.

მოკლედ, შეიძლება ითქვას, რომ სიგარეტზე აქციზური გადასახადის გაუმართლებელმა მომატებამ ბიუჯეტს შემოსავლები კი არ გაუზარდა, არამედ მნიშვნელოვნად შეუმცირა.

***ზვიად ჩაკვეტაძე***

P.S. ახლახან გადასახადების და შემოსავლების სამინისტრომ მიიღო გადაწყვეტილება, რომლითაც 1 ნოემბრიდან წლის ბოლომდე სიგარეტზე სააქციზო გადასახადი ადგილობრივი წარმოების თამბაქოზე 30 თეთრიდან 7 თეთრამდე შემცირდება და ექსპერიმენტის გამართლების შემთხვევაში, ალბათ, იმპორტულ სიგარეტსაც შეეხება ამნისტია.

# სად „გაქრნენ“ ჩეჩენი ბოევიკები?

მავანთაგან არაერთგზის მყუდროებადარღვეული საქართველოს სახელმწიფო საზღვრები გასულ კვირას კვლავ დაირღვა. ჩეჩენ ბოევიკთა შეიარაღებულმა ჯგუფმა დაუბრკოლებლად გადმოკვეთა საქართველო-რუსეთის საზღვრის ინგუშეთის მონაკვეთი, რომელსაც რუსი მესაზღვრეები, მათივე თქმით, მკაცრად აკონტროლებენ. აბსურდამდე დაუჯერებელია, რომ ამ „მკაცრად კონტროლირებად“ მონაკვეთზე რუსებს თუნდაც სამოცი შეიარაღებული ბოევიკის გადმოსვლა გამოეჰპარვოდათ. ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმაციით ჩეჩენ მეომართა რაოდენობა გაცილებით მეტი, დაახლოებით 150-მდე იყო. ამას კატეგორიულად უარყოფენ საქართველოს ძალოვნები. რუსეთი, თავის მხრივ, ცდილობს, ყველა ცოდვა კვლავ საქართველოს გადმოაბრალოს. მთელი ერთი კვირის მანძილზე რუსეთის მასმედიის თუ ოფიციალური პირების მიერ პერმანენტულად ვრცელდებოდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ თურმე ჩეჩენ ბოევიკთა აღნიშნული რაზმი რუსეთიდან კი არ გადმოვიდა, არამედ პირიქით, საქართველოდან რუსეთში ცდილობდა გადასვლას. ამით რუსეთს კიდევ ერთხელ სურდა ხაზი გაესვა არაერთგზის აფიშირებული და ჩვენთვის წაყენებული ბრალდებისთვის — აი, თუ არ არიან საქართველოში ჩეჩენი ბოევიკებიო. რუსეთის ასეთ განცხადებებს საქართველო ასე თუ ისე მიეჩვია. სხვა საკითხია, რამდენად შეუძლია ქართულ მხარეს მსგავსი პროვოკაციებისგან თავი დაიცვას.

ოპერატიული ინფორმაციის მიღებისთანავე დაიწყო ბოევიკებთან მოლაპარაკება იარაღის დაყრის თაობაზე, რაზეც მეომრის ღირსების შელახვის მოტივით მათგან კატეგორიული უარი მიიღეს. საქართველოს ხელისუფლება იძულებული გახდა, შესაბამისი ზომები განეხორციელებინა. ქართულმა შენაერთებმა იმ ადგილის შევიწროება დაიწყეს, სადაც ჩეჩენთა რაზმები იყვნენ განლაგებულნი. საზღვრის დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარის ვალერი ჩხეიძის განცხადებით, უამინდობის, თოვლისა და ნისლის გამო ვერტმფრენმა პატრულირება ვერ განახორციელა. „როცა პატრულირება შესაძლებელი გახდა, თოვლზე ნაკვალევი აღმოვაჩინეთ, რომელიც უკან, რუსეთ-საქართველოს საზღვრის ინგუშეთის მონაკვეთისკენ მიდიოდა. ამით მივხვდით, რომ ისინი რუსეთისკენ წავიდნენ“ — აცხადებს ჩხეიძე. ინტუიცია კარგია, მაგრამ... ცუდია, როცა მხოლოდ ინტუიციის ამარა ვართ დარჩენილი.

ერთ-ერთი ვერსიით, ჩეჩენი შეიარაღებული მეომრები ისევ საქართველოს ტერიტორიაზე არიან — ამბობენ, თითქოს ისინი ქისტმა მოსახლეობამ შეიფარა. რუსეთის პრეზიდენტის თანაშემწე სერგეი იასტრჟემბსკიც აცხადებს, რომ ჩეჩნების საქართველოდან რუსეთის ტერიტორიაზე გადასვლის ფაქტი არ დასტურდება. მეორე ვერსიით, მათ უკვე დატოვეს საქართველოს ტერიტორია და საზღვარზე ისევე უპრობლემოდ გადავიდნენ, როგორც გადმოვიდნენ. უბედურება ის არის, რომ ოფიციალური ხელისუფლების წარმომადგენლებიც ვერ ასცდნენ ვერსიების დონეზე საუბარს. ისინი, მართალია, ოპერაციას დასრულებულად მიიჩნევენ, მაგრამ დაზუსტებით მაინც ვერ აცხადებენ, ჩეჩენთა სრულმა შემადგენლობამ დატოვა საქართველოს ტერიტორია თუ გარკვეული ნაწილი კვლავ აქეთ დარჩა. ერთი სიტყვით, ჯერჯერობით კაციშვილმა არ იცის, სად გაუჩინარდა 60 თუ 150 ჩეჩენი ბოევიკი. ერთადერთი, რაც ჩვენმა ძალოვნებმა დანამდვილებით იციან, ის არის, რომ თბილისის სამხედრო ჰოსპიტალში იმყოფება 25 ჩეჩენი მებრძოლი, რომლებიც სტაციონარულ მკურნალობას გადიან. რუსეთის მხარე კატეგორიულად მოითხოვს, რომ საქართველომ გადასცეს მათ ის ჩეჩენი მეომრები, რომლებიც მძიმე დანაშაულებებში არიან მხილებულნი. ჯერჯერობით ქართული მხარე არ აკონკრეტებს, რას მოიმოქმედებს აღნიშნულთან დაკავშირებით. ისმის ერთი ლოგიკური კითხვა, რომელზეც ლოგიკური პასუხის გაცემა ძალიან უჭირთ ჩვენს ძალოვნებს — თუკი რუსებს ამ ჯგუფის ხელში ჩაგდება და დაკავება სურდათ, რატომღა გადმოატარეს ისინი საზღვარზე ასე „ღიღინ-ღიღინით“. ერთი სიტყვით, ყველაფერი იმდენად ბურუსითაა მოცული, რომ ქართველ მაღალჩინოსნებს უჭირთ პასუხის გაცემა კითხვაზე — რა იყო ეს: რუსების მიერ შემოგდებული პროვოკაცია, ჩეჩნები გამოეპარნენ რუს მესაზღვრეებს თუ მათ მოისყიდეს სასაზღვრო პოსტები (როგორც რუსული ისე ქართული) და თავი გამოატარებინეს? ამ კითხვებზე დღესაც თავს იმტვრევენ ჩვენი ძალოვნები და აცხადებენ, რუსეთ-საქართველოს საზღვრის ეს მონაკვეთი არ იყო კარგად დაცული, რაც არაერთხელ ვაცნობეთ ჩვენს რუს კოლეგებსო. განსხვავებულ და აბსოლუტურად საწინააღმდეგო ინფორმაციას ავრცელებს რუსეთი. მათი თქმით, საზღვრის ეს ნაწილი განსაკუთრებულ კონტროლს ექვემდებარებოდა (ფიცი გვწამს, ბოლო გვაკვირვებს).



აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ინციდენტი რატომღაც საეჭვოდ დაემთხვა თბილისში რუსეთის ვიცე-პრემიერის ილია კლებანოვის ვიზიტს, რომლის დროსაც საქართველოდან რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანის საკითხი იხილებოდა.

კითხვები, რომლებიც „კვირის პალიტრას“ მასალის მოძიების პროცესში დაუგროვდა, სამწუხაროდ, უპასუხოდ დაგვრჩა. საზღვრის დაცვის დეპარტამენტი, რომელიც ყველაზე მეტად იყო პასუხისმგებელი მთელ ამ მოვლენებზე, იმდენად დაკავებული აღმოჩნდა, რომ ჩვენთვის ვერ მოიცალა. ინფორმაციის მოპოვების თვალსაზრისით ჟურნალისტებისათვის შეუღწევადი აღმოჩნდა ასას ხეობაც. თუმცა ზოგიერთმა საინფორმაციო სააგენტომ ადგილზე მაინც შეძლო გარკვეული ინფორმაციების მოპოვება. გთავაზობთ ექსკლუზიურ ინტერვიუს, რომელიც ერთ-ერთი საინფორმაციო სააგენტოს ჟურნალისტისგან ჩავიწერეთ. მან ვინაობის გამხელა არ ისურვა.

**— ინფორმაციები ვისგან მოიპოვეთ?**

— ძირითადი ინფორმატორები იყვნენ არხოტისა და ასას ხეობის მცხოვრებნი, სხვათა შორის, მათი ნაამბობი მკვეთრად განსხვავდება ოფიციალური პირების მიერ გავრცელებული ინფორმაციებისგან. სიმართლე გითხრათ, მე იმ მოსახლეობის უფრო მჯერა იმიტომ, რომ მათ უშუალო შეხება ჰქონდათ ჩეჩნებთან.

**— უშუალო შეხებაში რას გულისხმობთ?**

— ჩეჩნები ადგილობრივებთან მიდიოდნენ და მათგან პროდუქტს ყიდულობდნენ. ამდენად, ისინი უფრო მეტ ინფორმაციას ფლობდნენ, ვიდრე ჩვენი ძალოვნები, რომლებიც მხოლოდ ნაფეხურებით ადგენდნენ ბოევიკთა ადგილმდებარეობას.

**— პირველად ვინ შეიტყო ჩეჩენთა საქართველოში გადმოსვლის შესახებ?**

— როგორც მე მითხრეს, სულ პირველად შეიტყო ადგილობრივმა მოსახლეობამ, რომლებმაც შემდეგ მესაზღვრეებს აცნობეს.

***(გაგრძელება იხ. გვ. 6)***

# ღმერთმა ყველა დაიფაროს ასეთი საშინელებისაგან...

ქუთაისის ციხეში, წინასწარპატიმრობაში მყოფი მოქალაქე, 38 წლის ს.კ. საკუთარი, 15 წლის ქალიშვილის გაუპატიურებაშია ეჭვმიტანილი. დაზარალებული თ.კ.-სა და დედამისის მ.ხ.-ს ჩვენების თანახმად, ბრალდებული შვილთან თითქმის ერთი წლის მანძილზე ძალის გამოყენებით ამყარებდა გაუკუღმართებულ სქესობრივ კავშირს. როგორც ქუთაისის პროკურატურაში გვითხრეს, ბრალდებულმა ქალიშვილთან დაპირისპირების შემდეგ დანაშაული აღიარა, თუმცა შემდეგ წინასწარპატიმრობის სანქცირებისათვის გამართულ სასამართლო პროცესზე თავისივე ხელმოწერილი ჩვენება უარყო და მოგვიანებით ჩვენთან საუბარშიც, რომელიც ქუთაისის ციხეში შედგა, განაცხადა:

— ჩემი თავიდან მოშორების მიზნით ცოლშვილი ცილს მწამებს. ჩვენებას არ ვეთანხმები. ხელს რომ ვაწერდი, იმ დროს ვერ ვაზროვნებდი. გამომძიებელი, ადვოკატი და კიდევ რამდენიმე სხვა სამართალდამცავი მირჩევდა, კაცობა გამომეჩინა და ჩემი შვილის პრესტიჟის შესანარჩუნებლად ხელი მომეწერა მის მიერ მიცემულ ჩვენებაზე, რაც სინამდვილეს არ შეესაბამება. შესაძლოა, ჩემს შვილს სხვამ გაუკეთა რაღაც და მე მაბრალებს. „კაპეზეში“ მითხრეს, რომ თუ ჩვენებას ხელს არ მოვაწერდი, გოგონას ცილისწამებისთვის დააპატიმრებდნენ. ისევ მისი მხარდაჭერა ვარჩიე და ბრალდება ვაღიარე.



დანაშაულში ეჭვმიტანილი

თუმცა მერე მივხვდი, რომ გამომძიებლისათვის არ უნდა დამეჯერებინა. ის და მისი თანმხლები პირები მაფრთხილებდნენ კიდეც — მოაწერე აქ ხელი და პროცესზე ბრალდება უარყავი, თანაც ჩვენი რჩევის შესახებაც ნურაფერს იტყვიო. ჩემი ადვოკატის თანდასწრებით ხდებოდა ეს ყველაფერი. მას თუ ჰკითხავთ, ნათქვამს დამიმოწმებს.

**— რატომ მიგაჩნიათ, რომ ცოლშვილმა ცილი დაგწამათ?**

— ცუდი სიმთვრალის გამო ოჯახში ვჩხუბობდი, თუმცა საამისოდ საბაბიც მქონდა, მეუღლის მიმართ ვეჭვიანობდი, ახლაც მჯერა, რომ საყვარელი ჰყავს და ამიტომაც შვილთან ერთად შემითითხნა ეს საზიზღარი ბრალდება.

**— დავუშვათ, თქვენს მეუღლეს ჰქონდა თქვენთან განშორების სურვილი და ამის სისრულეში მოსაყვანად ნორმალური ადამიანისათვის შეუფერებელ ხერხს მიმართა, მაგრამ მამას, ისეთი რა დანაშაული გქონდა შვილის წინაშე, რომ თქვენი სიძულვილით დაბრმავებულმა ამ საშინელი ბრალდებით არა მარტო თქვენ, არამედ საკუთარი თავიც გაწირა. ნუთუ თქვენმა ცოლ-შვილმა საზოგადოებისაგან ნებაყოფლობითი იზოლაცია და თავის მოჭრა არჩია და თქვენს მოსაშორებლად სხვა საბაბი ვერ იპოვა?**

— ჩემმა ცოლ-შვილმა იფიქრა, რომ 15 წელი ციხეში ვერ გავძლებ და თავს მოვიკლავ, ასე სამუდამოდ მომიშორებდნენ თავიდან. გულში მჯერა, რომ ჩემს მეუღლეს საყვარელი ჰყავს და ისიც ჩათრეულია ამ საქმეში. იციან, გარეთ მყოფი რომ არაფრით არ ვაპატიებ ოჯახის შერცხვენას. თუ ასე არ არის, მაშინ რით ავხსნა ის ფაქტი, რომ ჩემი ვითომ დანაშაულის შესახებ გაიგო თუ არა, თავის ძმას და ნათესავებს კი არ მიმართა, არამედ ნაცნობებს და თანამშრომლებს უთხრა. ისინიც მომადგნენ და მითხრეს — შენი ქალიშვილი მოიტაცესო. მოტყუებით ჩამსვეს მანქანაში და ავტოქარხნის მიმდებარე ტერიტორიაზე სასტიკად მცემდნენ 15 წუთის განმავლობაში, საკუთარ ქალიშვილს რატომ აუპატიურებდიო. მერე პოლიციის პირველ განყოფილებაში დარეკეს და მათ მოსვლამდე მეუბნებოდნენ — შანსი გაქვს, გაიქეცი ან თავი მოიკალიო. ჩემი გამტაცებლები ჩემთან ერთად დახვდნენ პოლიციელებს. ნაცემი ჩვენებას ხელს რომ ვაწერდი, მაშინაც იმ ტკივილით ვიყავი გაბრუებული. მერე გავიგე, რომ სამედიცინო ექსპერტიზამ ჩემი შვილის ხელშეუხებლობაც დააფიქსირა. გოგონას არანაირი დაზიანება არ აღმოაჩნდა. ე.ი. ნამდვილად მიგონებენ ამ ამბავს. ეჰ, რა ვქნა, სიტყვებით ვერ გამოვხატავ ჩემს სიმართლეს, თორემ კარგად ვხვდები, რა მომიწყვეს და რატომ. ჩემი სიმართლე მხოლოდ ჩემს გულშია.

**— ახლა ალბათ სიმართლის მხოლოდ გულით ტარება ვერაფერს გარგებთ და თქვენთვის უმჯობესი იქნება თუ რაიმე დამაჯერებელი არგუმენტები გაგაჩნიათ, ჩვენც გაგვიზიაროთ.**

— ვიმეორებ. უდანაშაულო ვარ და ცოლშვილი ცილს მწამებს.

უდანაშაულობის პრეზუმფციიდან გამომდინარე გამოძიებისა და სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე უხერხული იქნება, საკუთარი ანალიზისა და შეხედულებების მიხედვით ვინმეს დადანაშაულება და კონკრეტული დასკვნების საზოგადოებისათვის გაზიარება, მაგრამ შეუძლებელია, არ ვთქვათ იმ მძიმე სურათის შესახებ, რომელიც ბრალდებულისა და დაზარალებულის საერთო ოჯახში დაგვხვდა. მხედველობადაქვეითებული სახედახოკილი, დედა ერთადერთი შვილის უბედურების შესახებ მოთქვამდა:

— გოგონას სკოლის ამხანაგებისაგან შევიტყვე, რომ თ. ორი დღეა სკოლას აცდენდა. საღამოს, სამსახურიდან დაბრუნებულმა, მიზეზი ვკითხე — ამხანაგებთან ვიყავი, არ შემეძლო, ავად ვარ, ეკლესიაში აღსარებას მივცემ და მერე ყველაფერს გეტყვიო. თავზარი დამეცა, ვერ მივხვდი, რას მიმალავდა ბავშვი. ერთი კვირისთვის მეცადა, დიდი ხვეწნა-მუდარის შემდეგ დავიყოლიე და მისი მონათხრობის შემდეგ ვნატრობ: ნეტავ სულ არ გამჩენოდა შვილი. თურმე ჩემი მეუღლე შვილთან ანალურ სქესობრივ კავშირს ამყარებდა. თავის მოკვლაც ვცადე, მაგრამ ვერ შევძელიო — მითხრა შვილმა. მთელი ღამე სკამზე მჯდომმა აივანზე გავათენე. რა აღარ ვიფიქრე იმ ღამეს, მაგრამ ჩემი ქმრის მოკვლა ვერ გავბედე. უნდა მომეკლა და ასე გადამერჩინა შვილის რეპუტაცია, მაგრამ ვერ შევძელი. არ მახსოვს, როგორ წავედი მეორე დღეს პროკურატურაში.

**— ამ ხნის მანძილზე მეუღლე ცუდად გექცეოდათ?**

— არა. ჩვენ შორის ყველაფერი ნორმალურად იყო. ბოლო ხანს გახდა აგრესიული. ბავშვის მიმართ ყოველთვის სასტიკი იყო. სცემდა, უყვიროდა, ზოგჯერ უმიზეზოდაც. ეს თურმე ხერხი იყო, რომ ბავშვი დაეშინებინა. მე კი ვერაფერს ვერ ვხვდებოდი. ბავშვი გამოშტერებული დადიოდა. ჩიოდა — ყველაფერი მტკივაო. ადრე წვებოდა დასაძინებლად. გული უხდებოდა ცუდად. ექიმთანაც მყავდა, მაგრამ... რა უნდა მეფიქრა, რომ ჩემი ქმარი, მის სისხლსა და ხორცს აუბედურებდა და ხრწნიდა?

**— ექსპერტიზის დასკვნას თუ გაეცანით?**

— საქალწულე აპკი უვნებელია. მხოლოდ უკანა ტანიდან აღინიშნება დაზიანებები. გაუკუღმართებული სექსუალური კონტაქტის დროს სპერმა ორგანიზმში დიდხანს არ რჩება. თ. კონტაქტიდან მეხუთე დღეს გავასინჯინე, ამიტომაც შეუძლებელი გახდა მოძალადის ვინაობის ამ გზით დადგენა.

ბრალდებულის ქალიშვილთან შეხვედრისას გამიძნელდა მისი ისტერიკულად მოცახცახე კიდურებისა და სხივჩამქრალი თვალების ცქერა. შეუძლებელია მის მიერ მისუსტებული ხმით მონათხრობის მიღმა, სიყალბე და ცილისწამება ეძიო და გულგრილად მოისმინო ის, რისი გაგონებაც ჯალათსაც კი შეაძრწუნებდა.

— ყველაფერი იმით დაიწყო, რომ მამაჩემი ისეთ ადგილებზე მეფერებოდა, არ მსიამოვნებდა და გავრბოდი. ერთხელ კარი ჩაკეტა და მაიძულა მის ნებას დავყოლოდი. ვევედრებოდი, თავი დამანებე, თორემ ყველაფერს დედას ვეტყვი-მეთქი. ნიშნის მოგებით მპასუხობდა — ეტყვი და ნახავ, შენ რაც დაგემართება, თორემ მე რა დამაკლდება მაგითო. თავში და ისეთ ადგილებში მცემდა, შესამჩნევი რომ არ ყოფილიყო. დედას გავურბოდი, ვცდილობდი, აბაზანაში არ შემოსულიყო და ისე მებანავა, რომ ჩალურჯებული მკერდი არ ენახა. საღამოს მასთან ერთად რომ არ გამეხადა ტანსაცმელი, ადრე ვწვებოდი. მამაჩემთან მარტო დარჩენას გავურბოდი, თორემ თუ დროს იხელთებდა, დედაჩემის სახლში არყოფნისას თავისას აკეთებდა, როგორც კი ვეტყოდი, შენ მამა ხარ, რას მიკეთებ-მეთქი? მაშინვე ცემას მიწყებდა. ყველაფერი მტკიოდა. აქამდე ვითმინე. ეკლესიაში წირვალოცვაზე სიარულმა გადამაწყვეტინა მოძღვრისთვის აღსარება მეთქვა და ჩემი საშინელი საიდუმლო გამემხილა, მაგრამ დედამ დიდი ხვეწნის შემდეგ მათქმევინა ჩემი სატკივარი... საწამლავი რომ მქონოდა, მამაჩემსაც მოვკლავდი და თავსაც მოვიკლავდი.

არ ვიცი, რა იქნება ჩემი ცხოვრება, რა ამორეცხავს ჩემი გონებიდან მამაჩემის სიბილწეს. მცემდა და თან მეუბნებოდა — როგორც წესია, ახლა ვერ ვაკეთებ ამას შენთან, მაგრამ როცა გათხოვდები, მაშინ ხომ იქნები ჩემთან როგორც ჩვეულებრივი ქალიო. ქვეყანამ გაიგო ჩემ შესახებ. გარეთ ვერ გავდივარ. ეკლესიამდე მიღწევას ვნატრობ და იქ ღმერთი გადაწყვეტს ალბათ ყველაფერს...

დანაშაულის დამტკიცების შემთხვევაში ბრალდებულს 5-დან 15 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ელის. მანამდე კი პროკურატურა მისი ფსიქიკური მდგომარეობის შესახებ ექსპერტის დასკვნას ელოდება. თუმცა ყველა ფიქრობს, რომ ექსპერტი შერაცხადად ჩათვლის ს.კ.-ს. როგორც პროკურატურაში გვითხრეს, გამოძიება ბრალდებულის არალოგიკურ ნაამბობს ალბათ ვერ გაიზიარებს.

ბრალდებულის ადვოკატი **გოჩა კიკვაძე**: არც ჩვენების მომენტში და არც მანამდე, ბრალდებულს არ უთქვამს, რომ შეუძლოდ იყო და დაკითხვაზე აზროვნება არ შეეძლო. ვიდრე ჩვენებას ხელს მოაწერდა, გავაფრთხილე, დაფიქრდი ხელს რაზე აწერ, ეს განსაზღვრავს შენს პოზიციას, რომლის შესაბამისადაც მე უნდა დაგიცვა-მეთქი. (იმ ადამიანების ვინაობა ცნობილია, ვინც ბრალდებული დაპატიმრებამდე სცემა. მაგრამ გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, მათი დასახელება აკრძალულია).

საბრალდებო დასკვნა მოგვიანებით იტყვის თავის სათქმელს. მანამდე და ალბათ მერეც, მძიმე იქნება გოგონასა და დედის მდგომარეობა. მათთან სახლში მისულებს ოჯახში ერთადერთი მეზობელი დაგვხვდა, რომელიც გაოგნებულია მომხდარით და უკვირს, როგორ შეეძლო მეზობლებში კარგი რეპუტაციის მქონე კაცს ნიღბით სიარული და თავისი ოჯახის განადგურება. ეზოში ჟურნალისტების მომლოდინე მეზობლების რეპლიკები გაურკვეველი აგრესიით სავსე იყო. „რა ქენით, დაიკმაყოფილეთ ცნობისმოყვარეობა?“ „მაგათთან ამბის საკითხავად კი არა სახლის გადასაბუგად უნდა მისულიყავით“, „როგორ აპატია შვილს ეს საზიზღრობა დედამ, როგორ არ მოკლა?“ გაჰკიოდნენ „ბრძნულად მოაზროვნე“ დედები და გვირჩევდნენ, აქედან წადით, სანამ თქვენზე ვიყრიდეთ ჯავრსო.

რა შეიძლება ვთქვათ დასკვნის მაგიერ? — ამაზრზენია ეს ყველაფერი და მეზობლების, ანუ საზოგადოების რეაქცია ერთ ამბავს მახსენებს — მეძავის ჩასაქოლად შემართულ ბრბოს აჩერებს იესო და მიმართავს: „ვინც თქვენ შორის უცოდველია, პირველად მან ესროლოს ქვა!“

როგორ ბედავენ ნეტავ განსჯას (ღმერთმა ყველა დაიფაროს ასეთი საშინელებისაგან), ანდა ვინმეს ჩასაქოლად როგორ ჰკიდებენ ხელს ქვას?

***ეკა ლომიძე***

# „უკანონო მშენებლობა დასრულებულიც კი, დაინგრევა...“

ძაღლი ყეფს, ქარავანი მიდის — ყველაზე ზუსტი ეს ფორმულირება იქნებოდა იმ პრობლემასთან მიმართებაში, რასაც უკანონო მშენებლობა ჰქვია. ხელისუფლების ყველა ეშელონსა თუ საზოგადოების ყველა ფენაში დღეს ღიად საუბრობენ, რომ დედაქალაქის ისტორიული უბნები პირვანდელ სახეს კარგავს. აშენებული შენობის დანგრევას კი, თუნდაც მისი უკანონობა სასამართლომ ცნოს, ჩვენში მოქმედი არც ერთი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს. პარლამენტმა კი გასულ კვირას ბევრი ხმაურის გარეშე დაამტკიცა კანონი სამშენებლო საქმიანობის შესახებ. რაც შეეხება კანონის ყველაზე საინტერესო ნაწილს უნებართვო მშენებლობებთან დაკავშირებით, ეს ნორმატიულ აქტში ასეა გადაწყვეტილი: სამშენებლო ნორმების, წესების და ა.შ. დარღვევა იწვევს სამშენებლო საქმიანობის შეწყვეტას ან შეჩერებას. წარმოშობილ დავას იხილავს სასამართლო. ამ ცოტა ხნის წინ „კვირის პალიტრა“ წერდა, რომ არქმშენინსპექცია უკანონო მშენებლობებთან დაკავშირებით საკუთარ უსუსურობას აღიარებდა და გამოსავალს ასეთი შენობების დანგრევაში ხედავდა. თუ შენობის პატრონი თავს უდანაშაულოდ მიიჩნევდა, მას სასამართლოში უნდა ეჩივლა და იქ უნდა ემტკიცებინა სიმართლე. ასეთმა პრაქტიკამ თურმე გაამართლა საბერძნეთში და სხვა ქვეყნებში. ამ აზრს მაშინ დაეთანხმა პარლამენტართა ერთი ნაწილი და მშენებლობის მინისტრიც. თუმცა როგორც შემდგომ გაირკვა, ასეთი რამ ახალდამტკიცებულ კანონში რატომღაც დაფიქსირებული არ არის. პარლამენტარებმა კი რადიკალური ზომების მიღება უცილობლად მოითხოვეს.

**ჰამლეტ ჭიპაშვილი** — ფრაქცია „აღორძინება“: „ამას წინათ ჩხენკელმა მითხრა, რომ მთაწმინდის ქვედა პლატოზე მიმდინარე მშენებლობა შეჩერდებოდა, მაგრამ პირიქით. მშენებლობა ძლიერი ტემპით გრძელდება. მერე კი, როცა აშენდება, ვიტყვით, დანგრევა არ შეიძლებაო. ის, რაც ხდება მამადავითის წინ, აღმაშფოთებელია. ელემენტარულად, ეს თბილისის შეურაცხყოფაა. აბანოთუბანში სასტუმროს მშენებლობას იმავე არქიტექტორებმა დაუჭირეს მხარი, რომელთაც წინა წლებში რესპუბლიკის მოედანზე ე.წ. „ანდროპოვის ყურები“ მოიწონეს. ბოლოს კი ნაგავი დაგვრჩა. ამ არქიტექტორებმა ისიც კი თქვეს, მამადავითის წინ რომ შენდება, უწმინდესმა და უნეტარესმა მასზე თანხმობა განაცხადაო. დავინტერესდი და დავრეკე საპატრიარქოში. აღმოჩნდა, რომ არავითარი ამდაგვარი არ ყოფილა. ის მახინჯი კონსტრუქცია, რომელიც მთაწმინდის ქვედა პლატოზე შენდება, ჩემი ინფორმაციით, 18მ სიმაღლის იქნება და მთლიანად დაფარავს მამადავითს.

**დავით მაღრაძე** — მოქალაქეთა კავშირი: დედაქალაქის ძველი უბნების, მისი ისტორიული ნაწილის ნგრევა ახლა არ დაწყებულა. ეს პროცესი ათეული წლებია, რაც მიზანმიმართულად გრძელდება. ამას სამი გამომწვევი მიზეზი აქვს. უმეცრება, კორუფცია და მესამე — ადამიანები თვითდამკვიდრების მიზნით ცდილობენ იქცნენ დედაქალაქის კულტურის ნაწილად. კონკრეტულად თუ გნებავთ, გავიაროთ ასათიანის ქუჩაზე. ბეთლემის საყდარი საერთოდ აღარ ჩანს, წინ უზარმაზარი კორპუსი ჩამოეფარა. თავისუფლების მოედანზე კი ტელესერიალის გავლენით აშენებული ბინებია სახეზე. ხელისუფლებამ სერიოზულად უნდა იმსჯელოს ამ აღვირახსნილი კომპანიის აღსაკვეთად. დედაქალაქი თავზე გვენგრევა.

**მერაბ ჩხენკელი** — მშენებლობისა და ურბანიზაციის მინისტრი: ჩვენ სამინისტროში უკვე დავამუშავეთ რეგლამენტი, რომელიც გულისხმობს პროექტირებისა და მშენებლობების შეზღუდვას თბილისის ისტორიულ და არა მარტო ისტორიულ ნაწილში. რაც შეეხება მთაწმინდის ფერდს, ჩვენ ამ შენობის პროექტი გამოვითხოვეთ და საბჭოზე განვიხილავთ. ასეთი პრეცედენტი ჩვენ რამდენჯერმე გვქონდა. ერთ-ერთი იყო სასტუმრო „თბილისისთვის“ მანსარდის მოხსნის ვერდიქტი. მანსარდას უკვე ხსნიან. ზემოხსენებული პროექტიც გაივლის ექსპერტიზას, მანამდე კი შესაბამის სამსახურებს მივწერეთ, რომ შეჩერდეს მშენებლობა.



მერაბ ჩხენკელი

რაც შეეხება აღმკვეთ ზომებს, როცა შენობა დასრულებულია... ჩვენ გვინდა, გავამკაცროთ — ნგრევამდე. ჯერჯერობით ეს პუნქტი სამინისტროში დამუშავებას გადის.

P.S. როგორც ამ ცოტა ხნის წინ ჩვენთან საუბრისას კომპეტენტურმა პირმა თქვა, ასეთ თვითნებობას შესაძლოა იუსტიციის მინისტრის, მიხეილ სააკაშვილის ოჯახის ჯანმრთელობა შეეწიროს. საქმე ის გახლავთ, რომ სააკაშვილის საცხოვრებელ სახლს, ახალშენის ქუჩაზე, სამხრეთ-აღმოსავლეთის მხრიდან, უზარმაზარი კორპუსი ჩამოეფარა. ამის გამო სახლს მავნე ბაქტერიებისაგან ინსოლაციის (გაჯანსაღების) საშუალება პრაქტიკულად მოესპო — მზე მათ ბინაში ველარ შეაღწევს.

***ქეთი ბერეკაშვილი.***

# სად „გაქრნენ“ ჩეჩენი ბოევიკები?

**(დასაწყისი იხილეთ გვ.5)**

**— იქ მყოფი ოფიციალური პირები რას ამბობდნენ აღნიშნულთან დაკავშირებით?**

— აბსოლუტურად არაფერს. იყო სრული ინფორმაციული გაურკვევლობა. იქამდე მივედით, რომ ოფიციალურ პირებს სპეციალური წერილიც გავუგზავნეთ, რომელშიც კატეგორიულად ვთხოვდით, აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით რაიმე კომენტარი გაეკეთებინათ. წინააღმდეგ შემთხვევაში ვიხსნიდით პასუხისმგებლობას ჩვენ მიერ გავრცელებული ინფორმაციის სიზუსტეზე. მთელი შვიდი საათი ველოდეთ, მაგრამ პასუხი ვერ მივიღეთ.

**— ადგილობრივებმა როდის შეიტყვეს ჩეჩენთა გადმოსვლის შესახებ?**

— ჩვენ, ინფორმაციის მიღებისთანავე, 21 ოქტომბერს, 16 საათზე უკვე ადგილზე ვიყავით. როგორც არხოტელებმა გვითხრეს, ჩეჩნები მათთან მივიდნენ 19 ოქტომბერს და საჭმელი ითხოვეს. მოსახლეობა აცხადებდა, რომ ისინი ძალზე დასუსტებულნი და მშივრები იყვნენ. გარდა ამისა, სოფელი არხოტი საზღვრიდან საკმაოდ შორს მდებარეობს. გამოდის, რომ ბოევიკებმა არხოტამდე დაახლოებით 15კმ გაიარეს. ეს ძალიან ცუდ რაღაცაზე მეტყველებს. მესაზღვრეებს შემთხვევით რომ არ გაეგოთ მოსახლეობისაგან, ჩეჩნები პანკისისკენ აიღებდნენ გეზს და ცხენებით თავისუფლად ჩავიდოდნენ ერთ დღეღამეში, მაგრამ მოხდა გაუთვალისწინებელი რამ — მოსახლეობის თქმით, ჩეჩნები ელოდებოდნენ გზირს, რომელსაც ისინი პანკისამდე უნდა გაეცილებინა. უამინდობისა და თოვლის გამო გამცილებელი დაბრკოლდა და ისინი იძულებული გახდნენ სასმელ-საჭმლისათვის მოსახლეობისთვის მიემართათ.

**— გელაევის იქ ყოფნის შესახებ ხომ არაფერს ამბობდა მოსახლეობა?**

— სხვათა შორის, ადგილობრივები მის იქ ყოფნას არ ადასტურებდნენ.

**— ბოლოს და ბოლოს, სად წავიდა ქართული მხარისგან უკუგდებული რაზმი, მართლა ასე თვალსა და ხელს შუა ხომ არ გაქრებოდნენ?**

— რა გითხრათ, ძალზე გაურკვეველი სიტუაციაა. ქართველები აცხადებენ, წავიდნენო, რუსები ამბობენ — აქეთ არ გადმოსულანო. არ შეიძლება რამდენიმე ათეული შეიარაღებული ადამიანის თვალსა და ხელს შუა გაქრობა. სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს. ასეთ კურიოზულ სიტუაციაში ჩვენი ძალოვნები ჯერ არ ჩაუგდიათ.

P.S. 27 ოქტომბერს კიდევ ერთი არასასიამოვნო ინფორმაცია მოვიდა საქართველოს ჩრდილოეთ საზღვრიდან. ნაღმზე აფეთქდა სამი მესაზღვრე. მოგვიანებით ცნობილი გახდა, რომ აქედან ორი დაიღუპა, ერთი — დაიჭრა. დაღუპულთაგან ერთ-ერთი გახლავთ საზღვრის დაცვის დეპარტამენტის შტაბის უფროსის მოადგილე იაკინთე ბალახაშვილი, ხოლო მეორე — მესაზღვრე ნოდარ ჯაბუშანური. ვის მიერ იქნა ჩადებული ნაღმი, არის თუ არა ეს ჩეჩნური ოპერაციის გაგრძელება? — ქართველ ძალოვნებს ჯერჯერობთ არც ამის თაობაზე მოეპოვებათ დაზუსტებული ინფორმაცია.

„კვირის პალიტრა“ თანაგრძნობას უცხადებს დაღუპულთა ოჯახებს.

***ხათუნა ყვირალაშვილი***

# „თარგამაძეს არ ესიზმრება პრეზიდენტობა იმიტომ, რომ არ სძინავს...“

## (რომ ჩაეძინოს?..)

შს მინისტრს კახა თარგამაძეს არც მოკეთის ყურადღება აკლია და არც ავის მოსურნეთა. არასამთავრობოები, სხვადასხვა პოლიტიკური დაჯგუფების ლიდერები თუ უბრალო მოქალაქეები მისი და მისი უწყების მიმართ არაერთ პრეტენზიას თუ ბრალდებას გამოთქვამენ ხოლმე. საქართველოში შსს-ს მუშაობას არც საერთაშორისო სამართალდამცავები უყურებენ მოწყალე თვალით. მიუხედავად ამისა, იგი თითქმის ერთადერთი მინისტრია, რომელიც კარგა ხანია, მყარად ზის თავის სავარძელში, არსად წასვლას არ აპირებს და უფრო მეტიც, საქართველოში სტაბილურობის ერთ-ერთ მთავარ გარანტად წარმოაჩენს თავს. „ვინა გყავთ შსს-ს გარდა, ვისაც ქვეყანა დაეყრდნობა?! ყველა პრობლემას მე მაწყვეტინებთ... და მადლობასაც არ მეუბნებიან“, — აცხადებს თარგამაძე და ასეთ ფონზე საეჭვოა, მას ვინმემ კისერი მოუგრიხოს, თუნდაც ეს იყოს მმართველი პარტიის ერთ-ერთი გავლენიანი ლიდერი ანდა, თუ გნებავთ, მთელი პარტია.



**— კახა თარგამაძე ის პიროვნებაა, რომელიც ხშირად ხვდება ხოლმე მედიის ყურადღების ცენტრში. ბოლოს ეს ციხიდან გაქცეულებს უკავშირდება. ბატონო კახა, მათი აყვანა რას ნიშნავს — გაქცეულების გეგმის უსუსურობას თუ თქვენი მხრიდან ოპერაციის წარმატებით ჩატარებას?**

— ჯერ ერთი, ხშირად კი არა, საერთოდ ვარ ყურადღების ცენტრში და უნდა ვიყო კიდეც... იმიტომ, რომ ვარ შს მინისტრი, თუმცა გააჩნია როგორ. თუ დადებითად მახსენებენ, ეს ცუდი არ არის, მაგრამ მუდმივად ყველა რომ ცდილობს, რაღაც მიზეზი მომიძებნოს და შემებრძოლოს, ეს ცუდია... მაგრამ რას იზამ, ასეთია ჩემი ბედი. ხომ გაგიგიათ — ცუდას რად უნდა მტერობაო... ჰოდა, ესე იგი, კარგი ვარ.

რაც შეეხება ციხიდან გაქცეულებს. იმ ხალხმა იმხელა გვირაბი გაიყვანა, მეტრომშენი რომ ვერ მოახერხებდა, შემდეგ ორი სამეთვალყურეო კოშკურიდან ვერავინ ვერაფერი დაინახა, შემდეგ დახვდათ მანქანა. ითვალისწინებენ იმას, რომ ამასობაში, შესაძლოა გამოცხადდეს განგაში — გზები გადაიკეტოს. ამიტომ გზაში ტოვებენ მანქანას და ტყე-ტყე აგრძელებენ სვლას და, სხვათა შორის, თუ გინდა სიმართლე, ძალიან ჭკვიანურად... შეიძლება ამას უსუსური გეგმა უწოდო?

**— კარგით რა, ბატონო კახა, კარდაკარ ყველასა და პურს რომ თხოულობდნენ, ის იყო ჭკვიანური?**

— ეს უკვე ჟურნალისტების ინტერპრეტაციაა. არ იყო რა, ასე მარტივად საქმე. ჩვენ დადგენილი გვყავს პიროვნებები, რომლებმაც ისინი შეიფარა. ფაქტი ერთია: შსს-მ იმუშავა ხუთიანზე, ქვეყანა გადაარჩინა არეულობას, დაპირისპირებას, სისხლის ღვრას და ახლა რამდენიც გინდათ, დააბრალეთ შს მინისტრს, გვირაბი თავად გათხარა და ბაბილაშვილი და ქუთათელაძე ეხმარებოდნენო... განა ნორმალური ადამიანი იტყვის, რომ ეს შსს-ს ინსცენირება იყო?! დავუშვათ, გავაქციე ხალხი. მერე ჩემივე ხელშეწყობით გაქცეულები დავიჭირე, ადმინისტრაციაც ზედ მივაყოლე. შედეგად რა მივიღე? — პრეზიდენტის მადლობა. ამ დროს შინაგანი ჯარი 18 დღის განმავლობაში ტყე-ტყე, ქუჩა-ქუჩა მშიერ-მწყურვალი დაწანწალებდა... სხვათა შორის, ათი დღე და ღამე ამ კაბინეტში ვიჯექი და არ მიძინია. ლოგინში არ დავწოლილვარ.

**— ბრძანეთ, ოპერაცია ხუთიანზე ჩავატარეთო. 7 კაცი კი დააკავეთ, მაგრამ 5 ხომ ისევ ძებნაშია?**

— მოდით, ყველაფერს თავისი სახელი დავარქვათ: ჩვენი მიზანი იყო ძირითადი ხალხის დაპატიმრება დანელიას ჩათვლით. ახლა დანარჩენები რა... მასე სამი ათასი ძებნილი გვყავს საქართველოში და სადაც არ უნდა გადავიდნენ, მაინც დავიჭერთ.

**— სისხლის ღვრა და არეულობა ახსენეთ. გამოდის, რომ ისინი იმართებოდნენ?**

— ისინი რომ ჩასულიყვნენ იმ მისამართზე, სადაც მიდიოდნენ, მოხდებოდა არეულობა.

**— სად მიდიოდნენ?**

— ...მათ შორის სამეგრელოში. ეცდებოდნენ, იქ დაეძაბათ სიტუაცია და გამოეწვიათ შეტაკებები და სისხლის ღვრა.

**— ორგანიზატორი?**

— სხვათა შორის, რუსეთიდან მათი მართვის ვერსია არასწორად მიმაჩნია და ამაზე არც ვმუშაობდი, იმიტომ, რომ გულის სიღრმეში დარწმუნებული ვიყავი, ასე არ იყო. მაგრამ შს მინისტრის მძიმე ტვირთი იცით, რა არის? არ შეუძლია ისე ისაუბროს, როგორც მსჯელობს ჟურნალისტი, მოქალაქე ან თუნდაც პოლიტიკოსი. მისი ყოველი სიტყვა მიიჩნევა საქართველოს ხელისუფლების ოფიციალურ პოზიციად. მსოფლიოში ყურადღება მხოლოდ საგარეო და შს მინისტრების განცხადებებს ექცევა. ასე რომ, ეს ორი მინისტრი გახლავთ მთავარი მინისტრი. ეს დაწერეთ აუცილებლად, სხვა მინისტრებმა უნდა იცოდნენ ეს.

**— სააკაშვილის დანიშვნის შემდეგ იუსტიციის სამინისტრო უკვე ჩამოწერეთ?**

— არაა, ბატონო, იუსტიციის სამინისტრო მთავარი!

**— სხვათა შორის, პატიმრების გაპარვის შემდეგ პრესკონფერენცია რომ გამართეთ, მშვენიერ გუნებაზე იყავით და მომეჩვენა, რომ ნიშნის მოგებით ლაპარაკობდით. ასეთი განწყობა პენიტენციალური სისტემის შსს-დან იუსტიციის სამინისტროსთვის გადაცემას ხომ არ უნდა მივაწეროთ?**

— არა, ბატონო, არ ვლაპარაკობდი ნიშნის მოგებით... ცრემლიანი გინახივართ როდისმე? იცით, რაზე მეცინებოდა? რაიმე რომ მოხდება მიზანდასახულად, ყველაფერს აბრალებენ შსს-ს. ჩეჩნებმა საზღვარი დაარღვიეს — შს სამინისტროა პასუხისმგებელი, ჟურნალისტმა სტატია ვერ დაწერა — ესეც შსს-ს ბრალია. შს მინისტრის წინააღმდეგ ბრძოლა უკვე მარაზმამდე მივიდა... ნიშნის მოსაგები რა იყო, უბედურ დღეში მე ვიყავი. ისინი წამოწოლილნი იყვნენ მხართეძოზე და მე ღამე კაბინეტში მაგიდაზე მეძინა... ახლა ესენი აღმასრულებელ ხელისუფლებაშიც მობრძანდნენ ფინანსთა მინისტრის მეთაურობით და კიდევ ცდილობენ პრობლემები შემიქმნან.

**— თქვენ არ თქვით, ნაადრევი იყო პენიტენციალური სისტემის გადაცემა იუსტიციის სამინისტროსთვისო?**

— არა, ასე არ მითქვამს. უბრალოდ, ნაადრევი იყო იმ ფორმით გადაცემა, როგორადაც მოხდა. ევროსაბჭომ როგორც კი დააყენა ეს საკითხი, მე მაშინვე ხელი მოვაწერე. რა ვქნა ახლა, დავიფიცო?

**— ბატონო კახა, ერთი წელი პარლამენტის კულუარებში იმაზე ლაპარაკობდნენ, რომ თქვენ არ იყავით თანახმა და კანონს ამიტომ ვერ იღებდნენ...**

— თანახმა არ ვიყავი ოპერატიული მუშაობის გადაცემაზე. ახლა ხომ დარწმუნდით, რომ რაც იუსტიციას გადაეცა, ოპერატიული მუშაობა ნულის ტოლია? ქსანში რომ გვირაბი აღმოაჩინეს, გგონიათ, ოპერატიული მუშაობის შედეგია? ვაიმე, ჩემი ცოდვა... ზეპირად მაინც არ ვიცოდე, რა მოხდა. ერთი თვით ადრე ვეუბნებოდი, გვირაბი ითხრება-მეთქი.

**— როგორც ვიცი, ასე ვთქვათ, „ნასედკების“ ინსტიტუტი ნაწილობრივ მაინც შეინარჩუნეთ...**

— როგორ გეკადრებათ! როგორც კი კანონში არ ჩადეს ოპერატიული მუშაობა, ეგრევე ვუთხარი: ბიჭებო, აახვიეთ აქედან, გვეყოფა, საკმარისია... გიჟი კი არა ვარ. ესენი რასაც ფიქრობენ და ათი წელი იფიქრებენ, ერთ დღეში მაქვს მოფიქრებული... ევროსაბჭოს შევთავაზე ეტაპობრივი გადასვლა და იცით, რა მითხრეს? ეს თქვენმა მხარემ მოითხოვა და წადით, ახლა იმათ ელაპარაკეთო. ესაა ჩვენი უბედურება. როგორც ახლა სავალუტო ფონდზე ხდება. დასხდებიან ეს ჩვენი ქართველი მინისტრები, ეხვეწებიან სავალუტო ფონდს — ეს ჩაგვიწერე, ის ჩაგვიწერეო... ჩააწერინებენ ყველა სისულელეს და შემდეგ წარმოგვიდგენენ, როგორც იმათ რეკომენდაციას... მე არ ვჭამ ამას. ყველაფერი ვიცი, ვინ რა და სად რა ილაპარაკა. ამაზე გიჟდებიან, საიდან იცისო. სავალუტო ფონდმა რა ქნას, თუ ამათ ბიუჯეტის განახევრება უნდათ?! ფინანსთა მინისტრი — ფიზიკოსია და ფინანსისტობს. არავის შეურაცხვყოფ, მაგრამ ჩემთან რომ დაჯდება, ვერ მელაპარაკება. იმიტომ, რომ მე ასჯერ მეტი ფინანსისტი ვარ და როგორ უნდა მელაპარაკოს?!

**— ბატონო კახა, ისე ამბობთ, ყველაფერი ვიცი, სად რა ხდებაო, რომ მართლა ხომ არ უსმენთ პარლამენტს?**

— კარგი, რა... რად უნდა მოსმენა. აიღებ ზოგიერთი ჟურნალისტის სტატიას დილით და საღამოს სააკაშვილი გამოვა იმავე სიტყვებით. ამ ხალხმა ვერ გაიგო, რომ ჯერ ვიყავი ოპერატიული მუშაკი, მერე გავხდი მინისტრი. არ მინდა მოსმენა, ყველაფერი ვიცი. რომელიმე მათგანი თავის თავს სარკეში რომ დაელაპარაკოს, მაინც გავიგებ.

**— ესე იგი, ისმენთ...**

— არა. არა. ეს ჩემი პროფესიული საიდუმლოებაა... ახლა მიშა სააკაშვილმა გამოაცხადა, — შსს-ში რეფორმები უნდა ჩავატაროო. ბიჭო, შე ოჯახაშენებულო, შენ შენს სამინისტროს მიხედე!.. მე კიდევ ვუპასუხე, — ჯერ შენ სამინისტროში გადახტი, ჰოპლა მერე დაიძახე-მეთქი. ერთი გვირაბი აღმოაჩინა და ყოველდღე ატრიალებენ ტელევიზიით. ამწუთას 27 საქმე გავხსენი, დავჯდე ახლა და ვიყვირო და ვიწივლო?! მაშინ სულ ტელევიზორში უნდა ვიჯდე. არ მინდა. მე არ ვმუშაობ რეკლამისთვის.

**— ისე, ბატონო კახა, უკვე უკან დარჩა სარიშვილისა და არასამთავრობოების პრეტენზიები, ახლა მხოლოდ თქვენსა და სააკაშვილის დაპირისპირებაზე ლაპარაკობენ...**

— დაპირისპირებას ნუ არქმევთ ამას. მე არასდროს არ ვარ არაფრის ინიციატორი. ვიღაცა შალიკო და პეტრე რომ იტყვის რაღაცას, ეს სხვაა და როცა პოლიტიკოსი საუბრობს, არ მაქვს არც მორალური, არც კაცური და არც სამსახურებრივი უფლება, არ ვუპასუხო. ერთი შემთხვევა დამისახელეთ, ვინმეზე ყურმოკრული ამბავი გამივრცელებია? იმდენი ინფორმაცია შემოდის ჩემთან სააკაშვილსა და სხვებზე, რომ დავიწყო ამის გამოქვეყნება, საქართველოში აღარ დაედგომებათ. მაგრამ ეს რომ გავაკეთო, შეიძლება?! ვიღაცა რაღაცას ყურში რომ ჩაგჩურჩულებს, გამოხვიდე, იღრიალო ტრიბუნაზე ან კიდევ „მიკრაფონით“, ეს უხერხულია, გენაცვალე.

**— ბატონო კახა, მოქალაქეთა კავშირი თქვენი უმადურია?**

— გინდათ მათქმევინოთ?!. მათ სინდისზე იყოს... ყველას ყველაფერი წინ დახვდება ცხოვრებაში. ნამდვილად არ მეშინია ჩემი გადადგმული ნაბიჯების, კაცობას ვფიცავ. შეგნებულად არავისთვის არც პროვოკაცია მომიწყვია და არც ცუდი გამიკეთებია. მართალი კაცი ვარ. შეიძლება რაღაცა შემეშალოს, მაგრამ მიზანდასახულად, ავანტიურისტულად ჩემს ცხოვრებაში არაფერი ჩამიდენია. რა მოუვიდა ამ ხალხს, რამ გააგიჟა, რამ გააცოფა?! თარგამაძის სურათს როგორც კი დაინახავენ, ხარს რომ წითელ ბაღდადს დაანახვებ, ისე ემართებათ... ვერ იტანენ. იცით, რას ვერ იტანენ? არ ვარ მორჩილი. მე ვარ ის ადამიანი, ვინც იდეებით ცხოვრობს. მე იდეის გულისთვის არავის არაფერს დავუთმობ... ავტომატით ხელში კრიმინალებს რომ ვერეკებოდი საქართველოდან და ციხეებში ვყრიდი, მაშინ ვიღაცა „ზაგარს“ ღებულობდა ამერიკაში, იტალიაში, საფრანგეთში! დღეს ჩამოვიდნენ გამზადებულ ქვეყანაში და მეუბნებიან, — პატარა ჩეიჩოჩეთო... ჩაჩოჩებული არა ვართ?! ერთადერთ უფლებას ვითხოვ: მომეცით მუშაობის საშუალება... გულწრფელად მითხარით, მიუხედავად პოლიციის დაუფინანსებლობისა — ვინა გყავთ, შსს გარდა, ვისაც ქვეყანა დაეყრდნობა?



ბატონი კახა მეუღლესთან ერთად

**— გინდათ თქვათ, რომ უშიშროების სამინისტრო გულხელდაკრეფილი ზის?**

— უშიშროებას მე არ ვეხები. უშიშროებასთან საკმაოდ კარგი ურთიერთობა მაქვს. უფრო მეტიც, ვეხმარები კიდეც მათ. იმიტომ, რომ ეს საერთო ინტერესია... იმავე ჩეჩნეთის მაგალითი რომ ავიღოთ, ახლა ვალერისთვის რომ დამეწყო, — ვერ მოგეხმარები, გენაცვალე, ჩემი საქმე არ არის-მეთქი. ყველა კოლეგას გვერდში ვუდგავარ, ბევრი მათგანი კი, განსაკუთრებით საფინანსო ბლოკიდან, პირიქით, ცდილობს, პრობლემები შემიქმნას.

**— რამდენადაც ვიცი, წინააღმდეგი ხართ თქვენთან არსებული ფინანსთა სამინისტროს ხაზინის ფილიალის გაუქმებისა და მიიჩნევთ, რომ ოპერატიულ ოპერაციას ოპერატიულად ველარ დააფინანსებთ. ასეთი ნაბიჯი ხომ არ ნიშნავს იმას, რომ მოქკავშირი გიპირისპირდებათ?**

— ნიშნავს, ნიშნავს! ეძებენ ხერხს, როგორ გაართულონ შსს-ში მუშაობა და ამის ინიციატორია ფინანსთა მინისტრი. რა ვქნა ახლა მე...

**— ბატონო კახა, ხმა გავრცელდა, რომ მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებში პრეზიდენტობა, ზურაბ ჟვანიას გარდა, თქვენც გნდომებიათ... ამიტომ ხომ არ დაგიპირისპირდათ მოქალაქეთა კავშირი?**

— სადმე მითქვამს? ისე, ამაშიც არის რაღაც ალბათ... საქართველოში ყველას ესიზმრება პრეზიდენტობა... მე არ მესიზმრება. პრეზიდენტმაც თქვა: თარგამაძეს არ ესიზმრება პრეზიდენტობა იმიტომ, რომ არ სძინავსო... თუმცა ეს დაპირისპირება, სავარაუდოდ, ამითაც იყო გამოწვეული. გაღიზიანდა ყველა — რას ჰქვია, თარგამაძესაც უნდაო... ისე, პრეზიდენტობას დიდი ცოდნა და გამოცდილება სჭირდება. დაფიქრდნენ ცოტა...

**— მახსოვს, პარლამენტში მინისტრად დამტკიცებამდე ქართული ძებნის ჩამოყალიბებაზეც კი ლაპარაკობდით და ერთიანი საგამოძიებო სტრუქტურის შექმნაზეც. ეს თქვენი წინასაარჩევნო ტრიუკი იყო?**

— რა ტრიუკი, რის ტრიუკი!.. ყველაფერი პრეზიდენტთან დევს 1997 წლიდან. უშიშროების საბჭოზე ორჯერ იყო განხილული, მაგრამ რეფორმას ფული სჭირდება. ამხელა სისტემა რომ დავანგრიოთ და დავშალოთ, ვერაფერს ვეღარ ავაწყობთ. ეს ჩემი გადასაწყვეტი არ არის.

ფული არ არის, ფული!

**— რა ფული სჭირდება იმას, რომ იმავე „მოქალაქეობის“ საკითხებს განაგებს იუსტიციის სამინისტრო, მაგრამ პასპორტების გაცემა თქვენ გექვემდებარებათ. თუნდაც სახანძრო სამსახური რა თქვენი საქმეა, ბატონო კახა?**

— ტყუილად ებღაუჭებიან. მსოფლიოს ყველა ქვეყანაში პასპორტებს აძლევს შსს და მისცემს. სახანძროც როგორ არ არის ჩემი საქმე. ეს ვალდებულება ჯერ კიდევ მაშინ ავიღე, როცა ინტერპოლში გავერთიანდით. გარდა ამისა, რეფორმის შემდეგ, როცა ოპერატიულ სამსახურსა და გამოძიებას ცალკე გაიყვანენ, ეს საქმე სწორედ შსს-ში დარჩება.

**— ბოლო დროს საქართველოში კრიმინოგენული სიტუაცია გართულდა, გახშირდა სასტიკი მკვლელობები, დაჭრის ფაქტები, ქურდობა... რას მივაწეროთ ეს?**

— არ გართულებულა. თუ გნებავთ, ციფრებს გაჩვენებთ.

**— მაგის მეტს რას აჩვენებენ ტელევიზიით...**

— რითია გამოწვეული და სოციალური მდგომარეობით. ხალხს მისცენ ხელფასები, პენსიები, არსებობის საშუალება და აღარ იქნება ამდენი ქურდობა და ყაჩაღობა. გარდა ამისა, ამ დღეებში ექვსი კაცი დავიჭირე და ექვსივე შეწყალებული...

**— თქვენ პრეზიდენტის ჰუმანური ნაბიჯების წინააღმდეგი ხართ?**

— პრეზიდენტი რა შუაშია. პრეზიდენტს შეწყალების კომისია წარუდგენს სიებს და იღებს გადაწყვეტილებას. აბა, რა ქნას?! მაგას კიდევ ავიტანდი, ქვეყანაში დანაშაული ეკონომიკურ მდგომარეობასთან რომ არ იყოს პირდაპირპროპორციული. სად გაგიგიათ, ხალხს საჭმელს არ აძლევდნენ და იმის მაგივრად, რომ პასუხი მოვთხოვოთ ფინანსთა და შემოსავლების მინისტრს, ვლაპარაკობთ, რატომ მოხდა დანაშაულიო... ამას წინათ ხალხმა გზა გადაკეტა და პარლამენტში თქვეს, პოლიცია სად იყოო. ბიჭო, ენერგეტიკის მინისტრი მიიყვანე და შუქი მიეცი იმ ხალხს. გესმის, რა ხდება?! „დუბინკით“ უნდათ გამიშვან და ხალხს დამაჯახონ. სულ მაგ ჭკუაზე ვარ!

**— ამითაც ხომ არ არის გამოწვეული თქვენი გულგრილობა რელიგიური მიმდევრების დევნა-შევიწროების მიმართ?**

— როგორ გეკადრებათ. მე რომ არაფერი მეღონა, რელიგიურ ნიადაგზე დაწყვეტილი ეყოლებოდათ ერთმანეთი. მე ვაშველებ მაგათ. არ არის აუცილებელი „დუბინკით“ ხელში გამოვხტე... ეს მძიმე თემაა და არ შეიძლება პოლიციას მივანდოთ. მიიღეთ კანონი „რელიგიის შესახებ“, თქვე ოჯახაშენებულებო და ეშველება საქმეს.

**— ბატონო კახა, „გაიშნიკი“ ფულს იღებს, ნარკომანებს ფულს აწერენ, ბაზრობებზე გარემოვაჭრენი პოლიციას უხდიან. თანამდებობების გაყიდვებსა და წინასწარი დაკავების საკნებში პატიმრისთვის ფულის გამოძალვაზე აღარაფერს ვამბობ. როდის მოეღება ამას ბოლო?**

— კარგი რა, სირცხვილია. თანამდებობის გაყიდვა თუ ხდება შსს-ში ბოლო ხუთი წლის განმავლობაში, ნამუსი აღარ ყოფილა. იკითხეთ მაინც, ამის დედა ვატირე. ყველაფერს დამაბრალებენ, ამას ვერა... წვრილმან კორუფციას ხომ არ უარვყოფ?! იცით, ამას როდის მოეღება ბოლო? როცა პოლიციის მუშაკს ხელფასს მისცემ. მაგრამ როცა პოლიციელს გაუშვებ გზაზე, არ მისცემ ხელფასს, ტყვია-წამალს, ტრანსპორტს და კორუფციით ნაშოვნი ფულით საქმეს გააკეთებინებ, არაფერი ეშველება. ისე კი, ყველაზე კორუმპირებული გადასახადების სამინისტრო და საბაჟოა, მილიონობით ფულს აკეთებენ. იქ რომ წესრიგი იყოს, ბიუჯეტში მილიარდობით ფული უნდა შემოდიოდეს და ესენი 900 მილიონსაც ვერ აგროვებენ.

***მარინა მამისაშვილი***

# მიმართვა საქართველოს მოსახლეობას

იწურება XX საუკუნე და ისტორიის კარს აღებს ახალი ათასწლეული. ჩვენ და ჩვენს თანამედროვე საზოგადოებას წილად გვხვდა, მონაწილენი ვყოფილიყავით მეტად იშვიათი მოვლენისა, მოვსწრებოდით არა მარტო საუკუნეთა, არამედ ათასწლეულთა შესაყარს. ბუნებრივია, თითოეული ჩვენგანის წინაშე დგება კითხვა - რა გავაკეთოთ, რით აღვნიშნოთ ეს თარიღი?

ერთ-ერთ საშუალებად მიმაჩნია ხეების დარგვა. ხეს დიდი ძალა აქვს, ამასთან იგი არის სიჯანსაღისა და სიცოცხლის სიმბოლო. ბიბლიაში არაერთხელ არის საუბარი ურთხლის, კედრის, ნაძვის, ფიჭვის, მუხის და სხვა მცენარეთა შესახებ, რომელთაც სხვა ღრმა დატვირთვაც აქვთ.

ხეები მგრძნობიარენი არიან. ისინი ჩვენი თვალისთვის ძნელად შესამჩნევ, მაგრამ რეალურად არსებულ სიყვარულს ამჟღავნებენ მათ მიმართ, ვინც ზრუნავს, უვლის, პატრონობს მათ. შევნიშნავთ იმასაც, რომ საოცარ ძალას იძენენ ის ნერგები, რომელნიც დიდი გრძნობითა და სიყვარულით არიან დარგულნი.

დიდი სიხარულიცა და დიდი მწუხარებაც ადამიანს განსაკუთრებულ მდგომარეობაში აყენებს. ამ გრძნობის გამოხატვის ერთ-ერთ სიმბოლოდ უნდა იქცეს ხეების დარგვა. ვფიქრობთ, ცალკე უნდა გამოიყოს ადგილი, სადაც ყველაზე ბედნიერი ადამიანები - ახალდაქორწინებული წყვილები და ახალდაბადებული ბავშვების მშობლები დარგავენ ხის ნერგებს მათთვის ამ მეტად მნიშვნელოვანი და გამორჩეული დღის აღსანიშნავად.

ასევე ცალკე უნდა გამოიყოს ადგილები, სადაც შესაძლებელი იქნება ხეების დარგვა ჩვენს გარდაცვლილ ახლობელთა სახელზე. ეს ხეები სახელობითი უნდა იყოს და ჩვენგან იმქვეყნად წასულთა ერთგვარ სიმბოლოდ უნდა იქცნენ.

ვფიქრობთ, ასე შეიძლება გავაშენოთ უჩვეულო ტყეები, რადგანაც აქ გახარებული ხეები ლოცვით, სიყვარულითა და იმედით სავსე გულით იქნება დარგული და ამასთან იქნება სიმბოლო ჩვენი უფაქიზესი და უძვირფასესი გრძნობებისა.

მინდა გულისტკივილით აღვნიშნო, რომ ბოლო დროს ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე მოვლენები, რომელიც ხე-ტყის მოჭრასთან და მის საზღვარგარეთ გატანასთან არის დაკავშირებული, უკვე ბოროტებად და დანაშაულად იქცა საქართველოს მთელი მოსახლეობის მიმართ. თუ ეს პროცესი არ აღიკვეთა, ჩვენ მოწმენი გავხდებით დიდი ეკოლოგიური კატასტროფისა. არავის აქვს უფლება, დაუნდობლად გაანადგუროს ბუნება. არავის აქვს უფლება, გაანადგუროს ერის სიმდიდრე და ეჭვქვეშ დააყენოს ჩვენი ქვეყნის მომავალი.

ტყეების გაჩეხა უნდა შეჩერდეს!

იმედი მაქვს, რომ საერთო ძალისხმევით, ჩვენი ხელისუფლებისა და სათანადო სტრუქტურების აქტიური ჩარევით მდგომარეობა სასიკეთოდ შეიცვლება.

ღმერთმა დაგლოცოთ და მოგცეთ ძალა ამ დიდ და კეთილ საქმეთა აღსასრულებლად.

*სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II*
*ოქტომბერი, 2000 წელი*

# იქნებ ავცდეთ კატასტროფას

ხე-ტყის საფრის განადგურება ქვეყნის „მონინავე" პრობლემათა ნუსხაშია შესული. ეკოლოგიური კატასტროფა, რომ იტყვიან, თვალებში გვიცქერის. თუმცა, საუბარს არ ვაპირებთ უკანონო ჭრასა და მის უკან მიმალულ ფინანსურ ინტერესებზე ...

იცით თუ არა, რომ 2000 წლის 7 თვის მონაცემებით თბილისში 6.798 ბავშვი დაიბადა, 2.079-მა წყვილმა კი ოჯახი შექმნა. ცხადია, იკითხავთ, რა კავშირშია დაბადებული პატარებისა და შექმნილი ოჯახების რაოდენობა ხე-ტყის გაჩანაგებასთანო. შეიძლება ითქვას, პირდაპირ კავშირშია!

წარმოიდგინეთ, რომ არსებობდეს ტრადიცია ახალშობილთა თუ ახალდაქორწინებულთა სახელზე ხეების დარგვისა... ასეთ შემთხვევაში დედაქალაქს სულ ცოტა, 8.877 ახალი ნერგი შეემატებოდა. თუ ამას პირველკლასელთა თუ პირველკურსელთა მსგავსი ხასიათის დღესასწაულების შემოღებასაც დავუმატებთ, შემდეგ კი ამ ქმედებას ოჯახურ ტრადიციად ვაქცევთ, იქნებ კატასტროფასაც ავცდეთ.

ეს ინიციატივა საპატრიარქოს ეკოლოგიურ სამსახურს ეკუთვნის. მის წარმომადგენელთან, ქალბატონ მეგი ტატიშვილთან საუბარი იმითაც გახლდათ საინტერესო, რომ მისმა მონათხრობმა მცენარეების, ხეთა კონკრეტული ჯიშების უჩვეულო უნარის შესახებ, შეუძლებელია არ გაგაოცოთ.

— იქნებ, იცოდეთ კიდეც, რომ რუსეთში, კერძოდ, ციმბირში, მდინარე ობის აუზში საუკუნეების მანძილზე ცხოვრობენ სრულიად განსხვავებული (მინიერი) ცივილიზაციის წარმომადგენლები, — გვითხრა ქალბატონმა მეგიმ, — პირველად ეს ხალხი გაიცნო ციმბირის მეწარმეთა ასოციაციის პრეზიდენტმა, ვლადიმირ მეგრემ, რუსეთში საკმაოდ ცნობილმა პიროვნებამ.

სწორედ მან მიუძღვნა არაერთი ნაშრომი ამ ხალხის ჩვევებსა და გამოცდილებას. ამ ცივილიზაციის წარმომადგენლების ცხოვრების წესი, შეიძლება ითქვას, ბუნებასთანაა შერწყმული. თავიანთ საცხოვრებელ გარემოს ისინი სიყვარულის სივრცეს ეძახიან. მეზობლად მცხოვრები ადამიანები იცნობენ მათ, ანუ მოსახლეობასთან კონტაქტი, გარკვეულწილად აქვთ, მაგრამ ეროვნებას არ ასახელებენ, — უბრალოდ, ადამიანები ვართო... მათი თქმით, ბუნება ისევე ზრუნავს მათზე, როგორც ისინი ბუნებაზე.

მათ სწამთ, რომ მწიფე ნაყოფს შეუძლია ყოველგვარ პრეპარატზე უკეთ შეებრძოლოს ადამიანის ორგანიზმის ამა თუ იმ დაავადებას, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ თესლს გააჩნია ინფორმაცია დაავადებათა შესახებ. თესლს ინფორმაციას თავიანთი, კარგად ნაცადი ხერხით გადასცემენ — თესვის წინ ერთ ან რამდენიმე მშრალ თესლს 3 წუთით პირში იჩერებენ და მიაჩნიათ, რომ ადამიანის ნერწყვიდან მარცვალი ყველა საჭირო ინფორმაციას მიიღებს...

დამეთანხმებით, ეს ყველაფერი მეტად უჩვეულოა. სწორედ ასე შეაფასა მეგი ტატიშვილის მონათხრობი უწმიდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ. ქალბატონი მეგი მას საქართველოში ხეების, განსაკუთრებით კი კედრის მომრავლების იდეითა და წინადადებებით დაუკავშირდა. კედრის საოცარ თვისებებზე ქალბატონმა მეგიმ ბევრი რამ მეგრეს ნაშრომებიდან შეიტყო.

თურმე კედრის პაწაწინა ნაჭერშიც კი უფრო მეტი ენერგიაა, ვიდრე დედამიწის ყველა ხელთქმნილ ენერგეტიკულ დანადგარში ერთად. ამ ხეს ჰქონია საოცარი უნარი — მიიღოს და გამოსცეს მხოლოდ ნათელი, დადებითი ენერგია. კედრის სახლში დარგვა და გახარება თავად ოჯახისთვის ყოფილა სასიკეთო. თანაც მასთან ურთიერთობისას ბოროტ აზრებსა და ფიქრებს ვერ გაივლებთ გულში, რადგან მცენარე მხოლოდ ნათელ აზრებსა და სურვილებს იღებს.

როდესაც ნერგი 30 სმ-მდე გაიზრდება, მისი გადარგვაც შეიძლება.

ძალზე იშვიათად გვხვდება კედარი, რომელიც აგროვებს, მაგრამ არ გასცემს ენერგიას. სიცოცხლის ბოლოს ისინი ხმოვანი ჟღერადობით ანიშნებენ ადამიანებს, გამოიყენონ მათში დაგროვილი უზარმაზარი დადებითი ენერგია. ასეთი კედარი უნდა მოიჭრას, პატარა ნაჭრებად დაიჭრას და ხალხს დაურიგდეს, რადგანაც ციცქნა ნაფოტსაც კი, უნიკალური სამკურნალო თვისებები გააჩნია, ისევე, როგორც კედრის ზეთს.

როგორც ქალბატონმა მეგიმ გვითხრა, მისმა ინიციატივამ პატრიარქი მეტად გაახარა — კედრის თვისებების, მისი გახარების საშუალებების შესახებ მას საკმაოდ ბევრი სცოდნია და საქართველოში მისი გამრავლება-გახარების დიდი სურვილიც ჰქონია. მისივე წინადადებით, საპატრიარქოსთან შეიქმნა ეკოლოგიური სამსახური, რომლის მიზნების შესახებაც უკვე მოგახსენეთ.

სვეტიცხოვლის ტაძრის საყრდენ სვეტებად



სწორედ კედრის ხის მორებია გამოყენებული.

კედარი უძველესი სახეობაა. იგი ორმოცდაორჯერაა ნახსენები ძველ აღთქმაში, ბიბლიაში.

სოლომონ ბრძენმა უფლის ტაძარი სწორედ კედრის ხისგან ააგო. მან 20 ქალაქი დაუთმო მეფეს — ტიროსელ ხირამს იმის სანაცვლოდ, რომ ამ უკანასკნელმა სამშენებლო მასალად გამოსადეგი კედრის მცოდნეები დაახმარა...

კედრის ხისგან იყო ნაგები სოლომონის საცხოვრისიც. როდესაც მეფე მიხვდა, დრომ შეიძლება სახლიცა და ტაძარიც შემუსროსო, თავის სამეფოში კედარი მოამრავლა...

დღეისთვის ცნობილია, რომ ეს ხე საკმაოდ ეფექტური სამკურნალო საშუალებაა. მიაჩნიათ, რომ კედრის ნაყოფი ადამიანის გაახალგაზრდავებას უწყობს ხელს. იმასაც ამბობენ, კედრის ტყეში იმდენად სტერილური გარემო იქმნება, რომ ოპერაციების ჩატარებაც კია შესაძლებელიო.

ობის სანაპიროზე არსებულ უძველეს ცივილიზაციაზე უკვე გესაუბრეთ. სხვათა შორის, ამ ცივილიზაციის წარმომადგენლები, რომლებიც კედარს უდიდესი მოწიწებით ეპყრობიან, ლოცვას კედროვანში აღავლენენ, რადგანაც მიაჩნიათ, რომ ამ გარემოში ადამიანი ღმერთს უშუალოდ ესაუბრება.

სხვათა შორის, ისინი დარწმუნებულნი არიან, რომ სნეულება შედეგია ადამიანის ბუნებასთან დაშორებისა. ბუნება მონდომებულია, დაიცვას ადამიანის ჯანმრთელობა.

არსებობს უამრავი მცენარე, რომელსაც შეუძლია ყველა დაავადების განკურნება, მაგრამ გაუცხოების გამო ადამიანმა დაკარგა მათი ცნობის უნარი...

ჩვენ ვსპობთ მცენარეულ საფარს, არაფრით ვაახლებთ მას და ალბათ ყოველდღიურად ვკარგავთ ესოდენ ფასეულ კონტაქტს ბუნებასთან.

კედრის ხის თვისებებზე ყურადღების გამახვილებით გვინდა ცხადი გახდეს ჩვენ გარშემო მცენარეული საფრის სახით არსებული უდიდესი რესურსების მნიშვნელობა.

ჩვენ შეგვიძლია, ერთი ან ორი ხის დარგვით მაინც აღვადგინოთ ადამიანისა და ბუნების კავშირი.

საქართველოს საპატრიარქომ ინიციატივა უკვე გამოხატა.

ახლა ჯერი ჩვენზეა.

*მაია გაბუნია*

## გია ცინცაძე:

# „უმორჩილესად მინდა ვთხოვო საპატრიარქოს..."

*დედაქალაქის პრესა და ტელევიზია გამუდმებით საუბრობს საქართველოს პროვინციებში გამეფებულ ტოტალურ სიდუხჭირეზე, სოფლების მასობრივ დაცლაზე ახალგაზრდობისგან, იქ დარჩენილთა გაუსაძლის ყოფაზე. ამაზე თბილისის ბაზრობები და ე.წ. „ხელოსანთა ბირჟებიც" მეტყველებენ, რომელთა „პერსონალის" უმრავლესობა საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან ჩამოსული ადამიანები არიან.*

*გაჭირვების ბევრ, ხშირად სრულიად განსხვავებულ მიზეზს ასახელებენ: სამუშაო აღარ არის — ყველაფერი განადგურებულიაო; თავიც რომ ჩააკლა მიწას, ორ თვეს არ გვყოფაო იქ მოყვანილი სიმინდი და ღვინო; პენსიას და ხელფასსაც არ იძლევიან — შეჭამეს გამგებლებმა რაიონები, სადაც რამე გასატანი ნახეს, გაყიდეს და ფული ჩაიჯიბესო და ა.შ.*

*ყურმოკრული ამბებითა და ზოგადი მსჯელობით რომ არ შემოვფარგლულიყავით, გადავწყვიტეთ, საქართველოში ერთ-ერთ ყველაზე ნაკლებშემოსავლიან — ჩოხატაურის რაიონს ვწვეოდით და საკუთარი თვალით გვენახა ავიც და კარგიც, აწმყოც და პერსპექტივაც. თუმცა რაიონის გამგებელმა — გრიგოლ (გია) ცინცაძემ საუბრისას ჩვენთვის საკმაოდ მოულოდნელად ისეთი საკითხი წამოჭრა, და საქართველოს დღევანდელი სინამდვილისთვის ისეთი უნიკალური ინიციატივა წამოაყენა, რომ ყოფითი პრობლემები, გარკვეულწილად, უკან პლანზე გადავიდა...*

*შემოდგომაა, მოსავლის აღების დრო და მთელი წლის მანძილზე ეს ალბათ ერთადერთი პერიოდია, როდესაც გლეხს ცხოვრება უხარია. ამიტომ ახლა არცთუ თვალში საცემია ის სიძნელეები, რომელიც შემდეგ აწუხებთ აქაურებს, თუმცა რაიონის გამგებელთან საუბარში ყველაფერი თვალნათლივ გამოჩნდა:*

— ბევრი რამ, რასაც თქვენ ამბობთ, მართალია და ხანდახან თვითონაც მიკვირს, რამდენს უძლებს ჩვენი ხალხი. არც სხვა რაიონებშია ალბათ საქმე უკეთესად, მაგრამ არა მგონია, სადმე 16 თვის გაუცემელი ჰქონდეთ პენსიები — პირველი ოქტომბრის მდგომარეობით 1.643.000 ლარი აქვს გადმოსარიცხი ცენტრალურ ბიუჯეტს, ამას საბიუჯეტო ორგანიზაციების მოსამსახურეთა 8 თვის ხელფასი — 451.000 ლარი დაუმატეთ, რომლის 90%-ც აგრეთვე ცენტრალური ბიუჯეტიდანაა გადმოსარიცხი. ვერაფრით მივაღწიეთ ჩვენი კუთვნილი „სულ რაღაც" 2 მილიონი ლარის მიღებას.

**— თვითონ რაიონის ბიუჯეტი თუ სრულდება?**

— სისტემატურად. 1992 წელთან შედარებით, შარშანდელი საბიუჯეტო გეგმა 4-ჯერ გვქონდა გაზრდილი, 1995-თან შედარებით კი — 2,5-ჯერ. შარშანაც, როგორც წინა წლებში, გადაჭარბებით შევასრულეთ, მაგრამ ცენტრიდან „ჯილდოდ", ის უყურადღებობა მივიღეთ, რაზეც წელან მოგახსენეთ.

**— რით ასრულებთ საბიუჯეტო გეგმას? როგორც ჩვენი თვალით ვნახეთ, რაიონის საწარმოთა უმეტესობა გაჩერებულია.**

— მრეწველობა არც ადრე ყოფილა ჩვენი რაიონის შემოსავლის მთავარი წყარო და ახლა — მით უმეტეს. შემოსავლის 60%-ზე მეტს ხე-ტყის დამზადებიდან ვიღებთ.

**— ჰოდა, იმ საკითხსაც მივადექით, რაზეც ინტენსიური საუბრები და ბრალდებებიც კი ისმის — ტყე უკონტროლოდ იჩეხება, მუქთად იყიდება, ფლორა ნადგურდება. უნიკალურ კურორტ ბახმაროზე ტყე „გაკრეჭილია" და ა.შ.**

— უკვე დავილალე ამაზე საუბრით და ბრიყვული — არაპროფესიული ბრალდებების მოსმენით. მართალი ხართ, ამის შესახებ თითქმის ათი წელია, საუბრობენ. ჯერ კიდევ ექვსი წლის წინ მივიღე ისეთი გადაწყვეტილება, რომლის უფლებაც შეიძლება არც მქონდა, მაგრამ, უბრალოდ, სხვა გზა არ იყო — ექვსი წელია ბახმაროში არც ერთი ხე არ მოჭრილა. არადა ეს ცუდად მოქმედებს ტყეზე — სანიტარული ჭრა ხომ აუცილებელია. არსებობს მეტყევე-მეცნიერების კონკრეტული დასკვნები და რეკომენდაციები ამის თაობაზე. ისედაც ცნობილია, რომ ბახმაროში მხოლოდ და მხოლოდ წიწვოვანი ტყეა, რომელიც არ გამოიყენება წარმოებაში. მაგრამ, როგორც გითხარით, ყელში ამოვიდა დაუმსახურებელი ბრალდებები და ჭრა შევაჩერეთ. ახლა მოსახლეობა საშეშედაც ვერ ჭრის გადაბერებულ ხეებს — ელოდებიან, თოვლი როდის წააქცევს. არადა ტყე ჩვენი ძირითადი სიმდიდრეა და მისი გამოხშირვაც მოვლის ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტია. წლების განმავლობაში პარაზიტი მწერი — ამერიკული ლაფნიჭამია დიდ ზარალს აყენებდა ბახმაროს ტყეს. საბედნიეროდ, ეს ჭირი მოვიშორეთ.

რაც შეეხება სამრეწველო ხე-ტყეს, აქ ძირითადად წიფელს ვამუშავებთ და თანაც არც ისე „უპრაგონოდ", როგორც ამაზე ლაპარაკობენ. დადგენილია, რომ ჩვენთან წიფლის ოცდახუთი წლის მარაგია, ხოლო ათი წლის წინ გაკაფულ ადგილებში თუ გაივლით, ნახავთ, რომ იქ უკვე ბუნებრივადაა აღდგენილი ტყის საფარი.

ასე რომ, მთელი პასუხისმგებლობით შემიძლია გითხრათ — არავისზე ნაკლებად არ მიყვარს მე საქართველო, მშობლიური რაიონი და მისი ტყეებიც და თუ მე ერთადერთი გამგებელი ვარ დღეს საქართველოში, რომელმაც ამ თანამდებობაზე ათი წელი „გაძლო". ამის მთავარი მიზეზი, დამერწმუნებით, სწორედ ეს სიყვარულია. ცხადია, იმას არ ვამბობ, რომ კანონდარღვევა და ბრაკონიერული ჭრა არ ხდება, მაგრამ ამას სათანადო რეაგირებაც აქვს ხოლმე — 64 შემთხვევა გვაქვს დაფიქსირებული, დამნაშავეებს ხე-ტყეც ჩამოერთვათ და 43.000 ლარიც ბიუჯეტში შევიდა ჯარიმის სახით. სხვა სასჯელს კანონმდებლობა, სამწუხაროდ, არ ითვალისწინებს.

მე უფრო სხვა რამ მაწუხებს და ვცდილობ, ეს პრობლემა მოვაგვარო — აქამდე ხე-ტყე მხოლოდ მორების სახით და აქედან გამომდინარე — იაფად გადიოდა. წელს, როგორც იქნა, ოთხი საწარმო ჩადგა მწყობრში, რომელიც ადგილზე ახდენს მორების პირველად დამუშავებას ევროსტანდარტის დონეზე და უკვე მხოლოდ 40% გადის მორებად. თუ მცირე ხელშეწყობა იქნება, გპირდებით, რომ ორ წელიწადში არც ერთი მორი არ გავა ჩოხატაურიდან და ეს ორმაგად სასარგებლო იქნება: ჯერ ერთი — სამუშაო ადგილები შეიქმნება და მეორეც — დამუშავებული ხე-ტყე გაცილებით ძვირად ფასობს (ჩვენ ის ოთხი საწარმოც დავათვალიერეთ, რომლებშიც, იმის მიუხედავად, რომ სრულ სიმძლავრეზე არ არიან გასული, უკვე 200 კაცი მუშაობს და დაუგვიანებლად იღებს ხელფასს).

**— „მცირე ხელშეწყობაში" რას გულისხმობთ?**



გია ცინცაძე

— ტყეების სიღრმეში ხელუხლებელი მასივებია, ისეთი ხშირი, რომ მხოლოდ სანიტარული ჭრაც კი ეყოფა სამრეწველო საჭიროებებს. მაგრამ იქამდე გზებია გასაყვანი, რათა ტექნიკამ ეკოსისტემის დაუზიანებლად შეძლოს მოჭრილი ხეების გამოტანა. ამჟამად ნახსენები ოთხი ფირმა სწორედ გზების შეყვანაზე მუშაობს, მაგრამ არა ინტენსიურად. საქმე ის გახლავთ, რომ ისინი ყოველწლიური ტენდერების შედეგად იღებენ ერთწლიან სესხებს. მისი გასტუმრება კი შეუძლებელია თუ მთელ ძალისხმევას ისეთ შრომატევად სამუშაოზე მიმართავენ, როგორიც ტყეში გზის შეყვანაა. ვერაფრით მივაღწიეთ, რომ ასეთი ტენდერების შედეგად 3-4 წლიანი სესხი მიიღონ — ამ შემთხვევაში ერთ-ორ წელიწადში სესხიც გასტუმრებული იქნება და შემოსავალიც ერთი-ორად გაიზრდება.

**— ბახმარო ახსენეთ. რა ხდება ამ კურორტზე? საერთოდ, ჩოხატაურში ტურისტული ბიზნესის პერსპექტივაზე ადრე ბევრს ლაპარაკობდნენ.**

— პერსპექტივაზე საუბარი ახლაც ბევრი შეიძლება, მაგრამ, სამწუხაროდ, პრაქტიკულად არაფერი გაკეთებულა. წუწუნივით კი გამომდის, მაგრამ რა ვქნა, ასეა: პრეზიდენტმა საგანგებოდ დაავალა ტურიზმის დეპარტამენტის თავმჯდომარეს, ვაჟა შუბლაძეს ამ საკითხისთვის პრაქტიკული თანადგომა, მაგრამ... ბახმარო ისევ „ადგილობრივი მნიშვნელობის" კურორტად რჩება, თუმცა ბევრი რამის გაკეთება, დღევანდელ პირობებში, მაინც შევძელით და წელს 7.000-ზე მეტმა ადამიანმა დაისვენა.

**— იქ ხის ეკლესიაც აგიგიათ.**

— დიახ, კერძო სახსრებით აშენდა ულამაზესი ხის ეკლესია, ფერისცვალების სახელობისა. 1997 წლის ზაფხულში მოხდა მისი კურთხევა. მიუხედავად იმისა, რომ ბახმარო სეზონური კურორტია და წელიწადში რვა თვის განმავლობაში იქ არავინ ცხოვრობს, გადავწყვიტეთ, მაინც აუცილებელი იყო იქ ღვთის ლამაზი სახლის არსებობა.

**— რატომ მაინცდამაინც ხის ეკლესია?**

— მხოლოდ მეტეოროლოგიური პირობებიდან გამომდინარე. 3-4 მეტრის სიმაღლის თოვლის საფარს, რაც მთელი ზამთრის განმავლობაში ჩვეულებრივი ამბავია ბახმაროსთვის, სხვანაირი შენობა ვერ გაუძლებდა.

ამ საკითხზე განსაკუთრებით და ცალკე მინდა თქვენთან საუბარი და რადგან კითხვას მოჰყვა, ნება მომეცით, რომ თქვენი გაზეთის საშუალებით გამოვთქვა წუხილი საქართველოსთვის ერთი მეტად საჭირბოროტო საკითხის გამო და საჯაროდ მოვუწოდო მისი ცივილიზებული გადაწყვეტისაკენ როგორც ჩემს კოლეგებს — რაიონის თავკაცებს, ასევე ჩვენს დედაეკლესიას, საქართველოს საპატრიარქოს, რომელსაც ჩვენი ინიციატივის მხარდაჭერას ვთხოვ.

საქმე საქართველოში მომრავლებულ სხვადასხვა სექტას და უპირველესად, იეღოვას მოწმეებს ეხება, რომლებიც ჩვენს რაიონშიც უკვე ბლომად არიან.

გურულების ამბავი ხომ იცით — ყოველგვარ სიახლეზე, კარგი იქნება ეს თუ ცუდი, მძაფრად რეაგირებენ. ასე იყო საუკუნის დასაწყისშიც, როდესაც პირველად საქართველოში, სწორედ აქ დაანგრიეს ეკლესიები. ასე მოხდა უახლოეს წარსულშიც, როდესაც საქართველო ისევ მიუბრუნდა ღვთის რწმენას და საეკლესიო აღმშენებლობა განახლდა, ჩვენს პატარა რაიონში, ღვთის შეწევნითა და ხალხის ნებით, რამდენიმე ეკლესია აშენდა და ძველი აღდგა — ხევისა და ჭაჭიეთის წმინდა გიორგის ეკლესიები, უდაბნოს სამონასტრო კომპლექსი, ერკეთის უძველესი ეკლესია, მალე დასრულდება სოფელ ამაღლებაში და ჩემს მშობლიურ სოფელ ფარცხმაში მიმდინარე მშენებლობები.

არც ერთ ამ საქმეში სახელმწიფოს ან ეკლესიისგან ერთი თეთრიც არ მიგვიღია, ყველაფერი კერძო პირთა სახსრებით გაკეთდა. ადგილობრივი მოსახლეობაც დიდი ენთუზიაზმით მონაწილეობდა მშენებლობებში და რაც განსაკუთრებით შემაყება — საყოველთაო სიღარიბისა და გაჭირვების მიუხედავად, ყველა აცნობიერებდა ამ საქმის მნიშვნელობას და საყვედური არავის დასცდენია.

მაგრამ დამეთანხმებით, ღვთის სახლს აუცილებლად მოძღვარი სჭირდება. დღეს ეკლესიები კი გვაქვს, მაგრამ მღვდლები არ გვყავს — მხოლოდ ჩოხატაურის ეკლესიაში მოღვაწეობს მამა გიორგი, რომელიც მართლაც დიდ შრომას ეწევა ღვთის სიტყვის ხალხამდე მისატანად, მაგრამ ერთი კაცი ყველაფერს ვერ გასწვდება.

(გაგრძელება გვ. 26)

# ქართული აღჭურვილობა NATO-ს სამსჯავროზე

მას შემდეგ, რაც შარშან, რუმინეთში თითქმის ამგვარ ჩვენებაზე ჩატანილი ქართული საგამოფენო ნიმუშები რაღაცნაირად მოხვდა მოსკოვში და სამშობლოში ნახევარი წლის დაგვიანებით დაბრუნდა, ბევრს უკვე ეეჭვებოდა, რომ ქართული იარაღი და აღჭურვილობა კვლავ იხილავდა უცხოეთის ცას.

მაგრამ ქართული სამხედრო აღჭურვილობა დღეს უკვე ჩეხეთშია და მონაწილეობს NATO-ს საბრძოლო და პირადი აღჭურვილობის საერთაშორისო გამოფენაში CCPE-2000.

შარშან, როგორც „კვირის პალიტრის" მუდმივ მკითხველს მოეხსენება, რუმინეთში, ბუქარესტში შედგა საერთაშორისო სამხედრო გამოფენა EXPOMIL-99, სადაც ჩვენი გაზეთი ქართული მასმედიის ერთადერთი (როგორც დღეს პრაღაში) წარმომადგენელი გახლდათ. თუმცა ის გამოფენა ღია იყო — ვინც ფულს გადაიხდიდა (რუმინეთის თავდაცვის სამინისტრომ მაშინ ქართულ დელეგაციას უფასოდ დაუთმო საგამოფენო ფართი), ყველა ქვეყანასა და ფირმას შეეძლო მონაწილეობის მიღება.

დღეს კი საქმე სულ სხვანაირადაა — პრაღის გამოფენის მთავარი ორგანიზატორი, ჩეხეთის თავდაცვის სამინისტროსთან ერთად თავად NATO გახლავთ, ხოლო გამოფენაში ძირითადად მხოლოდ NATO-ს წევრი ქვეყნები მონაწილეობენ.

ეს მოვლენა ცოტა უცნაური კია, მაგრამ ამასთანავე ძალზე საამაყოა მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების ექსპოზიციების გვერდით ქართული სამხედრო აღჭურვილობის ნიმუშების ხილვა. თანაც ყოველგვარი ცრუპატრიოტიზმისა და ტრაბახის გარეშე ვიტყვით — ქართული ექსპონატები საკმაოდ კონკურენტუნარიანად გამოიყურება საერთო, NATO-ს ფონზეც კი და მას არც დამთვალიერებელი თუ დამკვირვებელი აკლია.

პრაღაში, ჩვენს დელეგაციას, როგორც ადრე, რუმინეთში, ეროვნული წარმოების იარაღი არ ჩამოუტანია, რადგან ამჟამინდელი გამოფენის ლაიტმოტივი სულ სხვა იყო და ძირითადად ინდივიდუალური დაცვის საშუალებებს ეხებოდა.

დღეს მთელი მსოფლიო, ყოველ შემთხვევაში, ის ქვეყნები მაინც, სადაც ადამიანის სიცოცხლესა და უფლებების დაცვას განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ, თავისი მოქალაქეებისა და უპირველესად, მებრძოლების სიცოცხლის შენარჩუნებაზე ფიქრობს. ეს მარტო ჰუმანური მოსაზრებებით არ გახლავთ განპირობებული. უბრალოდ, კარგად აღჭურვილი და პროფესიონალი მებრძოლის მომზადება საკმაოდ ძვირი ჯდება და არ იქნება სასიამოვნო, რომ ერთმა პატარა ნამსხვრევმა ან 9 გრამიანმა ტყვიამ უზარმაზარი შრომა წყალში ჩაყაროს...

ამიტომ ინდივიდუალური დაცვის საშუალებებს, უპირველესად კი ჯავშანჟილეტებს და გამნაღმველის ჯავშანკოსტიუმებს პრაღის გამოფენაზე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო. თითქმის ყველა ქვეყანას ჰქონდა წარმოდგენილი ამ სახის პროდუქცია და მათ შორის ქართველებსაც.

ჩვენს ექსპოზიციაზე გამოფენილი იყო რამდენიმე სახით ინდივიდუალური დაცვის საშუალება — ნამსხვრევსაწინააღმდეგო საბრძოლო ჯავშანჟილეტი (მისი დიზაინი და კონსტრუქცია განსაკუთრებით მოიწონეს გამოფენაზე მყოფმა გერმანელმა და ესპანელმა სპეციალისტებმა); ჯავშანჟილეტი „ელიტა" (ყველა სახის პისტოლეტისა და პისტოლეტ-ტყვიამფრქვევისგან თავდასაცავად), ჯავშანჟილეტი „თორიტექ-02" (ისიც ყველა სახის პისტოლეტს უძლებს, გარდა საბჭოთა, ტოკარევის TT ტიპის პისტოლეტის ფოლადისგულარიანი ტყვიისა, ეტყობა, ამიტომაცაა, რომ ბევრგან, უწინარესად კი რუსეთში, პისტოლეტი TT დღესაც ქილერების „საყვარელი" იარაღია); ნამსხვრევსაწინააღმდეგო განმტვირთველი ჟილეტი; კომპოზიციური კერამიკული ჯავშანფილა „თორი-2" და ტიტანი-კევლარის კომპოზიციური ჯავშანფილა „თორი-T". ეს უკანასკნელი 10 მ-ის დისტანციიდან „კალაშნიკოვის" ავტომატის AKM-ის 7,62 მმ და AK-74 5,45 მმ კალიბრის 30-ზე მეტ ტყვიას უძლებს, ხოლო, რაც შეეხება „თორი-2"-ს — მას იმავე დისტანციიდან ნასროლი, ბევრად უფრო ძლიერი, სნაიპერული შაშხანის СВД-ს ჯავშანგამტანი ტყვიების შეკავება ძალუძს:

გამნაღმველის ჯავშანკოსტიუმი კვლავინდებურად წარმოადგენდა ჩვენი ექსპოზიციის ერთ-ერთ მთავარ ექსპონატს.

ჩვენი გაზეთის ერთ-ერთ ნომერში გესაუბრეთ მოქნილ ბოჭკო-ოპტიკურ სამიზნეზე, რომელიც ავტომატზე მაგრდება და მებრძოლს სანგრიდან და სხვა მოფარებული ადგილიდან დამიზნებული სროლის საშუალებას აძლევს. ამ სამიზნემ გამოფენის მონაწილეთა და დამთვალიერებელთა დიდი ყურადღება მიიქცია, თუმცა მასზე ამჯერად აღარ შევჩერდებით და ავტომატური სისტემების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის „სხივის" კიდევ ერთ სამიზნეზე გიამბობთ. ოპტიკური სამიზნე „მნათი წერტილი" კოლიმატორული ტიპისაა და ავტომატზე მაგრდება. იგი ე.წ. „წითელი წერტილის" მეშვეობით უზრუნველყოფს ზუსტ დამიზნებას 600 მ მანძილზე.

ამ შემთხვევაში, ჩვეულებრივი ლაზერული სამიზნისგან განსხვავებით, მოწინააღმდეგის ფიგურაზე არავითარი წითელი ლაზერის წერტილი არ „ისმება" (ამ წერტილის დროულად აღმოჩენა შესაძლებელია, რაც მოწინააღმდეგის ჯარისკაცს რეაგირების მცირე დროს მაინც უტოვებს). ქართულ სამიზნეში კი, „წითელი წერტილი" უშუალოდ კოლიმატორში აისახება და გარეშე თვალისთვის უხილავი რჩება. ეს სამიზნე, მასში გამოყენებული პრინციპის გამო, უნიკალურია. მისი მსგავსი გამოფენაზე, რა თქმა უნდა, არავის ჰქონია.

თუმცა, არანაკლები და, შეიძლება ითქვას, განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო ქართულ ექსპოზიციაზე წარმოდგენილმა საქართველოს გარემოს დაცვის ინსტიტუტის ინდივიდუალური დაცვის საშუალებებმა. ეს სკაფანდრები, თითქოს არამიწიერად გამოიყურებოდნენ და მთლიანად გამოფენას სულ სხვა პეწს აძლევდნენ.

ტექნოგენური კატასტროფებისა და ავარიების დროს ექსტრემალურ პირობებში გამოსაყენებელი ეს ინდივიდუალური დაცვის კოსტიუმები და სკაფანდრები ჩვენთან შეიქმნა ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში, მოსკოვის უშუალო დაკვეთით, მაგრამ საგულისხმოა, რომ მათი შექმნიდან 10 წლის შემდეგ, XX საუკუნის მიჯნაზე, თვით NATO-ც კი დაინტერესდა ამ სკაფანდრებით:

— ატომური წყალქვეშა ნავის მშენებლობის დროს, მაღალ ტემპერატურასა და აგრესიულ გარემოში მომუშავე შემდუღებლის (ატომური წყალქვეშა ნავის „ტიტანის" კორპუსის შედუღება დიდ სირთულეებთანაა დაკავშირებული) კოსტიუმი.

— მეხანძრის ავტონომიური კოსტიუმი, რომელიც $+130^{0}C$ ტემპერატურასა და ზემაღალ სითბურ გამოსხივებს უძლებს.

— ავარიულ პირობებში $+300^{0}C$-მდე ტემპერატურაზე მომუშავე შლანგური ტიპის სკაფანდრი.

— დაბალ ტემპერატურებზე ($-130^{0}C$), კრიოგენულ დანადგარებში ავარიების სალიკვიდაციო სამუშაოების შემსრულებელთა ავტონომიური დამცავი სკაფანდრი.

— მომწამვლელ და აგრესიულ გარემოში რადიაქტიური მტვრისგან და აეროზოლებისგან დამცავი ავტონომიური, ჰერმეტული სკაფანდრი.

— ატომური ელექტროსადგურების წყლის გამაცივებელი სისტემის სარევიზიო და სარემონტო სამუშაოების ($+250^{0}C$) ჩასატარებელი ავტონომიური დამცავი სკაფანდრი.

ეს სკაფანდრები განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს დღეს, როდესაც ასე მოხშირდა მასშტაბური ტექნოგენური კატასტროფები, რომელთა ლიკვიდაცია სპეციალურ ტექნიკასა და აღჭურვილობას მოითხოვს.

ისევე, როგორც შარშან, რუმინეთში, ამჯერადაც ქართულ ექსპოზიციაზე წარმოდგენილი იყო — „ფაგობიოდერმი" — ხელოვნური კანი; „ნარგოსეპტი" — ანტისეპტიკური სითხე; „ანტიპირინი" — აალების საწინააღმდეგო საშუალება; „ნარკოატი" — ანტიკოროზიული ხსნარი; „იმუნომოდულატორი" — ადამიანის ორგანიზმიდან რადიაციის გამომყვანი და ტონუსის ასამაღლები ბალზამი; ინდივიდუალური მოხმარების წყლის გამწმენდი ხელსაწყო.


ქართული ჯავშანჟილეტი

სწორედ ასე გამოიყურებოდა ქართული სამხედრო ექსპოზიცია პრაღის გამოფენაზე, თუმცა მკითხველისთვის არანაკლებ საინტერესო უნდა იყოს, თუ რით წარმოაჩინეს თავი დასავლეთის ქვეყნებმა.

NATO-ს წევრ ათ ქვეყანას — მასპინძელ ჩეხეთს, აშშ-ს, დიდ ბრიტანეთს, კანადას, ჰოლანდიას, ნორვეგიას, პორტუგალიას, ესპანეთს, ბელგიასა და გერმანიას თანამედროვე ინდივიდუალური დაცვის საშუალებები, ახალი სამხედრო ფორმები და აღჭურვილობა ჰქონდათ გამოფენილი. ყოველივე ეს ცოტა ხანში გამოიყენება NATO-ს „ჯარისკაცი-2000"-ის შესაქმნელად, ამიტომაც ყველა ქვეყანა ცდილობს, სწორედ მისმა ნიმუშებმა დააკმაყოფილოს ჩრდილოატლანტიკური ალიანსის სარდლობის მოთხოვნილებები.

ტრადიციულად, გამოფენაზე თავისი გასანაღმი საშუალებებით (გამნაღმველის კოსტიუმები და ჯავშანჟილეტები) გამოირჩეოდნენ კანადელები. ისინი მსოფლიოში ერთ-ერთ საუკეთესო გამნაღმველებად არიან აღიარებულნი.

გერმანელებმა თავი ახალი სამხედრო ფორმითა და აღჭურვილობით გამოიჩინეს, ხოლო ავსტრიელები (ისინი ბულგარეთთან, ფინეთთან, შვედეთთან, შვეიცარიასთან და ჩვენთან ერთად მონაწილეობდნენ გამოფენაში, როგორც NATO-ს პროგრამის „პარტნიორობა მშვიდობისათვის" ფარგლებში გაერთიანებული ქვეყნები) მსურველებს სთავაზობდნენ კედელზე ასასვლელ თოკსა და სამთო მოწყობილობას, რითაც თავის, ძალზე განვითარებულ სამთო ტექნოლოგიებს უწევდნენ რეკლამას.

ჩეხებმა წარმოადგინეს მსუბუქი შეჯავშნული ავტომობილი „ოქტავია" („შკოდასა" და „ფოლქსვაგენის" საერთო „შვილობილი"), რომელიც შიგ მსხდომებს დაცვის გარკვეულ გარანტიას აძლევდა. იგი ნამდვილად ვერ შეედრებოდა ორი კუმულატორული ჭურვის გამძლე „მერსედესს", თუმცა ფასიც 4-ჯერ ნაკლები ჰქონდა.

ყველა ექსპონატის მიმოხილვა ერთ საგაზეთო სტატიაში შეუძლებელია.

ქართულმა დელეგაციამ საკმაოდ უხვი ინფორმაცია მოიპოვა და მის დეტალურ დამუშავებას აპირებს.

ამასთან, ქართული დელეგაციის წევრებს საინტერესო და საქმიანი მოლაპარაკებები ჰქონდათ კანადის, გერმანიის, ესპანეთისა და ფინეთის წარმომადგენლებთან. ამ ფირმების დასახელება, ჯერჯერობით, არ ღირს, რადგან არის დიდი იმედი საკმაოდ მომგებიანი გარიგებებისა.

მსოფლიოში უცნობილესმა ამერიკულმა ფირმა „დიუპონმა", რომელმაც სახელი არამოდური ქსოვილის — კევლარის წარმოებით გაითქვა, ქართულ მხარეს შესთავაზა, მონაწილეობა მიიღოს მოსკოვის საერთაშორისო გამოფენაში, სადაც ქართული ჯავშანჟილეტები (როგორც მათი კევლარისგან დამზადებული საუკეთესო ნიმუშები) უსასყიდლოდ იქნება წარდგენილი მათსავე ექსპოზიციაზე.

უსახსრობის გამო ხშირად ბევრი პრობლემა იქმნებოდა, ამჯერად ქართული დელეგაციისა და ნიმუშების ცხოვრებისა და ტრანსპორტირების ხარჯები იკისრეს თავდაცვის სამინისტრომ, ცენტრმა „დელტამ" და შპს „თორიტექტმა", თავად საექსპოზიციო ფართი ქართულ მხარეს NATO-მ უფასოდ გამოუყო.


სტატიის ავტორი საგამოფენო ექსპონატებთან

გამოფენასთან დაკავშირებით ორი კურიოზიც მოხდა:

ჩეხეთში ჩასვლამდე გამოფენის მომწყობებს ქართულმა მხარემ ექვსი მანეკენი შეუკვეთა, მათზე ჯავშანჟილეტების ჩასაცმელად. ჩეხებმა შეკვეთა პირდაპირ გაიგეს და ქართულ ხუთკაციან დელეგაციას ექვსი მანეკენი გოგონა დაახვედრეს. თუმცა, ბოლო წუთს ყველაფერი გაირკვა და ქართველებს მხოლოდ ექვსი პლასტმასის მანეკენი არგუნეს და ისიც მამაკაცისა!

გამოფენის მსვლელობისას, ერთ მომენტში „კვირის პალიტრა" ქართულ ექსპოზიციაზე მარტო დარჩა და თვითონ აცნობდა მნახველებს ჩვენს ნიმუშებს. ამ დროს თავქუდმოგლეჯილმა მოირბინა ერთმა ჩეხმა ბიზნესმენმა — გავიგე, ქართველებს ტანკები ნდომებიათ, ჩემთვის მქონდა გადანახული და ახლობლობის გამო იაფად დაგითმობთო!

თურმე უკვე ნახევარმა ევროპამ იცის — ქართველები სანთლით დაეძებენ ძველისძველ ტანკებს და დიდი სიამოვნებით ყიდულობენო!

არადა ეს ჩეხი ბიზნესმენი სწორედ იმ ჩეხური ფირმის კონკურენტი აღმოჩნდა, რომელიც რამდენიმე წელია, ქართულ მხარეს იარაღით, საბრძოლო ტექნიკითა და ტყვია-წამლით ამარაგებს (ხშირად ნორმალური, უფრო მეტად, ცუდი ხარისხისა).

როგორც იტყვიან, კომენტარი ზედმეტია.

## ევროპიდან დანახული ქართული პრობლემები

ევროპა სწრაფად მიმქროლავ თანამედროვე მატარებელს ჰგავს, რომელსაც უკვე ძველი ორთქმავალი — უკუსვლით მიმავალი საქართველო, ეტყობა, ვერასოდეს დაეწევა, რადგან ჯერ წინა სვლა მაინც უნდა ჩაირთოს და წესიერმა მეისრემ სხვა ხაზზე გადაიყვანოს.

ამიტომაც უკვე აფორიზმად ქცეული — „მე ვარ ქართველი, მაშასადამე მე ვარ ევროპელი!" — ისევე შორსაა სინამდვილისგან, როგორც ჩქარ მატარებელს ჩამორჩენილი ნახშირგამოლეული ძველი ორთქმავალი.

იმავე ჩეხეთს, რომელიც უკვე NATO-ს სრულუფლებიანი წევრია, საკმაოდ უჭირს მის სტანდარტებზე გადასვლა და ადვილი წარმოსადგენია, რა დღეში ჩავარდება საქართველო, რომელსაც NATO-ს კარის მიკაკუნება 2005 წლისათვის „დაუსახეს" მიზნად ისე, რომ რეალობა არ გაუთვალისწინებიათ, თუმცა ხელისუფლების ეს „იმედის მომცემი კაკუნი", ეტყობა, მორიგ მომგებიან პოლიტიკურ ტრიუკად დარჩა.

არადა უამრავი პრობლემა გვაყრია თავს, მათ შორის არა მარტო წმინდა სამხედრო, არამედ უბრალო სტატისტიკურიც კი. საკითხავია, რა უნდა დაერქვას იმ ფაქტებს, რომ საქართველოს პერიფერიაში არსებულ ზოგიერთ მიტოვებულ სამხედრო ნაწილში მხოლოდ დღეს აღმოაჩინეს საბრძოლო ტექნიკის მთელი არსენალი?! რომელ NATO-ს სტანდარტებზე გადასვლაზეა ლაპარაკი, თუკი ისიც არ ვიცით, რა რაოდენობის საბრძოლო მასალებია დარჩენილი ქართული არმიის განკარგულებაში!

კავკასია ჩეხეთისთვის, ყოველ შემთხვევაში, ბევრი ჩეხისთვის (იგულისხმება განსაკუთრებით ახალგაზრდობა) რაღაც შორეული, რუსული თუ საბჭოთა იმპერიის ნაწილია.

მათ მხოლოდ ერთი — შევარდნაძე იციან, რომელმაც გორბაჩოვთან ერთად საბჭოთა ტანკები უსისხლოდ გამოიყვანა ჩეხეთიდან.

მათი ძირითადი ყურადღება დღეს დასავლეთ ევროპასა და ამერიკის შეერთებული შტატებისკენაა მიპყრობილი. თუმცა ჩეხეთის ხელისუფლება არც იმ საშიშროებას ივიწყებს, რაც ევროპის ამ ცენტრალურ ადგილს ისტორიულად ემუქრებოდა აღმოსავლეთიდან.

ჩეჩნეთის ომი ჩეხებისთვის მას შემდეგ გახდა უფრო საინტერესო, რაც იქ ჩეხი ჟურნალისტები გაიტაცეს.

საქართველოში, ასას ხეობაში, ინგუშეთიდან შეიარაღებული დაჯგუფების გადმოსვლამ გარკვეული გამოხმაურება პოვა ჩეხეთის მასმედიაში. პრაღაში, როგორც ამბობენ, საკმაოდ არიან რუსი თუ ჩეჩენი კრიმინალები, ამიტომაც ჩეხებისთვისაც სულერთი სულაც არ არის, რამდენი პოტენციური დამნაშავე დატოვებს შეიარაღებული კონფლიქტის ზონას და გაეშურება ისეთ თბილ და წყნარ ადგილას, როგორიც პრაღა გახლავთ.

მაგრამ ამ თემის გაშუქება მაშინვე შენელდა, როგორც კი ბათუმთან კატასტროფა განიცადა რუსეთის თავდაცვის სამინისტროს სამგზავრო თვითმფრინავმა, რასაც დიდი მსხვერპლი მოჰყვა. ჩეხებს ნამდვილად ვერ დააბრალებ რუსების დიდ სიყვარულს, მაგრამ ეს კატასტროფა ბევრს მოხვდა გულზე. ამის შესახებ ჩეხეთის ტელევიზია სისტემატურად გადმოსცემდა ინფორმაციებს.

თუმცა, მას შემდეგ, რაც ბარენცის ზღვაში ჩაძირული „კურსკი" გახსნეს და დაღუპული რუსი მეზღვაურების ნეშტები ამოიღეს, მთელი ჩეხეთი ამაზე ალაპარაკდა — ხომ ხედავთ, რა მატყუარები ყოფილან რუსები, მათი „კურსკის" ეკიპაჟის 23 კაცი კიდევ ცოცხალი ყოფილა, მაგრამ არავინ მიეშველაო!

კაცმა რომ თქვას, ჩეხეთს კიდევაც აძლევს ხელს რუსეთის დასუსტება, რადგან კარგად ახსოვთ 1968 წლის საბჭოთა აგრესია და დაბეჯითებით ვერც იმას იტყვიან, მომავალში მისგან თავი სრულიად დაზღვეული გვაქვსო.

*პრაღა-თბილისი*
*ირაკლი ალადაშვილი*

# ძარცვა ჰაერში!

## გაბედული ტერორისტი ლამის გმირად გამოაცხადეს

***თითქმის 3 ათეული წლის წინ აშშ-ში დაფიქსირდა შემთხვევა, რომელიც იმთავითვე ლეგენდად იქცა. „კუპერის საქმე“ — ასეთი სახელით შევიდა ის მსოფლიოს დანაშაულობათა ისტორიაში. ამ ამბავს ამერიკული პრესა ძალზე ხშირად უბრუნდება, რამეთუ საიდუმლოებას ფარდა ბოლომდე ჯერაც არ ახდია.***

### შემთხვევა

1971 წლის 24 ნოემბერს, დილის 10 საათზე, ვინმე დენ კუპერმა (ასე უწოდებდა იგი საკუთარ თავს) ავიაკომპანია „ნორსუესთ ეარლაინსში“ შეიძინა თვითმფრინავის ბილეთი რეისზე პორტლენდი—სიეტლი. ნახევარი საათის შემდეგ იგი მშვიდად ავიდა „ბოინგ-727“-ში და სალონის ბოლოში მდებარე სავარძელზე მოთავსდა. კუპერს თან ჰქონდა მცირე ზომის ჩემოდანი და შედარებით მოზრდილი ზურგჩანთა. ბარგი ილუმინატორთან დადო და თვალი მილულა. 10 საათსა და 45 წუთზე „ბოინგი“ ჰაერში აიჭრა. თვითმფრინავში 37 მგზავრი და ეკიპაჟის 6 წევრი იმყოფებოდა.

დენ კუპერი — საუცხოო კოსტიუმსა და მოდურ მოკასინებში გამოპრანჭული 40-42 წლის ქერა მამაკაცი — კარგა ხანს იჯდა თვალდახუჭული. კაცი იფიქრებდა, ღრმად ჩასძინებიაო. თვალი მხოლოდ მაშინ გაახილა, როცა თვითმფრინავს დაახლოებით ნახევარი გზა ჰქონდა დაფარული. კუპერმა მიმოიხედა, როგორც უცხო გარემოში გამოღვიძებულებმა იციან-ხოლმე და სტიუარდესას გამოსაძახებელ ღილაკს თითი მიაჭირა.



სტიუარდესას მიერ ამოცნობილი დენ კუპერი

ბორტგამცილებელი ქალიშვილი ფლორენს შეფნერი უმალ ეახლა სიმპათიურ მგზავრს.

— ვისკი, გეთაყვა, — გაიღიმა კუპერმა. სტიუარდესამ თხოვნა შეუსრულა — სასმელი მიართვა და თანაც შენიშნა, რომ მამაკაცმა მას ჯიბეში კონვერტი ჩაუცურა.

„მორიგი სასიყვარულო ბარათია“, — გაიფიქრა შეფნერმა. ის შეჩვეული იყო მამაკაცებისგან თაყვანისცემის მსგავს გამოხატვას. ელეგანტური კუპერისთვის ბორტგამცილებელმა რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ სწორედ მაშინ დაუძახა სხვა მგზავრმა, ჩაი მომიტანეთო. ფლორენს შეფნერი სალონის მეორე ბოლოში გავიდა და რამდენიმე წამის შემდეგ ლამბაქით ხელში დაბრუნდა.

ქალიშვილმა თვალი კუპერისკენ გააპარა, რომელიც კვლავინდებურად უღიმოდა და თან ხელით რაღაცას ანიშნებდა. სტიუარდესა მას მიუახლოვდა.

— მინდა, დაუყოვნებლივ წაიკითხოთ ჩემი წერილი. — თავაზიანად, მაგრამ საკმაოდ მტკიცედ წარმოთქვა მამაკაცმა. შეფნერმა წაიკეკლუცა, ამჟამად ბევრი შეკვეთა მაქვს და არ მცალიაო. ამის თქმა იყო და მოსაუბრეს უცებ შეეცვალა გამომეტყველება. გამცილებელს ამჯერად კუშტი სახე უმზერდა. მგზავრი მისკენ გადაიხარა, თვალები ავისმომასწავლებლად მოჭუტა და გამოსცრა:

— კონვერტი ახლავე გახსენით, ქალიშვილო, თორემ დედამიწაზე მხოლოდ გვამის სახით დაგაბრუნებთ!

დაფეთებული ფლორენს შეფნერი მამაკაცს მოსცილდა და აკანკალებული ხელით კონვერტს თავი მოახია.

„ჩემოდანში ძლიერი ბომბი მიდევს! გიბრძანებთ, სიეტლში დაჯდომისთანავე თვითმფრინავის ავზები საწვავით აავსოთ და იქვე გადმომცეთ 200 ათასი დოლარი. ამის შემდეგ გავათავისუფლებ მგზავრებს. მომავალ მარშრუტს დამატებით გაცნობებთ. ხუმრობის დრო არ მაქვს. პირველივე ეჭვისას თვითმფრინავს ავაფეთქებ! P.S. წაიკითხავს თუ არა ხომალდის მეთაური წერილს, ერთ-ერთი სტიუარდესა გვერდით მომიჯდეს“.

შეფნერი ბარბაცით გაუყვა ვიწრო გასასვლელს და პილოტების კაბინაში შევიდა, დაახლოებით ათი წუთის შემდეგ კი, თითქოს უფრო თავდაჯერებულად, წერილის ავტორთან დაბრუნდა:

— თქვენი პირობები დაკმაყოფილდება.

მამაკაცს კვლავ გაებადრა სახე, სტიუარდესას გაუღიმა და გახსნილი ჩემოდანი უჩვენა. იქ ელექტრობატარეა, ფერადი მავთულები და ყავისფერი ცილინდრები ეწყო.

— საკმარისია, ეს სადენები ერთმანეთს მივადო და ყველაფერი იმწამსვე დასრულდება. — მშვიდად წარმოთქვა დენ კუპერმა.

მალე თვითმფრინავი სიეტლში დაეშვა. ტერორისტის მიერ დატყვევებულ ლაინერს ქალაქის ცენტრალურ აეროდრომზე ასობით პოლიციელი და სპეციალური აგენტი ელოდა. გფბ-ს (გამოძიების ფედერალური ბიურო) ხელმძღვანელობის ბრძანებისამებრ, თვითმფრინავზე იერიში მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში უნდა მიეტანათ, მანამდე კი ბოროტმოქმედს მოთხოვნილი თანხა გადასცეს და რაციის საშუალებით მასთან მოლაპარაკებას შეუდგნენ.

კუპერი სიტყვის კაცი აღმოჩნდა: ფულის მიღებისთანავე გაათავისუფლა მგზავრები და სტიუარდესები. ფლორენს შეფნერს განუცხადა, იმედია, ოდესმე ერთმანეთს უკეთეს ვითარებაში შევხვდებითო, მერე პილოტებს მიუბრუნდა და მექსიკაში გაფრენა უბრძანა.

დამნაშავეს აუხსნეს, რომ თუ შუა გზაზე, სანფრანცისკოში ან რინოში, ბენზინს არ დაიმატებდნენ, „ბოინგ-727“ მექსიკამდე ვერაფრით მიაღწევდა. კუპერმა ქალაქი რინო აირჩია და ხომალდის მეთაურს დეტალური მითითებები მისცა: ფრენის დასრულებამდე ისინი კაბინაში უნდა ჩაკეტილიყვნენ, თვითმფრინავს კი 3 კმ სიმაღლეზე დაახლოებით 400 კმ/სთ სიჩქარით უნდა ემოძრავა.

რინოს აეროპორტში „ბოინგი“ ტერორისტის გარეშე დაჯდა(?!)...

### „სახალხო გმირი“

ძიებამ მხოლოდ რამდენიმე საათის შემდეგ აღადგინა თავდამსხმელის გაუჩინარების დეტალები. სადღაც, შუა გზაზე ბოროტმოქმედს თვითმფრინავის მუცლის ქვეშ მდებარე მცირე ზომის ლუკი გაეხსნა და ზურგჩანთიდან ამოღებული პარაშუტით გარეთ გადაშვებულიყო. პილოტები არ დაღუპულან, რადგან ბანდიტმა მათ თავიანთი კაბინიდან ცხვირის გამოყოფა აუკრძალა, იქ კი ჰერმეტიზაცია არ დარღვეულა.

მეორე დღეს მთელი ამერიკა საუბრობდა ამ გაუგონარი შემთხვევის თაობაზე. პრესამ დენ კუპერი ნამდვილ გმირად შერაცხა (თუმცა ზუსტად არავინ იცოდა, მართლაც დენ კუპერი ერქვა იმ კაცს თუ არა). „მისტერ კუპერ, გვიყვარხარ!“ — ასეთი წარწერით დამშვენებული ტანსაცმელი ემოსა ათასობით ამერიკელს. მოხერხებულმა ბიზნესმენებმა მამაცი მძარცველის ნახატიანი უამრავი სუვენირი უმალ დაამზადეს და მათი გაყიდვით გვარიანი მოგებაც ნახეს.



„ბოინგ-727“, სადაც ის უპრეცედენტო ამბავი მოხდა, მუზეუმად გადააკეთეს.

„ბოინგ-727“, სადაც ის უპრეცედენტო ამბავი მოხდა, რამდენიმე თვით მუზეუმად გადაკეთდა და მის მფლობელ ავიაკომპანიას გაცილებით მეტი მოგება მოუტანა, ვიდრე უწინ, ფრენის დროს მოჰქონდა. საქმეში ჩაერთო „ჰოლივუდიც“, სადაც, სასწრაფოდ შექმნილი სცენარის მიხედვით, მძაფრსიუჟეტიანი ფილმის გადაღებას შეუდგნენ. სიეტლის ყველაზე დიდ დისკოთეკასა და ბარს დენ კუპერის სახელი ეწოდა. ვაშინგტონის შტატში (სადაც სიეტლი მდებარეობს) ლამის ყოველ მეხუთე ახალდაბადებულ ბიჭუნას დენს არქმევდნენ...

1971 წლის ბოლოს, აშშ-ის არმიის სამასამდე ოფიცერმა ვერტმფრენებით გამოიკვლია კასკადის მთების ის მონაკვეთი, სადაც, სავარაუდოდ, საჰაერო ყაჩაღი უნდა დაშვებულიყო, მაგრამ ორკვირიანი ძებნა უშედეგოდ დასრულდა. არც კუპერის კვალი ჩანდა სადმე და არც მის მიერ გატაცებული დოლარებისა.

გადიოდა თვეები, წლები. ბანდიტის მიერ გამოსასყიდის სახით მიღებული 20-დოლარიანი ბანკნოტები, რომლის ნომრებიც გფბ-ს აღნუსხული ჰქონდა, მიმოქცევაში არ მოხვედრილა. თავად დამნაშავეც თითქოს მიწამ ჩაყლაპაო. მაძებრებმა დაასკვნეს, რომ დენ კუპერი თვითმფრინავიდან გადმოხტომისას დაიღუპა.

ამერიკამ თანდათან დაივიწყა თავისი გმირი, მაგრამ იმ საოცარი შემთხვევიდან 6 წლის თავზე გაზეთების პირველ გვერდზე კვლავ გამოჩნდა დენ კუპერის სახელი. „სენსაცია! — იუწყებოდა პრესა. — საჰაერო მძარცველი ცოცხალია!“

### „მე ვარ დენ კუპერი!“

1977 წლის ოქტომბერში ცნობილ ამერიკელ ჟურნალისტს დირკ სამერსს ხანში შესული მამაკაცი, ვინმე ჯეიმს ბრაუნი ეწვია და გარკვეული საფასურისთვის ფრიად მნიშვნელოვანი ამბის მოყოლა აღუთქვა. ჟურნალისტმა უმალ იყნოსა სენსაცია და ბრაუნს თანხა გადასცა. ამ უკანასკნელმა დაიწყო თხრობა და რაც დრო გადიოდა, მით უფრო რწმუნდებოდა სამერსი, რომ ფული ტყუილუბრალოდ არ გადაუხდია.

„27 წლის წინ, ატლანტის ფედერალურ ციხეში ყოფნისას, გავიცანი გაუნათლებელი, თუმცა საოცრად ნიჭიერი ყმაწვილი — ჯეკ კოფელტი, რომელსაც ავტომობილის გატაცებისთვის ათწლიანი პატიმრობა ჰქონდა მისჯილი. მალე დავმეგობრდით. უწინ ჟურნალისტი გახლდით, მერე — სამხედრო მფრინავი და საპატიმროში იქაურ გაზეთს ვრედაქტორობდი. ერთხელ, კოფელტმა თხელი რვეული მიჩვენა და მთხოვა, ავტობიოგრაფია დავწერე და ეგებ, გადაიკითხოო. წავიკითხე და გავოცდი. ბიჭს უდავოდ დიდი ტალანტი ჰქონდა. შესანიშნავად აღწერდა ბავშვობის შთაბეჭდილებებსა თუ ოცნებებს. პირველად სწორედ იმ ჩანაწერებიდან გავიგე, რომ უწინ ბანკის გაძარცვაზე ოცნებობდა. დღესაც დიდი სიამოვნებით ვიყაჩაღებდიო, ამბობდა ხოლმე და თან, ამის თაობაზე, რჩევებს მეკითხებოდა. მისთვის დიდი ავტორიტეტი ვიყავი. გარდა ამისა, კოფელტი აღფრთოვანებული იყო, თვითმფრინავის მართვა რომ ვიცოდი. რამდენჯერმე მკითხა, მომავალში „დიდ საქმეზე“ რომ წავიდე და მილიონები ჩავიჯიბო, შეძლებ თუ არა თვითმფრინავით მექსიკაში ჩემს გადაყვანასო.

გავიდა ორი წელი. გამათავისუფლეს. მერე კოფელტიც გაუშვეს. სხვადასხვა შტატში ვცხოვრობდით, მაგრამ ერთმანეთს მაინც ხშირად ვხვდებოდით. შემდეგ დავოჯახდი და მეგობარს თანდათან დავშორდი. 1972 წლის მაისში მისგან მოულოდნელად წერილი მივიღე, მცირე ხნით შენთან ჩამოვალო, — მთხოვდა. რა თქმა უნდა, ჩამოდი-მეთქი, — შევუთვალე.

მისი ნახვა ძალიან გამიხარდა. მთელი საღამო ვისაუბრეთ. ერთმანეთისადმი იმდენად გულახდილნი ვიყავით, რომ ჩვენ-ჩვენი პატარა საიდუმლოებების თაობაზეც მოვყევით. ჯეკ კოფელტმა მაცნობა, რამდენიმე წელი გფბ-ში, დაქირავებულ მკვლელად ვიმუშავე და მარტინ ლუთერ კინგზე თავდასხმის მონაწილეც გახლდითო. ძილის წინ უფრო გასაოცარი რამ თქვა:

— გაგიგია ოდესმე დენ კუპერის თაობაზე? ჰოდა, დენ კუპერი მე ვარ... მაგრამ ის წყეული ფული დავკარგე. თვითმფრინავიდან რომ გადმოვხტი, საშინლად შემცივდა და ტომარა ხელიდან გამივარდა...

გაოგნებული დავრჩი და იმ ღამეს თვალი არ მომიხუჭავს. ვერასოდეს წარმოვიდგენდი, რომ ლეგენდარული კუპერი ჩემი ძმაკაცი ჯეკი იყო! დილით კი კოფელტი მეუბნება, დაკარგული 200 ათასის მოსაძებნად ჩემთან ერთად უნდა წამოხვიდეო!

ჩემი 16 წლის ვაჟი, ბაირონი თან ვიახლეთ და კასკადის მთებისკენ გავწიეთ. გზაში კოფელტი საკმაოდ უცნაურად იქცეოდა. უკანასკნელ წლებში იგი ძალიან გამოცვლილიყო, რაღაც სასტიკი, გაღიზიანებული მეჩვენებოდა. შუა გზაზე განაცხადა, მოგატყუე, არ ვარ კუპერიო. ცოტა ხანში ისევ დამთანხმდა, ნამდვილად მე ვარ და ფულს თუ მაპოვნინებ, ნახევარს მოგცემო. მერე ბაირონს აუტეხა ტყუილუბრალოდ ყვირილი. ერთი სიტყვით, ვერაფერს ვუგებდი, თუმცა მჯეროდა, რომ დოლარებს მივაგნებდით და მეგობარს გვერდით მივყვებოდი.

ჯეკ კოფელტის თქმით, იგი მიწაზე დაეშვა არა მერვინის ტბასთან, როგორც ამას პრესა ამტკიცებდა, არამედ 60-70 კილომეტრის მოშორებით, ვულკან ჰუდთან. სამი დღე ტყეში ფეხით ვიარეთ და აი, როგორც იქნა, ვულკანსაც მივადექით. დაკარგულ ფულს იქ თითქმის ერთ კვირას ვეძებდით, მაგრამ ამაოდ. არადა, კოფელტი დარწმუნებული იყო, 200 ათასი სწორედ სადღაც აქ უნდა იყოსო.

ერთ საღამოს რატომღაც აიჩემა, გინდა თუ არა, დროებით უკან დავბრუნდეთ, უახლოეს დასახლებამდეო. მის ნებას დავყევით, მაგრამ ქალაქამდე არმისულებს გამოგვიცხადა, თქვენ აქ დარჩით და მე მალე მოვალო. ვიფიქრე, ამ კაცს რაღაც დაემართა, არ არის გამორიცხული, თოფი იყიდოს და მამა-შვილი დაგვხოცოს-მეთქი. ჩემი ეჭვი, ვფიქრობ, გამართლდა. რამდენიმე საათის შემდეგ ტყეში, სადაც ჩვენ ვიმყოფებოდით, ორი თოფმომარჯვებული მამაკაცი გამოჩნდა. ადგილი ყურადღებით დაათვალიერეს და უკან გაბრუნდნენ. ისინი, ალბათ, კოფელტმა მოგვიგზავნა.

ამის შემდეგ ჯეკი აღარ მინახავს. თითქმის ექვსი წელი იმედს არ ვკარგავდი, რომ ადრე თუ გვიან, გამოჩნდებოდა და ყველაფერს ამიხსნიდა, მაგრამ შევცდი. წარმოდგენა არ მაქვს, სად არის იგი ამჟამად. არც ის ვიცი, იპოვა თუ არა ფული. მხოლოდ ერთ რამეში ვარ დარწმუნებული — კოფელტი უსამართლოდ მომექცა და ამიტომაც დავასმინე თქვენთან“.

### ჟურნალისტები გფბ-ს წინააღმდეგ

ჟურნალისტმა დირკ სამერსმა ამ საოცარი ამბის მომყოლი სიცრუის დეტექტორზე შეამოწმებინა. აპარატურამ დააფიქსირა, რომ ჯეიმს ბრაუნი სიმართლეს ამბობდა... სამერსმა ახლა კერძო დეტექტივები დაიქირავა და ძიებას მათთან ერთად შეუდგა. თუ ჯეკ კოფელტი და დენ კუპერი ერთი და იგივე პიროვნება იყო, მაშინ „ბოინგის“ სტიუარდესას ის ფოტოზე უნდა ამოეცნო. ბორტგამცილებელ შეფნერს ჟურნალისტმა ბრაუნის მიერ გადაღებული კოფელტის ფოტოსურათი წარუდგინა და ქალმაც მაშინვე წამოიძახა:

— ღმერთო ჩემო! ვერასოდეს წარმოვიდგენდი, რომ მის სახეს კვლავაც ვიხილავდი!

იგივე ფოტო სამერსმა ერთ-ერთ პილოტსაც უჩვენა, მაგრამ ამ უკანასკნელმა თქვა, ეს ის კაცი არ არის, თვითმფრინავში ბომბი რომ შემოიტანაო... იგივე განაცხადა „ბოინგის“ ერთმა მგზავრმაც, კუპერის მახლობლად რომ იჯდა. სამერსი საგონებელში ჩავარდა და სანამ პუბლიკაციას გამოაქვეყნებდა, გფბ-ს მიმართა.

ფედერალური ბიუროს გამომძიებლებმა ყურადღებით მოუსმინეს ჟურნალისტს, თუმცა ამ უკანასკნელს მოეჩვენა, რომ გფბ-მ ისედაც ყველაფერი იცოდა. სამერსს ურჩიეს, კოფელტის შესახებ არაფერი დაწეროო, რადგან ძიებას ამით ხელს შეუშლიო. რამდენიმე დღის შემდეგ ჟურნალისტმა მასალა მაინც გამოაქვეყნა.

„გფბ საეჭვოდ იქცევა, — წერდა სამერსი. — განმიცხადეს, ჯეკ კოფელტის თაობაზე არაფერი გვსმენიაო, მაგრამ როდესაც ამ კაცის დოსიეს დუბლიკატი ჩავიგდე ხელთ, მაშინვე წამართვეს და დამემუქრნენ, ჩვენს საქმეში ცხვირს ნუ ჩაჰყოფ, თორემ პრობლემები შეგექმნებაო. ვფიქრობ, კოფელტი (იგივე დენ კუპერი) ბიუროს საიდუმლო აგენტი იყო და ხელისუფლება ამას მალავდა“.

გაბედული ჟურნალისტი პუბლიკაციის დაბეჭდვით არ დაკმაყოფილდა და ძიება განაგრძო. რამდენიმე თვე დასჭირდა თავად ჯეკ კოფელტის ადგილსამყოფლის დასადგენად, მაგრამ დააგვიანა — ის ერთი კვირის გარდაცვლილი დახვდა. სიკვდილის ოფიციალური ვერსია ავთვისებიანი სიმსივნე იყო.

მალე გარდაიცვალა ჯეიმს ბრაუნიც... ისიც — კიბოთი(!)...

ამასობაში ამერიკულმა პრესამ ერთხმად აიტაცა დირკ სამერსის ინიციატივა და ფედერალურ ბიუროს ბრალდებათა კორიანტელი დაატეხა, თუმცა მრავალი კითხვა მაინც უპასუხოდ დარჩა.

### სად გაქრა კუპერის ფული?

1980 წლის 13 თებერვალს გაზეთმა „ლოს-ანჯელეს თაიმსმა“ ასეთი ცნობა გამოაქვეყნა: „მდინარე კოლუმბიის ქვიშიან ნაპირზე რვა წლის ბიჭუნამ — 20-დოლარიანების რამდენიმე შეკვრა, სულ 8 ათასი დოლარი, იპოვა. გფბ-ს წარმომადგენელმა ოფიციალურად განაცხადა, რომ ამ კუპიურების სერიათა ნომრები ემთხვევა იმ ბანკნოტებისას, 1971 წელს დენ კუპერად ცნობილ ტერორისტს რომ გადასცეს“.

ამ ინფორმაციამ უამრავი ადამიანი დააინტერესა. მაშინვე გაჩნდა ლოგიკური კითხვა: რატომ არ დაზიანდა 9 წლის მანძილზე ქაღალდის ფული? აღმოჩნდა, რომ შეკვრები წყალგაუმტარი ქსოვილისგან დამზადებულ ტომარაში ეწყო, სწორედ იმ ტომარაში, რომლითაც 1971 წელს ტერორისტს 200 ათასი დოლარი მიართვეს. მაგრამ სად გაქრა დანარჩენი თანხა? ეგებ, ჰაერში გაიფანტა? არადა, იმ 8 ათასის მპოვნელი ბიჭუნა ამბობდა, ტომარას თავი ძუით ჰქონდა შეკრული და ძლივს გავხსენიო...

პრესა კვლავ ახმაურდა, მაგრამ საქმე ამაზე შორს აღარ წასულა.

მას შემდეგ 20 წელი გავიდა და ჰაერში ძარცვის ის უნიკალური შემთხვევა კვლავ საიდუმლოებითაა მოცული. ენთუზიასტები კასკადის მთებში დღემდე ეძებენ კუპერის ფულს.

*რამდენიმე თვის წინ დენ კუპერის ორიგინალური მეთოდი კიდევ ერთმა ადამიანმა გამოიყენა.*

*ფილიპინელმა ახალგაზრდამ, რომლის სახელიც პოლიციამ გაასაიდუმლოვა, „აერობუს-300“-ში ხელყუმბარა და თვითნაკეთი პარაშუტი შეიტანა. თვითმფრინავი ასრულებდა რეისს: დავაო-მანილა. მანილაში ჩაფრენამდე 35 წუთით ადრე ტერორისტი პილოტთა კაბინაში შეიჭრა, იქ მყოფთ აფეთქებით დაემუქრა და კურსის შეცვლა მოითხოვა.*

*ავიალაინერის მეთაურმა უცნობს განუცხადა, ეს შეუძლებელია, რადგან თვითმფრინავს საწვავის მცირე მარაგი აქვს და მხოლოდ მანილამდე ეყოფაო. ამის შემდეგ თავდამსხმელმა გასაოცარი სისწრაფით გაძარცვა ბორტზე მყოფი ორასამდე მგზავრი, ნადავლი ჩემოდანში ჩატენა და სტიუარდესას საავარიო ლუკის გაღება მოსთხოვა.*

*თვითმფრინავმა ამ დროს დაშვება დაიწყო, ის 2 კმ სიმაღლეზე იმყოფებოდა. ტერორისტმა საკმაოდ მარჯვედ მოირგო პარაშუტი, ჩემოდანი წელზე მიიბა და ღამის სიბნელეში გაუჩინარდა.*

*ერთი საათის შემდეგ პოლიცია დამნაშავის ძებნას შეუდგა. დილით, ლიაბაკის ტბის მახლობლად მისი გვამი აღმოაჩინეს. უიღბლო დამნაშავემ, როგორც ჩანს, ვერ გათვალა ჩემოდნის სიმძიმე და ძირს ისეთი ძალით დაენარცხა, ლამის მთლიანად ჩაეფლო ქვიშაში. ზემოთ ხელებიღა დარჩენოდა. ნაძარცვი ფულითა და ძვირფასეულობით დატენილი ჩემოდანი 16 კგ-ს იწონიდა.*

**გვერდი მოამზადა მიხეილ ჩერქეზიამ**

# ცხოვრებისეული კურიოზები

## ზოგი ჭირი მარგებელია



აფხაზეთიდან გადმოხვეწილსა და უსახლკაროს, ნათესავ-ახლობლებმა ფული შემიგროვეს, ცოტაც ვისესხე, დავამატე და თბილისის ერთ-ერთ ძველ უბანში (ჩუღურეთი) არასტანდარტული ერთოთახიანი ბინა შევიძინე საკმაოდ იაფად.

ბინის პატრონი რუსი ეროვნებისა გახლდათ. იგი საცხოვრებლად სხვა ქალაქში გადადიოდა. ბინა იმ პირობით მოგვყიდა, რომ ყველა ძველ ნივთს, მათ შორის, ტელევიზორსა და პიანინოს, შევიძენდით. მე კატეგორიული წინააღმდეგი ვიყავი — ვფიქრობდი, ამ გაჭირვების ჟამს რა მეპიანინოება და მემხიარულება-მეთქი, მაგრამ ისე მთხოვა და მეხვეწა, რომ უარი ვერ ვუთხარი, მოვრიგდით და პიანინო 100 დოლარად ვიყიდე.

მალე ბინა წესრიგში მოვიყვანე და ოჯახის წევრებთან შეთანხმებით პატარა პურმარილი მოვაწყვე. ახალმოსახლეობის ზეიმს ჩემი ბიჭვინთელი მეზობელი და ოჯახის ახლობელი დიმიტრი ჯიშკარიანიც ესწრებოდა. იგი ცოტა შეზარხოშდა და პიანინოს მიუჯდა, დაუკრა და ვიმღერეთ... შემდეგ გვერდზე გამიხმო და მითხრა:

— ხვალ სპეციალისტს მოვიყვან, თუ არ ვცდები, ეს პიანინო ანტიკვარულია.

მეორე დღეს მართლაც მოიყვანა ნაცნობი სპეციალისტი, რომელმაც დაადასტურა პიანინოს ანტიკვარულობა და შემომთავაზა მისი გაყიდვა. დავთანხმდით და გავყიდეთ 5.000 დოლარად. ვალებიც გავისტუმრე და გავფართოვდით კიდეც.

ამაზე იტყვიან, „ზოგი ჭირი მარგებელია“.

***ენგული იობაძე***

## ...ტანკში, შიგნით



ჩემი მეგობრის შვილი რუსულ ჯარში მსახურობდა. მისი ნაწილი შუა რუსეთში მოხვდა. ყველა მშობლის მსგავსად, ჩემს მეგობარსაც აწუხებდა შვილის დარდი და ენატრებოდა კიდეც. რამდენჯერმე მისწერა, — შვილო, სამხედრო ფორმაში გადაღებული სურათი გამომიგზავნეო. შვილმაც „არ დააყოვნა“ და ჯარიდან უზარმაზარი ტანკის სურათი გამოგზავნა, რომელსაც ეწერა: „მამიკო, მე ტანკში ვზივარ, შიგნით“.

***თეიმურაზ ვარდოსანიძე, თბილისი***

## ტვინიანი ბატი

მეხუთე კლასში ვიყავით. ერთი ძალიან ცელქი ამხანაგი მყავდა, სახელად დათო. ხატვის მასწავლებელმა ბევრი უთმინა, ბოლოს გაბრაზებულმა დაუყვირა:



— გაჩერდი, შენი ხმა აღარ გავიგონო, უტვინო ბატო!

დათო წამოდგა და უთხრა:

— არა, მასწ, მე უტვინო კი არა, ტვინიანი ბატი ვარ.

ყველას სიცილი აგვიტყდა, თვით მასწავლებელსაც კი.

***„კუნა“***

## აბა, გამოიცანი



ჭიათურაში ცხოვრობდა იუმორით სავსე, ყველასათვის კარგად ცნობილი პიროვნება ჟორია ერგემლიძე.

თურმე ერთ დღეს ჟორიას ბიჭი ბიოლოგიის გაკვეთილზე მასწავლებელმა გამოიძახა. ჩიტი კუდით დაიჭირა, უკანალით აჩვენა და ჰკითხა:

— რა ჯიშის ჩიტია?

ბიჭმა ვერ გამოიცნო და გაბრაზებულმა მასწავლებელმა მშობელი დაუბარა.

მეორე დღეს ბიოლოგიის გაკვეთილი ჩვეულებრივად მიმდინარეობდა...

შუა გაკვეთილზე კარი გაიღო და უკანალით მობრუნებული, შარვალჩახდილი ჟორია გამოჩნდა. იგი უკანსვლით კლასისკენ მოიწევდა და თან მასწავლებელს ეძახდა:

— აბა, პატივცემულო მასწავლებელო, გამოიცანი ვისი მშობელი ვარ?!

***„კუნა“***

## კიდევ კაი



ერთი ძმაკაცი მყავს — ტარიელი. რომ შეხედავ, „წყალში დამხრჩვალი ბეღურა“ გეგონება. იმიტომ თქვა სოსოია ხარაბაძემ:

— ბავშვი სანამ არ გაიზრდება, სახელი არ უნდა დაარქვა.

ჰოდა, ერთხელ დილით გამოვიდა „ბირჟაზე“ ჩვენი ტარიელი, ხუთიოდე ბიჭი მაინც ვიდექით... „პახმელიაზე“ ვართ.

— აუ, ბიჭებო, რა კაი ხასიათზე გევიღვიძე ამ დილით? — გაიზმორა ტარიელმა...

— კიდევ კარგი, თვარა ხომ დაგვწყვიტავდი ყველას — უთხრა ჩვენმა ძმაკაცმა ტიკომ.

***ჯანო ონიანი, ქუთაისი***

# მკითხველის საყვარელი ანეკდოტი



სვანს ეუბნებიან:

— გაიგე, გუშინ მიწისძვრა რომ იყო?

— კი, ბიჭო, ძლივს შევასწარი სახლში.

***სერგო კვირიკაშვილი, ქუთაისი***



შვილი მიხოს:

— მამი, მასწავლებელმა მითხრა, — ვაშლი ვაშლის ხიდან შორს არ ვარდებაო.

— უხ, მე შენი... შენ რა, უკანალზე უჩქმიტე?

***გოგიტა ჩილინდრიშვილი***



— იცი რა, ტელევიზორი გაზეთს ვერასოდეს შეცვლის.

— რატომ?

— აბა, დაიძინე ისე, რომ სახეზე ტელევიზორი დაიფარო.

***თეა ჯიმშიტაშვილი***



ჟურნალისტი მიდის ფსიქიატრიულის მთავარ ექიმთან და ეკითხება:

— მართალია თუ არა, რომ ფსიქიატრების უმრავლესობა აფრენს?

მთავარმა ექიმმა ხელები გაასავსავა:

— როგორ გეკადრებათ, ბატონო!

ამ დროს ერთი ფსიქიატრი მთავარ ექიმთან საბუთზე ხელის მოსაწერად შემოვიდა. გაჩერების დროს მანქანასავით დაამუხრუჭა. გავიდა თუ არა, ჟურნალისტმა მისი საქციელის ახსნა სთხოვა მთავარ ექიმს. მან კი გაკვირვებულმა იკითხა:

— რა იყო, ცუდად გააჩერა?

***დავით რატიანი, სენაკი***



სიკვდილის წინ მიხომ ძალღონე მოიკრიბა და ცოლს ჩურჩულით უთხრა:

— შემისრულე უკანასკნელი თხოვნა, ჩემი სიკვდილიდან 6 თვის შემდეგ ცოლად გაჰყევი ვანუას...

— მე კი მეგონა, შენ ის გეჯავრებოდა?!

— აუ, მეჯავრება და მერე როგორ!..

***ვაჟა გრიგოლია***



— იცი, რა იდიოტი მეზობელი მყავს? მთელი ღამე კედელზე მიბრახუნებდა.

— მერე, შენ რას შვრებოდი?

— მე რა? მთელი ღამე დოლს ვუკრავდი.

***აბესალომ ლალიაშვილი***

***ბატონო მკითხველო, რედაქცია კვლავ ელის თქვენგან კურიოზებსა და ანეკდოტებს. გამოგვიგზავნეთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. ყუთების მისამართი იხილეთ ბოლო გვერდზე.***

## საქართველომ, როგორც იქნა, აღიარა...

საქართველოს სახელმწიფო უშიშროების მინისტრმა ვახტანგ ქუთათელაძემ პირველად განაცხადა იმის შესახებ, რომ საქართველოს ხელისუფლება მზად არის, რუსეთის მხარეს გადასცეს ჩეჩენი ბოევიკები, რომლებსაც თბილისის საავადმყოფოში მკურნალობენ. ლაპარაკია, პირველ რიგში, იმ ბოევიკების შესახებ, რომლებიც



ძიებაში იმყოფებიან რუსეთის ტერიტორიაზე დანაშაულის ჩადენის გამო. ბ-ნ ქუთათელაძის აზრით, ეს ნაბიჯი არ ეწინააღმდეგება დადგენილ საერთაშორისო ნორმებს. თუ გავითვალისწინებთ საქართველოს პრეზიდენტის განცხადებას საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ რუსეთთან ერთობლივი ბრძოლის საჭიროების შესახებ, ეს სავსებით ლოგიკური და გამართლებული ნაბიჯია. ქართული მხარე რუსეთის სამართალდამცავ ორგანოებს გადასცემს მხოლოდ იმ ბოევიკებს, რომლებიც საქართველოს ტერიტორიაზე 20 ოქტომბერს შეიჭრნენ (ინგუშეთის საზღვართან) და არაფერს ამბობს სხვა ბოევიკებზე, რომლებიც რუსეთის სამხედრო დაზვერვისა და რუსეთის შინაგან საქმეთა მეთაურის ვლადიმირ რუშაილოს მტკიცებით, დიდი ხანია საქართველოში, კერძოდ პანკისის ხეობაში იმყოფებიან. ბოევიკების გადაცემის ფაქტს რუსეთის მხარე მიესალმება, მით უფრო, რომ საქართველოს სხვადასხვა რანგის მოხელეები უარყოფდნენ ჩეჩენი ბოევიკების საქართველოში შეჭრას. ვახტანგ ქუთათელაძემ კი, არა მარტო დაამტკიცა ჩეჩენი ბოევიკების იქ ყოფნა, არამედ აღნიშნა კიდეც, რომ დაჭრილი ბოევიკები თბილისის 31-ე ავტოქარხნის საავადმყოფოში მკურნალობენ. როგორც ჩანს, ჩეჩენი ბოევიკები იმკურნალებენ და ახალი ბრძოლებისთვის მოემზადებიან. მოსკოვში, საქართველოს საელჩოში ეს ინფორმაცია ვერც დაადასტურეს და ვერც უარყვეს. თუმცა საქართველოს სახელმწიფო უშიშროების მინისტრის განცხადება იმედს გვაძლევს, რომ ორი ქვეყნის სამხედრო-პოლიტიკურ ურთიერთობაში სერიოზული ცვლილებები მიმდინარეობს.

***იზვესტია №204***

## თბილისსა და მოსკოვს შორის მოლაპარაკება, შესაძლოა, ჩიხში მოექცეს

ვაზიანისა და გუდაუთის აეროდრომების ბედის გადაწყვეტაში მთავარი დაბრკოლება საკითხის მიმართ მხარეების სხვადასხვაგვარ მიდგომაში მდგომარეობს. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთი ახდენს სტამბოლის სამიტის გადაწყვეტილებათა შესრულების დემონსტრირებას, მოსკოვსა და თბილისს შორის სამხედრო ობიექტებთან დაკავშირებული პრობლემები მაინც ღიად რჩება. საქმე ის არის, რომ თბილისს საქართველოს ტერიტორიიდან ბაზების გაყვანის შემდეგ სურს, საერთოდ გამორიცხოს ვაზიანსა და გუდაუთაში სამხედრო აეროდრომების ექსპლოატაციის შესაძლებლობა.

რუსეთის მხარეს ეს, რასაკვირველია, ხელს არ აძლევს: ჯერ ერთი, საფრთხის ქვეშ რჩება ГРВЗ-ს მომარაგება მატერიალური რესურსებით, მეორეც — მოსკოვი კარგავს სტრატეგიული მანევრირების შესაძლებლობას.

სწორედ ამ გარემოებებით იყო განპირობებული იმ მოლაპარაკებათა სირთულე, რომელიც ახლახან გაიმართა თბილისში რუსეთის ვიცე-პრემიერ ილია კლებანოვთან. თუ ვაზიანის აეროდრომის მიმართ მიღწეული იქნება რაიმე კომპრომისი (ვთქვათ, სანამ ГРВЗ არსებობს, შეიძლება მისი ერთობლივი გამოყენება ან დაგირავება), მაშინ ანალოგიური ობიექტის მიმართ გუდაუთაში თბილისიც უფრო მკაცრ პოზიციას დაიჭერს.

ქართულ მხარეს ხელს არ აძლევს მოსკოვის წინადადებები აფხაზეთში დისლოცირებული რუსეთის სამხედრო ბაზების მომავალი ბედის თაობაზე. მხარეები თანახმანი არიან, რომ გაყვანილი იქნება ყველა სახის შეიარაღება და სამხედრო ტექნიკა, მაგრამ საქართველო წინააღმდეგია მის ობიექტზე რუსეთის მშვიდობისმყოფელი ძალების სარეაბილიტაციო ცენტრის ფორმირებისა, რასაც მოსკოვი სთავაზობს. სხვათა შორის, საკითხი, თუ სად გაიყვანენ მე-10 პოლკის სამხედრო ტექნიკას, საბოლოოდ არ არის გადაწყვეტილი. მოლაპარაკების მონაწილეებმა იციან, რომ აფხაზეთიდან სამხედრო ტექნიკისა და შეიარაღების უმტკივნეულო გაყვანა შეუძლებელია.

მას შემდეგ, რაც აფხაზეთის ხელმძღვანელობამ განაცხადა, რომ არ დაუშვებს თავისი ტერიტორიიდან რუსეთის შეიარაღების გაყვანას, ნათელი ხდება, რომ მე-10 საპარაშუტო-სადესანტო პოლკის სამხედრო მანქანების პარკს სოხუმში განალაგებენ, სადაც მდებარეობს მშვიდობისმყოფელთა კოლექტიური ძალების შტაბი; აგრეთვე გალში, სადაც დისლოცირებულია მოწინავე სამეთაურო პუნქტი. აფხაზები ამ ვარიანტზე თანახმანი არიან, თუმცა უკვე ცხადია, რომ პოლკის ზურგის სამსახურები გუდაუთაში განლაგდება — მხოლოდ აქ არის ის საჭირო ინფრასტრუქტურა, სადაც შესაძლებელია მშვიდობისმყოფელთა დიდი მატერიალური მარაგის შენახვა. გარდა ამისა, ყოფილი გუდაუთის ბაზის ობიექტებზე 2001 წლის 1 ივლისის შემდეგ, შესაძლოა, დარჩეს საკომენდანტო ასეული, რომელიც ემსახურება და იცავს კავკასიაში უდიდეს, აქ დისლოცირებულ აეროდრომს, აგრეთვე დარჩება სამხედრო-სატრანსპორტო ვერტმფრენები, რომლებიც გაეროს სამხედრო მეთვალყურეებს ემსახურება.

შესაძლოა, რუსეთის ქვედანაყოფების ასეთ დისლოკაციას საქართველო არ დაეთანხმოს. მაგრამ საეჭვოა, რომ ამან მოსკოვზე ზეგავლენა მოახდინოს. აეროდრომი გუდაუთაში „დაკონსერვებულია“, რადგან რუსეთის თვითმფრინავებს იქ ჩასაფრენად საქართველოს თანხმობა ესაჭიროებათ. გარდა ამისა, თვითმფრინავებმა თბილისში სასაზღვრო და საბაჟო კონტროლი უნდა გაიარონ. მაგრამ ეს ფაქტი სულაც არ ამცირებს გუდაუთაში აეროდრომის მნიშვნელობას გეოპოლიტიკურ პლანში.



სამხედრო ექსპერტთა აზრით, რომლებიც აანალიზებენ სიტუაციას ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში, თუკი რუსეთი დასთანხმდება თბილისის წინადადებას და დატოვებს აეროდრომს, „ეს იქნება ყველაზე დიდი შეცდომა“.

***ნეზავისიმაია გაზეტა №202***

## კავკასია: ოცნებისკენ მიმავალ გზაზე...

დამთავრდა რუსეთის პრემიერ-მინისტრის **მიხეილ კასიანოვის** ვიზიტი თურქეთში. „ახლა ჩვენ კონკურენტები კი არა, პარტნიორები ვიქნებით“, — განაცხადა კასიანოვმა თურქ კოლეგასთან შეხვედრის შემდეგ. მაგრამ ალბათ ამ პარტნიორობის პერსპექტივები გაცილებით ნისლიანია, ვიდრე შემოდგომის ანკარის წვიმიანი ზეცა.

დაგეგმილი მოლაპარაკება სამხედრო-ტექნიკურ თანამშრომლობაზე არ შედგა. როგორც ამბობენ, ამ საკითხზე მსჯელობა თურქეთის მხარემ თურქეთში რუსეთის გენშტაბის მეთაურის ვიზიტის შემდეგ გადადო, რაც დიპლომატიური უარის ერთ-ერთ ფორმად გამოიყურება. ახლა უკვე სრულიად ნათელია, რომ 4 მილიარდიანი კონტრაქტი აშშ-ს ერგება.

არც ენერგეტიკის სფეროში თანამშრომლობას უჩანს კარგი პირი. თურქებს არ მოსწონთ, რომ რუსეთი ძალიან ნელა აშენებს „ცისფერი ნაკადის“ მილსადენის თავის უბანს და შიშობენ, რომ „გაზპრომი“ მიწოდებას ვერ დაიწყებს 2001 წლისათვის, როგორც ეს შეთანხმებითაა გათვალისწინებული.

თურქეთში სამთავრობო დელეგაციასთან ერთად ჩავიდა ანატოლი ჩუბაისიც. მისი ვიზიტის ძირითადი მიზანია, დაიდოს შეთანხმება რუსეთის ელექტროენერგიის საქართველოზე გავლით თურქეთისთვის მიწოდების თაობაზე. ამჟამად რუსეთი ელექტროენერგიას ყიდის საქართველოზე, რომელიც, თავის მხრივ ყიდის თურქეთზე, მაგრამ საქართველო ენერგიის დიდ ნაწილს საკუთარი საჭიროებისთვის იტოვებს. ჩუბაისი სთავაზობს თურქეთს პირდაპირ კონტრაქტს, რომლის მიხედვითაც, საქართველო სატრანზიტო ქვეყნად დარჩება, რაც შეთანხმებულია ედუარდ შევარდნაძის ადმინისტრაციასთან.



თურქეთსა და რუსეთს შორის უკმაყოფილების მიზეზი საკმაოა. პირველი — ცხადია ჩეჩნეთია. თურქეთი ღიად უჭერს მხარს „ჩეჩენ ძმებს“ — ბოევიკები მკურნალობენ თურქულ ჰოსპიტლებში, ისვენებენ თურქულ კურორტებზე. თურქეთის მთავრობას თავი ისე უჭირავს, თითქოს ამის შესახებ არაფერი იცოდეს. ამასთან, დაძაბულობა ჩეჩნეთში თურქეთს ხელს აძლევს. ჯერ ერთი, ანკარაში დიდი ხანია მიაჩნიათ, რომ სწორედ თურქეთი უნდა იქცეს კავკასიის რეგიონის გეოპოლიტიკურ ცენტრად. ჩეჩნეთის ჩართვა კი თურქეთის გავლენის სფეროში ამ ოცნებისკენ მიმავალ გზაზე გადადგმული კიდევ ერთი ნაბიჯი იქნება. მეორეც — ჩეჩნეთზე გადის ნავთობსადენის ნაწილი, რომელიც „ბაქო-ჯეიჰანის“ კონკურენტია და, რომელსაც აქტიურად ლობირებს თურქეთი.

გარდა ამისა, თურქი პოლიტიკოსები არ მალავენ თავიანთ უკმაყოფილებას იმით, რომ რუსეთი აქტიურად თანამშრომლობს სომხეთთან, რომელიც მას შემდეგ, რაც საქართველომ დასავლეთისკენ გაიწია, რუსეთის ბოლო სტრატეგიულ მოკავშირედ რჩება კავკასიაში.

***იბეჭდება შემოკლებით***
***სეგოდნია №240***

## აზერბაიჯანი თუ აზადისტანი?

აზერბაიჯანის გაზეთმა „ზერკალომ“ 2,808 ბაქოელს შესთავაზა ეპასუხათ კითხვაზე — მხარს უჭერენ თუ არა „ჩრდილო და სამხრეთ აზერბაიჯანის“ გაერთიანების იდეას. რესპონდენტთა 63%-მა დადებითად უპასუხა, რაც მეთვალყურეთა აზრით, ბაქოში აკრედიტებულ ირანულ დიპლომატთა მორიგი უკმაყოფილების საგნად იქცევა. საერთოდ, ირანელი დიპლომატები ძალზე მწვავედ განიცდიან აზერბაიჯანული პრესის ფურცლებზე გამოქვეყნებულ ყოველგვარ პრობლემას აზერბაიჯანული წარმოშობის მოქალაქეთა მდგომარეობის შესახებ ირანში. უნდა ითქვას, რომ ოფიციალურად ირანში ამგვარი პრობლემა არ არსებობს, მაგრამ თეირანში კარგად იციან, რომ „აზერბაიჯანის საკითხი“ შენელებული მოქმედების ნაღმია, რომელიც თანამედროვე ირანის დანაწევრების პოტენციურ საკითხს წარმოადგენს და მან შეიძლება მთელ რეგიონში შექმნას ფეთქებადი სიტუაცია. დასავლელ მკვლევართა აზრით, ეს საკითხი, ქურთთა საკითხთან ერთად, განსაზღვრავს დიდი კავკასიის რეგიონში გეოპოლიტიკური პროცესების განვითარებას XX საუკუნის პირველ მეოთხედში. საინტერესოა ის გარემოება, რომ კავკასიის თანამედროვე ეთნიკური პრობლემები „დიდი აფეთქების“ „პრელუდიად“ ჩაითვლება, რომელიც, პირველ რიგში, თურქეთსა და ირანს შეეხება.

„მდინარე არაქსის ჩრდილოეთით მდებარე კავკასიის ეს ტერიტორია არასოდეს ყოფილა აზერბაიჯანი. ეს სახელი პირველად 1918 წელს დაერქვა მას. საუკუნეთა მანძილზე თანამედროვე აზერბაიჯანის რესპუბლიკას არაბები უწოდებდნენ არანს, სომხები — ალვანკს, ბერძნები — ალბანს, შემდეგ კი ალბანეთს. ამ ტერიტორიამ „აზერბაიჯანის“ სახელწოდება 1918 წელს თურქი ეროვნულ-მუსავატელების გადაწყვეტილებით მიიღო.

თავდაპირველად მისი დედაქალაქი იყო განჯა, მაგრამ თურქეთის არმიის მიერ ნავთობით მდიდარი ბაქოს ოკუპაციის (1918წ. 15 სექტემბერი) შემდეგ აზერბაიჯანის დედაქალაქი კასპიის სანაპიროზე გადაიტანეს. 1920 წლის 28 აპრილს კი ბოლშევიკებმა აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა გამოაცხადეს.“ ასე წარმოადგენს აზერბაიჯანის წარმოშობის პროცესს თანამედროვე ირანის ისტორიოგრაფია, ამიტომ აზერბაიჯანის პროვინციის სახელის შეცვლა ირანში არ კარგავს აქტუალობას. თეირანში სურთ, რომ ამ რეგიონს აზადისტანი — „თავისუფლების მიწა“ დაერქვას. აზერბაიჯანის ულტრანაციონალურ ნაწილს სურს „დიდი აზერბაიჯანის“ იდეის რეალიზაცია. ბაქოს „ზომიერ“ პოლიტიკოსებს მიაჩნიათ, რომ „აზერბაიჯანული პრობლემის“ ესკალაცია კიდევ უფრო გაართულებს აზერბაიჯანის ამჟამინდელ მდგომარეობას და გამორიცხული არ არის, რომ მან მორიგი შეიარაღებული კონფლიქტი გამოიწვიოს.

ირანში იციან, რომ ჰეიდარ ალიევი КГБ-ს სტრუქტურებში მუშაობის დროს სამხრეთ აზერბაიჯანის საბჭოთა აზერბაიჯანთან გაერთიანების იდეის ერთ-ერთი ინიციატორი იყო. იგი დღესაც „იმავე პარტიას თამაშობს“, მაგრამ უკვე თურქეთისა და აშშ-ის მხარეზე.

***ნეზავისიმაია გაზეტა №201***

## რას გვეტყვი, მამაო?

*მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს არქიმანდრიტი* ***მამა რაფაელი***

**— წლების განმავლობაში დაკარგული ნათლობის ჯვარი ვიპოვე თეთრეულში ჩადებული. მაინტერესებს, ხომ არ დაკარგა ჯვარმა თავისი ძალა? და კიდევ — აქვს თუ არა მღვდლის მიერ ნაკურთხ ყოველ ჯვარს ნათლობის ჯვრის მადლმოსილება?**

— მღვდელმსახურის მიერ ნაკურთხ ყოველ ჯვარს აქვს ერთი და იგივე ძალა, მაგრამ ნათლობის ჯვარი უნდა გვეძვირფასებოდეს, როგორც ჩვენი ცხოვრების ყველაზე დიდი მოვლენის გახსენება! ეს ჯვარი ძალას არ კარგავს ჟამთა ვითარებაში, მაგრამ თუ იგი დაუდევრობით გაჭუჭყიანდება (მაგალითად, დაისვრება მიწით), უნდა გაიწმინდოს და თავიდან აკურთხებინოთ!

**— მართლმადიდებელი ქრისტიანი ცოლად გაჰყვა გრიგორიანულად მონათლულ პიროვნებას, ჯვარი დაიწერეს მართლმადიდებლურ ეკლესიაში. ეთვლება თუ არა ცოდვად მართლმადიდებელს (მორწმუნეს) მონოფიზიტის ცოლობა?**

— ცოდვა იმაში მდგომარეობს, რომ საცოლემ არ გაითვალისწინა გათხოვებამდე მომავალი მეუღლის სარწმუნოებრივი აღმსარებლობა, რამეთუ ქრისტიანული ქორწინება გულისხმობს არა მარტო ხორციელ, არამედ სულიერ კავშირსაც. მაგრამ თუ ჯვრისწერა შედგა, არ ეგების განქორწინებაზე ფიქრი, პირიქით, უნდა ვეცადოთ, რომ კეთილი ქცევითა და მაგალითით მეუღლე მართლმადიდებლურ აღმსარებლობას ვაზიაროთ.

**— თუ ადამიანი ბავშვობისა და მოზარდობის ასაკში მოუნათლავია, შეიძლება ამან იგი არ შეაწუხოს, მაგრამ მოზრდილი ადამიანისთვის ეს ძალიან მტკივნეული განცდაა. მე უკვე 66 წლის ქალი ვარ და მოუნათლავობაზე ფიქრმა შემაწუხა. ოჯახშიც ვერავის ვეუბნები — მინდა ეს საიდუმლო მათ გარეშე აღვასრულო. ხომ არ მექნება რაიმე დაბრკოლება ამ მხრივ? შეიძლება თუ არა გაუხმაურებლობისათვის ნათლიად 2 წლით უფროსი ბიძაშვილი შევარჩიო?**

— გნებავთ თუ არა თქვენი ნათლობის გახმაურება, ეს თქვენი პირადი საქმეა, მაგრამ თუ ასაკის გამო გერცხვინებათ — ეს სრულიად უადგილო მორცხვობა გახლავთ. მრავალი წმინდანი მონათლულა ხანდაზმულობისას, ხოლო ქრისტიანობის დიდი ბურჯი — წმინდა კონსტანტინე სიკვდილამდე არცთუ დიდი ხნით ადრე მოინათლა.

**— ჩემთვის ცნობილია, რომ ავადმყოფობა ცოდვისაგან ჩნდება. მაგრამ წამალი კურნავს ავადმყოფს ცოდვის აღმოფხვრის და სინანულის გარეშეც. რატომ?**

— ავადმყოფობა რომ მხოლოდ ცოდვის შედეგი იყოს, ყველა წმინდანი ათლეტური აღნაგობისა იქნებოდა. ავადმყოფობა შეიძლება თვით ღირს მამებს მოევლინოთ, როგორც გამოცდა. მართალია, ავადმყოფობაც და სიკვდილიც შემოვიდნენ ჩვენს სამყაროში ცოდვის შედეგად, მაგრამ დასკვნების გაკეთება, რომ გრიპით გავხდი ავად, რადგან ცოლს წავეჩხუბეო, ნიშნავს ავადმყოფობებისა და განსაცდელთა მნიშვნელობის პროფანირებას ადამიანის ცხოვრებაში. რაც შეეხება წამლის მოქმედებას ადამიანის ორგანიზმზე, ბასილი დიდი წერს, რომ სხეული მიწიდან არის, წამალიც მიწიდან არის, ამიტომ მსგავსი იკურნება მსგავსით. ავადმყოფობა რომ აუცილებლად მონანიებით იკურნებოდეს, ადამიანები მოინანიებდნენ ცოდვებს არა სულის ხსნისათვის, არამედ ავადმყოფობებისაგან თავდასახსნელად. თვით აღსარებაც გადაიქცეოდა ფსიქოანალიზის სახესხვაობად. ავადმყოფობის დროს უფალს უნდა ვთხოვოთ განკურნება და ამავე დროს, გონივრულად გამოვიყენოთ მედიცინის მიერ მოწვდილი საშუალებანი.

**— ჯვარი, რომელიც გულზე მიკიდია, უნდა ეხებოდეს თუ არა უშუალოდ სხეულს?**

— ჯვრის ტარების საგანგებო წესები არ არსებობს, მაგრამ მიღებულია, რომ ნათლობის ჯვარი ატარონ ზედა ტანსაცმლის შიგნით. შეეხება იგი უშუალოდ სხეულს, თუ მის ზედა საცვალს, ეს თვით მორწმუნის გადასაწყვეტია.

**— ბავშვისთვის სასურველი ნათლია ნათლობის დროს არ ესწრებოდა საიდუმლოს. მისი სახელი არ მოუხსენებია მღვდელს. თუ შეიძლება მოგვიანებით მისი ლოცვებში მოხსენიება ისე, რომ იგი ნათლიად ჩაითვალოს?**

— ეს ადამიანი ნათლიად ვერ ჩაითვლება. ნათლია ესწრება მთელ საიდუმლოს და დებს პირობას, რომ ქმედით მონაწილეობას მიიღებს ნათლულის სულიერ აღზრდაში.

*თქვენთვის საინტერესო კითხვები მოგვაწოდეთ „კვირის პალიტრის“ ყუთების საშუალებით. მათი განლაგების შესახებ* *იხ. გვ. 32*

***თქვენს შეკითხვებს პასუხობენ მართლმადიდებელი მამები***



ძვირფასო მშობლებო და ჩვენო პატარებო! კვლავ მივიღეთ თქვენი წერილები. მადლობთ, რომ ასე აქტიურად გვეხმიანებით და მოგწონთ თქვენი გვერდი. თითოეულ ბარათს ვინახავთ და შევეცდებით, მათ შორის საუკეთესოები მომდევნო ნომრებში შემოგთავაზოთ.



## პაცანები გვინიოხობენ

— დამაჯინე, ბებო, რა? — ეუბნება ბებოს **3 წლის ჯუბი ჩიქოვანი.**

ცოტა ხნის შემდეგ:

— ბებო, ახლა ამადგინე, რა?

***

**3 წლის ნიკა მაზმიშვილის** ბებო სოფელში ძროხას წველიდა. ნიკამ უყურა და შემდეგ ჰკითხა:

— ბებო, ვედროში ფიშიები ჩაასხი და ჭუკულებიც შიგ ჩაყარე?

***

**პატარა თამუნა ბეკურაშვილი** დედას ეკითხება:

— დედიკო, მე კომბოსტოში ვიჯექი და ნათიკო ჭარხალში?

— კი, — უპასუხა დედამ.

— დიდი სტაფილო და კარტოფილიც რომ გეყიდა, ოთხნი ვიქნებოდით და თან ბორშჩსაც გააკეთებდი, — უთხრა საქმიანი ქალივით დოინჯშემოყრილმა თამუნამ.

***

— დედიკო, კბილებში ჩიჩია მაქვს! — წუწუნებს **პატარა ბაქარ იაკობაშვილი:**

— ე, ბიჭო, კომბლემ თუ გაიგო, გდრუზავს და გდრუზავს კომბალს! — პასუხობს ძმას, უმცროსი ირაკლი.

***

დილით გაიღვიძა **4 წლის ბექა ბაშაურმა** და დედას ეუბნება:

— დედიკო წუხელის სიზმარში გნახე.

— აბა მომიყევი, სად და როგორ მნახე? — ეკითხება დედა.

ბექა გაკვირვებით პასუხობს:

— როგორ, შენც იქ არ იყავი?

***

ტელევიზორში გამოჩნდა ზურაბ ჟვანია. **5 წლის ლევან მაღლაკელიძე** მამას ეუბნება:

— მამიკო, შეხედე, როგორ ჰგავს ეს კაცი იმ თოჯინას, „დიდების ზღაპარში“ რომ არის!

## III გამოიცანით გამოტოვებული ასოები და წაიკითხეთ ისრის მიმართულებით




## IV მოძებნეთ დაბოლოება, რომელიც საერთოა რვავე სიტყვისთვის




## V ნახალისი გამოცანა

თავს ხერხი წამომიდგია,
ბოლო მიმიგავს ნამგალსა,
რიჟრაჟს სიმღერას მოვყვები,
არ დავაძინებ ზარმაცსა.

## იპოვეთ 15 განსხვავება



## I რებუსი







## II გამოცანაკროსვორდი



**შვეულად:** 1. გული იწვის, ტანი დნება, ცრემლები სდის ნება-ნება; 2. მოქნილი და რბილია, ხან მწარე, ხან ტკბილია; 3. „კაკუნ-კაკუნ! კაკუნ-კაკუნ!“ მუდამ ხეზე ისადგურებს, სარგებლობა მოაქვს დიდი: ჭია-მატლებს ანადგურებს; 4. სავსე ტომარას ახურავს, კოხტა კახური ქუდი და ხეზე დაკიდებულა, იმავე ქუდის კუდით; 6. თეთრია და მწკრივად მდგარი, კაწკაწა და ფესვმაგარი; 7. ჭრიალა და თვლებიანი, შიგ უბია რქებიანი; 8. გარეული ცხოველია, ფეხებწვრილი, წაბლისფერი, ტოტებგაშლილ რქებს ატარებს, ვერ გაძლები მისი ცქერით; 10. სითბო-სინათლის მშობელი, კაშკაშა ცხოველმყოფელი, ცაში თუ დედამიწაზე, იმას შეხარის ყოველი.

**თარაზულად:** 1. ნაწილობრივ ხეა იგი, ნაწილობრივ ძუა, და გვერდებში მაშინ სცემენ, შიგნით ფქვილი თუა; 3. მიდი-მოდის ერთი რამე, იქვე კი დგას დღე და ღამე; 5. პატარა და წანწკარა, ცივია და ანკარა; 9. არც ფრთები აქვს, არც ფეხები, მას ვერც ხელით შეეხები, მიფრენს, მიქრის, არ ჩერდება, არც კვდება და არც ბერდება; 10. მსუნაგი და საძაგელი, მას სახელად ჰქვია...; 11. ნაზი არის და ჭრელფრთება, ვარდ-ყვავილებს თავს ევლება; 12. „ნადირთ მეფეს“ უწოდებენ, მას ძალ-ღონით არ ჰყავს სწორი, მსხვერპლს უსულოდ გააგორებს, თუ დაარტყა თავში ტორი; 13. ელი, ბელი, სათიბელი, ტანი გრძელი, პირი მჭრელი; 14. აწინწილა-მაწინწილა, პაწია და ხმაწინწილა.

## მოთხრობა–გამოცანა

ერთი ქვრივი დათუნია მეორე ქვრივ დათუნიაზე დაქორწინდა. თითოეულ მათგანს პირველი ქორწინებიდან უკვე ჰყავდა შვილები. მათი დაოჯახებიდან ათი წლის შემდეგ, ბუნაგში დიდი დავიდარაბა ატყდა, რომელშიც მონაწილეობდნენ შვილები (ამ დროისათვის ისინი უკვე 12-ნი იყვნენ). დედა დათუნიამ დაინახა თუ არა ასეთი აურზაური, მამა დათუნიასთან მიიჭრა ყვირილით: ჩქარა მოდი! ჩემი და შენი შვილები ურტყამენ ჩვენს საერთო შვილებს. გამოიცანით, რამდენი ბელი ეყოლათ ამ ათი წლის განმავლობაში, თუკი ცნობილია, რომ თითოეულ მათგანს ორივე ქორწინებიდან 9 საკუთარი შვილი ჰყავდა.

(პასუხი გამოგვიგზავნეთ წერილობით)

***წინა ნომერში შემოთავაზებული მოთხრობა-გამოცანის სწორი პასუხები გამოგვიგზავნეს:*** ნათია ბეკურაშვილმა, გიორგი დოლიძემ, ევგო ვახრამიშვილმა, ლაშა ართილაყვამ, ნინო კავკასიძემ, ლელა ოჩხიკიძემ, სოფიკო და გუგა სოფრომაძეებმა, ინგა და თორნიკე ჭილაშვილებმა, თეონა გოგაძემ, კახა მიქელაძემ, ჯაბა წურწუმიამ, მირანდა გოგაძემ, სალომე ცინცაბაძემ, ბექა მჭედლიძემ, მარიკა სურმავამ, სოფიკო და ვალერი ბურკაძეებმა, კობა ცერცვაძემ, დათუნა და დაჩი საგანელიძეებმა, რეზიკო დავითაშვილმა, გიორგი ოზბეთელაშვილმა, ეკა და ნინო ლორთქიფანიძეებმა, თორნიკე გაგნიძემ, ნინო დავითაშვილმა, თორნიკე ტალახაძემ, სოფიკო გძელიშვილმა, გიორგი და კახა ბერძენიშვილებმა, მარიამ და თორნიკე ფერაძეებმა.

***სწორი პასუხი კი ასეთი გახლავთ:*** მეეზოვე მიტო პაპამ ბოთლი უნდა ამოიღოს ყუთიდან წარწერით: „თეთრი და მწვანე“.

## გაამფერადე ფერადი ფანქრებით





რის წაღებას შეძლებს ზღარბი ეკლიანი ზურგით




პასუხები იხილეთ 25-ე გვერდზე

გვერდი მოამზადა მამუკა ხუციშვილმა

CMYK

## ძველად, საქართველოში:

...ბუხარში ცეცხლი გუზგუზებდა. ხალვათად გაწყობილ სუფრაზე სანთლის ალი კოხტა შანდლებიდან თიხის ჯამებში ირეკლებოდა. საცაა, მზე უნდა ამოსულიყო. „წინწყარო“ რომ მინელდა, მხარბეჭიანი თამადა ფეხზე წამოდგა და მერიქიფემ უმალ შევსებული თასი მიაწოდა — ბიჭებო! მოდი, ეს იმ ვაჟკაცს გაუმარჯოს, სამშობლოს გასაჭირი რომ გაუგია და უიარაღო, მაინც ბრძოლის ველზე გაქცეულა — „იარაღს, მტერი მოიტანსო...“ როდესაც სადღეგრძელომ სუფრის წევრებში ჩამოიარა, იქაურობას სევდიან ნისლად დაედო მადლიანი „შინმოუსვლელო“...

*ქართველები არ გლოვობდნენ. ისინი ქეიფობდნენ. და ამ დროს ყველა და ყველაფერი ახსოვდათ — წარსულიც, აწმყოც და მომავალიც.*

## დღეს საქართველოში:

...აბარბაცებულ თამადას ღიპი ნაომარ,ხორაგით სავსე მაგიდაზე ჩამოუდვია და რაღაცას ლუღლუღებს. ბოლოში მის „მოადგილეს“ საცივიან თეფშში ჩაუდვია თავი და გემრიელად ხვრინავს. ზოგჯერ კი წყვეტილად ბურტყუნებს: გაუმარჯოს... გეხუტუნე... გადი იქით... შეავსეთ... გადი-მეთქი იქით, ქალო.. ირგვლივ სიგარეტის ბული და ღრიანცელია. ვიღაცა სევდიანად ბღავის (არც სმენა, არც ნამუსი), ერთგან გულმოდგინედ აჰყვნენ, მაგრამ სხვა რაღაცას ღნავიან — ტექსტური უთანხმოება და ძმური გაგება.

— ბიჭებო! ისე დასჭყივლა ერთმა ახმახმა, რომ გვერდით მინაბული სანდომიანი ქალბატონი გვარიანად შეხტა, „მოადგილემ“ კი ჩაიბურტყუნა და თავი საცივიდან მწვანილებში გადადო. „ჩემი დედა... აზრზე არა ხართ, რა მაგარი რამე უნდა ვთქვა — ქანაობს ახმახი, ხილიან ვაზას ათავისუფლებს და გვერდით მჯდომი მანდილოსნის კალთის გავლით, სკამზე მიძვრება...

*ქართველები არ ქეიფობენ, ღრეობენ. აქ არავის ახსოვს წარსული და აწმყო.*

*მომავალზე ლაპარაკი ზედმეტია.*

. . .

ქალაქში წვიმდა. ქუჩას ნელი ნაბიჯით მივუყვებოდი და გამვლელებს ვაკვირდებოდი.

...უწინ „პურობა“ ცალკე იყო და „ნადიმი“ ცალკე. არა, ღრეობა ყოველთვის იყო, მაგრამ ასე მასობრივად ქართულ სუფრებზე ჭამა-სმისა და თრობის ზეიმი არასოდეს ყოფილა — ჩემი მეგობრის, ნოდარის ნათქვამი გამახსენდა — „ქართული სუფრა თავისებური რიტუალია, საკუთარი თავის შეცნობისა და რეალიზების რიტუალი“. სულითა და გულით ვეთანხმები, მაგრამ დღეს ხომ პირიქით არის — უმეტესობა სუფრაზე ისე თვრება, თავის „შეცნობა-რეალიზება“ კი არა, ბოლოს, გამზრდელ დედას ველარ ცნობენ ხოლმე...

ბევრი არ მიფიქრია. „რუსთაველიდან“ აღმართს შევუყევი და ქართულ სუფრაზე სასაუბროდ **ვახუშტი კოტეტიშვილს** მივადექი — საქართველოს ყველა კუთხე შემოვლილი აქვს, ქართული ქეიფის ყადრი იცის და სიტყვისაცმეთქი. ჩემი თხოვნა რომ მოისმინა, ვახუშტი ბატონმა ოთახში შემიპატიჟა და ცერემონიების გარეშე, სევდიანად დაიწყო:

1954 წელს პირველად ვიყავი საინგილოში. კახის სკოლაში პატარა ლონისძიება ჩავატარეთ. საღამოს კი სუფრა გაიშალა, რომელსაც სკოლის დირექტორი, ერთი დარბაისელი კაცი თამადობდა. მე მის გვერდით მოვხვდი და პირველკურსელი სტუდენტი დიდი ინტერესით ვაკვირდებოდი ჩვენგან მოწყვეტილი კუთხის ტრადიციებს. ჩემი ყურადღება ერთმა გარემოებამ მიიქცია — თამადა ერთ-ერთ სუფრის წევრს ეუბნება: „შენ ამ სადღეგრძელოს გამოტოვებ“. მერე მეორეს უთხრა: „შენ ამას გამოტოვებო“ და ა.შ. — დავინტერესდი, რატომ ეუბნებით-მეთქი. „ცოტა შეთვრა და რომ გამოფხიზლდესო“. გავოცდი, როგორ, თქვენთან ეგეთი წესია-მეთქი? „ჩვენთან კი არა, შვილო, მთელ საქართველოში იყო წინათ ასეთი წესი — ჩვენთან შემორჩა. სუფრაზე კაცი არ უნდა დათვრესო“ — მას შემდეგ მთელი საქართველო მოვიარე და მსგავსი რამ სამწუხაროდ, აღარსად შემხვედრია. ფეხარეულ სტუმარს რომ სახლიდან გაუშვებს, მასპინძლის სირცხვილია. — ჩვენთან კი პირიქით არის, თუ კაცი კიბეზე არ დაგორდა, ითვლება, რომ კარგად ვერ „უმასპინძლეს“... აი, როგორ გადავჯიშდით და გადავგვარდით. არა, კი ბატონო, დალიე დიდი სასმისებით, თუკი იტან. და თუ ვერ იტან?! — ეს კუდაბზიკობა რამდენ უბედურებას ბადებს... ეს კი არა, მინახავს — ღვინოში საცივს ჩაასხამენ, კიდევ რაღაცებს ჩაყრიან და ისე სვამენ — ეს არც სპორტული ჟინია და აღარც ქეიფი. უბრალოდ ღორობაა.

## ...ჩანართი პირველი:

*კახეთში ქორწილია. იმერელი პატარძლის მაყრიონს თავისი „ფალავანი“ წამოუყვანია. ორასკილოიანი, გოლიათი კახელი ბატონკაცურად წამომჯდარა კაკლის ჩრდილში და თავს ცვრიანი მწვადით „იყოლიებს“. ამ დროს ეზოში წელში გაზნექილი „ზაპოროჟეცი“ შემოტრახტრახდება და მანქანიდან ასოთხმოცკილოიანი იმერელი დევკაცი გადმოდის.*

*დაიწყო ლხინი — უფრო სწორად, — შეჯიბრი. გამთენიისას სუფრასთან ორნიღა დარჩნენ — თავში კახელი, ბოლოში იმერელი. დანარჩენები, ვინც ვერ გაასწრო, იქვე არიან უწესრიგოდ მიყრილ-მოყრილი. „ამაი როდემდე ვუყუროო“ — ბრაზდება კახელი და ბრძანებს, ღვინით სავსე ვედრო მოიტანონ. ღვინოში მცირეოდენ საცივს, ყაურმას და „ათიოდე“ ნაჭერ მწვადს ჩაყრის, შემდეგ ვედროს მოიყუდებს და ბოლომდე ცლის (მწვადიან-ყაურმიანად). იმერელს კი ეცვალა ფერფური, მაგრამ რაღას იზამდა. ეგაა, საცივი და ყაურმა აღარ ჩაუშვია, ორიოდ ნაჭერი მწვადით დაკმაყოფილდა და ვედრო მოიყუდა. ნახევრამდე არ იყო მისული, რომ გადასცდა და გული შეუღონდა. გულწასული მოაბრუნეს, გამარჯვებული კახელი კი საზეიმო იერით გაემართა დასაძინებლად. დილით იმერელი გარდაცვლილი ნახეს. როგორც ჩანს, კახურ მძიმე ღვინოს მიუჩვეველმა ორგანიზმმა ველარ გაძლო და ქორწილი — ქელეხში გადაიზარდა...*

# ქართული სუფრა

(„მრავალჟამიერიდან“ – მშობელი დედის გინებამდე)




**— ბატონო ვახუშტი, დასავლეთ საქართველოში გავრცელებულ ღვინის სმის „ტოტალურ“ ხერხებზე რას გვეტყვით. რამდენად ხალხურია მაგალითად, ერთ სადღეგრძელოში ერთბაშად, რამდენიმე ჭიქას რომ „მიართმევენ“ ხოლმე ლანგრით „თამადას?**

— ათას სისულელეს იგონებენ: „სამკუთხედიო“, „პირამიდაო“ — არანაირი კავშირი ამ მასკარადს ფოლკლორთან და ხალხურ ტრადიციებთან არა აქვს. პირიქით, სრული დეგრადაციის ნიშანია და ქართული სუფრის წესს ეწინააღმდეგება — კახელები ნალდ ღვინოს ახლაც ბოლომდე შეუვსებელი ჭიქით სვამენ და იმასაც ძირში ტოვებენ — „ანგელოზმა ფეხები უნდა ჩაიბანოსო“... უკუღმართობები „განსხვავებულებით“ მას მერე დაიწყო, რაც ღვინო გააფუჭეს და წყალწყალა, ათას „სიკეთე“ გარეული ღვინის სმა დაიწყეს. არადა, საქართველოში ხომ ოდითგანვე ღვინის კულტი იყო. სუფრა შეიძლება დილამდე არ აშლილიყო და ამ ხნის განმავლობაში მხოლოდ ერთადერთ „განსხვავებულს“ შესვამდნენ — სხვანაირად, ის რა „განსხვავებული“ იქნებოდა...

მახსოვს, ერთხელ დიდებულმა მოქეიფემ და სიტყვამახვილმა კაცმა, ცხონებულმა ვახტანგ ჭყოიძემ მითხრა: „იმერეთში სანამ სადღეგრძელოს იტყვი, ღვინო გაგიშავდებაო“ — გაკეთებულია და იმიტომ.

**— ალბათ, ესეც ცხოვრების სიდუხჭირემ მოიტანა...**

— როგორც ჩანს. მაგრამ მთიანეთში ღვინო საერთოდ არ მოდის. — ფშავ-ხევსურეთში ჟიპიტაურს, „პირველ ნახად“ არაყს სვამენ. შეუძლიათ, მეორედაც გამოხადონ და მაგარი არყით გამოთვრნენ — მაგრამ არა, სუსტ არაყს ხდიან, რომ ღვინის მაგივრობა გასწიოს. თუ აქ ბარიდან ვინმე ღვინოს ამოიტანს, რა თქმა უნდა, მას ამჯობინებენ. კიდეც ამაყობენ ხოლმე — ღვინით ვიქეიფეთო. ქართველი კაცის მიზანი დათრობა არასოდეს ყოფილა. მისი მიზანი ქეიფი, „დროსტარება“ იყო.

**— დროსტარება, რომლის დროსაც უამრავ რამეს სწავლობდნენ...**

— რასაკვირველია, მაგალითად, მთაში, ჩვენთან, ცოცხლების სადღეგრძელოს თითქმის არ ამბობენ — ძირითადად, მიცვალებულებს იხსენებენ. თუშეთში დანაწევრებულიც კია, — ვინ როგორ გარდაიცვალა. მაგალითად, „ზვავ-წყალ ნალევთა“, „გზაში დაღუპულთა“. ყოველივეს ერთი საოცარი სადღეგრძელო მოჰყვება ხოლმე — „ცოდვილ-უპატრონოთა“. ეს ისეთი ხალხის სულის მოსახსენებელია, დღეს რომ არავინ ჰყავს გამხსენებელი. — ჩვენი წინაპრების წარმოდგენაში ერთი ლამაზი მითი არსებობდა: „იმქვეყნად, ანუ „სულეთში“ მიცვალებულების სულები მიდი-მოდიან და მხრებზე ტიკები ჰკიდიათ. ვისაც აქ ხშირად ახსენებენ, იმისი ტიკი მუდამ ღვინით სავსეა. — ის ამაყად დაიარება და სხვა, „ტიკდაჩუტულ“, განუკითხავ მიცვალებულებსაც უწილადებს. „ცოდვილ-უპატრონოთა“ სადღეგრძელოთი კი ამ უკანასკნელთა ტიკებიც ივსება. — ერთი მითხარით, ამაზე მეტი ჰუმანიზმი გსმენიათ სადმე? ამას ხომ მოფიქრება სჭირდება — მოქეიფე, თითქოს უზრუნველი კაცი ვიღაცა მესამეზე, საიქიოში მყოფ უპატრონო და განუკითხავ მიცვალებულზე ფიქრობს.

**— არ შეიძლება, ასეთი ფილოსოფიის კაცი, სუფრასთან დასათრობად ჯდებოდეს...**

— იცით, სამწუხაროდ, „გამაღებული ღვინის სმის“ შედეგად ქართველთა „საქეიფო დრო ნელ-ნელა მცირდება. ასე, ცოტა ხანში ჩვენს „ჩრდილოელ მეზობლებს“ დავემსგავსებით. — მახსოვს, რომელიღაც საბავშვო გამომცემლობის იუბილესთან დაკავშირებით მოსკოვში მიგვიწვიეს ქართველი მწერლები. საღამოს, რუს და ქართველ მწერლებს ერთად უნდა გვექეიფა რესტორან „პეკინში“. ქართველების ამბავი მოგეხსენებათ და, ბევრით არა, მაგრამ ერთი 20 წუთით დავაგვიანეთ მისვლა. ჩვენთაგან ერთმა, რესტორანში დათქმული დარბაზის კარი შეაღო, მაგრამ ცივად გამოიხურა და მეტრდოტელს ჰკითხა: „აქ რუსი მწერლები უნდა ყოფილიყვნენ და სად არიანო?“ „სწორედ იქ არიან, სადაც კარი შეაღეთო“, უთხრა და ჩვენც რომ შევიხედეთ, სახტად დავრჩით — ოც წუთში ამ წვერებიან და დარბაისელ საბავშვო მწერლებს იმდენი მოესწროთ, ზოგი იატაკზე დახოხავდა და ზოგიც მაგიდაზე...

**— ალბათ, მსგავსი გადაგვარების ბრალიცაა, დღეს ბევრი ახალგაზრდა ქართულ სუფრას რომ აგდებულად უყურებს და შაბლონურად, მომაბეზრებლად თვლის...**

— რა გითხრათ. ერთ ამბავს მოგიყვებით: კანადაში ვიყავი. ვანკუვერის უნივერსიტეტის პროფესორებმა მე და ბაადურ რაჭველიშვილს სუფრა გაგვიშალეს. გვთხოვეს, ქართულ სუფრაზე ბევრი გვსმენია და იქნებ, მისი „დემონსტრირება“ მოახდინოთო. რაღას ვიზამდი, დავსვი ბაადური ბოლოში „მოადგილედ“ და დავიწყე თამადობა. თან კანადელებს ვუთხარი, ახლა ყველაზე ტრაფარეტულ და „დაშტამპულ“ სადღეგრძელოებს გეტყვით ქართული სუფრის წესი რომ გაიგოთ-მეთქი. დავიწყე. მშობლების სადღეგრძელო რომ ვთქვი, თვალები მოუწყლიანდათ. როცა ვთქვი, ცოცხლების სიცოცხლე, გამარჯვება და ბედნიერება: მიცვალებულთა საუკუნო ხსენება იყოსმეთქი, დამსწრე საზოგადოებას უკვე ღაპალუპით ჩამოსდიოდა ცრემლები. „როგორ, თქვენში გარდაცვლილ მშობელს ყოველ სუფრაზე ახსენებენ?!“ მე ვუთხარი, ქართული სუფრა ნახევარზე მეტი საიქიოში „ფათურია“-მეთქი. — იცით რა, ჩვენ არ ვაფასებთ — ქართული სუფრა ჩვენთვის ჩვეულებრივი ამბავია. ამიტომაც არის, რომ ვამახინჯებთ. არ ვეკიდებით იმ სიფრთხილით, რა სიფრთხილითაც უნდა მოვეკიდოთ. ამ ტრადიციების შენარჩუნებას პირველ რიგში სულიერი კულტურა უნდა. როდესაც ეს კულტურა ერში დაბალია და დეგენერაციის გზაზეა დამდგარი, მისი შენარჩუნება უკვე ძნელია. არადა, აფსუსია, ეს ყველაფერი დაიკარგოს, იმდენად ღრმაა, საინტერესო და იშვიათი — ბოლოს და ბოლოს, ჩვენი ეროვნული თავისებურება ხომ ამაშიც ვლინდება.

## ...ჩანართი მეორე:

*სამეგრელო. ახალგაზრდა კაცს დაბადების დღე აქვს. სუფრა „შეჭიკჭიკებულია“. თამადა ყურადღებას ითხოვს და „მეგობრობის“ სადღეგრძელოს ამბობს. იუბილარის ბავშვობის მეგობარი წამოდგება და ფეხზე იხდის. „ტუფლს“ ღვინით ავსებს და მეგობრობისას ამბობს. მას იუბილარი აჩერებს, თავადაც ფეხზე იხდის. ძმაკაცები ვახტანგურად გამოცლიან „ტუფლებს“ და ერთმანეთს სამჯერ გადაკოცნიან. გულაჩუყებული და სიამაყით სავსე თამადა ღვინის ბოთლის და რეზინის მილის მოტანას ითხოვს. შემდეგ სკამზე დგება, მომავალი თაობის სადღეგრძელოს ამბობს, ღვინიან ბოთლს თავზე იდგამს და აღტაცებული, საზოგადოების აპლოდისმენტებში რეზინის მილით „ჩააწრუპუნებს“.*

*ძველად, თიხის ჯამში ვერცხლს ჩაითლიდნენ ხოლმე მეგობრები. ჯამს ხუცესი ამწყალობებდა და მისი დალევის შემდეგ, სიკვდილამდე ძმადნაფიცები რჩებოდნენ — ასე ხდებოდა „ფიცვერცხლის ჭამა“...*

**— ბატონო ვახუშტი, თამადაზე და თამადობაზე რას გვეტყვით?**

— საინტერესო ის არის, რომ „თამადობა“ მხოლოდ ჩვენთან, საქართველოშია ცნობილი და იგი მხოლოდ იმისთვის კი არ იყო მოგონილი, რომ ხალხი ღვინის სმით გაეწყვიტათ. — რაც შეიძლება მეტხანს უნდა გაგრძელებულიყო სუფრა, რათა ყველა წესი და ტრადიცია ბოლომდე აღსრულებულიყო. ქართული სუფრა — სერობაა, ჭკვიანი ხალხის სერობა. და ამ სერობაში ყველაფერია, წინაპართა გახსენებაც, ვაჟკაცის ქებაც, მხიარულებაც... თამადა ამ სერობის ხელმძღვანელია და მას ძალიან ბევრი მოეთხოვება. მე, საბედნიეროდ, ძალიან ბევრ, კარგ თამადას მოვსწრებივარ. გაანათლოს მათი სულები ღმერთმა. სოსო ასლანიშვილი, სიმონიკა სხირტლაძე, პეტია ბოკერია... მათი ნათამადარი სუფრა ენამჭევრობის, მხიარულების და სევდის ერთდროული ზეიმი იყო. კარგი თამადები დღესაც არიან, თუმცა თითზე ჩამოსათვლელად.

**— მაინც, როგორი უნდა იყოს თამადა?**

— თამადობა ძალიან რთული ფენომენია. უპირველეს ყოვლისა, ფიზიკური მონაცემები გინდა, რომ სმა შეძლო. ზოგჯერ დალევა სპორტულ ჟინში გადადის ხოლმე — ცნობილი ამბავია, გოლიათი თამადა ერთი ჭინჭილის დალევას წაუქცევია, მაგრამ ეს სმა არამც და არამც დათრობის ისტერიაში და „განსხვავებულების“ დოლში არ უნდა გადაიზარდოს. ისე, უშველებელი ყანწიც არსებობდა წარწერით: „ვინც დამლევს, იმისი ვარ“. მაგრამ თამადა მას რომ დალევდა, ქეიფს დილამდე აგრძელებდა. კარგი თამადა მჭევრმეტყველი უნდა იყოს. ენამჭევრობას კი მოგეხსენებათ, შესაფერისი განათლება სჭირდება, სხვანაირად ყბედობა იქნება (ასეთებიც არსებობენ).

აუცილებლად უნდა ჰქონდეს იუმორის გრძნობა. აბა, კაცი რო დაგიდგეს და მთელი საღამო გეფილოსოფოსოს, რად გინდა. რაც მთავარია, თამადა არტისტული უნდა იყოს — სუფრის წევრები სმენად უნდა აქციოს. სიმღერასა და პოეზიაზე არაფერს ვამბობ — ისეთივე აუცილებელია, როგორც ღვინო სუფრაზე. თამადაზე ერთ ამბავს მოგიყვებით: ერთხელ, დილაუთენია კავთისხევში მივდიოდი მანქანით. გზად ვიღაც კაცმა გამაჩერა — ძეგვამდე წამოგყვებიო. კი ბატონო-მეთქი, ჩავისვი. შევხედე, დაღლავებულია, თან ნასვამი. ვკითხე, რა მოგივიდა, ვინა გცემა-მეთქი. „რავი, კაცო, ქორწილში ვიყავ და მცემეს იმ „გოთვერნებმაო“. ლექსი ვთქვი და მცემესო. ლექსზე ყურები ვცქვიტე — კაცი პოეზიის მსხვერპლი აღმოჩნდა. ეგეთი, რა ლექსი თქვი-მეთქი? „კაცო, ძალიან კარგი თამადა იყო, სამასკაციან სუფრაზე სულ ფეხზე იდგა, გრძელ-გრძელ სადღეგრძელოებს იძახდა. მამეწონა და ვუთხარი:

„კაი თამადა ყოფილხარ,
ენით ბულბულსა ჰგეხარო,
ნეტაი ჩემი „ის“ იყო,
ამდენ ხან ფეხზე დგეხარო...“

## ...ჩანართი მესამე:

*კონსტანტინე ამბობს, გამსახურდია: „ჩვენში ყოველ ნაბიჭვარს აზნაურობა უნდა და ყოველ ნაცარქექიას სარდლობაო“ — უნარს არად დაგიდევენ, თამადობა ყველას უნდა. მთავარია, რამდენ ლიტრა ღვინოს დალევს. ჰოდა, დგას ხოლმე სუფრებზე ყაყანი და ვაიუშველებელი. ერთ გორელ კაცს, სტალინის ფანატს სხვა მრავალთან ერთად, ეზოში საქეიფოდ მაგიდაც აქვს მოწყობილი. თამადის ადგილას წითელი ღილაკია, საიდანაც სკამებში დაბალი ძაბვის დენი გადის. მტერს და ავს, თუ უდროო დროს ალაპარაკდი. დენი მაშინვე შეგახტუნებს.*

*კარგ თამადას ღილაკი და დენი არ უნდა სჭირდებოდეს.*

**— ბატონო ვახუშტი, იქნებ, გაიხსენოთ სადღეგრძელო, რომელიც ყველაზე მეტად დაგამახსოვრდათ და მოგეწონათ...**

— გეტყვით. დიდი ხნის ამბავია. ისევ კავთისხევში ვიყავი. გზის პირას გვქონდა ბალახზევე სუფრა გაშლილი. შუა ქეიფში ერთი გუდაწამოკრული მოხუცი შემოგვესწრო. ახალგაზრდობაში მედუდუკე ყოფილა და იეთიმ გურჯი მე დავასაფლავეო, გვითხრა. ცოტა ხანში ადგა, ჩემს გზას გავუყვებიო და ერთი მშვენიერი სადღეგრძელო დაგვიტოვა:

„ეს იმ კაცს გაუმარჯოს, ღირსი რომ არ არის და რომ უჭირსო;

და იმ კაცსაც გაუმარჯოს, ვალდებული რომ არ იქნება და რომ დაეხმარებაო“...

საუბრის დასასრულს, ბატონმა ვახუშტიმ პატარა ხალხური ლექსი გვითხრა, დღევანდელ გადაგვარებულ სუფრას რომ შეეფერება:

„ღვინოვ, შე ჭაჭანაის ძევ,
უცეცხლოდ ამოდუღდები,
ჭკვიანთაი ხარ სასმელი
უჭკვოსთან ამოშუღლდები.
...

გარეთ ისევ წვიმდა. ქუჩას მივუყვებოდი და გენიალური ვაჟა მახსენდებოდა;

...„ვაი“ თქვენ, სადიაცენო,
რომ ძროხებივით სძღებითა,
ღამე მაძღრები დასწვებით,
დილით მშივრები სდგებითა...“

***დაჩი გრძელიშვილი***



## თარაზულად:

1



მედიცინის ფუძემდებელი

4



უმაღლესი წერტილი

9



მეცნიერი, ფილოსოფოსი, ექიმი, მუსიკოსი - აბუ ალი იბნ სინა (980-1037წ) (მეტსახელი)

10



„სკულპტურა, ჩაღრმავებებისა და ამობურცულობების ხელოვნებაა“ (ავტორი)

11



ჯინსის სალებავი

15



რაიმე სამუშაოს შესასრულებელი იარაღი

17



ქალაქი ქართლში

18



ქარისგან ჰაერში ატანილი თოვლი და მტვერი, კორიანტელი

19



მწვანე ფერის ძვირფასი ქვა

20



ხილი

24



ცარცით საწერი ფიცარი

25



ძმების რაოდენობა, რომლებმაც ერთი თხილის გული იკმარეს

26



შემსწავლელი მეცნიერება (არახნე — ობობაა ბერძნულად)

29



სპორტულ შეჯიბრში დაწინაურებული

32



ორმხრივი, ხაოს არმქონე ხალიჩა

33



დიდი წვეულება

34




იონების წარმოქმნა

35



კინემატოგრაფიის ნაწარმოები, განკუთვნილი ეკრანზე სადემონსტრაციოდ

## შვეულად:

1



ჰიდროლოგიის სპეციალისტი

2

ერბოკვერცხი, რომელშიც დამატებულია რძე და კვერცხი

3



ერთმანეთთან შეერთებული მცურავი საგნების ერთობლიობა

5




(სიმძიმე)

6



სურათზე ასახული პროცესი

7




გარკვეული კლასის, პოლიტიკური პარტიის იდეათა, შეხედულებათა სისტემა, რომელსაც თავს ახვევენ ყველა დანარჩენს

8

სიტყვა, რომლის წარმოთქმა კულტურულ საზოგადოებაში მიუღებელია

12



გათხოვების ასაკში მყოფი ქალიშვილი

13



ქალის ორგანიზმის თავისებურებათა შემსწავლელი მეცნიერება

14



დიდი წარმატება, ბრწყინვალე გამარჯვება

16



ფართო, უწყვეტი ჯაჭვი, რომელიც ტანკის ბორბლებზეა გადაცმული

21




პარფიუმერულ-ჰიგიენური საშუალება

22



ზოოლოგიური პარკი

23



რთული, დახლართული განლაგება

27



მოძრაობა ქარის ან დინების გაყოლებით

28



აკვალანგის ნაწილი

30



გადასახადი საბაჟოში

31



„ტრანსპორტი“

კროსვორდი შეადგინა რამაზ ალანიამ

„კვირის პალიტრა“ №43 კროსვორდის პასუხები:

**თარაზულად:** 5. ნადირობა; 6. ბაბილონი; 9. ბლოკადა; 10. კაბარე; 11. მსხალი; 15. ინვენტარი; 17. ღვინო; 18. მელია; 19. საამქრო; 20. ნეპტუნი; 24. სუფრა; 25. სკამი; 26. პრეპარატი; 29. ტრიუკი; 32. ვერსია; 33. კაშხალი; 34. იპოდრომი; 35. შტურვალი.

**შვეულად:** 1. გიშერი; 2. რბოლა; 3. ნარდი; 4. ალერსი; 5. ნეგატივი; 7. ინფლაცია; 8. სკვინჩა; 12. ინჟექტორი; 13. პროსპექტი; 14. ინდაური; 16. ტექნიკა; 21. მუზარადი; 22. რვაფეხა; 23. სმოკინგი; 27. მკერდი; 28. ვეფხვი; 30. პალმა; 31. ზლოტი.

**ორშაბათი** 30 ოქტომბერი | **სამშაბათი** 31 ოქტომბერი | **ოთხშაბათი** 1 ნოემბერი | **ხუთშაბათი** 2 ნოემბერი | **პარასკევი** 3 ნოემბერი | **შაბათი** 4 ნოემბერი | **კვირა** 5 ნოემბერი

ანონსი • ანონსი • ანონსი • ანონსი • ანონსი • ანონსი • ანონსი

22.55 **„პატარა მოცურავე" — საფრანგეთი**

გემთმშენებლობის მსხვილი მაგნატი ლუის ფილიპ ფორშომი წამყვან კონსტრუქტორს კასტანიეს სამსახურიდან ათავისუფლებს იმის გამო, რომ ერთ-ერთი მისი გემი ზღვაში ჩაშვების ცერემონიისას ჩაიძირა. თუმცა, ფორშომი მალევე შეიტყობს, რომ კასტანიეს დაპროექტებულმა იახტამ პრესტიჟული რეგატა მოიგო სანრემოში... ფილმი კომედიური ჟანრისაა. რეჟ. რობერ დერი, მთავარ როლში: ლუი დე ფიუნესი.



00.15 **„კრავთა დუმილი" — აშშ**

სასტიკი მანიაკი მხეცურად კლავს ახალგაზრდა ქალებს. ფედერალური გამოძიების ბიურო პოლიციის აკადემიის სტუდენტს კლარისა სტარლინგს აგზავნის გულახდილ საუბარზე კაციჭამია მკვლელთან დოქტორ ჰანიბალ ლექტერთან, მაგრამ... ფილმს მიღებული აქვს 1991 წლის თითქმის ყველა „ოსკარი": საუკეთესო ფილმის, მთავარი რეჟისორის, მამაკაცისა და ქალის მთავარი როლებისთვის. რეჟ. ჯონათან დემი. მთ. როლებში: ჯოდი ფოსტერი, ენტონი ჰოპკინსი, სკოტ გლენი.



00.05 **„წმინდა წელიწადი" — საფრანგეთი**

გამოცდილ ავაზაკ მაქს ლამბერტს 20 წლით თავისუფლების აღკვეთას მიუსჯიან. თანამესაკნე დაარწმუნებს, ისარგებლოს „წმინდა წელიწადის" დღესასწაულით და ციხიდან პირდაპირ რომში გაიქცეს, სადაც მაქსს ნახევარი მილიარდის ღირებულების ოქრო აქვს გადანახული. პატიმრები გაქცევას მოახერხებენ. მაგრამ წინ ახალი ხიფათი ელით. თვითმფრინავს, რომელშიც ისინი მოხვდებიან, ტერორისტები გაიტაცებენ. რეჟ. ჟან ჟირო. მთ. როლებში: ჟან გაბენი, ჟაკ ბრიალი, დანიელ დარიე.



00.40 **„იმედის ბორბალი" — აშშ**

ჰოლი-სპრინგსი პაწია სამხრეთული ქალაქია. ის მხოლოდ იმითაა ცნობილი, რომ 1862 წელს მის მისადგომებთან შეაჩერეს შემოტევა ჩრდილოელთა არმიისა, რომელსაც მომავალი პრეზიდენტი გრანტი მეთაურობდა. ჰოლი-სპრინგსის გამოზომილი, თითქმის მთვლემარე ცხოვრება უხუცესი მკვიდრის მკვლელობამ „ააფეთქა" ან იყო კი ეს მკვლელობა? რეჟ. რობერტ ოლტმანი. მთ. როლებში: გლენ კლოუზი, ჯულიანა მური, ლივ ტაილერი, კრის ო'დონელი.



23.10 **„უკანასკნელი ტანგო პარიზში" საფრანგეთი-იტალია**

ბერნარდო ბერტოლუჩის სკანდალური სურათი, რომელმაც თავის დროზე შოკი მოჰგვარა საზოგადოებას, იგი მოგვითხრობს ახალდაქვრივებულ, არცთუ ახალგაზრდა მამაკაცზე, რომელსაც სრულიად ნორჩი ქალიშვილის მიმართ საოცარი ვნებიანი ლტოლვა აღეძრება. მთ. როლებში: მარლონ ბრანდო, მარია შნაიდერი.



22.40 **„ქალწული-თვითმკვლელები" — აშშ**

ლისბონების ოჯახში ხუთი ქალიშვილი იზრდება. მას შემდეგ, რაც ცამეტი წლის სესილია თავს იკლავს, დები ყურადღების ცენტრში ექცევიან: მათ მთელი ქალაქი ადევნებს თვალს, განსაკუთრებით კი, მეზობლის ბიჭები. შეშინებული მშობლები შვილებს, უსაფრთხოების მიზნით, შინიდან აღარ უშვებენ და გარესამყაროსთან და ადამიანებთან საერთოდ წყვეტენ კავშირს, რაც ტრაგიკულად სრულდება. რეჟ. სოფია კოპოლა. მთ. როლებში: კრისტენ დანსტი, კეტრინ ტერნერი, ჯეიმს ვუდსი.




**კომპიუტერული კომპანია „PULSAR"**

კომპიუტერების პრინტერების და ორგტექნიკის სათადარიგო ნაწილები

1000 & 1 წვრილმანი

კომპაქტ-დისკები

ფართო ასორტიმენტით

დაბალ ფასებში

კომპიუტერების და ორგტექნიკის შეკეთება,

ვაჟა ფშაველას გამზირი № 16 I სართული

☎ 33-08-71


ანონსი • ანონსი • ანონსი • ანონსი • ანონსი • ანონსი • ანონსი

## ორშაბათი, 30 ოქტომბერი

08.00 ალიონი 09.45 ტელემაღაზია 09.55, 20.50 სერიალი "შავი მარგალიტი" 10.30 "ფორტუნა" 11.10, 18.15 სერიალი "სენ-ტროპე" 12.00, 15.00, 20.00, 23.10 მოამბე 12.35 მოსკოვი-თბილისი 13.00 ნაშუადღევი 14.05 "2X2" 14.30 დიდების ზღაპარი 15.15 მხ.ფ. "ოიდიპოს მეფე" 17.00 50-50 17.50 რამპა 18.00 ვესტნიკი 19.05, 02.15 ვიდეოპატრული-02 19.15 მაესტრო 19.25 ჯანმრთელობა 19.40 ბასტი-ბუბუ 21.40 "XX საუკუნე" 22.00 ჩვენი ფეხბურთი 22.40 ტელესერიალი "წვრილვარსკვლავთა ღამე" 23.50 ტელესერიალი "ქილის წინ" 00.05 "კომუნიკატორი" 00.45 ქართ. მხ.ფილმი "ერთი ცის ქვეშ"

19.00 ინფორმაცია 19.30 სკოლა 20.00 სერიალი "სენ-ტროპე" 20.50 ოქროს მართვე 21.20 მოკლ.მხ.ფილმი 21.40 ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა 22.00 ინფორმაცია 22.15 სუპერ-მატჩი 22.45 ჰიტ-პარადი 22.55 მხ.ფ. "პატარა მოცურავე"

07.00 მუსიკა. 07.30 ტექს ავერი, რობინ ჰუდი 08.00 60 წუთი 08.55 სერიალი "გლანკოს ქვრივი" 09.50 სერიალი "საიდუმლო მასალები" 10.40 სერიალი "ოქროს ვარდის გამოქვაბული" 11.10 სერიალი "სამანტა" 12.00, 15.00 კურიერი 12.15 მულტსერიალი 13.30 მხ. ფილმი 15.15 ჩემპიონთა ლიგის კვირის მიმოხილვა 17.05 ტომი და ჯერი 17.25 სერიალი "მოდელების აკადემია" 18.00, 21.00, 22.50, 02.00 კურიერი 18.20 "ოქროს ვარდის გამოქვაბული" 18.55 სერიალი "სპეცრაზმი" 19.50 სერიალი "სამანტა" 21.50 ტელევიქტორინა "ვის უნდა ოცი ათასი" 00.05 მხ.ფ. "დანაშაულის ელემენტი". რეჟ. ლარს ფონ ტრიერი. მთ. როლებში: მაიკლ ელფიკი, მიმი ლეი. 02.10 კლასიკა

14.00, 21.30 სერიალი "მილედი" 14.45 მხ.ფ. "ომი და მშვიდობა" 15.35 მხ.ფ. "ფერფლი ფერფლთან" 17.00, 19.00, 20.30, 00.00 "დღეს" 17.15 სერიალი "მხოლოდ შენ ერთს" 18.00 "მსოფლიო სპორტი" 19.20 სტუდია "სპექტრი" 21.00 "ვარსკვლავები". 22.15 მხ.ფ. "ბაღდადელი ქურდი". 00.20 მინისერიალი "მთიელი"

**IST** 08.00 "ტონიკი" 10.00 "ბისი". მხ.ფ. "მწვანე ზოლი" 13.00, 19.10, 20.55, 22.50, 00.50 კლიპ-მიქსი 14.00 კონცერტი 18.00 "სამყარო" დოკ. ფილმი 18.45 პრემიერა. ქართ.მხ.ფ. "წამის მეასედი" 19.20 "Co.მედია" მხ.ფ. "საიდუმლო თაყვანისმცემელი". მთ. როლში ტომას ჰაუელი. 21.15 პროგრამა "F" მხ.ფ. "სინდიკატი". მთ. როლში ოლივერ იანგი. 23.05 "ბრავო" მხ.ფ. "სამართებელი". მთ. როლებში: მაიკლ კეინი, ნენსი ალენი. 01.10 "ღამურა" მხ.ფ. "პოლტა-ლიონი" 02.50 ნონ-სტოპი

09.00, 15.50, 21.40, 23.45, 01.55 მუსიკა 09.15 მულტფილმი "რკინის გიგანტი" 09.40 სერიალი "დეტექტივ დუბროვსკის დოსიე" 10.35 მხ.ფ. "ტაქსის მძღოლი" 12.25 დოკ. ფილმი "ჩერჩილების ოჯახი" 13.20 მხ.ფ. "ქალის სურნელი" 15.00, 18.45 შემეცნებითი პროგრამა "დისქავერი" 16.00 მხ.ფ. "ბალადა კეიბლ ჰოგზე" 18.00 საინფორმაციო პროგრამა "საღამოს ექვს საათზე" 18.15 მულტფილმი "რობინ ჰუდი" 20.25, 23.55 ხუთი წუთი ეკონომიკა 20.30 საინფორმაციო პროგრამა "ცხრის ნახევარზე" 21.00 დოკ. ფილმი "მწერების იმპერია" [illegible]

[illegible] სამყარო" 11.10 ნახატი ფილმი 11.35 "ოცი ვირტუალურ სამყაროში" 12.10 დოკ. ფილმი "ბრძოლა წესების გარეშე" 17.20 ფილმი თქვენი თხოვნით - მხ.ფილმი 19.30 DW- საინფორმაციო გამოშვება 19.35 საფეხბურთო მიმოხილვა 20.15 "ეკრანული სახეები": მხ.ფ. "სიყვარულსა და სევდაზე". მელოდრამა. როლებში: ანტონიო ბანდერასი, ჯენიფერ კონელი. 22.30 ეკრანი, რეალობა, ადამიანი 23.00 "კინოკლუბი" - მხ.ფ. "მეამბოხე". ფანტასტიკა. მთავარ როლში გერი დენიელსი.

**ОРТ** 07.00 Телеканал "Доброе утро". 10.00, 13.00, 16.00, 19.00, 01.35 Новости. 10.20, 17.55 Сериал "ВАВИЛОНСКАЯ БАШНЯ". 11.20 Поле чудес. 12.25 "Женские истории". 13.15 Телеканал "Добрый день". 14.10 Х/Ф "ТРЕСТ, КОТОРЫЙ ЛОПНУЛ". 15.30 "Вместе". 16.20 Мультфильм. 16.45 Звездный час. 17.15 "... До 16 и старше". 19.30 Спецрепортаж. 19.50 Жди меня. 20.35 Сериал "УСКОРЕННАЯ ПОМОЩЬ-2". 21.10 Сериал "ЧЕРНАЯ КОМНАТА". 21.45 Спокойной ночи, малыши. 22.00 Время. 23.00 Сериал "СЕКРЕТНЫЕ МАТЕРИАЛЫ". 00.45 Взгляд. 01.50 Сериал "ЧЕЛОВЕК НИОТКУДА".

**РТР** 07.00, 08.00, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 ВЕСТИ 07.15 Доброе утро, Россия. 07.20, 08.15 Семейные новости. 07.50, 09.50 Городские новости. 08.30 Бюро вопросов, бюро ответов. 08.50, 10.15 "Черным по белому". 09.30 Москва-Минск. 10.20, 02.20 Дежурная часть. 10.35 Мультфильм. 11.00 Сериал "МАНУЭЛА". 12.30 Сериал "САНТА-БАРБАРА". 13.30 Что хочет женщина. 14.00 Старая квартира. 15.30 Сериал "ЧЕРНАЯ ЖЕМЧУЖИНА". 16.25 Сериал "БОГАТЫЕ И ЗНАМЕНИТЫЕ". 17.20 Сериал "ТАЙНА СТАРИННОГО СКЛЕПА". 18.30 Х/Ф "ГРЕХИ". 20.00 Сериал "ИСТОРИЯ ЛЮБВИ". 21.30 Подробности. 21.50 Х/Ф "УСТРИЦЫ ИЗ ЛОЗАННЫ". 23.30 "Косово поле". 00.30 После "Вестей". 00.40 Сериал "ПРОФИЛЬ УБИЙЦЫ". 01.40 Док. фильм.

**НТВ** 07.00 Сегодня утром. 07.20, 08.15, 19.40 Криминал. 07.35, 08.50 Большие деньги. 07.50, 09.20, 18.35 Впрок. 08.20, 09.45 Карданный вал. 08.35 Мультфильм. 09.55 "АГЕНТ НАЦИОНАЛЬНОЙ БЕЗОПАСНОСТИ". 11.00, 13.00, 15.00, 17.00, 20.00, 23.00 Сегодня. 11.25 Сериал "ЛЮБОВЬ И ТАЙНЫ САНСЕТ БИЧ". 13. 30 "Вчера в итогах". 14.45 "Куклы". 15.35 "Итого". 16.00 Старый телевизор. 17.30 "ЭЛЕН И РЕБЯТА". 18.45, 01.55 Футбольный клуб. 20. 30 Герой дня. 20.55 "УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ-2". 22.05 Криминальная Россия. 22. 40 Груз-2000. 23.40 "ЛАГЕРНЫЙ ИНТЕРНАЦИОНАЛ". 01.05 "Тушите свет". 01.25 "Сегодня в полночь".

## სამშაბათი, 31 ოქტომბერი

08.00 ალიონი 09.30 ტელესერიალი "ქილის წინ" 09.45 ტელემაღაზია 09.55, 20.50 სერიალი "შავი მარგალიტი" 10.30 ჩვენი ფეხბურთი 11.10, 18.15 სერიალი "სენ-ტროპე" 12.00, 15.00, 20.00, 23.10 მოამბე 12.15 ტელესერიალი "წვრილვარსკვლავთა ღამე" 12.40 ჯანმრთელობა 13.00 ნაშუადღევი 14.00 რამპა 14.05 მაესტრო 14.35 ეკო-დაიჯესტი 15.15 მხ.ფ. "ერთი ცის ქვეშ" 16.35 მეალომანია 17.05 აბდა-უბდა 17.20 ინტერმეცო 17.40 მესაკუთრე 18.00 ვესტნიკი 19.05, 02.50 ვიდეოპატრული-02 19.15 მაესტრო 19.25 ოვერტაიმი 19.40 ბასტი-ბუბუ 21.50 ჩვენი ენა ქართული 22.00 "100 გრადუსი" 22.40 ტელესერიალი "წვრილვარსკვლავთა ღამე" 23.50 ტელესერიალი "ქილის წინ" 00.05 "ჯეოპოპი" 00.45 მხ.ფილმი "ვატერლოო"

19.00 ინფორმაცია 19.35 იყო და არა იყო რა 20.00 სერიალი "სენ-ტროპე" 20.50 სტუდია "რე" 21.40 კვერცხიდან ვაშლამდე 22.00 ინფორმაცია 22.15 ჰიტ-პარადი 22.30 წარსულის ისტორია 22.25 კინომონატრება 22.35 მხ.ფ. "ეშმაკი და ათი მცნება"

07.00 მუსიკა 07.30 ტექს ავერი, რობინ ჰუდი 08.00, 12.00, 15.00 კურიერი 08.55 სერიალი "გლანკოს ქვრივი" 09.50 ტელევიქტორინა "ვის უნდა ოცი ათასი" 10.40 სერიალი "ოქროს ვარდის გამოქვაბული" 11.10 სერიალი "სამანტა" 12.15 მულტსერიალი 13.30 მხ. ფილმი 17.05 ტომი და ჯერი 17.25 სერიალი "მოდელების აკადემია" 18.00, 21.00, 22.50, 02.00 კურიერი 18.20 სერიალი "სპეცრაზმი" 19.10 "პერეკროსტოკი" 19.50 სერიალი "სამანტა" 21.50 სერიალი "შტრაუსების დინასტია". 00.05 მხ.ფ. "მკვდრების გაცოცხლება" რეჟ. მარტინ სკორსეზე. მთ. როლებში: ნიკოლას კეიჯი, პატრისია არკეტი. 02.10 კლასიკა

14.00, 21.30 სერიალი "მილედი" 14.45 მოკლ.მხ.ფილმი 15.30 მხ.ფ. "ომი და მშვიდობა" 17.00, 19.00, 20.30, 00.00 "დღეს" 17.15 სერიალი "მხოლოდ შენ ერთს" 18.00 "მსოფლიო სპორტი" 19.20 სტუდია "სპექტრი" 21.00 "ვარსკვლავები". 22.15 მხ.ფ. "მთვლემარე ღრმული". 23.50 მუსიკა 00.20 მინისერიალი "მთიელი"

**IST** 08.00 "ტონიკი" 10.00 "ბისი". მხ.ფ. "სამართებელი" 11.45, 20.35, 22.20, 00.35 კლიპ-მიქსი 14.00 კონცერტი 18.00 "ნუკაბაძი" მულტფილმი 19.00 "Co.მედია" მხ.ფ. "ჩემი ძაღლი სკიპი". მთ. როლში ფრენკი მუნიცი. 20.50 პროგრამა "F" მხ.ფ. "სიყვარული და მაგია". მთ. როლში ლინდა ბლერი. 22.35 "ბრავო". მხ.ფ. "მისიე კლაინი". როლებში: ალენ დელონი, ჟანა მორო. 00.50 "ღამურა" მხ.ფ. "დარტყმა ზურგში". მთ. როლში ლინ კრუზი. 02.15 ნონ-სტოპი

09.00 საინფორმაციო პროგრამა "დილით" 09.15, 18.15 მულტფილმი "რობინ ჰუდი" 09.40 მხ.ფ. "ჩუნგკინგის ექსპრესი" 11.20, 12.10, 14.05, 23.40, 02.15 მუსიკა 11.40, 21.00 დოკ. ფილმი "მწერების იმპერია" 12.25 მხ. ფილმი "კოქტეილი". 14.25, 18.40 შემეცნებითი პროგრამა "დისქავერი" 16.30 მხ.ფ. "მიბრუნდით" 18.00 საინფორმაციო პროგრამა "საღამოს ექვს საათზე" 20.00 ევროპის სტადიონებზე 20.25, 23.55 ხუთი წუთი ეკონომიკა 20.30 საინფორმაციო პროგრამა "ცხრის ნახევარზე" 21.55 მხ. ფილმი "განსაკუთრებული" 00.00 საინფორმაციო [illegible]

[illegible] სამყარო" 11.35 "ბედნიერი ერი" 12.05 დოკ. ფილმი "ბრძოლა წესების გარეშე" 17.20 ფილმი თქვენი თხოვნით - მხ.ფილმი 19.30 DW- საინფორმაციო გამოშვება 20.00 "ეკრანული სახეები": მხ.ფ. "მკვლელი". მძაფრსიუჟეტიანი. მთ. როლში ანტონიო ბანდერასი. 22.30 ეკრანი, რეალობა, ადამიანი 23.00 "კინოკლუბი" - მხ.ფ. "გამქრალი სიყვარული". კლასიკა. როლებში: ჟან-პიერ ლეო, კლოდ ჟადი, მარი ფრანს პიზიე. 01.30 ტელესერიალი "დეტექტივ დუბროვსკის დოსიე"

**ОРТ** 07.00 Телеканал "Доброе утро". 10.00, 13.00, 16.00, 19.00, 01.15 Новости. 10.20, 17.55 Сериал "ВАВИЛОНСКАЯ БАШНЯ". 11.25 Сериал "УСКОРЕННАЯ ПОМОЩЬ-2". 12.00 Сериал "ЧЕРНАЯ КОМНАТА". 12.35 Спецрепортаж. 13.15 Телеканал "Добрый день". 14.05 Х/Ф "ТРЕСТ, КОТОРЫЙ ЛОПНУЛ". 15.30 "Вместе". 16.20 Мультфильм. 16.45 Царь горы. 17.15 "... До 16 и старше". 19.25 Сериал "ВСЕ ПУТЕШЕСТВИЯ КОМАНДЫ КУСТО". 20.00 Как это было. 20.40 Сериал "УБОЙНАЯ СИЛА". 21.50 Спокойной ночи, малыши. 22.00 Время. 23.00 Х/Ф "ТЫ - МНЕ, Я - ТЕБЕ". 00.40 Цивилизация. 01.30 Сериал "МАЙК ХАММЕР".

**РТР** 07.00, 08.00, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 ВЕСТИ 07.15 Доброе утро, Россия. 07.20, 08.15 Семейные новости. 07.50, 09.50 Городские новости. 08.30 Бюро вопросов, бюро ответов. 08.50, 10.15 "Черным по белому". 09.30, 21.30 Подробности. 10.20, 02.35 Дежурная часть. 10.35 Мультфильм. 11.00 Сериал "МАНУЭЛА". 12.30 Сериал "САНТА-БАРБАРА". 13.30 Что хочет женщина. 14.00 Старая квартира. 15.30 Сериал "ЧЕРНАЯ ЖЕМЧУЖИНА". 16.25 Сериал "БОГАТЫЕ И ЗНАМЕНИТЫЕ". 17.20 Сериал "ТАЙНА СТАРИННОГО СКЛЕПА". 18.30 Х/Ф "ГРЕХИ". 20.00 Сериал "ИСТОРИЯ ЛЮБВИ". 21.50 Х/Ф "ЛЮБОВЬ ПО ЗАКАЗУ". 23.45 "Обовсем". Семен Альтов. 00.30 После "Вестей". 00.40 Сериал "ПРОФИЛЬ УБИЙЦЫ". 01.45 Мужчина и женщина.

**НТВ** 07.00 Сегодня утром. 07.20, 08.15, 19.40 Криминал. 07.35, 08.50 Большие деньги. 07.50, 09.20, 18.35 Впрок. 08.20, 09.45 Карданный вал. 08.35 Мультфильм. 09.55, 20.55 "УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ-2". 11.00, 13.00, 15.00, 17.00, 20.00, 23.00 Сегодня. 11.25 Сериал "ЛЮБОВЬ И ТАЙНЫ САНСЕТ БИЧ". 13.25 Х/Ф "ВЕЧЕРА НА ХУТОРЕ БЛИЗ ДИКАНЬКИ. НОЧЬ ПЕРЕД РОЖДЕСТВОМ". 14.45 Фитиль. 15.30 Криминал. 16.00 Старый телевизор. 17.30 "ЭЛЕН И РЕБЯТА". 18.45 Сериал "СТРАСТЬ". 20.30 Герой дня. 22.05 Суд идет. 23.40 "СКОРАЯ ПОМОЩЬ". 00.40 Тушите свет. 01.00 Сегодня в полночь. 01.30 Антропология.

## ოთხშაბათი, 1 ნოემბერი

08.00 ალიონი 09.30 ტელესერიალი "ქილის წინ" 09.45 ტელემაღაზია 09.55, 20.50 სერიალი "შავი მარგალიტი" 10.30 "100 გრადუსი" 11.10, 18.15 სერიალი "სენ-ტროპე" 12.00, 15.00, 20.00, 23.10 მოამბე 12.15 ტელესერიალი "წვრილვარსკვლავთა ღამე" 12.40 სპა 13.00 ნაშუადღევი 14.05 პირველად იყო სიტყვა 14.30 ჩვენი მისამართია 15.15 მხ.ფ. "იმერული ესკიზები" 16.35 გინდ დაიჯერეთ, გინდ არა 17.00 50-50 17.50 მუს. პაუზა 18.00 ვესტნიკი 19.05, 03.10 ვიდეოპატრული-02 19.20 ენერგია 19.40 ბასტი-ბუბუ 21.40 "XX საუკუნე" 22.00 მაესტრო 22.20 "საქმე" 22.45 "ფსიქფაქტორი" 23.50 ტელესერიალი "ქილის წინ" 00.10 მე ქალი ვარ 00.40 "კომუნიკატორი" 01.15 მხ.ფილმი "პლაჟი"

19.00 ინფორმაცია 19.35 იყო და არა იყო რა 19.50 ორატორი 20.00 სერიალი "სენ-ტროპე" 20.50 მრავალთათვის საკეთილო 21.10 საოპერო და საბალეტო ხელოვნების ვარსკვლავები 21.40 ოპტიმისტები 22.00 ინფორმაცია 22.15 დასაწყისი 22.35 ჰიტ-პარადი 22.45 პროფესიონალი 23.15 მხ.ფ. "ნაზარის უკანასკნელი ლოცვა"

07.00 მუსიკა. 07.30 ტექს ავერი, რობინ ჰუდი 08.00, 12.00, 15.00 კურიერი 08.55 სერიალი "გლანკოს ქვრივი" 09.50 სერიალი "შტრაუსების დინასტია" 10.40 სერიალი "მოდელების აკადემია" 11.10 სერიალი "სამანტა" 12.15 მულტსერიალი 13.30 მხ. ფილმი 17.05 ტომი და ჯერი 17.25 სერიალი "მოდელების აკადემია" 18.00, 21.00, 22.50, 01.45 კურიერი 18.20 "ოქროს ვარდის გამოქვაბული" 18.55 სერიალი "სპეცრაზმი" 19.50 სერიალი "სამანტა" 21.50 ტელევიქტორინა "ვის უნდა ოცი ათასი" 00.05 მხ.ფ. "წმინდა წელიწადი" რეჟ. ჟან ჟირო. მთ. როლებში: ჟან გაბენი, ჟან-კლოდ ბრიალი. 01.55 კლასიკა

14.00, 21.30 სერიალი "მილედი" 14.45 მოკლ.მხ.ფ. 15.45 მხ.ფ. "ომი და მშვიდობა" 17.00, 19.00, 20.30, 00.00 "დღეს" 17.15 სერიალი "მხოლოდ შენ ერთს" 18.00 "მსოფლიო სპორტი" 19.20 სტუდია "სპექტრი" 21.00 "ვარსკვლავები". 22.15 მხ.ფ. "ადგილების შეცვლა". 23.50 მუსიკა 00.20 მინისერიალი "მთიელი"

**IST** 08.00 "ტონიკი" 10.00 "ბისი". მხ.ფ. "მისიე კლაინი" 12.00, 20.35, 22.20, 00.00 კლიპ-მიქსი 14.00 კონცერტი 18.00 "სამყარო" დოკ. ფილმი 19.00 "Co.მედია" მხ.ფ. "ადამიანი რაკეტა". მთ. როლში გარლანდი უილსი. 20.50 პროგრამა "F" მხ.ფილმი "შურისძიება". მთ. როლში პიტერ კოიოტი. 22.35 "ბრავო" მხ.ფ. "საოფისე სივრცე". როლებში: რონ ლივინგსტონი, სტივენ რუტი. 00.15 "ღამურა" მხ. ფილმი "პლაჟი". მთ. როლში ლეონარდო დი კაპრიო. 02.10 ნონ-სტოპი

09.00 საინფორმაციო პროგრამა "დილით" 09.15, 18.15 მულტფილმი "რობინ ჰუდი" 09.40 მხ.ფ. "განსაკუთრებული" 11.20 ევროპის სტადიონებზე 11.45, 21.05 დოკ. ფილმი "მწერების იმპერია" 12.15, 14.30, 21.40, 01.55 მუსიკა 12.35 მხ. ფილმი "კრავთა დუმილი" 14.50, 18.45 შემეცნებითი პროგრამა "დისქავერი" 16.00 მხ.ფ. "მაიორი დენდი" 18.00 საინფორმაციო პროგრამა "ექვს საათზე" 20.00 "ევროპის სტადიონებზე" 20.25, 23.55 ხუთი წუთი ეკონომიკა 20.30 საინფორმაციო პროგრამა "ცხრის ნახევარზე" 22.00 მხ. ფილმი "მუმია" მთ. როლში ბრენდან [illegible]

[illegible] სამყარო" 11.10 ნახატი ფილმი 11.35 "ავტოპილოტი" 12.20 დოკ. ფილმი "ბრძოლა წესების გარეშე" 17.20 ფილმი თქვენი თხოვნით - მხ.ფილმი 19.30 DW- საინფორმაციო გამოშვება 20.00 "ეკრანული სახეები": მხ.ფ. "უცნობი". თრილერი. როლებში: ანტონიო ბანდერასი, რებეკა დე მორნეი. 22.30 ეკრანი, რეალობა, ადამიანი 23.25 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი 01.25 "კინოკლუბი" - მხ.ფ. "მაგიდა ერთისათვის". დეტექტივი. მთავარ როლებში: რებეკა დე მორნეი, მაიკლ რუკერი.

**ОРТ** 07.00 Телеканал "Доброе утро". 10.00, 13.00, 16.00, 19.00, 01.45 Новости. 10.20, 17.55 Сериал "ВАВИЛОНСКАЯ БАШНЯ". 11.25 Сериал "УБОЙНАЯ СИЛА". 12.30, 19.25 Сериал "ВСЕ ПУТЕШЕСТВИЯ КОМАНДЫ КУСТО". 13.15 Телеканал "Добрый день". 14.10 Х/Ф "ТРЕСТ, КОТОРЫЙ ЛОПНУЛ". 15.30 "Вместе". 16.20 Мультфильм. 16.45 Зов джунглей. 17.15 "... До 16 и старше". 20.00 Человек и закон. 20.40 Сериал "ОСТАНОВКА ПО ТРЕБОВАНИЮ". 21.50 Спокойной ночи, малыши! 22.00 Время. 23.00 Х/Ф "КОКТЕЙЛЬ". 01.00 Шахматные короли. 02.00 Сериал "МАЙК ХАММЕР".

**РТР** 07.00, 08.00, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 ВЕСТИ 07.15 Доброе утро, Россия. 07.20, 08.15 Семейные новости. 07.50, 09.50 Городские новости. 08.30 Бюро вопросов, бюро ответов. 08.50, 10.15 "Черным по белому". 09.30, 21.30 Подробности. 10.20, 01.45 Дежурная часть. 10.35 Мультфильм. 11.00 Сериал "МАНУЭЛА". 12.30 Сериал "САНТА-БАРБАРА". 13.30 Что хочет женщина. 14.00 Старая квартира. 15.30 Сериал "ЧЕРНАЯ ЖЕМЧУЖИНА". 16.25 Сериал "БОГАТЫЕ И ЗНАМЕНИТЫЕ". 17.20 Сериал "ТАЙНА СТАРИННОГО СКЛЕПА". 18.30 Х/Ф "ГРЕХИ". 20.00 Сериал "ИСТОРИЯ ЛЮБВИ". 21.50 Х/Ф "АМЕРИКАНСКИЙ САМУРАЙ". 23.50 "Обовсем". Семен Альтов. 00.30 После "Вестей". 00.40 Сериал "ПРОФИЛЬ УБИЙЦЫ". 01.55 Горячая десятка.

**НТВ** 07.00 Сегодня утром. 07.20, 08.15, 19.40 Криминал. 07.35, 08.50 Большие деньги. 07.50, 09.20, 18.35 Впрок. 08.20, 09.45 Карданный вал. 08.35 Мультфильм. 09.55 "УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ-2". 11.00, 13.00, 15.00, 17.00, 20.00, 23.00 Сегодня. 11.20, 23.40 "СКОРАЯ ПОМОЩЬ". 12.10 Сериал "ЛЮБОВЬ И ТАЙНЫ САНСЕТ БИЧ". 13.30 Х/Ф "ТАБАЧНЫЙ КАПИТАН". 15.35 Среда. 16.00 Старый телевизор. 17.30 "ЭЛЕН И РЕБЯТА". 18.45 Сериал "СТРАСТЬ". 20.30 Герой дня. 20.55 Андропов. 22.05 Совершенно секретно. 00.40 Тушите свет. 01.00 Сегодня в полночь. 01.30 Антропология.

## ხუთშაბათი, 2 ნოემბერი

08.00 ალიონი 09.30 ტელესერიალი "ქილის წინ" 09.45 ტელემაღაზია 09.55, 20.50 სერიალი "შავი მარგალიტი" 10.30 საქართველო და გარე სამყარო 10.50 მხიარული კარუსელი 11.10, 18.15 სერიალი "სენ-ტროპე" 12.00, 15.00, 20.00, 23.10 მოამბე 12.15 "ფსიქფაქტორი" 12.35 საქმე 13.00 ნაშუადღევი 14.05 მე ქალი ვარ 14.40 ენერგია 15.15 მხ.ფ. "ადამიანი მთვარეზე" 17.05 სახსოვარი. გ. ტაბიძე 17.35 რამპა 17.40 მესაკუთრე 18.00 ვესტნიკი 19.05, 02.30 ვიდეოპატრული-02 19.15 მაესტრო 19.25 ფაილი 19.40 ბასტი-ბუბუ 21.40 "თბილისის დროით" 22.00 კრიმინალური დეტექტივი 22.40 ტელესერიალი "ფსიქფაქტორი" 23.50 ტელესერიალი "ქილის წინ" 00.05 "ტელე-სინე-ვიდეო" 00.40 მხ.ფილმი "იმედის ბორბალი"

19.00 ინფორმაცია 19.30 ჩიპო 20.00 სერიალი "სენ-ტროპე" 20.50 რაგბის მოყვარულთათვის 21.10 ესკიზი 21.35 დოსიე 22.00 ინფორმაცია 22.15 შეიდეული 23.15 ჰიტ-პარადი 23.20 მხ.ფ. "დავახრჩოთ მონა"

07.00 მუსიკა. 07.30 ტექს ავერი, რობინ ჰუდი 08.00, 12.00, 15.00 კურიერი 08.55 სერიალი "გლანკოს ქვრივი" 09.50 ტელევიქტორინა "ვის უნდა ოცი ათასი" 10.40 სერიალი "ოქროს ვარდის გამოქვაბული" 11.10 სერიალი "სამანტა" 12.15 მულტსერიალი 13.30 მხ. ფილმი 17.05 ტომი და ჯერი 17.25 სერიალი "მეზობელი გოგონები" 18.00, 21.00, 22.50, 02.05 კურიერი 18.20 "ოქროს ვარდის გამოქვაბული" 18.55 სერიალი "სპეცრაზმი" 19.50 სერიალი "სამანტა" 21.50 სერიალი "ნიკიტა" 00.05 მხ.ფ. "ჟანა დარკის ისტორია" რეჟ. ლუკ ბესონი. მთ. როლებში: მილა იოვოვიჩი, ჯონ მალკოვიჩი, დ. ჰოფმანი. 02.15 კლასიკა

14.00, 21.30 სერიალი "მილედი" 14.45 მოკლ.მხ.ფილმი 15.30 მხ.ფ. "ომი და მშვიდობა" 17.00, 19.00, 20.30, 00.00 "დღეს" 17.15 სერიალი "მხოლოდ შენ ერთს" 18.00 "მსოფლიო სპორტი" 19.20 სტუდია "სპექტრი" 21.00 "ვარსკვლავები". 22.15 მხ.ფილმი "უკანასკნელი ზღვარი" 23.40 მუსიკა 00.20 მინისერიალი "მთიელი"

**IST** 08.00 "ტონიკი" 10.00 "ბისი". მხ.ფ. "საოფისე სივრცე" 11.30, 20.30, 23.55 კლიპ-მიქსი 14.00 კონცერტი 18.00 "ნუკაბაძი" მულტფილმი 19.00 "Co.მედია" მხ.ფ. "დონ ჟუანი ჯოჯოხეთიდან". მთ. როლში რობ ლოუ. 20.45 პროგრამა "F" მხ.ფ. "ორდერი სტრიპტიზზე" 22.15 "ბრავო". მხ.ფ. "დამსხვრეული სასახლე". მთ. როლებში: კლერ დეინსი, ბილ პულმანი. 00.10 "ღამურა" მხ.ფ. "ღამეები ბუშის სტილში" 02.30 ნონ-სტოპი




09.00 ინფორმაცია "დილას" 09.15, 18.15 მულტფილმი "რობინ ჰუდი" 09.40 მხ.ფ. "მუმია" 11.40 "ევროპის სტადიონებზე" 12.05 "მწერების იმპერია" 12.35, 21.40, 02.20 მუსიკა 12.50 მხ. ფილმი "განცხრომის ბალი" 14.45, 18.40 შემეცნებითი პროგრამა "დისქავერი" 16.15 მხ.ფ. "სასაკლაო ნომერი 5" 18.00 საინფორმაციო პროგრამა "საღამოს ექვს საათზე" 20.25, 23.55 ხუთი წუთი ეკონომიკა 20.30 საინფორმაციო პროგრამა "ცხრის ნახევარზე" 21.00 "საუბრები სტუდიაში" 22.00 მხ. ფილმი "მღვდლის ცოლი" მთ. როლში უიტნი ჰიუსტონი. 00.00 საინფორმაციო პროგრამა "შუაღამისას" 00.15 მხ. ფილმი "გამოაშკარავება" მთ. როლებში: მაიკლ დუგლასი, დემი მური, დონალდ საზერლენდი.

**VII არხი** 09.30, 00.40 მუსიკალური ტაიმაუტი 09.50, 19.00 "აჩიკუდა" 10.15 დოკ. ფილმი "ცხოველთა სამყარო" 11.10 ნახატი ფილმი 11.55 დოკ. ფილმი "ბრძოლა წესების გარეშე" 17.20 ფილმი თქვენი თხოვნით - მხ.ფილმი 19.30 DW- საინფორმაციო გამოშვება 20.00 "ეკრანული სახეები": მხ.ფ. "ზოროს ნიღაბი". სათავგადასავლო. როლებში: ა. ბანდერასი, ე. ჰოპკინსი. 22.30 ეკრანი, რეალობა, ადამიანი 23.00 "კინოკლუბი" - მხ.ფ. "ჩრდილების მძარცველი". საშინელებათა ჟანრის. მთავარ როლებში: მაიკლ რუკერი, ტონი ტოდი. 01.30 ტელესერიალი "დეტექტივ დუბროვსკის დოსიე"

**ОРТ** 07.00 Телеканал "Доброе утро". 10.00, 13.00, 16.00, 19.00, 01.45 Новости. 10.20, 17.55 Сериал "ВАВИЛОНСКАЯ БАШНЯ". 11.25 Сериал "ОСТАНОВКА ПО ТРЕБОВАНИЮ". 12.30, 19.25 Сериал "ВСЕ ПУТЕШЕСТВИЯ КОМАНДЫ КУСТО". 13.15 Телеканал "Добрый день". 14.00 Х/Ф "МИРАЖ". 15.30 "Вместе". 16.20 Мультфильм. 16.45 Программа 100%. 17.15 "... До 16 и старше". 20.00 Процесс. 20.40 Сериал "ИМПЕРИЯ ПОД УДАРОМ". 21.50 Спокойной ночи, малыши. 22.00 Время. 23.00 Х/Ф "СТРИНГЕР". 00.45 Николай Носков. Концерт в Кремле. 02.00 Сериал "МАЙК ХАММЕР".

## პარასკევი, 3 ნოემბერი

08.00 ალიონი 09.30 ტელესერიალი "ქილის წინ" 09.45 ტელემაღაზია 09.55, 20.50 სერიალი "შავი მარგალიტი" 10.30 ზღვარი 10.45 თბილისის დროით 11.05, 18.15 სერიალი "სენ-ტროპე" 12.00, 15.00, 20.00, 23.10 მოამბე 12.15 ტელესერიალი "ფსიქფაქტორი" 12.35 ეძიე ქალი 13.00 ნაშუადღევი 14.05 ტელე-სინე-ვიდეო 14.35 ყველაფერი ქორეოგრაფიაზე 15.15 მხ.ფ. "დაუნდობლად" 17.00 50-50 17.50 მუსიკალური პაუზა 18.00 ვესტნიკი 19.05, 02.40 ვიდეოპატრული-02 19.15 მაესტრო 19.25 ოვერტაიმი 19.40 ბასტი-ბუბუ 21.40 "XX საუკუნე" 22.00 "მოსკოვი-თბილისი" 22.20 მრავალსახეობა 22.40 ტელესერიალი "ფსიქფაქტორი" 23.50 ტელესერიალი "ქილის წინ" 00.10 გმირი 00.30 მხ.ფილმი "უკანასკნელი ტანგო პარიზში"

19.00 ინფორმაცია 19.35 იყო და არა იყო რა 20.00 მოკლ.მხ.ფილმი 20.40 ექსტრა 21.00 მანქანა - სახელწოდებით მოდა 21.30 აფხაზეთის ტელევიზია 22.00 ინფორმაცია 22.15 ანტრე 22.55 ჰიტ-პარადი 23.05 მხ.ფ. "სადაც გინდა, ოღონდ აქ არა"

07.00 მუსიკა. 07.30 ტექს ავერი, რობინ ჰუდი 08.00, 12.00, 15.00 კურიერი 08.55 სერიალი "გლანკოს ქვრივი" 09.50 სერიალი "ნიკიტა" 10.40 სერიალი "ოქროს ვარდის გამოქვაბული" 11.10 სერიალი "სამანტა" 12.15 მულტსერიალი 13.30 მხ. ფილმი 17.05 ტომი და ჯერი 17.25 სერიალი "მეზობელი გოგონები" 18.00, 21.00, 22.50, 03.10 კურიერი 18.20 "ოქროს ვარდის გამოქვაბული" 18.55 დოკ. ფილმი "მშვიდობით მეოცე საუკუნევ" 19.50 სერიალი "სამანტა" 21.50 ტელევიქტორინა "ვის უნდა ოცი ათასი" 00.05 მხ.ფ. "ბანზაი" რეჟ. კლოდ ზიდი. მთ. როლებში: მარტა ვილალონგა, ვალერი მერესი. 02.10 სიმფონიები 02.40 სერიალი "წითელი ფეხსაცმლის დღიურები" 03.20 კლასიკა

14.00, 21.30 სერიალი "მილედი" 14.45 მუსიკა 15.30 მხ.ფ. "სიმაღლე" 17.00, 19.00, 20.30, 00.00 "დღეს" 17.15 სერიალი "მხოლოდ შენ ერთს" 18.00 "მსოფლიო სპორტი" 19.20 სტუდია "სპექტრი" 21.00 "ვარსკვლავები". 22.15 მხ.ფილმი "მაფიოზები" 23.55 მუსიკა 00.20 გადაცემა "რატომ?"

**IST** 08.00 "ტონიკი" 10.00 "ბისი". მხ.ფ. "დამსხვრეული სასახლე" 11.40, 19.05, 20.50, 22.45, 01.00 კლიპ-მიქსი 14.00 კონცერტი 18.00 "სამყარო" დოკ. ფილმი 18.45 "მადიანი" 19.20 "Co.მედია" მხ.ფ. "ეს ბედია". მთ. როლებში: კასპერ ვან დიენი, ლორენ გრემი. 21.05 პროგრამა "F" მხ.ფ. "უმეზრუნველ" 23.00 "ბრავო". მხ.ფ. "მეღვინეთა წესები". მთ. როლებში: ტობი მაგუაიერი, შარლიზ ტერონი. 01.15 "ღამურა" მხ.ფილმი "ცოლის მაგიერ" 02.45 ნონ-სტოპი

09.00 საინფორმაციო პროგრამა "დილით" 09.15 მულტფილმი "რობინ ჰუდი" 09.40 მხ.ფ. "მღვდლის ცოლი" 11.40 "საუბრები სტუდიაში" 12.20, 21.00, 21.35, 02.30 მუსიკა 12.35 მხ. ფილმი "გამოაშკარავება" 14.40, 18.45 შემეცნებითი პროგრამა "დისქავერი" 16.25 მხ.ფ. "მტაცებლები" 18.00 საინფორმაციო პროგრამა "საღამოს ექვს საათზე" 18.15 მულტფილმი "მულანი" 20.25, 23.55 ხუთი წუთი ეკონომიკა 20.30 საინფორმაციო პროგრამა "ცხრის [illegible] ჯულია ორმონდი.

**VII არხი** 09.30, 10.45, 22.40 მუსიკალური ტაიმაუტი 09.50, 19.00 "აჩიკუდა" 10.15 დოკ. ფილმი "ცხოველთა სამყარო" 11.10 ნახატი ფილმი 12.00 დოკ. ფილმი "ბრძოლა წესების გარეშე" 17.20 ფილმი თქვენი თხოვნით - მხ.ფილმი 19.30 DW- საინფორმაციო გამოშვება 20.00 "ეკრანული სახეები": მხ.ფ. "ორი, ეს მეტისმეტია". კომედია. როლებში: ანტონიო ბანდერასი, მელანი გრიფიტი, დერილ ხანა. 22.30 ეკრანი, რეალობა, ადამიანი 23.00 "თიკო ვირტუალურ სამყაროში" 23.10 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი 01.30 ტელესერიალი "დეტექტივ დუბროვსკის დოსიე"

**ОРТ** 07.00 Телеканал "Доброе утро". 10.00, 13.00, 16.00, 19.00, 01.20 Новости. 10.20, 17.55 Сериал "ВАВИЛОНСКАЯ БАШНЯ". 11.25 Сериал "ИМПЕРИЯ ПОД УДАРОМ". 12.30 Сериал "ВСЕ ПУТЕШЕСТВИЯ КОМАНДЫ КУСТО". 13.15 Телеканал "Добрый день". 14.05 Х/Ф "МИРАЖ". 15.30 "Вместе". 16.20 Мультазбука. 17.15 ... До 16 и старше. 19.25 С легким паром. 20.00 Док. детектив. 20.40 Поле чудес. 21.50 Спокойной ночи, малыши. 22.00 Время. 23.00 Х/Ф "ТРАКТИР НА ПЯТНИЦКОЙ". 00.45 Сериал "ЧЕРНАЯ КОМНАТА". 01.35 Сериал "МАЙК ХАММЕР".

**РТР** 07.00, 08.00, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 ВЕСТИ 07.15 Доброе утро, Россия. 07.20, 08.15 Семейные новости. 07.50, 09.50 Городские новости. 08.30 Бюро вопросов, бюро ответов. 08.50, 10.15 "Черным по белому". 09.30, 21.30 Подробности. 10.20, 02.35 Дежурная часть. 10.35 Мультфильм. 11.00 Сериал "МАНУЭЛА". 12.30 Сериал "САНТА-БАРБАРА". 13.30 Что хочет женщина. 14.00 Старая квартира. 15.30 Сериал "ЧЕРНАЯ ЖЕМЧУЖИНА". 16.25 Сериал "БОГАТЫЕ И ЗНАМЕНИТЫЕ". 17.25 Сериал "ДРУЗЬЯ-1". 18.30 Х/Ф "ОБЛАКО-РАЙ". 20.00 Сериал "ИСТОРИЯ ЛЮБВИ". 21.50 Х/Ф "ОТПРАВЛЯЮЩИЙСЯ В АД". 00.30 После "Вестей". 00.40 В пятницу вечером. 01.45 Док. фильм.

**НТВ** 07.00 Сегодня утром. 07.20, 08.15, 19.40 Криминал. 07.35, 08.50 Большие деньги. 07.50, 09.20, 18.35 Впрок. 08.20, 09.45 Карданный вал. 08.35 Мультфильм. 09.55 Сериал "СКОРАЯ ПОМОЩЬ". 11.00, 13.00, 15.00, 17.00, 20.00, 23.00 Сегодня. 11.25 Один день. 11.55, 13.25 Док. фильм. 14.25 "Растительная жизнь". 15.30 "24 часа". 16.00 "Старый телевизор". 17.30 Улица сезам. 17.55 Сериал "ЭЛЕН И РЕБЯТА". 18.45 Сериал "СТРАСТЬ". 20.35 Глас народа. 22.05 Телеигра "О, счастливчик". 23.45 "Женский взгляд". 00.20 Тушите свет. 00.35 Х/Ф "ПРЕСТУПЛЕНИЕ В САН-ФРАНЦИСКО".

## შაბათი, 4 ნოემბერი

10.00 დილის ჰაემანი 11.40 ფრანგული პროგრამა "ჩემი სახლი" 12.00 საინფორმაციო პროგრამა ინგლისურ ენაზე 12.20 ნანა ჯაფარიძე წარმოგიდგენთ 13.25 მხ.ფ. "ცის შვილები" 14.50 მუსიკალური პაუზა 15.00, 20.00, 00.00 "მოამბე" 15.15 საქართველო, დრო, მოვლენები 15.40 თბილისი და თბილისელები 16.00 კალათბურთი. "აზოტი" (რუსთავი) - "ბასკო" (ბათუმი). 17.30 ინტერპანორამა 17.50 მხიარული კარუსელი 18.20 კავკასიური სამკუთხედი 18.40 ფრანგული პროგრამა 19.00 ვესტნიკი 19.40 ნაცარქექია 20.00 ტაიმ-აუტი 20.45 აზრი 20.55 მაესტრო 22.00 მუსიკალური ოქტაგონი 22.45 "ცოტა რამ საქართველოზე" 23.25 მუსიკალური ჰიტ-პარადი 00.10 ულტრა 00.25 მხ.ფ. "დიდება"

19.00 ინფორმაცია 19.35 სერიალი "საზღვაო პოლიცია" 20.20 იყო და არა იყო რა 20.50 დასაბამიდან 21.00 საფრანგეთის ტელევიზიის პროგრამა 21.30 ავანსცენა 22.00 ინფორმაცია 22.15 ახლო ხედი 23.15 ჰიტ-პარადი 23.20 მხ.ფ. "პილიგრიმი"

08.00 მუსიკა 09.00 კურიერი 09.50 ტელევიქტორინა "ვის უნდა ოცი ათასი" 10.50 მულტსერიალი 11.30 საბავშვო ფილმი 12.45 მუსიკა 12.55 სერიალი "კოლომბო" 13.40 სიმფონიები 14.05 სერიალი "ნაზი შხამი" 15.00 მხ.ფილმი 17.10 სერიალი "კომპიუტერული ომები" 17.45 ტექს ავერი 18.00, 01.00 კურიერი 18.20 სერიალი "რობინზონების ოჯახის თავგადასავალი" 19.00 ჩემპიონთა ლიგის კვირის მიმოხილვა 19.50 სერიალი "ნაზი შხამი" 21.00 კურიერი 22.00 ფსიქო. მხ.ფ. "მე ჯონ მეჯია" რეჟ. ჯენ ლოუჩი. 01.10 სერიალი "წითელი ფეხსაცმლის დღიურები" 01.40 ღამის ჯაზი

12.00 მხ.ფილმი "ძვირფასო, ჩვენ თავი დავიპატარავეთ" 13.10 მხ.ფ. "ვინ არის სახლში უფროსი" 14.40 მხ.ფ. "სულთანი ბეიბარსი" 17.00, 19.00, 20.30, 00.00 "დღეს" 17.15 დოკ.ფილმი 18.00 "მსოფლიო სპორტი" 19.15 მხ.ფილმი "ალყა" 21.00 "ვარსკვლავები". 22.00 ქართ. მხ.ფილმი "ბაგრატიონი" 23.35 მუსიკა 00.20 მხ. ფილმი "ძიუდოს გენიოსები"

**IST** 08.00 "ტონიკი" 10.00 "ბისი". მხ.ფ. "მეღვინეთა წესები" 12.00, 14.30, 16.05, 17.55, 20.30, 22.25, 00.15 კლიპ-მიქსი 12.15 "მადიანი" 13.00, 18.00 მულტფილმი 14.45 მხ.ფილმი "შავი ოკეანე" 16.15 მხ.ფილმი "გზა შინისაკენ არ არსებობს" 19.00 "Co.მედია" მხ.ფ. "გაყინული კალიფორნიელი". მთ. როლში ბრენდან ფრეიზერი. 20.45 პროგრამა "F" მხ.ფ. "ვირტუოზულობა". მთ. როლში დენზელ ვაშინგტონი. 22.40 "ბრავო" მხ.ფ. "თვითმკვლელი ქალწულები". მთ. როლში კირსტენ დანსტი. 00.30 "ღამურა" მხ.ფილმი "ზარი წარსულიდან". მთ. როლში ბლაირ დენერი. 02.30 ნონ-სტოპი

09.00 საინფორმაციო პროგრამა "დილით" 09.15, 18.15 მულტფილმი "მულანი" 09.40 მხ.ფ. "მთელი სამყარო ცოტაა" 11.45 "ლიმონი და ლიმონითი" 12.00, 14.35 მუსიკა 12.25 მხ.ფ. "შემოდგომის ლეგენდები" 14.50, 18.40 შემეცნებითი პროგრამა "დისქავერი" 15.55 მხ.ფ. "საბრინა" მთ. როლებში: ჰარისონ ფორდი, [illegible] ფილმი "მოსკიტების სანაპირო" მთ. როლში ჰარისონ ფორდი. 00.00 საინფორმაციო პროგრამა "შუაღამისას" 00.15 მხ. ფილმი "მგლებთან მოცეკვავე"

**VII არხი** 17.00 ანონსი 17.05, 21.25 ტელეგაზეთი 17.15, 21.35 სპორტული ინფორმაცია 17.20 ფილმი თქვენი თხოვნით - მხ. ფილმი 19.00 "აჩიკუდა" 19.40 მუსიკა თხოვნით 19.55 "ბედნიერი ერი" 20.00 გასართობი პროგრამა 21.40 "კინოკლუბი" - მხ.ფ. "ონასისი" ცხოვრებისეული. როლებში: ენტონი ქვინი, ჯეინ სეიმური, რაულ ჯულია. 23.10 მუსიკალური ტაიმაუტი 23.20 საფეხბურთო მიმოხილვა 23.55 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი

**ОРТ** 07.00 Телеканал "Доброе утро". 10.00, 13.00, 16.00, 19.00, 00.40 Новости. 10.20, 17.55 Сериал "ВАВИЛОНСКАЯ БАШНЯ". 11.20 Поле чудес. 12.25 Док. детектив. 13.15 Телеканал "Добрый день". 14.10 Х/Ф "МИРАЖ". 15.30 "Вместе". 16.20 Х/Ф "СЫНОВЬЯ БОЛЬШОЙ МЕДВЕДИЦЫ". 19.30 КВН-2000. 21.45 Спокойной ночи, малыши. 22.00 Время. 22.45 Х/Ф "КОЛОМБО. ПОСЛЕДНИЙ САЛЮТ КОМАНДОРУ". 00.55 Х/Ф "ПЛОХАЯ КОМПАНИЯ".

**РТР** 07.00, 08.00, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 ВЕСТИ 07.15 Доброе утро, Россия. 07.20, 08.15 Семейные новости. 07.50, 09.50 Городские новости. 08.30 Бюро вопро ов, бюро ответов. 08.50, 10.15 "Черным по белому". 09.30, 21.30 Подробности. 10.20, 02.40 Дежурная часть. 10.35 Мультфильм. 11.00 Сериал "МАНУЭЛА". 12.30 Сериал "САНТА-БАРБАРА". 13.30 Что хочет женщина. 14.00 Старая квартира. 15.30 Сериал "ЧЕРНАЯ ЖЕМЧУЖИНА". 16.25 Сериал "БОГАТЫЕ И ЗНАМЕНИТЫЕ". 17.25 Сериал "ДРУЗЬЯ-1". 18.30 Х/Ф "УБИЙСТВО В САНШАЙН-МЕНОР". 20.00 "ТВ бинго шоу". 21.50 Х/Ф "УЛЬТИМАТУМ". 23.45 "Обовсем". Семен Альтов. 00.30 После "Вестей". 00.40 Х/Ф "ФЕНИКС".

**НТВ** 09.00, 11.00, 13.00, 17.00, 20.00, 23.00 Сегодня. 09.15 Сериал "ДЕВУШКИ ИЗ ЛИДО". 10.10, 21.00 Телеигра "О, счастливчик". 11.20 Чистосердечное признание. 11.50 Женский взгляд. 12.25 "Полундра". 13.25 "Большие деньги". 13.55 Х/Ф "МЕДОВЫЙ МЕСЯЦ". 15.40 "В нашу гавань заходили корабли". 16.40 Свидетель века. 17.25 Депрессия. 17.50 Интересное кино. 18.20 Дог-шоу. 18.50 "ОНА НАПИСАЛА УБИЙСТВО". 20.30 "Герой дня без галстука". 21.50 Сериал "АГЕНТ НАЦИОНАЛЬНОЙ БЕЗОПАСНОСТИ". 23.45 Х/Ф "РОККИ-4". 01.30 Х/Ф "ДОЛИНА ТЕННЕССИ".

## კვირა, 5 ნოემბერი

10.00 "მეტრონომი" 11.05 ქართული ცირკი 60 წლისაა 11.40 ზუმი 12.00 მსოფლიოს ახალი ამბები 12.15 სპა 12.35 სერიალი "წვრილვარსკვლავთა ღამე" 13.30 მხ.ფ. "კალათბურთის ციებ-ცხელება" 15.00, 20.00, 00.00 მოამბე 15.15 რეგიონი 15.40 ბავშვები უპირველეს ყოვლისა 15.55 ფრანგული პროგრამა 16.25 "კვაზიმოდო" 16.50 მუსიკალური ოქტაგონი 17.25 ეძიე ქალი 17.45 პირველად იყო სიტყვა 18.15 კომუნიკატორი 18.45 მუნდიალი 19.05 ტოტო-ლოტო 19.25 ჩვენი მისამართია 20.25 ეკო-დაიჯესტი 20.45 ფორტუნა 21.30 მთელი ეს ტელევიზია 21.55 დიდების ზღაპარი 22.20 მრავალჟამიერი 22.45 აბრეშუმის საუკუნისაკენ 23.00 საუბრები ლიტერატურაზე 23.35 2X2 00.15 მაესტრო 00.50 მხ. ფილმი "აურზაური"

19.00 იყო და არა იყო რა 19.35 სერიალი "საზღვაო პოლიცია" 20.20 შეიდეული 21.30 ვარსკვლავები გვამცნობენ 21.40 მხ.ფ. "ნათესავი ბეტი" 23.20 ჰიტ-პარადი 23.30 მე-7 ცა

08.00 მუსიკა 09.00 კურიერი 09.15 მულტსერიალი 10.00 საბავშვო ფილმი 11.30 მუსიკა 11.40 სერიალი "კოლომბო" 12.10 სიმფონიები 12.30 სერიალი "ნაზი შხამი" 13.15 მხ.ფილმი 17.10 მწერები 17.30 სერიალი "კოლომბო" 18.00, 02.40 კურიერი 18.15 "კოლომბო" 19.15 სპორტული პროგრამა 19.50 სერიალი "ნაზი შხამი" 21.00 60 წუთი 22.05 სერიალი "საიდუმლო მასალები" 22.50 ჯეოსელის კინოკლუბი. 2.00 სიმფონიები 02.50 კლასიკა

12.00 ინდ. მხ.ფილმი "სამრაატი" 14.10 ქართ.მხ.ფილმი "ვინ არის მეოთხე" 15.30 მხ.ფ. "იმპერატორი და მკვლელი" 17.00 მუსიკა 17.05 დოკ.ფილმი "პირველად იყო სიტყვა" 18.00 მსოფლიო სპორტი 19.00 მხ.ფილმი "ბერნარდა ალბას სახლი" 20.30 "დღეს" 21.00 "ვარსკვლავები". 22.00 მხ.ფ. "მგელი" 00.20 ჯაზ-პარნასი 00.40 მხ.ფილმი "კედლებს რომ ლაპარაკი შეეძლოთ-2"

**IST** 08.00 "ტონიკი" 10.00 "ბისი". მხ.ფ. "თვითმკვლელი ქალწულები" 11.35, 13.30, 16.00, 17.50, 20.40, 22.55, 00.55 კლიპ-მიქსი 12.00, 18.00 მულტფილმი 13.45 მხ.ფ. "სასტიკი რომანსი". მთ. როლში ნ. მიხალკოვი. 16.10 მხ.ფ. "ცოფიანი ძაღლი და გლორია". მთ. როლში რობერტ დე ნირო. 19.00 "Co.მედია" მხ.ფ. "ქურდი ქალი" 20.55 პროგრამა "F" მხ.ფ. "საიდუმლო მასალები". მთ. როლში დევიდ დუხოვნი. 23.10 "ბრავო" მხ.ფ. "აკრძალული სიყვარული". მთ. როლებში: ერიკ შტოლცი, მიმი როჯერსი. 01.10 "ღამურა" მხ.ფილმი "მაქსიმალური აჩქარება". მთ. როლში ლაურა სერინგტონი. 02.45 ნონ-სტოპი

09.00 საინფორმაციო პროგრამა "დილით" 09.15, 18.15 მულტფილმი "მულანი" 09.40 მხ.ფ. "მოსკიტების სანაპირო" 11.35 "ბელისიმო" 11.55 დოკ. ფილმი "მწერების იმპერია" 12.30 "ევროპის სტადიონებზე" 13.00 მხ. ფილმი "მგლებთან მოცეკვავე" 14.40, 16.50, 18.35 შემეცნებითი პროგრამა "დისქავერი" 16.00 სერიალი "დეტექტივ დუბროვსკის დოსიე" [illegible] საინფორმაციო პროგრამა "შუაღამისას" 00.25 მხ. ფილმი "ჩიტუნა" რეჟ. ალან პარკერი. მთ. როლებში ნიკოლას კეიჯი, მეთიუ მოდაინი.

**VII არხი** 17.00 ანონსი 17.05, 22.05 ტელეგაზეთი 17.15, 22.15 სპორტული ინფორმაცია 17.20 ფილმი თქვენი თხოვნით - მხ. ფილმი 19.00 "აჩიკუდა" 19.40 მუსიკა თხოვნით 19.55 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. "ევერტონი" - "ასტონ ვილა" 21.20 საფეხბურთო მიმოხილვა - "90 წუთი" 22.50 "ავტოპილოტი" 23.10 მუსიკალური ტაიმაუტი 23.25 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი 01.25 "კინოკლუბი" - მხ.ფ. "ონასისი"

**ОРТ** 09.00, 11.00, 16.00, 19.00 Новости. 09.10 Служу России. 09.40, 16.15 Дисней-клуб. 10.05 Утренняя звезда. 11.10 "Непутевые заметки". 11.30 Пока все дома. 12.05 Х/Ф "УЗНИК ЗАМКА ИФ". 13.25 Утренняя почта. 14.00 Клуб путешественников. 14.40 Эх, Семеновна! 15.15 Здоровье. 16.45 "Золотой граммофон". 18.45 "Ералаш". 19.15 Спецрепортаж. 19.30 Х/Ф "КАВКАЗСКАЯ ПЛЕННИЦА, ИЛИ НОВЫЕ ПРИКЛЮЧЕНИЯ ШУРИКА". 21.10 Х/Ф "Я ЛЮБЛЮ НЕПРИЯТНОСТИ". 23.30 "Времена". Программа Владимира Познера. 00.35 Время футбола. 01.15 Х/Ф "ТОТ, КТО МЕНЯ БЕРЕЖЕТ".

**РТР** 08.30 Диалоги о рыбалке. 09.00 Мультфильмы. 09.30 Папа, мама, я - спортивная семья. 10.15 Почта РТР. 10.45 Доброе утро, страна. 11.15 Аншлаг. 12.15 Городок. 12.45 Русское лото. 13.25 Федерация. 14.05 Парламентский час. 15.00 Вести. 15.20 Х/Ф "ЧЕЛОВЕК РОДИЛСЯ". 17.00 Международная панорама. 18.00 Разговор с Америкой - Дж. Буш или А. Гор. 19.00 Зеркало. 20.20 Сериал "МАРШ ТУРЕЦКОГО". 21.55 Х/Ф "ДМБ". 23.45 Х/Ф "ВАМПИРЫ". 01.45 Футбол. ЦСКА - "Динамо". 02.30 "Футбол + ТВ".

**НТВ** 09.00, 11.00, 13.00, 17.00 Сегодня. 09.15, 21.50 Сериал "АГЕНТ НАЦИОНАЛЬНОЙ БЕЗОПАСНОСТИ". 10.10 Телеигра. 11.15 Х/Ф "ОГРАБЛЕНИЕ НА 10 МИЛЛИОНОВ". 13.30 "Служба спасения". 14.00 Сериал "ЕЕ ЗВАЛИ НИКИТА". 14.55 Криминальная Россия. 15.30 Третий тайм. 16.30 "Рублевая зона". 17.25 "Большие родители". 17.55 "Путешествия натуралиста". 18.25 Без рецепта. 18.55 Сериал "ОНА НАПИСАЛА УБИЙСТВО". 20.00, 23.00 Итоги. 21.35 "Куклы". 23.25 Док. фильм. 00.25 Х/Ф "УРАГАН". 02.35 Сериал "ПАДШИЕ АНГЕЛЫ".

ანონსი • ანონსი • ანონსი • ანონსი • ანონსი • ანონსი • ანონსი




**საბურთალოს მაცხოვრებელთათვის**

კვირის პალიტრა

ჟურნალ-გაზეთების გამოწერა სახლიდან გაუსვლელად

საფოსტო ყუთი დამონტაჟებით, უფასოდ!

ტელ: 33-26-73

**შ.პ.ს. „ფავორიტი"**

გთავაზობთ უმაღლესი ხარისხის პოლიგრაფიულ მომსახურებას დაბალ ფასებში

წიგნების, ბროშურების, ჟურნალების, ბუკლეტების რედაქტირებას, დაკაბადონებას, ბეჭდვას და აწყობას ნებისმიერ ყდაში

მუყაოს ყუთების დამზადებას, ნებისმიერი კონფიგურაციის მყარ ზედაპირზე ტრაფარეტული და ტამპონურ ბეჭდვას; ასევე საკანცელარიო საქონლის ფართო ასორტიმენტს

ქ. თბილისი, რკინიგზის ჩიხი 20

ტელ.: 70 84 14; 899 58 96 91, 899 51 60 89




## თეატრალური აფიშა

**შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრი**

3 ნოემბერი
ლ. თაბუკაშვილი
**„მერე რა, რომ სვილია სვილი იასამანი..."**

4 ნოემბერი
ილია ჭავჭავაძე
**„კაცია-ადამიანი?!"**

5 ნოემბერი
გრ. რობაქიძე
**ლამარა**
დასაწყისი 18სთ

**ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი**

4 ნოემბერი
ზ. ფალიაშვილი
**აბესალომ და ეთერი**
დასაწყისი 12 სთ

**ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური სახელმწიფო თეატრი**

1 ნოემბერი
**კინტო**

4 ნოემბერი
**მევიოლინე სახურავზე**
დასაწყისი 17სთ

**კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრი**

30, 31 ოქტომბერი, 1 ნოემბერი
ახალი ქართული თანამედროვე ცეკვის პროდუქცია
**დილის სარი**
დასაწყისი 20სთ

**ვერიკო ანჯაფარიძის სახელობის ერთი მსახიობის თეატრი**

2 ნოემბერი
ლევან სანიკიძე
კოტე მახარაძე
**ბაგრატიონები**
დასაწყისი 18სთ

**სანდრო ახმეტელის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრი**

4 ნოემბერი
აკა მორჩილაძე
**ფალიაშვილის ქუჩის ძაღლები**

5 ნოემბერი
ჰაროლდ პინტერი
**ღალატი**
დასაწყისი 18სთ

ანონსი • ანონსი • ანონსი • ანონსი • ანონსი • ანონსი • ანონსი

## ბინები

სასწრაფოდ! დიდუბეში 1 ოთახიანი 7(8) ბინა, რკინის კარით, „აქმორით", ტელეფონით, მიშენების პერსპექტივით. საწყისი ფასი 6.600$. მის: წყალტუბოს ქ. მე-4 კორპ. მე-3 სად. ბინა №68. ტელ: 35-34-36; 34-56-65

სასწრაფოდ! 1-ოთახიანი, ხრუშჩოვის ბინა, 8(8), მეტრო „გურამიშვილთან", მეტალოპლასტმასის კარით, ტელეფონით, მუდმივი წყლით და დენით. მუშაობს ლიფტი. ტელ: 62-85-27; 62-87-78 (საღამოს)

3 ოთახიანი ბინა ჩუღურეთის რაიონში, წინამძღვრიშვილის (ყოფ. კლარა ცეტკინი) ქუჩაზე. ტელ: 96-64-70

3-х комнатная квартира на ул. Цинамдзгвришвили (бывшая Клара Цеткина), Чугуретский р-он, Тел: 96-64-70

მიცკევიჩის ქუჩაზე №6-ში 4 ოთახიანი (3+1), არასტანდარტული, მაღალჭერიანი, კუთხის ბინა ტელეფონით, ლოჯიით, ვიტრაჟებით, რკინის კარით, ორი სარდაფით, მანქანის დასაყენებელი ადგილით, 5-სართულიანი სახლის მაღალ მეღეტაჟზე. გამოდგება საოფისედაც. საწყისი ფასი 42.000$. ტელ: 37-22-19; 38-24-11

4 ოთახიანი ბინა. მის: მუხიანის დასახლება, II მ/რ, მე-14 კორპ, მე-2 სართ. ტელ: 60-03-03

მთაწმინდის რაიონში, ოქროყანაში 2000 კვმ მიწა. ტელ: 98-36-43. სოსო

აგარაკი საგურამოდან 6 კმ-ში, სოფელ ბულაჩაურში, სახლის დაწყებული მშენებლობით. I სართული ამოყვანილია კაპიტალურად, II-ზე იატაკი დასხმულია და დაწყებული. მიწის ფართი 800კვმ. ფასი 700$. ტ: 23-07-65; 877 43-32-33

საგურამოდან 1 კმ-ში, ახალაშენებული, 2-სართულიანი, ევროპული დიზაინის სახლი, შიდა აუზით, ტერასული 4 სართულით, ხის კიბეებით, 4 საძინებლით, ცალ-ცალკე აბაზანა-ტუალეტით, 1200კვმ კაპიტალურად შემოღობილი ეზოთი, დეკორატიული ბაღით (350კვმ), მუდმივი დენით, ცივი და ცხელი წყლით. ტ: 899 57-52-71

სასწრაფოდ! 2 სართულიანი სახლი საგურამოში, სარდაფით, მუდმივი არხით, წყლით, გაზიფიცირებული. ს/ფ – 360 კვმ, 1800 კვმ მიწის ნაკვეთით, ყველანაირი ხეხილით. ტელ: 95-15-56

## მადლობა

9 წლის გიორგი დიდია სიცოცხლის უსაზღვრო წყურვილითა და ნათელი გზნებით დაიბადა, მაგრამ მას თავისი გრძნობების და აზრების სხვებისთვის გაზიარება არ შეუძლია – განგებამ გამორჩეულად მეტყველების უნარი არ მიამადლა. ამ წლების მანძილზე ბევრი ორგანიზაციას თუ პიროვნებას მივმართეთ, მაგრამ ზოგს არ შეეძლო, ზოგი კი გულგრილი დარჩა ჩვენი თხოვნის მიმართ. დახმარების ხელი მხოლოდ ინვალიდთა ლიგის ხელმძღვანელმა (თავმჯდომარის მოადგილე) ბატონმა გიორგი კობერიძემ გამოგვიწოდა. მან გაითავისა ბავშვის ტკივილი. არც დრო დაუზოგავს, არც ქონება და არც სხვათა შეწუხებას მორიდებია. ბატონმა გიორგიმ 24 ათასი დოლ მარკა გადაურიცხა პატარა გიორგის, რამაც საშუალება მოგვცა, ბავშვს მიუნხენის ერთ-ერთ სახელგანთქმულ კლინიკაში გაევლო მკურნალობის კურსი (ოპერაციული ჩარევა) და ხორვატიის სმენისა და მეტყველების სარეაბილიტაციო ცენტრში მეტყველების კურსი ნაწილობრივ შეესწავლა.

დღეს ბატონი გიორგი კობერიძე პარლამენტარია და გაცილებით მეტი შესაძლებლობა აქვს, რეალური დახმარება გაუწიოს ცხოვრებისეული გარემოების გამო განსაცდელში ჩავარდნილ ადამიანებს, რომლებიც, სამწუხაროდ, ასე მრავლადაა დღევანდელ საქართველოში.

მადლობას ვუხდით ბატონ გიორგი კობერიძეს გაწეული სიკეთისათვის და ვუსურვებთ, კიდევ არაერთი წელი ელაღოს თავისი ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ.

## გთავაზობთ სამუშაოს

ორგანიზაცია სთავაზობს 17-25 წლამდე გოგონებს და ვაჟებს გამგზავრებას საფრანგეთსა და გერმანიაში ოფიციალური ხელშეკრულებით, AU-PAIR პროგრამით, დასაქმებისა და სწავლის შეთავსებით. უზრუნველყოფა ხელფასით, საცხოვრებლით, კვებით, სამედიცინო დაზღვევით და საქალაქო ტრანსპორტით მგზავრობის ხარჯებით. ჯიბის ფული – 400 მარკა თვეში და 4 კვირიანი ანაზღაურებადი შვებულება. ტელ: 95-64-18; 96-07-81; 4-13-86 (ქუთაისში)

გიწვევთ 25-60 წლამდე მიზანდასახულ და ენერგიულ ადამიანებს ოფისში მენეჯერ-კონსულტანტად (ვაჭრობა არ არის), მაღალი ანაზღაურებით, მრავალი შეღავათით, საინტერესო პირობებით. ტელ: 37-30-50 (ოფისი). ლევან ტერტერაშვილი

## მომსახურება

ვაკეთებ ევროპული ფოლგირების ნემსით და ანესთეზიით, მორიგების გარანტიით. მიღება ყოველდღე, ჩაწერით. სეანსების რაოდენობა ინდივიდუალურია – 1სთ – 10 ლარი. მომსახურებით კმაყოფილი დარჩებით. მაქვს საკუთარი დენის წყარო. მის: ვარკეთილი-3, II მ/რ, მე-9 კორპ, VI სად, III სართ, ბინა 3. ტელ: 79-50-12. ლიკა გიორგობიანი

„ფესვები", ყურადღება! კარგად გაკეთებული ევროპული ფოლგირების ნაწილი და გაუხეშებულ თმას. მის უკვალოდ მორიგებას კი სჭირდება კარგი სპეციალისტი. 1 სთ – 12 ლარი. განსაზღვრულია ინდივიდუალური ნემსი. ეპილაციის შესწავლა – 200$. მის: იოსებიძის 53, I სად, I სართ, ბინა 3. ტელ: 37-71-66; 877 44-97-46. ნინო ჭელიძე

ეპილაცია ევროპული ფოლგირების ნემსით, ანესთეზიით (ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე), 1 სთ – 6 ლარი; თმის მოცილება სხეულზე მცენარეული ნაყენით (გარანტიით), სახის გაწმენდა (კოსმეტიკური მასაჟის თანხლებით). ვასწავლი კოსმეტიკასა და ეპილაციას. საერთაშორისო სერტიფიკატის მქონე კოსმეტოლოგი ნატო ყიფშიძე. მის: მ. „300 არაგველი", არამიანცის საავადმყოფოს ზედა კართან, ახმეტის ქ. №15. მიღება წინასწარი ჩაწერით. ტ: 77-86-27

ავეჯისა და ლაქსკაბოგინების ... ა.შ. ტელ: 61-51-17; 95-46-79

სწრაფად ავაწყობთ ნებისმიერი მოცულობის ტექსტს ქართულად, ინგლისურად. 1 გვერდის ფასი: 80 თეთრი – 1 ლარი. ტელ: 34-32-79; 877 44-95-48

COMPUTER COMPANY PULSAR – კომპიუტერები და ორგტექნიკა; კომპიუტერების ყიდვა-გაყიდვა; სათადარიგო ნაწილები; კომპიუტერების, ორგტექნიკის შეკეთება, მომსახურება; კარტრიჯებში ტონერის ჩაყრა; უფასო კონსულტაცია. დაგეხმარებით კომპიუტერის გაყიდვაში. ტელ: 33-08-71. მის: ვაჟა-ფშაველას გამზ. №16 მაღ. „პულსარი"

ვაკეთებ ეპილაციას ერთჯერადი ფოლგირების ნემსით და ანესთეზიით. უკიდურესად გაუხეშებული თმიანობის შემთხვევაშიც კი განიკურნებით უმოკლეს ვადაში, ყოველგვარი შეშუპებისა და გაღიზიანების გარეშე. არ დაგეტყობათ არც ერთი ნაწიბური. შემოგთავაზებთ საუკეთესო სახის გამწმენდ და მკვებავ საშუალებებს. მის: იოსებიძის ქ. №66. მე-2 სად. მე-8 სართ. ბინა 46. ტელ: 37-74-22. მანანა

ვაკეთებ რბილი ავეჯის რესტავრაციას, სამზარეულოზე შპალერების შეცვლას და განახლებას; არაბული ტახტების, ნებისმიერი სახის სკამისა და სხვა ავეჯის აღდგენა-განახლებას გარანტიით. ტელ: 96-37-20; 95-38-61. ნოდარი, ვალერი

ვაწარმოებთ ნებისმიერი ავეჯის რესტავრაციას (აღდგენა-განახლება). კარადებსა და მაგიდებზე, სკამებზე, ნებისმიერ საწოლზე, ლეიბებსა და სამზარეულოზე შპალერების გადაკვრა-დარბილებას, სრული გარანტიით. ტელ: 69-45-18. გიორგი

„ცხრაკლიტული"! შეამოწმეთ თქვენი ბინისა და ავტოსადგომის უსაფრთხოება. საკეტის შეკეთება, ახლის დამატება ან კარზე ტყავის გადაკვრა ხომ არ გსურთ? ტელ: 53-34-69; 899 56-39-69

იურიდიული ფირმა გთავაზობთ საადვოკატო მომსახურებას სამოქალაქო სამართალში, ფირმების და კავშირების რეგისტრაციას ყველაზე იაფად; კონსულტაციებს, ხელშეკრულებებისა და სხვადასხვა დოკუმენტის მომზადებას და ა.შ. მის: ვაჟა-ფშაველას გამზ. №45, მე-7 სართ. ოთახი №707. ტელ: 37-69-73; 899 50-24-11

საბჭოური და საზღვარგარეთული მაცივრების შეკეთება გარანტიით. ტელ: 69-25-91; 899 55-53-84. მერაბი

სილამაზის სალონი „სტილი" – თმის მოცილება სახესა და ტანზე მცენარეული დეპილატორით; ეპილაცია ინდივიდუალური ფოლგირების ნემსით, ანესთეზიით; სახის გაწმენდა, კაპილარების, ლაქების გაქრობა; თმის მოდელური შეჭრა-დავარცხნა – 5 ლარი; დეკორატიული მელირება – 15-20 ლარი, შეღებვა – 10 ლარი, ქიმიური დახვევა-გასწორება – 15-20 ლარი. ასევე წარმოებს კოსმეტიკის, მაკიაჟისა და სამანიკიურო კურსები. გაიცემა სერტიფიკატი. მის: აღმაშენებლის გამზ. №115, კამ. №20 (ეზოში). საერთაშორისო კატეგორიის კოსმეტოლოგი ირინა ჯანაშია, პარიკმახერ-სტილისტი ლალი. ტ: 96-22-89; 94-01-82

გეპატიჟებით სილამაზის სალონი „ამსტერდამი"! გთავაზობთ ვარცხნილობებს ამსტერდამიდან ჩამოტანილი კატალოგების მიხედვით. სალონი პრესტიჟულია სხვა სალონებისგან განსხვავებით, ჰოლანდიიდან ჩამოტანილი თმის მოვლისათვის საჭირო მასალით: ინგლისური ფირმის შამპუნები და სხვა. გვყავს მაღალკვალიფიციური ექიმი-კოსმეტოლოგი. სალონში კეთდება ეპილაცია, ყურების გახვრეტა. მის: ვაჩნაძის ქ. №12. ტელ: 92-24-28

GR STUDIOO! კლიპების ვიდეოგადაღება და საზეიმო ღონისძიებები, კომპიუტერული მონტაჟი, ტიტრების, ხმის და ვიდეოეფექტების დადება. ტელ: 74-54-57; 877 46-44-37

GR STUDIOO! Видеосъемка клипов и торжественных мероприятий. Компютерный монтаж, наложение титров, звука и видеоэффектов. Качество гарантированно. Тел: 74-54-57; 877 46-44-37

ვაწარმოებ ნებისმიერ სამუშაოს გიპსოკარდონზე – (KNAUF). ჭერის სისტემები, ტიხრები, კედლები. ტელ: 96-71-53

Выполню любые работы по гипсокардону – (KNAUF). подвесные потолки, перегородки, стены. Тел: 96-71-53

წარმომადგენლობა სასამართლოში, კონტრაქტების მომზადება, იურიდიული და ფიზიკური პირების საქმიანობის სამეცნიერო, საგადასახადო, სამართლებრივი უზრუნველყოფა, ფირმების რეგისტრაცია, აუდიტორული და სანოტარო მომსახურება, თარჯიმანთა ბიურო. იურიდიული კომპანია „ვერიტუსი". მის: ფალიაშვილის ქ. №2. ტელ: 23-41-49

## მკურნალობა

პროსტატიტს, ქლამიდიოზს, ტრიქომონიაზს, უშვილობას, სქესობრივი პოტენციის დაქვეითებას, უახლესი მეთოდებისა და აპარატურის გამოყენებით მკურნალობს პროფესორი რევაზ სალაყაია. მის: მარჯანიშვილის №23 (მეტროსთან). VI სად. (ეზოდან), ბინა 1. ტელ: 35-20-06. მიღება სამშაბათს, ხუთშაბათს 18-20 სთ, შაბათს 12-16 სთ.

პატივცემულო მამაკაცებო! ქრონიკული პროსტატიტის, ადენომის, ხშირი შარდვის, დაქვეითებული პოტენციის, უშვილობის, ძვალსახსრების მკურნალობა, პროსტატის ჯირკვლის გაწმენდა ოპერაციული ჩარევის, უსიამოვნო მასაჟებისა და ნემსების გარეშე, ძალზე ეფექტური, უნიკალური ბალახებით. შედეგი და ანონიმურობა გარანტირებულია. ტელ: 96-62-58; 97-47-24

ბრონქული ასთმის, ალერგიული და სასუნთქი გზების, ქრონიკულ დაავადებათა მკურნალობა ტრადიციული და ჰომეოპათიური მეთოდებით, მაღალი შედეგით. მის. რესპუბლიკის საავადმყოფო, V სართ. ალერგოლოგიური განყოფილება. ექიმი ზურაბ გიორგაძე. ტელ: 97-66-78

ტყემლისა და სხვა ხორცმეტების მოცილება სახესა და ტანზე უმტკივნეულოდ და ნაკვალევის გარეშე. მიღება ექიმ რუსუდან საყვარელიძესთან, სამკურნალო ცენტრში. მის: დავით აღმაშენებლის გამზ. №115 (პოლიციის შენობის უკან, ეზოში). ტელ: 95-83-54

ხალხური მედიცინა – მაქსიმალურად გარანტირებული ეფექტით!!! მკურნალობა ეფექტურია პირველივე დღეებიდან! ნერვის ანთება, რადიკულიტი, ოსტეოქონდროზი, დისკის ამოვარდნა (დისკოზი), სახსრების დაავადებები (ანთება, მარილები). ექიმის კონსულტაციები უფასოა. მის: რესპუბლიკის პოლიკლინიკა (მ. „ნაძალადევთან"), ც. დადიანის ქ. №87, კაბ. №11. ტელ: 61-0-97; 69-91-92. ექიმი ალექსიშვილი

ხალხური მედიცინის მაქსიმალური შედეგები. ჩიყვის, კისტის, ფიბრომის, მიომის, მასტოპათიის, ბუასილის მკურნალობა უოპერაციოდ! დ. აღმაშენებლის №115 (ეზოში), [illegible] ტელ: 34-50-58 (ბინა); 95-83-54; 897 58-29-18

ვარჩენ ძვლისა და კანის ჩირქოვან, ინფექციურ დაავადებებს: ოსტეომიელიტს (ძვლის ინფექც.), ბეწვის ჩაზრდილს, დაჩირქებულ ფრჩხილს, ნაწიბურს, ნაოპერაციევს, ძირმაგარას, გემატომას, მასტიტს, მენისკს (ანთებით პროცესში), შხამიანი მწერებისა და ქიმიური ნივთიერებისაგან კანში შეჭრილ ინფექციას, წითელ ქარს და სხვ. ტელ: 68-43-10

ტრადიციული მეთოდებით მედიცინის მუშაკი მაყვალა ცინცაძე სამკურნალო მცენარეებისა და თაფლი მუმიოსაგან ამზადებს მალამოებს, საფენებს და ხსნარებს. მკურნალობს: ოსტეოქონდროზს, მარილებს, სახსრებს, საშწვერა ნერვის ანთებას, რადიკულიტს, პოლიართრიტს, თავის ტკივილებს, კუჭისა და 12-გოჯა ნაწლავის წყლულს, ნაღვლის ბუშტს, პროსტატიტს. მხოლოდ ჰაიმორიტი იკურნება 5-8 დღეში, სრული გარანტიით. მის: გორის ქ. №3, I სად, 1 სართ. (მ. „წერეთელთან"). მიღება ყოველდღე, 13-16 სთ. ტელ: 34-05-69; 34-62-51

სამედიცინო ფირმა „ალბა" გთავაზობთ: კანის ყველანაირი დაავადების მკურნალობას, სახის კანის ჰიგიენურ წმენდას საერთაშორისო სტანდარტებით, უმტკივნეულო ეპილაციას განკურნებით, ყურის ბიბილოების გახვრეტას „პისტოლეტით". მის: გამსახურდიას გამზ. №14ა. მიღება 10-15 სთ, კვირის გარდა. ექიმი დერმატოლოგი-კოსმეტოლოგი. ტელ: 37-61-84

ბავშვებში ენურეზის (უნებლიე შარდვა), ეპილეფსიის, ქანდილობის, ალერგიის, დიათეზის მკურნალობა, სიმაღლეში მომატება, 5-10 სთ-ით – მხოლოდ უნიკალური ბალახებით, სპეციალურად ბავშვებისათვის. ტელ: 95-33-47

გვაქვს ფარისებრი ჯირკვლის სამკურნალო პრეპარატები. ასევე, ფიბრომის, მიომის საწინააღმდეგო მცენარეული წარმოშობის საშუალებები. აგრეთვე, მოგვაქვს ზრდასთან დაკავშირებულ პრობლემებს (ვარჯიშებით, მასაჟით), მცენარეული ექსტრაქტებით. ტელ: 52-53-36; 899 56-05-98. ხათუნა; 93-61-72; 899 57-13-71. გია

**სამკურნალო განცხადებები ლიცენზიის გარეშე არ გამოქვეყნდება**

## ვასწავლი

სწრაფი, დაჩქარებული კურსით შეგასწავლით პერსონალურ კომპიუტერზე მუშაობას ინდივიდუალურად, ხარისხიანად (MS DOC, NC, WINDOWS-98, WORD, EXCEL, PAGE MAKER). გაიცემა სერტიფიკატი. ტელ: 34-32-79; 877 44-95-48

მსურველებს ვიწვევთ გიტარის შემსწავლელ კურსებზე პოპულარული ქართული, რუსული, ინგლისური სიმღერების და კლასიკის შესასწავლად. შეისწავლება ტექნიკური შესავლები, აკომპანირება, ორიგინალური საშემსრულებლო ტექნიკა. აქვე შეგიძლიათ შეიძინოთ საუკეთესო ფირმების გიტარები. ტელ: 96-22-33

ვასწავლი გიტარაზე დაკვრას და სიმღერას. შეგასწავლით აგრეთვე თქვენთვის სასურველი ჯგუფებისა და შემსრულებლების სიმღერებსა და კომპოზიციებს. ფასი 8 გაკვეთილი – 25 ლარი. ტელ: 39-59-40; 38-80-09. ლევანი

სასწავლო ცენტრი „ერქი" გიწვევთ ინტენსიური სწავლების კურსებზე! უახლესი მეთოდების გამოყენებით შეგასწავლით: 1) ინგლისურს; 2) იტალიურს; 3) გერმანულს; 4) ფრანგულს; 5) ესპანურს. აგრეთვე ფუნქციონირებს კომპიუტერის კურსები, ოპერატორის დონეზე. მის: ჯავახიშვილის ქ. №12 (ელბაქიძის დაღმართი), ოთახი №49-51. ტელ: 99-60-86; 60-01-50

საზღვაო ასოციაცია „პოსეიდონი" გთავაზობთ კომპიუტერული პროგრამების (საოფისე, გრაფიკული, სარეკლამო) შესწავლას, ინტერნეტში მუშაობას. საფუძვლიანი სწავლა – განსხვავებული მეთოდით, განსხვავებულ გარემოში!!! და რაც მთავარია, ჩვენთან სერტიფიკატის გარდა, გელით ხელშეწყობა დასაქმებაში და ... სასიამოვნო სიურპრიზი. გახსოვდეთ: სწორი არჩევანით იწყება დიდი წარმატება. მის: ძმები ზუბალაშვილების ქ. №17. ტელ: 98-73-31

მოვამზადებ მოსწავლეებს გერმანულ ენაში თანამედროვე კომპიუტერული პროგრამების გამოყენებით. ტელ: 53-46-82; 37-13-18. ნანა

ვამზადებ აბიტურიენტებსა და მოსწავლეებს ქართულ ენასა და ლიტერატურაში. ტელ: 32-16-04. ელისო

## იყიდება

კეთილმოწყობილი, პრივატიზებული ბიზნესსამართი სადგური წითელი ხიდის მიმდებარე ტერიტორიაზე, 110ტ ტევადობის ჭურჭლით, 5 ჩამოსასხმელი სვეტით, მაღაზიით, კაფე-რესტორნით, თავისი კაპიტალური ფაცხებით და სხვა სათავსოებით. ტელ: 98-98-93; 899 51-49-93

სასწრაფოდ! კაფე-ბარი „გუა". მის: კუტუზოვის ქ. №4. ტელ: 99-71-58

საქსოვი მანქანები: „ტოიოტა" – 200$; „სევერიანკა" – 80 ლარი. ტელ: 34-30-68

ძველებური, ყვითელი ვიტრინა, თავისივე პატარა რვაკუთხედი ვიტრინიანით. ფასი 900$. ტელ: 23-07-65

## შევიძენ

შევისყიდით გრძელ თმას. მის: ცენტრ. რესპუბლიკის საავადმყოფო, II სართ. მაღაზია „ესთეტი". 12-17 სთ, დასვენება შაბათ-კვირას.

ავტომობილისა და ტრაქტორის მიზნობრივ ობლიგაციებს მაღალ ფასში. ტელ: 95-87-06. დალი

## სხვადასხვა

ყურადღება! გიწვევთ მოსაყვან მსახიობებს 6-დან 15 წლამდე, სახელმწიფო ფილარმონიის თავისუფალ თეატრში. კონსულტანტი ნინელი ჭანკვეტაძე. მის: დ. აღმაშენებლის გამზ. №136. II სართ. ოთახი №34. ტელ: 95-17-42

კერძო ბაღი „ცეროდენა" აცხადებს აღსაზრდელთა მიღებას (1,6წ.–6 წლის ჩათვლით). პედიატრის მომსახურება, 3-ჯერადი კვება, უცხო ენები, მუსიკა, ცეკვა, სადღესასწაულო ჯგუფი, ბინაზე მომსახურება. ადგილები შეზღუდულია. ფასი 60$ (კვებით), 30$ – კვების გარეშე. ტელ: 95-83-54 (სამსახური); 34-50-58 (საბავშვო ბაღი); 897 58-29-18. ექიმი ტასო ელიზბარაშვილი

ყურადღება! [illegible]

ოჯახებზე. სადაც სამ თაობაში მაინც გრძელდება დამკვიდრებული ოჯახური ტრადიცია – პროფესიისადმი ერთგულება. დაინტერესებულ პირებს ვთხოვთ, დაგვიკავშირდნენ: 22-32-33

## ხსოვნა

### კახა კაკაბაძის ხსოვნას



თითქოს ყველაფერი დამთავრდა...

თითქოს ხაზი გადაესვა ჩვენს ბავშვობასა და ახალგაზრდობას...

ჩვენს სამეგობროს აღარ ჰყავს კახა კაკაბაძე – მისი სული და გული, იმედი და გვერდში მდგომი.

ორი დღის წინ მივაბარეთ მისი საყვარელი თბილისის მიწას და ალბათ კიდევ დიდი დრო გავლის, სანამ სრულად შევიგრძნობთ მისი წასვლით გამოწვეულ ტკივილს, როდესაც ჭირსა თუ ლხინში ერთგული კაცის გვერდში დგომა დაგვჭირდება და კახა გვერდით აღარ გვეყოლება.

მის სიცოცხლეს პატარა კახი და ლუკა გააგრძელებენ, რომლებსაც ყოველთვის ეცოდინებათ, რომ იმ კაცის შვილები არიან, ვისაც არასოდეს დაუშურებია სიყვარული და უანგარო დახმარება მეგობრებისათვის და ჩვენც, მუდმივად შევახსენებთ მათ, თუ „ვისი გორისანი არიან".

*მეგობრები*

### რომან კოპალეიშვილის გახსენება



ჩვენო საყვარელო მამიკო-ბაბუკო, უკვე ერთი წელი გავიდა შენი გარდაცვალებიდან. მოულოდნელად დაგვტოვე, სამუდამო სასუფეველში დაიდე ბინა, ჩვენ კი დაგვიტოვე დიდი სიყვარული, სევდა, ტკივილი. ტკივილი, რომელსაც ერთმა წელმა ვერაფერი დააკლო. ძალიან გვენატრები. ნათელში გამყოფოს უფალმა.

*შენი ოჯახი*

### მურად (გია) და ნატო კობაიძეების ხსოვნას



რაც თქვენ წახვედით, მიილია ცრემლიანი და ტკივილიანი წელი. 31 ოქტომბერი თქვენი უბედურების დღეა. ამერიდან თქვენი სული გადასახლდება ზეციურ სამყაროში. დაცარიელდა სახლი უთქვენოდ. მიგვატოვეთ, გაოგნებულები დავბორიალებთ ოთახიდან ოთახში, თქვენ დაგეძებთ და ყოველდღე გელოდებით.

უთქვენოდ წავიდა თქვენი ანი პირველ კლასში. ყველას ძალიან გვენატრებით. სხვა რა დაგვრჩენია, მოვალთ თქვენს საფლავზე, სანთლებს დაგინთებთ და ვილოცებთ თქვენი ნათელი სულის უკვდავსაყოფად. ნათელი დაგდგომოდეს თქვენს ლამაზ სულებს.

*თქვენი ოჯახი*

### ლაშა ჯიჯიხიას ხსოვნას



ჩვენო მარად მოურჩენელო ტკივილო და გაუნელებელო სევდავ! ერთი წელია, შავი ფარდა ჩამოეფარა ჩვენს მხიარულ შეხვედრებს. წახვედი და თან გაიყოლე ჩვენი ბავშვობისა და ახალგაზრდობის სიხარული. ვცდილობთ, ყველამ ერთად აღარ მოვიყაროთ თავი, რათა ჩვენ შორის ძმნა არ დაგვიწყოს უჩვეშოდ დატოვებულმა ერთადერთი შვილის დამკარგავმა დედამ.

ჩვენი დიდი სანათესაოს შეკრების ადგილი ახლა შენი სასაფლაოა.

ლაშა, გვეძერებით, გვიყვარხარ და გვენატრები. ღმერთს შევთხოვთ, ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი სული.

*დეიდაშვილები და ბიძაშვილები*

### მანუჩარ ცარციძის ხსოვნას



დღეს შენი დაბადების დღეა, 25 წლის გახდი. სამწუხაროდ, უშენოდ გვიწევს შეხვედრა ამ თარიღთან, უკვე მეხუთედ. ხუთი წელია, შენი ღიმილით არ განათებულა შენი საყვარელი ოჯახი, შენი საოცრად ლამაზი სიცილით აღარ ავსილა არემარე.

წახვედი ჩვენგან და გულში მოუშუშებელი ტკივილი დაგვიტოვე, ირგვლივ მომაბეზრებელი სიცარიელე. ყველგან შენ გვაკლიხარ. ღმერთმა განათლოს შენი უკვდავი სული.

*შენი საყვარელი ოჯახი*

## ნეკროლოგი

დედა ლუდმილა, მამა თეიმურაზი, ძმა გრიგოლი, ბებია ეკატერინე, ბიძა იოსები ოჯახით უწყებიან

**თორნიკე მდივანის**

გარდაცვალებას.

*პანაშვიდი:* 29-30 ოქტომბერს, 4 საათზე.

*დაკრძალვა:* 31 ოქტომბერს 2 საათზე.

*მისამართი:* გლდანის მასივი, VI მ/რ, 23-ე კორპუსი, VI სადარბაზო




# ჩაერთე და მოიგე...

## 16.X-30.XII.2000

## 18+30=48

SIM ბარათი ავანსი ჩართვა

•

საყოფაცხოვრებო ტექნიკა
SIEMENS

•

დასვენება საზღვარგარეთ

•

# ავტომანქანა

250-877

წამახალისებელ ვიქტორინაში მონაწილეობის მისაღებად საკმარისია გახდეთ ჯეოსელის აბონენტი და 21 ოქტომბრიდან ყოველ შაბათს 21.00. საათზე სტუდია „მაესტროს“ ბლოკში, პირდაპირ ეთერში დაელოდოთ იღბალს.

ამ დროს თქვენი ტელეფონი აუცილებლად ჩართული უნდა იყოს! პირველ გათამაშებაში მონაწილეობას ღებულობენ ის აბონენტები, რომლებიც ჩაერთვ ნენ ჯეოსელის ქსელში 16-დან 20 ოქტომბრის ჩათვლით. 28 ოქტომბრის გათამაშებაში მონაწილეობას მიიღებენ ის აბონენტები, რომლებიც ჩაერთვებიან ჯეოსელ-ის ქსელში 21- დან 27 ოქტომბრის ჩათვლით და ა.შ.

- წამახალისებელ ვიქტორინაში მონაწილოებას არ ღებულობენ ჯეოსელის თანამშრომლები, დილერები და მათი ოჯახის წევრები;

ჯეოსელი
GSM


CMYK

## ავტოქრონიკა

1885 — კარლ ბენცი და გოთლიბ დაიმლერი ერთმანეთისგან დამოუკიდებლად ქმნიან პირველ ავტომობილს.

1890 — არმანდო პეჟო პარიზში აარსებს თავისი სახელობის ავტოქარხანას.

1895 — პარიზში იხსნება მსოფლიოში პირველი ავტოკლუბი, აშშ-ში იმართება მსოფლიოში პირველი ავტორბოლა.

1896 — გ. დაიმლერი აწყობს მსოფლიოში პირველ სატვირთო მანქანას.

1897 — მიშლენის საბურავებს რეკლამას ცნობილი „ბიბენდუმი" უწევს.

1898 — ხუთი ძმა ოპელი ველოსიპედების საამქროს ავტოქარხნად აქცევს.

1902 — დაარსდა ამერიკული ავტოკლუბი (AAA).

1903 — დეტროიტში დაარსდა „ფორდ მოტორ კომპანი".

1908 — იწყება მსოფლიოში პირველი ავტორალი „ნიუ-იორკი-პარიზი", იაპონია-აზიის გავლით.

1911 — „ჯენერალ მოტორსი" მსოფლიო ავტოინდუსტრიის დაპყრობას იწყებს — აერთიანებს „ბიუკს", „შევროლეს", „პონტიაკს", „კადილაკს" და „ოლდსმობილს".

1916 — აშშ-ში მთავრდება მსოფლიოში პირველი [illegible] გზის მშენებლობა.

1919 — „სიტროენი" თავის პირველ სერიულ ავტოს უშვებს. ბრიტანული ავტოკლუბი [illegible] პირველ „დაზღვევის" [illegible].

1923 — [illegible] პირველად იმართება 24 საათიანი „ლე მანის" ავტორბოლა.

1924 — ვ. კრაისლერი, გამოდის რა „ჯენერალ მოტორსიდან", აარსებს ავტოკონცერნ „კრაისლერს".

1929 — „ჯენერალ მოტორსი" ყიდულობს [illegible] „ოპელს" [illegible] ავტომობილს.

1935 — იაპონიაში ტექსტილის ქარხნის მეპატრონე კიიჩირო ტოიოდა იწყებს ავტომობილების წარმოებას, „ტოიოტას" სახელწოდებით.

1945 — ქ. ქუთაისთან იწყება გრანდიოზული ავტოქარხნის მშენებლობა.

1946 — გამოდის „ფორდის" „ავტომობილ-[illegible]" — მანქანა ხის კარით და ფრთებით. იგი 429.000 ცალი იყიდება.

1948 — იაპონელი ჰონდა თავისივე სახელობის ავტოქარხანას აარსებს.

1951 — 18 აგვისტოს კონვეიერიდან ჩამოვიდა პირველი ქართული სერიული წარმოების სატვირთო „ქაზ-150".

1952 — იაპონელი მიჩიო სუძუკი 1909 წელს დაარსებულ ტრიკოტაჟის ქარხანას ავტოსაწარმოდ აქცევს, თავიდან მოტოციკლეტებს, მოგვიანებით კი მსუბუქ მანქანებსაც უშვებს.

1970 — „მერსედეს-ბენცმა", მსოფლიოში პირველმა, პრესას წარუდგინა ყველაზე სრულყოფილი ელექტრონული სამუხრუჭე სისტემა — „ABS"-ი.



„ავტოსალონი" განახლებული სახით კვლავ თქვენ წინაშეა. ამიერიდან ამ გვერდზე უამრავი საინტერესო, ფერადად ილუსტრირებული ინფორმაცია დაგელოდებათ. მათ შორის მუდმივი რუბრიკები — „ავტომობილის ისტორია", „ავტოქრონიკა", „მიღწევები", „ავტომობილი და რეკორდები"; „ქართული ავტომობილი"; „ავტომოზაიკა" და ა.შ. მაშ ასე, კეთილი იყოს თქვენი მობრძანება „კვირის პალიტრის" ავტოსალონში!

ავტომობილის ისტორია

# ნაწილი II. მათ შექმნეს ავტომობილი...

ორთქლისძრავიანი მანქანა ბოლომდე მაინც ვერ „ავტომობილობდა". საჭირო იყო ისეთი გამწევი ძალა, რომელსაც ქვაბი, ნახშირი და მსგავსი სახიფათო, მოუხერხებელი დეტალები არ ექნებოდა. ნიჭიერი ადამიანების წყალობით, ასეთი ძალაც გამოიძებნა — ჯერ ოტომ, შემდეგ კი დაიმლერმა გამოიგონეს და სრულყვეს თხევად საწვავზე მომუშავე შიგაწვის ძრავა (ამ ტიპის ძრავები დღესაც ხშირად გამოიყენება). მაშ ასე — ძრავა უკვე არსებობდა. ახლა მსოფლიოში პირველი სრულყოფილი ავტომობილის ჯერი იყო. მოგეხსენებათ, ადამიანის ბუნება მაძიებლობის გარდა, ამბიციურობითაც ხასიათდება. ამიტომაცაა, რომ პირველი ავტომობილის გამოგონებაზე 416 დაპატენტებული პრეტენზია არსებობს. თუმცა, უმეტესი მათგანი არასოდეს დაძრულა ადგილიდან. აქ განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ამერიკელი ჩინოვნიკი, ვინმე სელდენი. მას ავტომობილებთან ისეთივე შეხება ჰქონდა, როგორიც სპილოს — აკრობატიკასთან. როგორც კი სელდენმა ავტომობილებზე შეიტყო, მყისვე საკუთარი „მოდელის" ნახაზები გააშანშალა ქ. მიჩიგანის მმართველობაში და ჯერ კიდევ 1879 წელს პატენტიც მიიღო. მოგვიანებით, ამერიკაში ავტოინდუსტრია გაიფურჩქნება. სელდენი თავისი პატენტით ხელში ყველა ავტომწარმეს ჩამოუვლის და დიდ თანხასაც წაგლეჯს — მისი „უფლებების" მითვისებისათვის...

დღეისათვის საყოველთაოდ აღიარებულია, რომ პირველი ავტომობილები ერთდროულად გამოიგონეს კ. ბენცმა და გ. დაიმლერმა, 1885 წელს, გერმანიაში.

1894 წელი. პარიზი. აქ მსოფლიოს ყველა გამომგონებელი შეკრებილა თავისი ავტოებით. უნდა გაიმართოს ახალგამოგონებული ავტომობილების საჯარო მსვლელობა, მარშრუტით — პარიზი-რუანი. სტარტზე დიდი ზარ-ზეიმით დგება, ათასნაირი კონსტრუქციისა და ძრავის 102 მანქანა. გაისმის სტარტის ნიშანი... როდესაც ბათქაბუთქი, კივილწივილი და ოხვრა-კვნესა მინელდა, კვამლი გაიფანტა და მაყურებელმა სტარტის ადგილას ჯართის დიდი, მხრჩოლავი გროვა დაინახა. გაირკვა, რომ 102-დან დაძვრა მხოლოდ 20-ოდე ავტომობილს მოუხერხებია. მათგან გამარჯვება ფრანგმა ინჟინრებმა — პეჟომ და ლევასორმა მოიპოვეს. როდესაც ეს უკანასკნელი ფინიშთან გაჩერდა, დიდი ხნით დააყოვნა მანქანიდან გადმოსვლა. მასთან მირბენილ ხალხს გაშტერებული ლევასორი დახვდა, რომელიც უაზროდ ბურტყუნებდა: ღმერთო ჩემო... 30 კმ/სთ-ში... ეს ხომ სიგიჟეა! 1902 წლის შეჯიბრებაში „პარიზი-ვენა" დიდი მოხერხება გამოიჩინა, „რენოს" ავტოკონცერნის ფუძემდებელმა ლუი რენომ. სიბნელეში იგი შლაგბაუმს შეასკდა, შედეგად დაამსხვრია რადიატორი, ერთ-ერთი ბორბალი და გალუნა ღერძი. ღერძი ადგილობრივ მჭედელს გამოაკვერინა. დამსხვრეული ბორბლის „სპიცები" სკამის ფეხებით(!) შეცვალა. რჩებოდა რადიატორი... რენომ თავისი მექანიკოსი აიძულა, ფინიშამდე „კაპოტზე" მჯდარიყო და ვედრით ემატებინა წყალი ძრავისთვის!




ფრანგული გრავიურა. XIX-ის ბოლო, ერთ-ერთი პირველი რეკლამა ერთ-ერთი პირველი ავტომობილისთვის.

1900 წ. მსოფლიოში 55 ათასი ავტო მოძრაობდა, 1914 წელს ორი მილიონი, 1990 წლის მონაცემებით კი 250 მილიონი(!)

ასეა თუ ისე, ადამიანებმა, როგორც იქნა, შექმნეს ავტომობილი. იგი ელვის სისწრაფით ვითარდებოდა. — თუკი 1898 წელს დამყარებული პირველი მსოფლიო რეკორდი სიჩქარეში 68კმ/სთ-ს შეადგენდა და „გამაოგნებლად" ითვლებოდა, სულ რაღაც 15 წელიწადში იგი ოთხჯერ — 228კმ/სთ-მდე გაიზარდა.

ავტოსაინჟინრო დარგი მაშინ ჯერ კიდევ არ არსებობდა. ავტოკონსტრუქტორები, შემდგომში ავტომწარმენი ძირითადად სხვადასხვა პროფესიის ხალხი იყო. ასე მაგალითად, ბიუკი სანტექნიკოსი გახლდათ; ადლერი — საკერავი მანქანების ოსტატი, სტუდბეიკერი — ეტლებისა და ველოსიპედების სპეციალისტი... მხოლოდ რამდენიმე მათგანმა გაუძლო კონკურენციას და დღემდე მოაღწია. XX საუკუნის დასაწყისში მათ უმნიშვნელოვანესი და ძნელად შესასრულებელი მისია ჰქონდათ — აეძულებინათ ადამიანები, რომ ყოველდღიურობაში ავტომობილი დაემკვიდრებინათ. ამისთვის ცხენ-ურემს მიჩვეულ, ეკოლოგიურად სუფთა საზოგადოებაში, უამრავი გრანდიოზული და იმ დროისთვის ფანტასტიკური ცვლილებები იყო საჭირო: — ავტომაგისტრალების გაყვანა და მოასფალტება, ხიდებისა და გვირაბების მშენებლობა, ბენზინგასამართი სადგურებისა და სახელოსნოების გავრცელება (ადრე ბენზინი აფთიაქებსა და უბრალო მაღაზიებში იყიდებოდა) და ა.შ. ყოველივე ჩამოთვლილის და კიდევ სხვა მრავალის გარეშე ავტომობილი ისეთივე უფუნქციო იქნებოდა, როგორიც სპილო — ხევსურეთის მთებში...

*(მომავალში იხილეთ ნაწილი III, „ავტომობილი თვითდამკვიდრებისათვის იბრძვის")*

## ყველაზე ეკონომიურები მსოფლიოში

ამ ავტომობილს ერთი ლიტრი საწვავით 61 კილომეტრი მანძილის დაფარვა შეუძლია — თანაც ქალაქის რეჟიმში. „ჰონდა-ინსაიდი" ჰიბრიდული მანქანების უკანასკნელი მიღწევაა და „ავტოსალონის" მკითხველთათვის უკვე ნაცნობი ანალოგიური სისტემის „ტოიოტა-პრიუსი" მეორე ადგილზე ჩაინაცვლა. სხვათა შორის, ამ სფეროში გერმანული და იაპონური კონცერნები პირველობენ.





...ის ყველაზე ეკონომიურია მსოფლიოში. „AUDI A6TD1-KVATRO M" 912 კილომეტრი გაიარა ავსტრიის, შვეიცარიის და იტალიის მოყინულ ალპებზე (სულ 24 უღელტეხილი). მთელი ამ ხნის მანძილზე მან 80 ლიტრიანი ბაკის 2/3 დახარჯა. ე.ი. 5,9 ლიტრი, დიზელის საწვავისა 100 კილომეტრზე.

## ცხრა წელი — 2 წუთის სანაცვლოდ...

საავტომობილო ინდუსტრიის განვითარებასთან ერთად ავტომობილების სისწრაფეც არნახული ტემპით ვითარდება. პირველ ავტოსაგზაო შემთხვევისას, რომელიც სიკვდილით დასრულდა, ავტომობილი ხკმ/სთ სიჩქარით მოძრაობდა. დღეს ეს ციფრი 200-300კმ/სთ-ს უახლოვდება. თვითონ მანქანაში განვითარებული უსაფრთხოების ზომები მძღოლს საშუალებას აძლევს, დიდი რისკის გარეშე „ილიხაჩოს", მაგრამ გარშემომყოფთათვის ეს „ლიხაჩობა" ხშირად სავალალო ხდება-ხოლმე. ჩვენთან, საქართველოში ძირითადად ძველი, რუსული ან უცხოური წარმოების ავტომობილები მოძრაობს, რომელთა აქტიური თუ პასიური უსაფრთხოების დონე რბილად რომ ვთქვათ, დაბალია. მიუხედავად ამისა, უპასუხისმგებლო მძღოლები არად დაგიდევენ საგზაო ნიშანს თუ შუქნიშნის მწვანე ფერს და ქალაქში ისე დაქრიან, როგორც ავტოტრეკზე. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით 1987 წელს საქართველოში უნიკალური ექსპერიმენტი ჩატარდა — მისი შედეგები ბევრი ჩვენთაგანისათვის ჭკუის სასწავლებელი უნდა იყოს.

*გვესაუბრება ექსპერიმენტის ავტორი, საგზაო პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკი* ***როზერტ იანტბელიძე:***

— იმ წლებში საგზაო პოლიციის აგიტაცია-პროპაგანდის უფროსად ვმუშაობდი. დღევანდელივით არა, მაგრამ წესების დარღვევა და გზებზე „გონკაობა" მაშინაც ხშირი იყო. ჩემი ექსპერიმენტის მიზანი გახლდათ, თავზეხელაღებული მძღოლებისთვის პრაქტიკულად გვეჩვენებინა, თუ რა დიდია რისკი უაზრო აჩქარებისას და რა მცირეა მისი შედეგი. გამოვყავით ორი ახალთახალი „ჟიგული", რომელთაც ძალზე გამოცდილი „დოსააფის" პედაგოგები. მართავდნენ. მარშრუტად ცენტროლიტი — მეტრო „ნაძალადევი" ავირჩიეთ. რადგან გზა აქ უფრო ფართოა და ექსპერიმენტისთვის უსაფრთხო გახლდათ. ორივე ავტომობილი ერთად დაიძრა, ოღონდ ერთი ბეჯითად იცავდა მოძრაობის წესებს, მეორე კი მათ უგულებელყოფდა და მაქსიმალურად ჩქარობდა. მეტრო „ნაძალადევთან" მყოფნი შედეგმა გაგვაოგნა: — მანქანამ, რომელიც ძალიან ჩქარა და წესების დარღვევით მოდიოდა, 29 ავარიული სიტუაცია შექმნა, რაც მაშინდელი კანონმდებლობით (ავარიის შემთხვევაში) მთლიანობაში 9 წლის ციხით ისჯებოდა. არადა, სულ რაღაც 2,5 წუთით მოასწრო მოსვლა წესების დაცვით მომავალ ავტომობილს...

## მართვის მოწმობებზე

მართვის მოწმობა ევროპაში პირველად 1888 წელს, კარლ ბენცის სახელზე გაიცა, ხოლო ამერიკაში 1896 წელს, ჰენრი ფორდის სახელზე. ქალაქის მერის მიერ გაცემულ მოწმობაში ბენცს ეწერა, რომ დაუსახლებელ ადგილას 12 კმ/სთ, ხოლო ქალაქში ხკმ/სთ(!) სიჩქარით შეეძლო ემოძრავა.

აღსანიშნავია ისიც, რომ თავიდან მართვის უფლების მისაღებად არანაირი გამოცდები არ არსებობდა — ითვლებოდა, რომ ავტომობილის მართვა ბევრად უფრო იოლი იყო, ვიდრე ცხენისა...

1909 წელს პარიზში შეკრებილმა 20 სახელმწიფოს წარმომადგენლებმა ზოგადი დებულებები შეიმუშავა ავტომობილის გადაადგილებასა და მართვის უფლების მიღებაზე. — მოწმობის აღება შეეძლო 21 წელს გადაცილებულ ორივე სქესის მოქალაქეს, რომელიც ნორმალური იყო, იცოდა წერა-კითხვა და ჰქონდა თავისი მანქანის ფოტო ან ნახატი(!)

დღეს მსოფლიოში სამასამდე სახის მართვის მოწმობაა. თურქეთსა და ახლო აღმოსავლეთში იგი ოცგვერდიანია — ჯარიმების აღნიშვნისთვის, ხოლო ლიბიაში მძღოლის სისხლის ჯგუფი და ახლო ნათესავთა კოორდინატებიც კი შეაქვთ. აშშ-ში მძღოლის თვალების ფერსაც აფიქსირებენ. სხვაობაა მოწმობათა მოქმედების ვადაშიც. ის ყველაზე მცირე კუნძულ მალტაზეა — 1-დან 5 წლამდე. დანიაში კი, 70 წელს ზემოთ მანქანის მართვა კანონით ისჯება.

საქართველოში მართვის უფლების მოწმობა უკვე 4-ჯერ შეიცვალა. ბოლო ვარიანტი ევროსტანდარტებს უთავსდება და შესაძლოა, გამოყენებულ იქნას უცხოეთშიც. თუმცა, ახლახან სპეციალურად „უცხოეთის" მართვის მოწმობებიც გამოჩნდა. საზღვარგარეთ ორივე მოწმობას ერთი ძალა აქვს, უბრალოდ „უცხოეთის" მოწმობა მრავალგვერდიანია და დარღვევის შემთხვევაში, პოლიცია ჩამორთმევის ნაცვლად, მოწმობაში ჩაგიწერთ აღნიშვნებს.




## ავტომოზაიკა

### ავტონაწარმოება

ამჟამად ყოველწლიურად მსოფლიოში 35 მილიონი მსუბუქი ავტომობილი გამოდის. ვარაუდობენ, რომ 2001 წლისათვის ეს ციფრი 40 მილიონამდე გაიზრდება.

წამყვანი ავტოკონცერნებია: „ჯენერალ მოტორსი" — 4,5 მლნ ავტომობილი წელიწადში; „ფორდ მოტორკომპანი" — 2,8 მლნ ავტომობილი; „კრაისლერი" — 1,9 მლნ ავტომობილი.

მთლიანობაში, აშშ 9 მილიონამდე მსუბუქ მანქანას აწარმოებს; გერმანია — 4,5 მლნ-ს, საფრანგეთი 2,7 მლნ-ს, ხოლო დიდი ბრიტანეთი 1,2 მლნ ავტომობილს. ბოლო ადგილზე არიან იტალია — 1,4 მლნ მანქანა და რუსეთი 0,8 მლნ მანქანა წელიწადში. ავტოექსპორტში პირველი ადგილი გერმანიას უკავია (ეს საქართველოს მაგალითზეც ჩანს).

### საავტომობილო გზები

მთლიანობაში, გზების სიგრძით, პირველ ადგილზეა აშშ — 6.304.000 კმ, შემდეგ საფრანგეთი მოდის — 1.494000კმ, შემდეგ კი ინდოეთი — 1.367.000 კმ. საქართველოს საერთო სარგებლობის საავტომობილო გზების სიგრძე 20.215კმ-ია. აქედან 84 კმ ხიდებზე მოდის (სულ 4.621 ხიდი), ხოლო 99 კმ 16 გვირაბზე.

### ავტომობილების რაოდენობა

პირველ ადგილზეა აშშ-ი — 123.462.000 ავტომობილი (1.000 მოსახლეზე 531 ავტო).

შემდეგი კი იაპონიაა — 25.539.000 ავტომობილი (1.000 მოსახლეზე 215 ავტო).

საქართველოში 320.000 სატრანსპორტო საშუალებაა.

„კვირის პალიტრის" საფოსტო ყუთების საშუალებით შეგიძლიათ მოგვმართოთ თქვენთვის საინტერესო საკითხებზე, სპეციალურად ამისთვის უახლოეს ნომრებში „ავტოსალონში" გამოყოფილი იქნება რუბრიკა „ავტოსაგზაო საკითხებზე".

გვერდი მოამზადა დაჩი გრძელიშვილმა

# ფინანსთა სამინისტრო შპს „მეტეხს“ ვალის გასტუმრებას სთხოვს

ამ დღეებში ფინანსთა სამინისტრო საოლქო სასამართლოში სარჩელს შეიტანს შპს „საქართველო-ავსტრიის ერთობლივი საწარმო „მეტეხის“ წინააღმდეგ, რომელსაც მძიმე ტვირთად აწევს დაუფარავი ვალი თავისი პროცენტით — სასტუმროს ასაშენებლად გამოყოფილი 926 მლნ ავსტრიული შილინგი. „მეტეხის“ ისტორიაში ეს პირველი პრეცედენტი გახლავთ, როდესაც ოფიციოზი მის წინააღმდეგ ხმას იმაღლებს და ვალების გასტუმრებას ითხოვს. აქამდე სასტუმროსთვის გამოყოფილი ავსტრიული კრედიტის პროცენტს ფინანსთა სამინისტრო მორჩილად იხდიდა, რადგან სასტუმრო „მეტეხს“ უამრავი მფარველი ჰყავდა, როგორც მაღალ სახელისუფლო ეშელონებში, ასევე „შავ სამყაროში“.

ავსტრიის ბანკ „კრედიტანშტალტსა“ და შპს „მეტეხს“ შორის 1989 წლის იანვარში გაფორმდა საკრედიტო ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც, შპს „მეტეხს“ სასტუმროს ასაშენებლად 926 მლნ ავსტრიული შილინგი გამოეყო. 1993 წლისათვის შპს „მეტეხს“ გაუჩნდა ვადაგადაცილებული დავალიანება „კრედიტანშტალტის“ მიმართ, რომლის დასაფარად ფინანსთა სამინისტრომ ახალი კრედიტი აიღო 242 მლნ ავსტრიული შილინგის ოდენობით.



1997 წელს ფინანსთა სამინისტრომ, დავალიანების რესტრუქტურიზების მიზნით, ხელი მოაწერა ორ ხელშეკრულებას, რომელთა მიხედვითაც, ვალის დაფარვა 15 წელიწადში უნდა მოხდეს. აქედან პირველი 5 წელი — შეღავათიანი პერიოდია. გარდა ამისა, უნდა გადავიხადოთ წლიური საპროცენტო განაკვეთი — 4%-ის ოდენობით. ყოველივე ამის შედეგად ფინანსთა სამინისტრო ყოველწლიურად ავსტრიის ბანკებში 3,21 მლნ ევროს რიცხავს. მთლიანად მის მიერ კრედიტის მომსახურებისათვის ბანკებში გადარიცხულია 16 მლნ ევრო, ხოლო „მეტეხის“ მიერ ფინანსთა სამინისტროსთვის გადარიცხული თანხის რაოდენობა მხოლოდ 6 მლნ ევროს შეადგენს.

ფინანსთა მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი აღარ აპირებს სხვისი ვალების გასტუმრებას — სახელმწიფო ბიუჯეტს ბევრი სხვა, საკუთარი ვალდებულების შესრულებაც უჭირსო! „ყოველწლიურად 3 მლნ ევროს უცხოურ ბანკებში გადასროლა უხელფასოდ და უპენსიოდ დარჩენილი ქვეყნისთვის მართლაც მძიმე საქმეა“, — ამბობს იგი.

შეგახსენებთ, რომ შპს „მეტეხის“ დამფუძნებლები გახლავთ თბილისის მერია (85%) და ავსტრიული ფირმა „აბვ“ (15%), ლეოპოლდ ბაუსბეკის ხელმძღვანელობით. სესხის დაბრუნებაზე პასუხს აგებდა თვით ეს ერთობლივი საწარმო. გარანტი იყო თბილისის მერია, ხოლო კონტრგარანტი — ფინანსთა სამინისტრო. ეს იმას ნიშნავდა, რომ თუ დამოუკიდებელი ფირმა „მეტეხი“ ვერ შეასრულებდა ნაკისრ ვალდებულებებს, პასუხი მასვე უნდა ეგო საკუთარი ქონებით, თუ ეს საკმარისი არ იქნებოდა, მაშინ — თბილისის მერიას. ხოლო რაც შეეხება მესამე, ყველაზე მაღალ ინსტანციას — მთავრობისთვის კერძო სტრუქტურის ვალის გადაბარება იურიდიულად საკმაოდ რთული პროცედურაა.

მაშინდელი პრემიერ-მინისტრის მოადგილე რომან გოცირიძე აცხადებს: „თუკი აუცილებელი გახდებოდა, რომ მთავრობას თავის თავზე დაეწერა ვალი, მაშინ, როგორც საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების, აგრეთვე თვით ერთობლივი საწარმო „მეტეხის“ წესდებისა და სადამფუძნებლო ხელშეკრულების თანახმად, სასესხო ვალდებულებათა შეუსრულებლობის შემთხვევაში, მთელი ქონება (სასტუმრო „მეტეხი“) გადადიოდა საქართველოს მთავრობის საკუთრებაში, ხოლო „მეტეხის“ პარტნიორები — ავსტრიული ფირმა და თბილისის მერია — წილს კარგავდნენ. სინამდვილეში, პირიქით მოხდა: ვალებს საქართველოს მთავრობა იხდის, ხოლო 80 მლნ-იანი (მიწისა და ინფრასტრუქტურის ჩათვლით) ქონების შესაბამისი წილის და მთელი ცხოვრების მანძილზე მისაღები მოგების მეპატრონენი გადახდისუუნარო დამფუძნებლები ხდებიან.

მოკლედ, ჩვენმა უცხოელმა პარტნიორმა საწესდებო ფონდში გროშები ჩადო, ვალებს მთავრობა უხდის, ქონება კი... შერჩა“.

აღსანიშნავია ისიც, რომ თავდაპირველად, სასტუმროს მფლობელებს შორის წილი შემდეგნაირად იყო განაწილებული: 90%-ს თბილისის მერია ფლობდა, ხოლო 10%-ს — ავსტრიული ფირმა. 1990 წლის ივლისში საქართველოს მხარის წაყრუებით თუ ხელშეწყობით უკანონოდ შეიცვალა წილობრივი მდგომარეობა. საწესდებო ფონდის 5% გადაეცა ავსტრიულ ფირმას, რის შედეგადაც მერიას 85%, ხოლო „აბვ“-ს — 15% დარჩა.

ამგვარი მაქინაცია მეორეჯერაც განხორციელდა, როდესაც ავსტრიულ ფირმას დამატებით, ჩალის ფასად 16 ათას დოლარად მიჰყიდეს საწარმოს წილის 16%. რეალურად კი ამ 16%-ის ღირებულება 11 მლნ დოლარი გახლდათ. თუმცა, მაშინდელი პრემიერ-მინისტრის რომან გოცირიძის ძალისხმევით 1993 წელს კუთვნილი წილი დაუბრუნეს მერიას, რომელმაც რატომღაც გააჩუქა იგი.

საინტერესოა, ვინ უჭერდა მხარს ავსტრიულ ფირმას?

რომან გოცირიძის განცხადებით, უცხოელ პარტნიორს საკმაოდ გავლენიანი მფარველები ჰყავდა, როგორც ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებში, ისე „შავ სამყაროში“. „როდესაც დავიწყეთ „მეტეხში“ საქართველოს მხარის კანონიერი უფლებების აღდგენა, ლეოპოლდ ბაუსბეკმა აშკარა შანტაჟი წამოიწყო. მან ჩართო ზეწოლის როგორც უცხოური, ასევე ქართული საშუალებები. ამისათვის იყენებდა ავსტრიულ კრედიტორბანკს, რომელიც მუქარით სავსე წერილებს გვიგზავნიდა. ხოლო ბაუსბეკი თავად წერდა შევარდნაძეს, სხვა ხელმძღვანელ პირებს, მათ შორის, ჯაბა იოსელიანსა და თენგიზ სიგუას და იმუქრებოდა, რომ საქართველოს შესახებ საერთაშორისო ფინანსურ წრეებში უარყოფით ინფორმაციას გაავრცელებდა“.

აღსანიშნავია ისიც, რომ ბაუსბეკთან მოლაპარაკებას, რომან გოცირიძის თქმით, მთავრობის ეკონომიკური რეფორმების შტაბის მრჩევლის დავით ონოფრიშვილის გარდა, ესწრებოდა ავსტრიული ფირმის საგარეო ურთიერთობების ხელმძღვანელი დსთ-ის ქვეყნებში დავით სანიკიძე, რომელიც მოგვიანებით ვენაში მოკლეს. ლეოპოლდ ბაუსბეკი ავსტრიაში საკმაოდ გავლენიანი ფიგურა იყო. მოგვიანებით იგი ავსტრიის პარლამენტის წევრიც გახდა, თუმცა, სანიკიძის მკვლელობამ რეპუტაცია შეულახა.

„ასე რომ, უცხოურმა ფირმამ „მეტეხის“ მეშვეობით იმ მოგებაზე მეტი მიიღო, ვიდრე გეგმავდა ან საერთოდ წარმოედგინა. „მეტეხი“ ავსტრიის ფირმა „აბვ“-ს იმდენად აინტერესებდა, რამდენადაც სჭირდებოდა სასტუმროს აშენების უფლების მიღება — ე.ი. 70 მლნ დოლარის ოდენობის შეკვეთა. ეს უზარმაზარი პროექტია, გნებავთ, იღბალიც. მან მიიღო წილი ერთობლივ საწარმოში, მართავდა „მეტეხს“, იღებდა დიდ შემოსავალს (მათ შორის, ავსტრიიდან, „მეტეხისათვის“ საჭირო საქონლით მომარაგების გზითაც), მომავალში კი ლამის უსასყიდლო წილიდანაც ექნება დიდძალი მოგება“, — დასძენს რომან გოცირიძე.

ამჟამად კი, ფინანსთა სამინისტრო „მეტეხისგან“ კატეგორიულად მოითხოვს, რომ ვალი პროცენტითურთ თავად გაისტუმროს. თუმცა „მეტეხის“ ხელმძღვანელობა არ აპირებს, მსგავს ხელშეკრულებას ხელი მოაწეროს — მათი განცხადებით, ვალის გასტუმრების თავი არ აქვს. ამის მიზეზად იგი სასტუმროს არასრულ დატვირთვას ასახელებს. თუმცაღა, ზურაბ ნოღაიდელს ამ არგუმენტისა ნაკლებად სჯერა, რადგან „მეტეხი“ დღესაც აფინანსებს გიტარის ფესტივალს და სხვადასხვა კაპიტალდაბანდებას ახორციელებს. მაგალითად, ამჟამად შპს „მეტეხი“ თეთრ არაგვზე ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობაში მონაწილეობს. „თავისთავად ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა ძალიან სასარგებლო საქმეა, მაგრამ ეს არ უნდა მოხდეს ბიუჯეტის ხარჯზე“, — მიაჩნია ფინანსთა მინისტრს.

ხოლო თუკი მფლობელი ვალებს ვერ ისტუმრებს იმ სასტუმროს მეშვეობით, რომელიც, ჯერჯერობით, საქართველოში ერთადერთი ყველაზე მაღალი კლასის სასტუმროა, ფინანსთა სამინისტრო შპს „მეტეხს“ წილის გაყიდვას ურჩევს.

გაისტუმრებს თუ არა ბიუჯეტისა და ავსტრიული ბანკის ვალებს შპს „მეტეხი“ ან მიიღებს თუ არა ქვეყნის მეჭურჭლეთუხუცესის რჩევას, ამას სულ მალე სასამართლოს გადაწყვეტილებით შევიტყობთ. ეს, გარკვეულწილად, ახლანდელ ლობებზეც იქნება დამოკიდებული.

*ნათია გოგსაძე*

# ალუმინური მოუნელებლობა

უოლსტრითელი სტრატეგები სერიოზულად არიან შეშფოთებულნი მსოფლიოში ალუმინის მწარმოებელი უდიდესი ამერიკული კომპანია ALCOA-ს, აგერ უკვე მერამდენე თვეა, კოტირების დაწევით. ბოლოდროინდელ ვაჭრობაზე მისი ერთი აქციის ღირებულება 23 დოლარამდე დაეცა — ეს იანვრის თვის ღირებულებაზე ორჯერ ნაკლებია.

ალუმინის მონოპოლისტის წარუმატებლობანი განსაკუთრებით განსაცვიფრებელია 5 წლიანი აღმავლობის შემდეგ. ALCOA, პრაქტიკულად, მარტო გაუმკლავდა პირველად ალუმინზე ფასების ვარდნასა და ენერგოდანაკარგების ზრდას. იგი არა მარტო გადარჩა უცხოელ კონკურენტებთან ბრძოლაში, არამედ საიმისო ძალაც მოიკრიბა, რომ „გადაეყლაპა“ ამერიკული „რეინოლდს მეტალსი“, რომელიც მსოფლიო ალუმინის იერარქიაში მესამე პოზიციაზე იდგა. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ALCOA მსოფლიო ბაზარზე დომინანტის როლს დაიმკვიდრებდა. იმავდროულად, მან შეიძინა კომპანია „კორდანტ ტექნოლოჯიზი“, რომელიც გაზის ტურბინებსა და თვითმფრინავების სხვადასხვა გამწევ სისტემას აწარმოებდა. ამ გზით ცდილობდა ALCOA უკან ჩამოეტოვებინა ის კონკურენტიც, რომელიც აშშ-ის ავიაკოსმოსურ მრეწველობას ამარაგებდა ალუმინის დეტალებით. ბირჟის ექსპერტები ვარაუდობდნენ, რომ ALCOA-ს მოუნელებლობა დაემართა — იგი იმ მახრჩობელას დაემსგავსა, კურდღლის ნაცვლად რომ აქლემი გადაყლაპა. „კორდანტის“ შეძენით კომპანია თავის ძირითად საქმიანობას, ალუმინის ბიზნესს ჩამოსცილდა. „რეინოლდსის“ შეძენით მოსალოდნელი დივიდენდები, თავად ALCOA-ს მეპატრონეთა აღიარებით, მხოლოდ მომავალი წლის ბოლოს გამოჩნდება. კომპანიის ენერგიულმა თავკაცმა ადან ბელდამ ამას წინათ თავიც კი იმართლა ინვესტორების წინაშე „კორდანტის“ შეძენის გამო. როცა ALCOA თავის შემოსავლების მონაცემებს გამოაქვეყნებს, ადან ბელდას უფრო ვრცელი ახსნა-განმარტება მოუწევს. როგორც ამერიკული გაზეთი „უოლ-სტრით ჯორნელი“ წერს, ALCOA-ს იღბალმა უმტყუნა. ახლა საქმე ის არის, როდემდე გაგრძელდება ეს ტენდენცია...

***იზვესტია №182***



# კითხვა–პასუხი

***ვარ დიდი სამამულო ომის მონაწილე, 82 წლის. პენსიის გარდა სხვა შემოსავალი არ მაქვს. ერთი წელია დალუქული და გათიშულია ელექტროენერგია და ტელეფონი. ამ საწარმოთა წარმომადგენლები განმარტავენ, რომ ომის ვეტერანებზე კანონით დაწესებული შეღავათი გაუქმებულია. გთხოვთ განმიმარტოთ, მეკუთვნის თუ არა შეღავათი?***

***ი. ზ. ასკილაშვილი, გურჯაანის რ-ნი სოფ. კაჭრეთი***

70 წელს გადაცილებულ სამამულო ომის მონაწილეებზე გათვალისწინებულია ელექტროენერგიის შეღავათი 50 კილოვატსაათის ოდენობით თვეში. ხოლო, რაკი კონკრეტულ შემთხვევაში ელექტროენერგია დალუქული და გათიშული გაქვთ, უნდა გაარკვიოთ, რა მიზეზით არის გათიშული, რისთვისაც მიმართეთ ადგილობრივი (გურჯაანის) კომპანიის დირექტორს, რომელიც კურირებს თქვენს რაიონში ელექტროენერგიით მომარაგებას.

***ჯუმბერ ღონღაძე, საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მთავარი სპეციალისტი***

***ბავშვს აწუხებს უძილობა და ექიმის დანიშნულებით აძლევენ საძილე საშუალებას, რომელსაც მიეჩვია და თითქოს შედეგიც არ აქვს. იქნებ მომცეთ რჩევა, რათა მედიკამენტების გარეშე ბავშვს აღუდგეს ნორმალური ძილი?***

***დემეტრაძე, თბილისი***

ძილის დარღვევა გახშირებულია ცივილიზებულ მსოფლიოში, განსაკუთრებით — ქალაქის პირობებში, რისთვისაც იღებენ საძილე საშუალებებს, მაგრამ მედიკამენტით მიღწეული ძილი არ არის სრულყოფილი, რადგან ბუნებრივი ძილისგან შორს დგას. სრულფასოვანი ძილის მისაღწევად კი, სასურველია, ბავშვს დაძინებამდე ორი საათით ადრე შეაწყვეტინოთ გონებრივი მუშაობა და გაასეირნოთ. ამასთან, რეკომენდებულია მსუბუქი ვახშამი ყავისა და ჩაის გარეშე. სასარგებლოა ხილი, რძე და მაწონი, ნელთბილი შხაპის მიღება და ბავშვის დაძინება ზუსტად ერთსა და იმავე დროს.

***ნევროლოგიის ინსტიტუტი***

***ვხდები 17 წლის. მაქვს თუ არა უფლება, ავიღო დედის, პაპის ან დედ-მამის გვარი ორივე ერთად?***

***მარიამიძე, დიღმის მასივი***

სრულწლოვან პირს შეუძლია სურვილისამებრ აირჩიოს მშობლების ან პაპის გვარი. პიროვნებამ შეიძლება მიიღოს ორივე წინაპრის გვარი ერთად, თუკი ეს გვარები ორმაგი არ არის.

***სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანო***

***საეკლესიო წესით ჯვარდაწერილს, მეკუთვნის თუ არა მეუღლის ბინიდან წილი?***

***მკითხველი***

სამოქალაქო კანონმდებლობით, მეუღლეთა უფლება-მოვალეობებს წარმოშობს მხოლოდ მოქალაქეობრივი მდგომარეობის რეგისტრაციის ორგანოში რეგისტრირებული დაქორწინება. ამ შემთხვევაში მეუღლეები სარგებლობენ თანაბარი პირადი და ქონებრივი უფლებებით.

***ნოტარიუსი***

***ამბობენ, ბრილიანტი რაც უფრო ძველია, უფრო მდარე ხარისხისაა, სხვა ნივთები კი სიძველით ფასობსო. რამდენად შეესაბამება ეს სიმართლეს?***

***ლ.კ. თბილისი***

სხვა ანტიკვარული ნივთებისაგან განსხვავებით, რომლებიც სიძველით ფასობს, ბრილიანტი მით უკეთესია, რაც უფრო ახალია. ამ შემთხვევაში სიძველე მისი დაბალი ხარისხის მაჩვენებელია. განსაკუთრებული მაღალი ხარისხით გამოირჩევა იაკუტიაში მოპოვებული ბრილიანტი ე.წ. ახალი დაწახნაგებით.

***ანტიკვარული მაღაზია***

***გთხოვთ გვაცნობოთ, შეუძლია თუ არა შვილს, მართოს მამის კუთვნილი ავტომანქანა მინდობილობის გარეშე?***

***მოქალაქე***

მინდობილობის გარეშე შვილის მიერ მამის კუთვნილი ავტომანქანის მართვა აკრძალულია. მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება მართოს შვილმა მამის მანქანა მინდობილობის გარეშე, თუ მამა ავტომანქანაში მის გვერდით იმყოფება.

***თბილისის ავტოინსპექცია***

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 28 ოქტომბრიდან დაადგინა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი:

| | | |
|---|---|---|
| **აშშ დოლარი** | | 1,9650 |
| **გერმანული მარკა** | | 0,8346 |
| **ინგლ. გირვანქა სტერლინგი** | | 2.8219 |
| **ევრო** | | 1,6323 |
| **რუსული რუბლი** | | 0,0704 |
| **თურქული ლირა** | **(10.000)** | 0,0286 |


**ფირმა «გარანტი»**
აწარმოებს ბრტყელი სახურავების, ღია აივნების, ჰიდროსაიზოლაციო სამუშაოებს იმპორტული მასალით, საუკეთესო ხარისხით.
გარანტია — 10 წელი
მის: წერეთლის გამზ. №142, „სამთო ქიმიის“ შენობა, მე-3 სართ, ოთახი 78
☎ 63-05-26; 99-86-09; 38-37-89; 877-43-85-69



შტამპების და ფირმების რეგისტრაცია აუდიტი არასამთავრობო ორგანიზაციები
რუსთაველის 22
☎ 99-86-09; 38-37-89

MERSEDES-ის მერსედესის სათადარიგო ნაწილები



☎ 33-13-72 (13-18 სთ.)
60-34-68 (20 სთ-დან)

ქაღალდი პოლიგრაფიისთვის ადგილზე მიტანით



ფურცლებში და რულონებში
ტელეფონი: 71-04-14
877-43-28-62
სხვადასხვა ფორმატი A1; A2; A3

# პუტინი რევოლუციას იწყებს



ვლადიმირ პუტინი ბალკანეთსა და ახლო აღმოსავლეთში ახალი საგარეო პოლიტიკური ინიციატივებით გამოდის, მაგრამ მოსკოვის საგარეო პოლიტიკის ნაწილობრივი შეცვლა არაფერია იმ ცვლილებებთან შედარებით, რასაც კრემლი აპირებს ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებთან დამოკიდებულებაში.

მოსკოვმა დსთ-ის ქვეყნებს აცნობა, რომ იგი აუქმებს უვიზო რეჟიმს. ყველაფერი მეტყველებს იმაზე, რომ პუტინი კიდევ უფრო შორს წასვლას აპირებს — სურს დსთ-ის ოფიციალური დაშლა. სამაგიეროდ... გააძლიერებს ინდივიდუალურ ზეწოლას თანამეგობრობის ქვეყნებზე. ამ მიზნით გამოყენებული იქნება რუსეთისათვის დამახასიათებელი ტრადიციული კოზირი: ნავთობი და შეიარაღებული ძალები...

ნავთობის გაძვირებამ პუტინს გადამჭრელი მოქმედებისკენ უბიძგა. ლოზუნგებსა და მხოლოდ ქაღალდზე არსებულ დსთ-ის თანამშრომლობას ბოლო მოეღო. პირში მიხლილი სიმართლე — ასეთია ახლა მოსკოვის პოზიცია.

***ფორეინ რეპორტი***

# ისინი ცოცხლები იყვნენ და მაშველებს ელოდნენ

მყვინთავებმა „კურსკის“ მე-8 ნაკვეთურიდან ამოიღეს 4 დაღუპული მეზღვაურის ცხედარი, რომლებსაც სხვადასხვა ნიშნით ამოიცნობენ — საბუთებით, აღჭურვილობის ნომრით და ა.შ. ჯერჯერობით, მხოლოდ კაპიტან-ლეიტენანტი დიმიტრი კოლესნიკოვია ამოცნობილი. იგი კატასტროფის მომენტში, საშტატო განრიგის მიხედვით წყალქვეშა ნავის მე-7 ნაკვეთურში იმყოფებოდა. მის გულის ჯიბეში ნაპოვნი ჩანაწერი ნათელს ჰფენს კატასტროფის ზოგიერთ დეტალს. ჩანაწერში გარკვევითაა აღნიშნული დრო — „13.15“. ეს შეიძლებოდა ყოფილიყო დაწერილი როგორც კატასტროფის დღეს, ასევე მოგვიანებითაც.

მყვინთავები ამბობენ — ჟანგბადის უკმარისობის გამო ხალხით გატენილ მე-9 ნაკვეთურში ყველაზე ჯანმრთელი მეზღვაურიც კი სამ დღეზე მეტს ვერ გაძლებდაო. თუ ეს ასეა, ის კაკუნი, რომელიც მაშველებმა კატასტროფის შემდეგ მალევე გაიგონეს, არ მოსჩვენებიათ. ყოფილი ოფიცრის, რანგის კაპიტნის ალ. ლესკოვის აზრით, მას შემდეგ, რაც წყალქვეშა ნავი გრუნტს შეასკდა, წინა ნაკვეთურში შეიქმნა საჰაერო ბალიში, რომელმაც მცირე დროით სიცოცხლე შეუნარჩუნა იქ მყოფთ. ალ. ლესკოვს მიაჩნია, რომ იმ სიტუაციაში, რომელიც აღწერილია კოლესნიკოვის ჩანაწერში, მეზღვაურები ალბათ, დაიხრჩვნენ, რადგან მე-9 ნაკვეთურში წყალი შევიდა. სიბნელეში მეზღვაურებს უჭირდათ სიცოცხლისთვის ბრძოლა. მეზღვაურები, რომლებმაც ყველაზე შორეული, მე-6 ნაკვეთურიდან მიაღწიეს მეცხრემდე, თავიანთ სიცოცხლეში ბოლო 50 მეტრი გაიარეს რკინის ლაბირინთებში. იმ დროისთვის, როცა კაპიტან-ლეიტენანტი ჩანაწერს აკეთებდა, კიჩოს ნაკვეთურების პირადი შემადგენლობის 24 კაციდან ცოცხალი იყო 23.

„13.15. მე-6, მე-7, მე-8 ნაკვეთურებიდან პირადი შემადგენლობა მე-9-ში გამოვიდა. ეს გადაწყვეტილება ავარიის შედეგად მივიღეთ. არც ერთ ჩვენგანს არ შეუძლია ზევით ასვლა“.

მერე ჩანაწერში გაკრული ხელით წერია „13.5... ხელის ცეცებით ვწერ“.

ციფრები, რომლებიც კოლესნიკოვის ჩანაწერშია, ალბათ აღნიშნავს დროს, როცა ოფიცერმა წერტილი დასვა, თავისი ცხოვრების წერტილი.

ეს არ არის ჩანაწერის სრული ტექსტი. ფლოტის ხელმძღვანელობის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ იგი პირადი ხასიათისაა და პირველები ოჯახის წევრები წაიკითხავენ.

კაპიტან-ლეიტენანტ კოლესნიკოვის ქვრივის თქმით, ჩანაწერი სევერომორსკში იმყოფება და მას ჯერ არ უნახავს. ჩანაწერმა შესაძლოა ფარდა ახადოს წყალქვეშა ნავის დაღუპვის საიდუმლოს, ამიტომაც ამბობს უარს ფლოტის ხელმძღვანელობა მის გამოქვეყნებაზე.

***კომსომოლსკაია პრავდა №202***

# იუგოსლავია მეზობლებს შეურიგდა

ბელგრადი მზად არის უარი თქვას სლობოდან მილოშევიჩის პოლიტიკაზე და შეურიგდეს მეზობელ ქვეყნებს. მაკედონიის დედაქალაქში — სკოპიეში, სადაც ბალკანელი ლიდერების არაფორმალური სამიტი ტარდებოდა, ვოისლავ კოშტუნიცამ განაცხადა: „ჩემი ოცდღიანი ყოფნა ხელისუფლებაში — ახალი ეპოქაა“. ეს სულაც არ არის გადაჭარბებულად ნათქვამი. კოშტუნიცა ბოლოს ბალკანელ კოლეგებს დაახლოებით ათი წლის წინ შეხვდა. მას შემდეგ ბალკანეთმა გადაიტანა ოთხი სისხლისმღვრელი ომი, რომლის მთავარ დამნაშავედ მსოფლიოში სლობოდან მილოშევიჩს მიიჩნევენ. ახალმა პრეზიდენტმა იცის, რომ შერიგების გარეშე ევროპას ვერ დაუბრუნდება და მაშასადამე, საერთაშორისო დახმარებას ვერ მიიღებს. სკოპიეში ბალკანელი ლიდერები განიხილავდნენ რეგიონში შექმნილ სიტუაციას მილოშევიჩის რეჟიმის დამხობის შემდეგ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის სტაბილურობის პაქტში პროექტების რეალიზაციას. სამიტში მონაწილეობდნენ ევროკავშირის ხელმძღვანელები და პაქტის კოორდინატორი — ბოდო ხომბახი. მათ ბალკანელი ლიდერები დაამშვიდეს, რომ იუგოსლავიის პაქტისთვის მიერთება არ ნიშნავს იმას, რომ ამიერიდან ევროკავშირის ფული ბელგრადში გადაიგზავნება. ადრინდელი პროექტები კვლავ გაგრძელდება, ხოლო იუგოსლავიისთვის ევროკავშირი დამატებით თანხებს მოიპოვებს. თუმცა ეს ძალზე რთული იქნება — იუგოსლავიის აღდგენისთვის რამდენიმე მილიარდი დოლარია საჭირო. ბ-ნი კოშტუნიცა იუგოსლაველი ხელმძღვანელებიდან პირველია, რომელმაც აღიარა, რომ კოსოვოში ალბანელების განადგურებაში სერბეთის არმია და პოლიცია



მონაწილეობდნენ. იუგოსლავიის პრეზიდენტმა პირველად განაცხადა, რომ ბატონ მილოშევიჩს გაასამართლებენ.

ბელგრადის ახალ ხელმძღვანელობას ევროპაში სათანადოდ აფასებენ. ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის პოლიტკომისიის სხდომაზე რუსეთი მოითხოვს იუგოსლავიის წინააღმდეგ სანქციების სრულ მოხსნას (მათ შორის ასეული იუგოსლაველი პოლიტიკოსის პერსონალურ სანქციებსაც), რომლებიც ევროკავშირის შავ სიაში არიან შეყვანილი. თუმცა ევროპა არასოდეს მოისურვებს ექსპრეზიდენტ მილოშევიჩის გარემოცვის პასუხისმგებლობისგან გათავისუფლებას. მით უმეტეს, ამას არ ითხოვს ახალი პრეზიდენტი.

***კომერსანტი №201***

# გულადი აიშე



ლიბიის ლიდერის — მუამარ კადაფის ქალიშვილმა — აიშემ მოინახულა ერაყის პრეზიდენტი სადამ ჰუსეინი, მამის მოკითხვა გადასცა და მხარდაჭერა აღუთქვა.

დიპლომატიურ წრეებში კადაფის 25 წლის ქალიშვილი ცნობილია, როგორც პოლიტიკური ექსტრემისტი. ორი წლის წინ სწორედ მისი ძალისხმევით ჩაიშალა ძლივს აღდგენილი ლიბია-ბრიტანეთის ურთიერთობა. იმის ნაცვლად, რომ მუზეუმები ეთვალიერებინა და მის პატივსაცემად გამართულ მიღებებზე მისულიყო, იგი ჰაიდ-პარკში გაკვირვებული ლონდონელების წინაშე ირლანდიის ტერორისტებს იცავდა. ბრიტანეთის პრესამ ეს მოვლენა დაუკავშირა გავრცელებულ ხმას, თითქოს კადაფი საიდუმლოდ აფინანსებდა ირლანდიის რესპუბლიკის არმიას. ასე რომ, ურთიერთობის მოგვარების იმედები ლონდონის ნისლთან ერთად გაქრა. ამჟამად აიშე კადაფის მისიამ გაეროში შედარებით მშვიდობიანად ჩაიარა. მაგრამ შინ დაბრუნებისას ქ-ნ აიშე კვლავ შეეცადა საერთაშორისო სკანდალის მოწყობას. როგორც ვიცით, 1990 წლიდან ჩრდილოეთ და სამხრეთ ერაყზე გადაფრენა აკრძალულია. გულადი აიშე, მიუხედავად აკრძალვისა, დაუკითხავად ჩაფრინდა სწორედ იმ მარშრუტით ერაყის პრეზიდენტთან. სავსებით მოსალოდნელი იყო, რომ მისი თვითმფრინავი ჩამოეგდო ინგლისურ ან ამერიკულ გამანადგურებელს, მაგრამ მაინც გარისკა. რას ნიშნავდა ეს? — მხოლოდ ყმაწვილურ ჟინს. ლიბიის პრეზიდენტის ქალიშვილმა დიქტატორ სადამისა და ღირსეულ ერაყელთა მიმართ აღფრთოვანება გამოხატა.

სასტიკ სადამ ჰუსეინს გული აუჩუყა ქალის საქციელმა...

თავისი თავით მეტად კმაყოფილი აიშე შინ უვნებელი დაბრუნდა და დიპლომატიურ სარბიელზე „მიღწევებით“ გაახარა მამიკო.

*საფრანგეთის მართლმსაჯულებამ მიიღო ისტორიული გადაწყვეტილება, რომლის თანახმად, შესაძლებელი იქნება სახელმწიფოების მეთაურების პასუხისგებაში მიცემა. ფაქტობრივად, იმუნიტეტის გაუქმება. პარიზის საკასაციო სასამართლომ ბრალდება წაუყენა პოლკოვნიკ კადაფის 1989 წელს DC-10 ავიაკამპანიის კატასტროფაში 170 ადამიანის დაღუპვის გამო.*

***იზვესტია №201***

# შეძლებენ კი მეგობრობას?

უკვე ორი თვეა, რაც მსოფლიო პრესაში პალესტინა-ისრაელის კონფლიქტზე მსჯელობენ. ამ დროის მანძილზე შეტაკებებში 160 არაბი და 10 ებრაელი დაიღუპა. კითხვაზე, შეძლებენ თუ არა მეგობრობას არაბები და ებრაელები — პასუხობენ პალესტინის ელჩი მოსკოვში ხაირი ალ-ორიდი და ისრაელის ქნესეთის დეპუტატი რომან ბრონფმანი.

ამონარიდი ინტერვიუებიდან:

— ბატონო ალ-ორიდი, ბოლო დროს რუსეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში ხშირად გაისმის ტერმინი „ისლამური ტერორიზმი“. გამოდის, რომ ტერორიზმი დამახასიათებელია მუსულმანებისთვის...

— ასე მხოლოდ სიონისტური გავლენის მქონე პრესა მოიხსენიებს. რუსეთში 30 მილიონი მუსულმანი ცხოვრობს და განა იგი რუსეთის ცივილიზაციის ნაწილი არ არის?



— მაგრამ პალესტინელები ხშირად უწყობენ ტერაქტებს მშვიდობიან მოსახლეობას.

— პალესტინელების ნებისმიერი საქციელი ისრაელელთა ტერორის პასუხია. სწორედ ისრაელმა მიითვისა პალესტინის მიწები. ბოლო მოეღება ოკუპაციას და დამთავრდება ძალადობაც. ისრაელს ყველა სახის თანამედროვე იარაღი გააჩნია, ჩვენ კი ქვებითა და შურდულებით ვიბრძვით. ამჟამად ისრაელმა ყველაზე მტკივნეულ წერტილს — იერუსალიმს — დააჭირა ფეხი.

— როგორ განვითარდება მომავალში მოწინააღმდეგეთა ურთიერთობა?

— მიუხედავად მოლაპარაკებებისა, ისრაელის არმია თვითმფრინავებით და ტანკებით ბომბავს პალესტინას. ასე რომ, ცეცხლის შეწყვეტა ისრაელზეა დამოკიდებული. იგი არ ტოვებს დაპყრობილი პალესტინის ტერიტორიას, ე.ი. არ სურს მშვიდობა.

— საინტერესოა პალესტინის პოზიცია ჩეჩნეთის მიმართ...

— ჩეჩნეთის პრობლემა რუსეთის საშინაო საქმეა. ხატაბი მუსულმანთა ინტერესების მოღალატეა, რადგანაც რუსეთს ზიანს აყენებს, რომელიც მუდამ არაბთა მოკავშირე იყო. ამით კი ჩვენი მოსისხლე მტრის წისქვილზე ასხამს წყალს.

— ბატონო ბრონფმან, და მაინც, ხომ ებრაელებმა მოახდინეს ამჟამინდელი უპრეცედენტო სისხლის ღვრის პროვოცირება.

— სწორედ არაფატმა მიიღო გადაწყვეტილება ძალადობის შესახებ. მაგრამ უკვე ყველასთვის ნათელია, რომ შეიარაღებული ბრძოლების გზით დათმობებს ვერ მივაღწევთ.

— რატომ ემხრობიან ისრაელელი არაბები პალესტინელ არაბებს?

— ეს ალბათ გამოწვეულია იმით, რომ ისრაელის არაბი მოსახლეობა ებრაელებთან შედარებით არათანასწორუფლებიანად გრძნობს თავს. არც ერთ მხარეს არ სურს კონფრონტაცია და აქედან გამომდინარე, კონფლიქტის მოგვარებაც შესაძლებელია.

ახლახან დასრულდა კაიროში არაბულ სახელმწიფოთა ლიგის სამიტი, რომელმაც დაადგინა ერთიანი ანტიისრაელური ფრონტის აღორძინება. არაბმა ლიდერებმა მოილაპარაკეს, შეექმნათ პალესტინური ინტიფადის მხარდამჭერი ფონდი. ამის პასუხად ისრაელმა განაცხადა — სამშვიდობო პროცესს დროებით ვაჩერებო და „სამხედრო“ ხელისუფლების ფორმირებას შეუდგა. გაცეცხლებულმა არაფატმა ბარაქი ჯანდაბის იქით გაგზავნა და განაცხადა, რომ პალესტინელებს ვერაფერი შეაკავებს იერუსალიმისთვის ბრძოლაში. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში ამ მოვლენას ფილოსოფიურად უყურებენ. კონფლიქტი შეიძლება შეჩერდეს ან სისხლის პირველ წვეთამდე, ან მაშინ, როცა ძალიან ბევრი სისხლი დაიღვრება. რუსი პოლიტიკოსების აზრით, რუსეთმა პროისრაელური პოზიცია უნდა დაიჭიროს. მაშინ რუსეთს ამ რეგიონში დამკვიდრების საშუალება მიეცემა. რაც შეეხება არაბებს, იქ „რადიკალების“ გარდა, რომლებიც ჩვენგან პირს არ იბრუნებენ, დასაკარგი არავინ არის.

***რუსული პრესის მიხედვით***

# მოგზაურობა მტრის ზურგში



ის, ზეთისხილისფერ სამხედრო ფორმაში გამოწყობილი, კომუნისტური მედლებით დახუნძლული შევიდა თეთრ სახლში — ჩრდილოეთ კორეის მეორე პირი, გენერალი ჯო მიონგ როკი პრეზიდენტ კლინტონს ეახლა „მშვიდობის ჩამოგდებაზე“ სასაუბროდ. ორი ქვეყნის ლიდერი პირველად შეხვდა ერთმანეთს მას შემდეგ, რაც 1950-53 წლებში მათი ქვეყნები ერთმანეთის დაუძინებელ მტრებად იქცნენ. საუბარი ოვალურ კაბინეტში 45 წუთი გაგრძელდა. როგორც ამბობენ, ჯო იმდენად თბილ გრძნობებს გამოხატავდა ამერიკის მიმართ, რომ ამერიკის მეგობარი ქვეყნის ლიდერი გეგონებოდათ. შემდეგ გენერალი სახელმწიფო დეპარტამენტში შეხვდა მადლენ ოლბრაითს, ოღონდ ამჯერად სამხედრო ფორმის მაგიერ სმოკინგი ეცვა. ყველასათვის მოულოდნელად, ოლბრაითს ხელზე ეამბორა და წითელი ვარდების მშვენიერი თაიგული მიართვა (რაც პროტოკოლით არ არის გათვალისწინებული), მაგრამ მის „დენდობას“ მალე მოეღო ბოლო — მოლაპარაკების მაგიდასთან ჯო შეუვალ კომუნისტ სამხედრო ლიდერად იქცა. მოლაპარაკებები ძირითადად შეეხებოდა კორეის ნახევარკუნძულზე მშვიდობის დამყარებას, ჩრდილოეთ კორეის ბალისტიკური რაკეტების პროგრამის შემცირებასა და მასზე საერთაშორისო კონტროლს. თუმცა გენერლის თქმით, არავითარ მშვიდობაზე არ შეიძლება საუბარი, ვიდრე 38-ე პარალელზე (ჩრდილო და სამხრეთ კორეის გამყოფი ხაზი) 690 ათასი სამხრეთკორეელი ჯარისკაცი და 37 ათასი ამერიკელი სამხედრო, ბრძანების მოლოდინში არიან, რათა ჩრდილოეთ კორეაზე მიიტანონ იერიში. ბალისტიკური რაკეტების პროგრამის შეკვეცის სანაცვლოდ გენერალმა დასავლეთს სთხოვა, ხელი შეუწყონ ჩრდილოკორეული კოსმოსური თანამგზავრის ორბიტაზე გაყვანაში. მიუხედავად იმისა, რომ მოლაპარაკებებზე რაიმე პროგრესი ძნელად მისაღწევი აღმოჩნდა, კორეელები სამშობლოში მაინც კმაყოფილნი დაბრუნდნენ, ამერიკის მთავრობა მათ უახლოეს მომავალში დამშეული ჩრდილოკორეული ოლქებისთვის „დიდ სასურსათო ინტერვენციას“ დაჰპირდა.

სამშობლოში ჯო კვლავ სამხედრო ფორმითა და მედლებით მკერდდამშვენებული დაბრუნდა, მის სახეს კვლავ კომუნისტური შეუვალობა და სიმტკიცე გადაკვროდა და უმალ თავის ლიდერს კიმ ჯონგს უპატაკა — მოგზაურობა მტრის ზურგში დამთავრებულიაო.

***ნიუ ზუიქი***

# ტერორიზმის ცენტრმა სამხრეთისკენ გადაინაცვლა

დუშანბეში ჩატარებულ კონფერენციაში მონაწილეობა მიიღო 67 ქვეყნის 44-მა საერთაშორისო ორგანიზაციამ. ყაზახეთს, ყირგიზეთს, ტაჯიკეთს, თურქმენეთსა და უზბეკეთს შორის გამომუშავებული იქნა სუბრეგიონული თანამშრომლობის მექანიზმი უსაფრთხოებისა და სტაბილურობის დონის ასამაღლებლად, აგრეთვე დემოკრატიული ინსტიტუტების გასამყარებლად.

ცენტრალური აზიის ქვეყნებში მეზობელი ავღანეთიდან ნარკოტიკების ნაკადის გაძლიერებას, დანაშაულებრივ დაჯგუფებათა გააქტიურებას, ადამიანებითა და იარაღით ვაჭრობასთან დაკავშირებული დანაშაულის ზრდას, მათი სტაბილურობის რეალურ საფრთხედ აღიქვამენ. გაეროს გენერალური მდივნის მოადგილე პინო არლაკიმ ფორუმზე განაცხადა — თალიბებთან მოლაპარაკებებს ვაწარმოებთ, მაგრამ მეტისმეტად „მძიმე თანამოსაუბრენი“ არიანო. ამიტომაც გაეროს ხელმძღვანელობას კონფერენციაზე არ მიუწვევია „თალიბანის“ წარმომადგენლები.

ტაჯიკეთში რუსეთის ფედერალური სასაზღვრო სამსახურის უფროსის, გენერალ-მაიორ ალ. მარკინის მონაცემებით, ბოლო 6 თვის მანძილზე ავღანეთ-ტაჯიკეთის საზღვარზე მესაზღვრეებმა ტონა ნახევარზე მეტი ნარკოტიკი ამოიღეს, მათ შორის 372კგ ჰეროინი.

კონფერენციის მონაწილეებმა განსაკუთრებული შეშფოთება გამოთქვეს საერთაშორისო ტერორიზმის გავრცელებასთან დაკავშირებით. მეორე წელია ყირგიზეთს უტევენ ტაჯიკეთში დაბანაკებული ბოევიკები, რომლებსაც ავღანეთი უწევს დახმარებას. როგორც კონფერენციაზე ითქვა, მათ არა მარტო ყირგიზეთში სურთ კონსტიტუციური წყობის შეცვლა, არამედ მთელი ცენტრალური აზიის დანარჩენ სახელმწიფოებშიც. ყირგიზეთის ხელისუფლებას მიაჩნია, რომ შეთანხმების მონაწილე ყველა ქვეყანა უნდა ეცადოს, ზემოქმედება მოახდინოს ტაჯიკეთის ხელმძღვანელობაზე, რათა ამ რესპუბლიკის ტერიტორიიდან განიდევნონ საერთაშორისო ტერორისტული დაჯგუფებები. თუმცა ტაჯიკ პოლიტიკოსებს არ მიაჩნიათ, რომ „თალიბანი“ საფრთხეს უქმნის მის სტაბილურობას, რადგან, მათი აზრით, „თალიბანი“ არ გასცდება ავღანეთის საზღვრებს.

თავის მხრივ გაეროში თალიბების წარმომადგენლები აცხადებენ, რომ მათი ოფიციალური აღიარების შემთხვევაში ისინი ბრძოლას შეწყვეტენ.

რფ ელჩმა უზბეკეთში დ. რიურიკოვმა განაცხადა, რომ ტერორისტული საფრთხის მთავარი ცენტრი ამჟამად დსთ-ის სამხრეთ საზღვრებთან იმყოფება და თანამეგობრობის ქვეყნები გაერთიანებული ძალებით უნდა შეებრძოლონ მას.

***ნეზავისიმაია გაზეტა №203***

# კაკლის თერაპია



კაკლის ფოთლებში, ქერქსა და ნაყოფში ბევრი მაგნიუმი შედის. როგორც ცნობილია, ორგანიზმში მაგნიუმის ნაკლებობა იწვევს ავთვისებიანი სიმსივნეების, ათეროსკლეროზის, ბრონქიალური ასთმისა და სხვა უამრავი დაავადების განვითარებას. მაგნიუმის გარდა, კაკალში ბევრი მინერალური ნივთიერება, ცილა, ცხიმი, ვიტამინები და სხვადასხვა ეთეროვანი ზეთია. კაკლის ფოთლებს ძლიერი ბაქტერიციდული თვისება აქვს. ფოთლების ნაყენს იყენებენ კუჭ-ნაწლავის ანთებითი პროცესების, ბაზედოვის დაავადების, ტუბერკულოზისა და კანის დაავადებების სამკურნალოდ. ნაყენი შემდეგნაირად მზადდება: აიღეთ 1ს/კ დაქუცმაცებული კაკლის ფოთოლი და 15წთ დახურულ ჭურჭელში ადუღეთ. გაწურეთ, გააციეთ და ჩაის მაგივრად სვით, დღეში სამჯერ თითო ჭიქა. ნაყენი კარგია ყელში სავლებადაც.

შინაურ პირობებში შეიძლება კაკლის ზეთის მომზადება: მწვანე კაკალი მინის ჭურჭელში ჩააწყვეთ, დაასხით ზეითუნის ზეთი, კარგად დაახურეთ თავზე და 40 დღით მზეზე დადგით. შემდეგ გაწურეთ. ზეთი მშრალ, ბნელ ადგილას შეინახეთ. ეს ზეთი სასარგებლოა ვენების ვარიკოზული გაგანიერების, დამწვრობის და დიდანს შეუხორცებელი ჭრილობების დროს.

კაკლის ნაჭუჭის ნაყენი — შესანიშნავი საშუალებაა ანგინის საწინააღმდეგოდ: 1ს/კ ულელს დაასხით 1 ჭიქა მდუღარე წყალი. დააყენეთ 2-3 საათი. ყელში გამოივლეთ დღეში რამდენჯერმე.

კაკლის ლებნები ძალზე რგებს მაღალი სიმჟავიანობით (ყოველდღე 2-3 ცალი კაკალი), ჰიპერტონიით (50 დღის მანძილზე 5-6 კაკალი, სასურველია, თაფლით. შეისვენეთ 2 თვე, შემდეგ ისევ გაიმეორეთ) დაავადებულებს. კაკლის ლებნები კარგია დაუძლურებული, გამოფიტული ორგანიზმისთვის.

ნაწლავების დაავადების დროს კაკალი უკუნაჩვენებია!

ფიბრომისა და მასტოპათიის დროს დალიეთ კაკლის ულლის ნაყენი: აიღეთ 20-25 კაკლის ულელი, დაასხით ნახევარი ჩაის ჭიქა სპირტი ან არაყი და დააყენეთ 10 დღე მშრალ, ბნელ ადგილას. ნაყენი მიიღეთ 50-60 დღის მანძილზე ჭამამდე 30წთ-ით ადრე 20 წვეთი.

კაკალს სარგებლიანობით ვერ შეედრება, მაგრამ მაინც კარგია მიწის თხილი, რომელსაც იყენებენ გადაღლილობის, საერთო სისუსტის, თავის ტკივილის დროს. მიწის თხილი გუნება-განწყობილებას აუმჯობესებს.

უმწიფარი ნუშის ნაყოფი ერთიანად წმენდს ორგანიზმს მძიმე მეტალებისა და რადიონუკლეიდისგან. დაფქვილი მწიფე ნუშის გული კარგია შარდკენჭოვანი დაავადების დროს, თაფლსა ან შაქარში არეული კი რგებს უძილობას, ანემიას და ბრონქიალურ ასთმას.

***ორაკული №11***

# ხშირად ყნოსეთ ნაყინი



სასარგებლო აღმოჩენა გააკეთეს ინგლისელმა ექიმებმა. თურმე, ვანილის სუნი ხელს უწყობს წონის დაგდებას. თუ ყოველდღიურად მივირთმევთ ულუფა ვანილის ნაყინს, თანაც ჭამის დროს ხშირ-ხშირად დავყნოსავთ მას, ერთი თვის მანძილზე 2,5-3კგ-ს დავიკლებთ.

## ნაკლები უნდა გვეძინოს?

აქამდე მიაჩნდათ, რომ მძიმე, დატვირთული დღის შემდეგ სასარგებლოა კარგად გამოძინება და საწოლში დიდხანს კოტრიალი. დღეისათვის კი, ექიმებმა დაასკვნეს, რომ მსგავსი მტკიცებულება შეცდომაა. სინამდვილეში დაღლისა და სტრესის შემდეგ კარგი ყოფილა სისხამ დილით ადგომა. ამ დროს სისხლში მატულობს კორტიზონი, რომელიც იცავს ჩვენს ორგანიზმს...

***ზდოროვიე №8***


**მკურნალობა უახლესი აპარატურით**

**ალერგიის კომპიუტერული დიაგნოსტიკა და მკურნალობა, ჰიპერტონიის (წნევა), ნევროზის, ლოგონევროზის (ენაბლუობა) მკურნალობა უახლესი აპარატურით.**

მის: ვაჟა-ფშაველას გამზ. №18ა,
რეაბილიტაციის ცენტრი, მე-6 სართ,
ბიორეზონანსული თერაპიის კაბინეტი,
ექიმი **ზურაბ ხარიაშვილი**
☎ 39-01-12 (სამს.) 10-15სთ. 39-58-77 (ბინა)

**ვმკურნალობთ**

**ქრონიკულ პროსტატიტს**

— ექსპრეს-დიაგნოსტიკა 15-20 წუთში;
— ექოსკოპია, თანამედროვე იაპონური აპარატურით;
— კომპლექსური მკურნალობა დღეისათვის არსებული ყველაზე თანამედროვე მეთოდებით და აპარატურით, მათ შორის, პროფ. გუსკოვის მეთოდით, რომელსაც ეფექტურობით ანალოგი არ აქვს.

**მეცნიერებათა აკადემიის სპეც. პოლიკლინიკა, კაბ. №20 (სპორტის სასახლის უკან) 10-14 სთ.**



ხერხემლის დაავადებათა (ოსტეოქონდროზი, დისკოზი, ართროზი, სპონდილოზი) და მათი ნერვული, კუნთოვანი, მყესოვანი, სახსროვანი და სისხლძარღვოვანი გართულებების კომპლექსური მკურნალობა

ექიმი ვერტებრონევროლოგი, მანუალური თერაპევტი **დავით ქურთუბაძე**

თბილისი, ივ ჯავახიშვილის 51, I სართ, ოთახი 9
ტელ: 96-95-69; 877-43-31-26



SGS - მსოფლიო სექსოლოგთა ასოციაციის და ევროპის სექსოლოგთა ფედერაციის წევრი
SGS - თანამედროვე ტექნიკური ბაზა
SGS - მაღალკვალიფიციური ექიმი-სექსოლოგები და ფსიქოლოგები
SGS - განკურნების მაქსიმალური გარანტია
SGS - აბსოლუტური ანონიმურობა

**ჩვენი პროფესიონალიზმი თქვენი თვითდაჯერების გარანტიაა!!!**

**ექიმი-სექსოლოგები, ფსიქოლოგები და ფსიქოთერაპევტები მზად არიან დაგეხმარონ ყველა სახის სექსუალური დარღვევის, ნევროზული სიმპტომების დიაგნოსტიკასა და მკურნალობაში.**

1. სქესობრივი აქტის ჩატარების გაძნელება ან შეუძლებლობა, მათ შორის:
„პირველი საქორწინო ღამის“ პრობლემები.
2. სქესობრივი აქტის გახანგრძლივება ანნაადრევი დამთავრება.
3. იმპოტენციის ქირურგიული მკურნალობა, ასოს ზომების მომატება.
4. კონფლიქტები ოჯახში და მის გარეთ.
5. დეპრესია, ძილის დარღვევა, აკვიატება და ენერგეტიკული დაქვეითება.
6. კონტაქტის შიში და ურთიერთობის პრობლემები.

ფსიქოლოგიური და სექსოლოგიური სამსახური SGS
თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №5 (ყოფილი „ლეჩკომბინატი“),
მე-2 სართ. კაბ. 21-22-23-24. ტელ: 29-34-39. მიღება 10-19 სთ-მდე


## „კვირის პალიტრის“ რედაქტორს



**ახლობლებისგან ხშირად მსმენია, რომ სიმსივნეთა ადრეულ სტადიაზე გამოაშკარავებისთვის თავადვე უნდა ჩავიტაროთ გასინჯვა, გთხოვთ დაწვრილებით აგვიხსნათ, როგორ კეთდება ეს?**

# სარძევე ჯირკვლების თვითგასინჯვა



საქართველოში ონკოლოგიური დაავადებებით ყოველწლიურად 3000-მდე ქალი სნეულდება. მათ შორის სარძევე ჯირკვლის სიმსივნეს პირველი ადგილი უკავია. ამ ლოკალიზაციის პათოლოგიით ჩვენში ყოველწლიურად 100 ათასიდან საშუალოდ 40-50 ქალბატონი ავადდება და რაც ძალზე სამწუხაროა, ეს მაჩვენებელი მატულობს. ეპიდემიოლოგიური შესწავლით დადგენილია, რომ სარძევე ჯირკვლის სიმსივნით დაავადების მაღალი რისკი აქვთ ქ. თბილისის, აფხაზეთისა და აჭარის რეგიონებში მცხოვრებ მანდილოსნებს.

სარძევე ჯირკვლის სიმსივნის განვითარებას მრავალი თვისა და წლის განმავლობაში წინ უსწრებს კიბოსწინარე დაავადებები და ფონური პროცესები, მათი გამოვლინებითა და მკურნალობით ადვილი შესაძლებელია საერთოდ აცილებული იქნას სიმსივნით დაავადება.

**რისკ-ფაქტორებია:**

— ასაკი 40 წელზე მეტი და განსაკუთრებით 50 წელზე მეტი;

— გახანგრძლივებული რეპროდუქციული პერიოდი (მენსტრუაციული ციკლის დაწყება 12 წლამდე და შეწყვეტა 50 წლის შემდეგ).

— სარძევე ჯირკვლის სიმსივნით დაავადებული ნათესავი ქალები (დედა, და, დეიდა, ბებია და ა.შ.);

— უშვილობა;

— გათხოვება, პირველი ორსულობა და მშობიარობა 28 წლის ასაკის შემდეგ.

**სიმსივნისა და ფონური დაავადებების სიმპტომები:**

— ტკივილი სარძევე ჯირკვალში;

— მენსტრუაციის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე სარძევე ჯირკვლების ტკივილი და გადიდება;

— სარძევე ჯირკვალში კვანძის არსებობა;

— რომელიმე სარძევე ჯირკვლის ფორმის შეცვლა;

— სარძევე ჯირკვალზე კანის შეჭმუჭვნა;

— სარძევე ჯირკვლის დვრილის ჩაბრუნება;

— გამონადენი სარძევე ჯირკვლიდან (მოყვითალო-სისხლიანი ლაქები აზლუდზე).

აღნიშნული სიმპტომების არსებობის შემთხვევაში დაუყოვნებლივ მიმართეთ ექიმს!

**პათოლოგიური პროცესების დროული და ადრეული დიაგნოსტიკის მეთოდები:**

— სარძევე ჯირკვლის ყოველთვიური პროფილაქტიკური თვითგასინჯვა;

— სარძევე ჯირკვლის სპეციალისტის (მამოლოგის, გინეკოლოგის, ონკოლოგის) მიერ გასინჯვა (20-39 წლისა — 3 წელიწადში ერთხელ, 40-49 წლისა — 2 წელიწადში ერთხელ; 50 წლის შემდეგ — ყოველწლიურად).

— სარძევე ჯირკვლის რენტგენოლოგიური (მამოგრაფია) და ექოსკოპიური გამოკვლევა. პირველი მამოგრაფია 40 წლის ასაკში.

სარძევე ჯირკვლების თვითგასინჯვის ჩატარების ოპტიმალური დრო მენსტრუაციული ციკლის დამთავრების შემდგომი პერიოდია. ამ დროს ისინი არც შეშუპებული და არც მგრძნობიარეა. არალეგალური ციკლის ან მისი შეწყვეტის შემთხვევაში თვითგასინჯვის ჩატარება ყოველი თვის ერთსა და იმავე დღეს არის რეკომენდებული.

**როგორ უნდა ჩატარდეს თვითგასინჯვა?**

— დაწექით საწოლზე, მარჯვენა ბეჭქვეშ ბალიში, ხოლო მარჯვენა ხელის მტევანი თავქვეშ ამოიდეთ.

— მარცხენა ხელის შუა სამი თითის ბალიშით დაიწყეთ მარჯვენა სარძევე ჯირკვლის გასინჯვა — მასში კვანძის ან გამკვრივების აღმოსაჩენად.

— თითების ბალიშებით მკერდს ძლიერად უნდა დააწვეთ, რათა მისი კონსისტენცია კარგად შეიგრძნოთ.

— მკერდი თითების მოძრაობით თანმიმდევრულად უნდა გაისინჯოს:

1) წრიული მიმართულებით;
2) სიგრძივი მიმართულებით;
3) რადიალური მიმართულებით;

სარძევე ჯირკვლის გასინჯვისას შეეცადეთ მთლიანად მოიცვათ იგი და დაიმახსოვროთ, თუ როგორ შეიგრძნობა თქვენი მკერდი ნორმალურ მდგომარეობაში.

— შემდგომში იმავე წესით მარჯვენა ხელით მარცხენა ჯირკვალი გაისინჯეთ.

— სარძევე ჯირკვლების თვითგასინჯვის ჩატარება შხაპის მიღების დროსაც შეგიძლიათ. ამ დროს ის, ვერტიკალურ მდგომარეობაში, საპნიანი თითებით ისინჯება.

— დამატებითი უსაფრთხოებისათვის ჯირკვლები სარკის წინ დაათვალიერეთ: ხომ არ აღინიშნება დვრილის ან კანის რაიმე ვიზუალური ცვლილება. ასეთ შემთხვევაში დაუყოვნებლივ უნდა მიმართოთ ექიმს.

**გახსოვდეთ:**

— სიმსივნურ წარმონაქმნთა უმრავლესობის აღმოჩენა თვითგასინჯვით ხდება;

— გამოვლენილ სიმსივნურ კვანძთა უმრავლესობა არ არის კიბო და მათი მკურნალობით, შესაძლებელია კიბოს თავიდან აცილება;

— სარძევე ჯირკვლების რეგულარული თვითგასინჯვით თქვენ შეგიძლიათ თქვენი მკერდი და სიცოცხლე გადაარჩინოთ.

***მაია მუხიგული***

# დიეტა ქვების წარმოქმნის დროს

კენჭებისა და ქვების წარმოქმნა ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული უროლოგიური დაავადებაა. მას იწვევს მარილოვანი ცვლის დარღვევა, აგრეთვე მემკვიდრეობითი ფაქტორები, შარდის გამოყოფის არასტაბილური პროცესში. პირველის კორექცია მიიღწევა რაციონალური დიეტის საშუალებით, რომელიც დამოკიდებულია საკვების ქიმიურ შემადგენლობაზე. იგი დგინდება შარდის ანალიზით. ქვების წარმოქმნისას აუცილებელია თავი შევიკავოთ იმ პროდუქტების მიღებისგან, რომელიც შარდმჟავას წარმოქმნას უწყობს ხელს. ეს გახლავთ სუბპროდუქტები — ტვინი, ღვიძლი, თირკმლები, წიწილის ხორცი, ხორცისა და თევზის კონსერვები, ხორცის, თევზის და სოკოს ბულიონები, ცხოველური ცხიმი. უნდა მოვერიდოთ ყვავილოვან კომბოსტოს, ლელვს, შოკოლადს, კაკაოს, ყავას, მაგარ ჩაის. ორგანიზმში მარილების წარმოქმნას ხელს უშლის ციტრუსები, ამიტომ რეკომენდებულია ყოველდღიურ რაციონში ციტრუსების შეტანა. ერთი სიტყვით, დიეტის დროს თავი უნდა შევიკავოთ კალციუმის შემცველი პროდუქტებისაგან. რძის ნაწარმს ამჯობინეთ თევზხორცეული, ბოსტნეულიდან — გოგრა, ბრიუსელის კომბოსტო შესანიშნავია ქვების დასაშლელად. ხილიდან — მჟავე ვაშლს მიეტანეთ.

***პოსლედნიე ნოვოსტი №43***

# გოგონა თუ ბიჭი?



ნოთინგემის (ინგლისი) უნივერსიტეტში ჩატარებული გამოკვლევებით მიღებულმა შედეგმა აჩვენა, რომ ქალებს, რომლებიც ნაკლებად მიირთმევენ ხორციან საჭმელებს, ხშირად გოგონები უჩნდებათ და პირიქით, ვინც ხორცს და ცხიმიან კერძებს, კარგად შეზავებულ სალათებს, ძეხვს და შემწვარ-მოხრაკულს ეტანება ბიჭი უჩნდებათ.

ასე რომ პირველად იქნა დადგენილი: მამაკაცის y ქრომოსომასთან ერთად ნაყოფის სქესს განაპირობებს დედის კვების ხასიათიც.

ექსპერიმენტში მონაწილეობა მიიღო 6 ათასმა ქალმა, რომელთაგან 5% ვეგეტარიანელი იყო.

***ლიზა №44***

# შემოდგომის ნიღაბი

შემოდგომა ყველაზე საუკეთესო დროა ხილისაგან კანის დამატენიანებელი ნიღბების მოსამზადებლად.

გთავაზობთ რეცეპტს:

1-2ს/კ ნესვის რბილობი დაჭყლიტეთ და შეურიეთ 1ჩ/კ ქლიავი ან იოგურტი, დაუმატეთ კარგად ათქვეფილი კვერცხის ცილა, წაისვით სახესა და ყელზე. 10 წუთის შემდეგ ჩამოიბანეთ თბილი წყლით.

***ოტდოხნი №38***


MEDI



**მედი**

**ლაზერული ეპილაცია**

- სხეულის ნებისმიერ მონაკვეთზე
- ჩხვლეტის გარეშე
- უმტკივნეულოდ
- სწრაფად
- გარანტირებული ეფექტით

**ამიერკავკასიაში ერთადერთი**

**ალექსანდრიტის ლაზერის უახლესი სისტემის აპარატით**

ი.ჭავჭავაძის გამზ. N70 25-02-02 22-50-43

## „კვირის პალიტრის“ რედაქტორს

*„რვა წელია, საქართველოს მიწაზე ფეხი არ დამიდგამს. მაშინ გავხდი ბოგანო, როცა თქვენი უნიათობით 300 ათას კაცს დაუქციეთ ოჯახი. დამღალა და დამამცირა კარდაკარ სიარულმა, მათხოვრობამ. აქედან გაცლა ვარჩიე. გავყიდე ყველაფერი, რისი წამოღებაც მოვახერხე სოხუმიდან, ახლობლებმაც შემიგროვეს მცირეოდენი თანხა და ობლად დარჩენილ შვილიშვილთან ერთად ჰოლანდიაში წავედი... ახლა ამ ქვეყნის მოქალაქე ვარ, მაგრამ თავი ღამურა მგონია — აღარც ქართველი მქვია, მით უმეტეს, არც ჰოლანდიელი. ფიზიკურად კი გადავრჩით, მაგრამ ვაი, ამ გადარჩენას! ბავშვს სამშობლოც დავუკარგე, მშობლიური ენაც. ძილშიც არ მასვენებს კითხვა, რომელსაც თითქმის ყოველდღე მისვამს ჩემი 12 წლის გოგონა: — „ბებო, ვარუმ ლებენ ვირ ჰიერ, სადაა ჩვენი ჰაიმატი?“ — რატომ ვცხოვრობთ ჰოლანდიაში, სად არის ჩვენი სამშობლოო. რა ვუპასუხო, გაგიყიდეს სამშობლო და იმიტომ-მეთქი?*

*ამდენმა ტანჯვამ ჯანმრთელობა შემირყია. ვიფიქრე, ისე არ მოვკვდე, შვილიშვილს კიდევ ერთხელ მაინც არ ვაჩვენო საქართველო-მეთქი. წამოვიყვანე. თბილისის აეროპორტის საბაჟოზე როგორ შეგვხვდნენ, ეგ სხვა თემაა. ნათესავებს ცოტა საჩუქრები ჩამოვუტანე. თითო ჩანთაზე 5-5 დოლარი უნდა გადაიხადოო. პირდაპირ ჯიბეში გიძვრებიან...*

*ჩემი გულისტკივილი სულ სხვაა. ტელევიზიით მოვისმინე, თურქი მესხების ჩამოსახლებას აპირებს თურმე მთავრობა. ბარაქალა, თქვენს გულჩვილობას! აფხაზეთსა და სამაჩაბლოს მიწას ჯერ არ შეშრობია სისხლი და ცრემლი. ჩემსავით ათასობით ადამიანი გყავთ უცხოეთში ლუკმაპურის საშოვნელად გაგდებული, რა გააკეთეთ იმისთვის, რომ ეს ხალხი სამშობლოში დაბრუნდეს? ექვს წელიწადში, საუბედუროდ, ჩემს შვილიშვილს ქართული ენა დაავიწყდა, ათეული წლების წინ გადასახლებულთა შთამომავლობას რაღა ეცოდინება, ან არიან კი ისინი ქართველები?ხვალ ისევ ჰოლანდიაში ვბრუნდებით. დრო მოვა და ჩემისთანა ადამიანების ცოდვა მოეკითხება იმათ, ვინც სამშობლო დაგვაკარგვინა. „მონანიების“ ვარლამივით არ ეღირსებათ გულზე მიწის მიყრა და ეს იქნება მათი სასჯელი.*

*ეს ერთიც კმარა, სხვა ცოდვებით მაინც ნუღარ დაიმძიმებენ სულს!“*

***ნაილი სახოკია, პედაგოგი***

# შორი აღარ არის გურჯისტანამდე...

ღვთით ნაბოძები გეოგრაფიული მდებარეობა ისტორიამ სასჯელად უქცია საქართველოს. ევროპა-აზიის გასაყარზე ევროპულ-აზიურ ინტერესთა ჭიდილში მოსრესილი ვერა და ვერ ეღირსა თავისი თავი თავადვე „ყუდნებოდა“, რადგან საუკუნეებმა ვერ დააოკეს მის მოსურნეთა სიხარბე. მოდიოდნენ, არბევდნენ, ძღებოდნენ სისხლით. მერე ტოვებდნენ თავიანთ ნახევარმთვარესავით წელში მოხრილსა და მილეულს. აცლიდნენ შევსებას... მაინც ვერ მოახერხეს, პირისაგან მიწისა აღეგავათ ქართველობა. დროს უნდა შეემოკლებინა მანძილი გურჯისტანამდე. დროს, რომელიც მოყვრულად მოიყვანდა მტერს, ან სულაც — მოყვარეს აქცევდა მტრად. შედეგი: წაგლეჯილი სამაჩაბლო, აფხაზეთი.

თურქი მესხების ჩამოსახლების გააქტიურებულმა თემამ არჩევანის წინაშე დაგვაყენა: ან მივიღებთ საქართველოში თურქ მესხებს, ანუ შევასრულებთ ევროსაბჭოს წინაშე ნაკისრ ვალდებულებებს, ან გაგვრიცხავენ ევროკავშირიდან. ბუნებრივია, პრობლემური საკითხი საზოგადოების ყურადღების ცენტრში მოექცა. ბევრმა მისი მეშვეობით პოლიტიკური ქულების დაგროვება სცადა. საფრთხე რეალურია, მისი შერბილება და შელამაზება კარგს არაფერს მოგვიტანს. ასეთი მკვეთრი განცხადების გაკეთების საფუძველს მაძლევს ფრიად მნიშვნელოვანი დოკუმენტური მასალა, რომელიც პრესაში გამოქვეყნების უფლებით გადმომცა საქართველოს პარლამენტის მიგრაციისა და უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეთა საქმეების კომიტეტის თავმჯდომარემ ბატონმა **გურამ შარაძემ**.

ერთ-ერთი დოკუმენტი გახლავთ თურქ მესხთა საერთაშორისო საზოგადოება „ვათან“-ის (12) ყრილობის რეზოლუცია, დათარიღებული 1997 წლის 12 მარტით. დოკუმენტზე მინიშნებულია მისამართი: 107370, მოსკოვი, როკოსოვსკის ბულვარი, 7/4. მას ერთვის იმავე წლის 12-14 მარტით დათარიღებული მიმართვა საქართველოს პრეზიდენტისადმი, პარლამენტისადმი.

მეორე დოკუმენტი დათარიღებული გახლავთ 1999 წლის 22 მაისით და შედგენილია ახისხინელი (ახალციხელი) თურქების საერთაშორისო ფედერაციის მიერ. დოკუმენტზე მინიშნებულია მისამართი: 720002, ქ. ბიშკეკი, პუშკინის ქუჩა №76. ორივე დოკუმენტი რეგისტრირებულია საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის სამდივნოში, რაც კატეგორიულად უარყოფს გურამ შარაძის ოპონენტთა მოსაზრებას მათი სიყალბის თაობაზე. ამას მოწმობს რეზოლუციაც: „ბატონებს — შენგელაიას, შარაძეს, კოკოევს, სააკაშვილს, ადამიას. გთხოვთ, ჩამოვაყალიბოთ საბოლოო პოზიცია და მოვითათბიროთ. ზურაბ ჟვანია“.

**გურამ შარაძე:** საქმე ის გახლავთ, რომ საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს სისტემაში შემავალმა რეპატრიაციის სამსახურმა, რომლის უფროსიც გურამ მამულიაა, სამინისტროს ნებართვის, ვიზირებისა და იუსტიციის სამინისტროს სათანადო ვიზირების გარეშე, პროცედურის ყოველგვარი დარღვევით საპრეზიდენტო ინიციატივისათვის სახელმწიფო კანცელარიაში შეიტანა კანონპროექტი „დეპორტირებული მესხეთელი მოსახლეობის რეაბილიტაციის, პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარების, რეპრესირებულთა რეპატრიაციისა და სოციალური დაცვის შესახებ“. კანონ-პროექტის განხილვა დანიშნული გახლდათ 13 ოქტომბერს. წინა დღეს, 12 ოქტომბერს მოვიწვიე პრესკონფერენცია და განვაცხადე, რომ ეს იყო გურამ მამულიას მიერ საქართველოსათვის ზურგში მახვილის ჩაცემა. ახალ კანონპროექტში არ არის მითითებული, თუ რამდენი თურქი მესხის ჩამოსახლებას აპირებს გურამ მამულია. ჩემი მონაცემებით, მათი რიცხვი 300 ათასიდან 400 ათასამდე მერყეობს. თავად თურქი მესხების თქმით, ისინი მილიონამდე არიან.

1944 წელს სამშობლოს ღალატის ბრალდებით, საბჭოთა კავშირის მთავრობამ მესხეთიდან შუა აზიაში გადაასახლა 80.000 თურქი მესხი. მას შემდეგ 56 წელი გავიდა. საქართველოში დაბრუნებას მოითხოვენ მათი შთამომავლები, რომლებმაც არაფერი იციან ჩვენი ქვეყნის შესახებ. ყველას უპირობოდ, ერთი ხელის მოსმით ჩამოსახლება დაღუპავს საქართველოს.

მამულიას მოსაზრებით, უახლოეს ორ წელიწადში ორი ათასზე მეტი თურქი მესხი არ დაბრუნდება საქართველოში, რადგან ჩვენთან საამისო პირობები არ არის. ახლა ვნახოთ ახისხინელი (გულისხმობენ ახალციხეს) თურქების საერთაშორისო ფედერაციის განცხადება (ყურადღება მიაქციეთ, აქ საერთოდ არ არის ნახსენები სიტყვა მესხი, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ისინი თურქებად მიიჩნევენ თავს!). ***„გვინდა შეგახსენოთ, რომ ე. წ. „დემოკრატიული“ საქართველოს რესპუბლიკის მიერ მიღებულ კანონებში აბსოლუტურად არ არის გათვალისწინებული თურქების უფლებები“.*** უფრო ქვემოთ კი ვკითხულობთ: ***„ჩვენი წინაპრების სამემკვიდრეო მიწების პრივატიზება არ ხდება ჩვენ მიერ. მის პრივატიზაციას ახდენენ უცხო, მოსული ხალხი — ქართველები და სომხები, რაც მემკვიდრეობის უფლების შესახებ საერთაშორისო კანონის უხეში დარღვევაა. მილიონამდე ჩვენი ხალხი აქამდე არ არის რეაბილიტირებული საქართველოს მთავრობის მიერ. დღემდე არ მიუღია მას ისტორიულ სამშობლოში დაბრუნების არც უფლება, არც გაძევებით მიყენებული ზარალის კომპენსაცია. საქართველოს ოფიციალურმა პირებმა საბჭოთა კავშირის დაშლამდე გააკეთეს განცხადება და ახლაც აცხადებენ, რომ მათ სჭირდებათ არა თურქები, არამედ ქრისტიანი ქართველები. საქართველოს ხელმძღვანელობა აშკარად უკუთებდა და უკუთებს იგნორირებას 55 წლის მანძილზე მესხეთ-ჯავახეთის მკვიდრი მოსახლეობის, თურქების უფლებებს“.***

*„მოვითხოვთ, განისაზღვროს ჩვენი მრავალტანჯული ხალხის იურიდიული სტატუსი თურქეთის რესპუბლიკის შემადგენლობაში, როგორც ეს იყო ახალციხის საფაშოს არსებობის დროს. ჩვენ აგრეთვე მოვითხოვთ, ახალციხელ თურქებს მიენიჭოთ თურქეთის მოქალაქეობა, რადგან 1828 წლამდე ეს მხარე იყო თურქული, მისი ხალხი კი – თურქეთის იმპერიის მოქალაქეები. ახალციხის თურქებს, _ ჩვენი წინაპრების შთამომავლებს, კანონით უნდა აღუდგეთ თურქეთის მოქალაქეობა“.*

*ახალციხის საფაშოს თურქების (თურქი მესხების) მეორე რიგგარეშე ყრილობის განცხადებიდან. ბიშკეკი, 1997 წლის 12 მარტი*

**— ამ დოკუმენტის მიხედვით თურქები პოლიტიკურ, სოციალურ, მორალურ კომპენსაციებთან ერთად მატერიალური ზარალის ანაზღაურებასაც ითხოვენ. რეპატრიაციის სამსახური აცხადებს, ვინც დაბრუნდება, ის საქართველოს ხარჯზე არ დაბრუნდება, საერთაშორისო ორგანიზაციები და თვით ევროსაბჭო, საქართველოსაგან არაფერს ითხოვენ. ისინი დააფინანსებენ არა მხოლოდ დეპორტირებულ მესხებს, არამედ იმ რეგიონსაც, სადაც ისინი დასახლდებიან. აქ არ არის ლაპარაკი კომპაქტურ დასახლებაზეო. კანონპროექტში კი საპირისპირო აზრს ვხვდებით.**

— გურამ მამულია ცრუობს, როცა აცხადებს, რომ თურქი მესხის ცნება არ არსებობს, დეპორტირებულნი მესხები არიანო. დოკუმენტებიდანაც ხომ ჩანს, რომ ისინი მესხები კი არა, თურქები არიან. თურქი მესხები ოღონდ საქართველოში დაბრუნდნენ და, მათთვის მნიშვნელობა არა აქვს, სად დავასახლებთო. მივყვეთ ისევ დოკუმენტებს: ე.წ. თურქი მესხები შეშფოთებას გამოთქვამენ იმის გამო, რომ შესაძლო რეპატრიაციის შემდეგ მათ საქართველოს სხვადასხვა რაიონში დაასახლებენ. ისინი დაბეჯითებით მოითხოვენ „მამაპაპეულ“ მესხეთ-ჯავახეთის მიწაზე დასახლებას. მათი თქმით: ***„თურქ მესხებს (ყოფილი ახალციხის საფაშოს თურქები) თავიანთ ისტორიულ სამშობლოში საუკუნეების მანძილზე ჰქონდათ ეროვნული სახელმწიფოებრივი ერთეული — ახალციხის საფაშო, რომელიც 1828-29 წლებში ქართველი ნაციონალისტების დახმარებით დაანგრია რუსეთის იმპერიამ“.*** ამ ხალხის რეალური მიზანი ახალციხის საფაშოს აღდგენაა. თუ რისთვის სჭირდებათ მათ „ისტორიული სამართლიანობა“, მათივე განცხადებაში ჩანს: ***„მოვითხოვთ, განისაზღვროს ჩვენი მრავალტანჯული ხალხის იურიდიული სტატუსი თურქეთის რესპუბლიკის შემადგენლობაში, როგორც ეს იყო ახალციხის საფაშოს არსებობის დროს. ჩვენ აგრეთვე მოვითხოვთ, ახალციხელ თურქებს მიენიჭოთ თურქეთის მოქალაქეობა, რადგან 1828 წლამდე ეს მხარე იყო თურქული, მისი ხალხი კი — თურქეთის იმპერიის მოქალაქეები. ახალციხის თურქებს, — ჩვენი წინაპრების შთამომავლებს, კანონით უნდა აღუდგეთ თურქეთის მოქალაქეობა“.*** ხალხო, შავით თეთრზე წერია, რა უნდათ ე.წ. თურქ მესხებს, გურამ მამულია კი ცდილობს, გული აგვიჩუყოს, თითქოს მათ საქართველოზე მზე და მთვარე ამოსდით. საქმე ის გახლავთ, რომ მამულიას აქვს დავალება. თუ არ შეასრულებს ამ დავალებას, შავ დღეში ჩააგდებენ.



**— ვის დავალებაზეა საუბარი?**

— ეს არის უცხოეთის დაკვეთა. საქართველოს დაღუპვას ქართველებისავე ხელით ცდილობენ. მტრებს კარგად აქვთ გათვლილი ზოგიერთი ჩვენი თანამემამულის პოლიტიკური უმწიფრობა და სიბეცე. ევროსაბჭოს წინაშე დადებული პირობების რეალიზაციის ბოლო ვადაა 2000-2001 წლების მიჯნა. ამიტომაც დაფაცურდა რეპატრიაციის სამსახურის უფროსი. მას ეშინია უცხოელების, საკუთარი ერისა კი — არა. პირიქით კი უნდა იყოს.

ევროსაბჭოს წარმომადგენლებთან ერთად ახალციხეში ჩასული გურამ მამულია უკვე მიწებსაც კი ათვალიერებდა ე.წ. თურქი მესხებისათვის. მის წინაალმდეგ უზარმაზარი აქცია მოეწყო, რომელსაც მხარი დაუჭირა მესხეთ-ჯავახეთის გუბერნატორმა, პრეზიდენტის რწმუნებულმა გიგლა ბარამიძემ. მამულიას მესხეთიდან კუდით ქვა ასროლინეს და იქ ვერასოდეს ჩაადგამს ფეხს. თუ ამ კაცის მიერ მომზადებული კანონპროექტი საპრეზიდენტო ინიციატივით შემოვა პარლამენტში და ღმერთმა ნუ ქნას, ამავე სახით მიიღება, ახალი უბედურება დაგვატყდება თავს.

**— კანონის მიუღებლობა და, აქედან გამომდინარე, ევროსაბჭოს წინაშე აღებული ვალდებულებების შეუსრულებლობა სხვა სასჯელს მოგვიმზადებს. თუმცა, ევროსაბჭოში საქართველოს წარმომადგენელი ლანა ღოღობერიძე გვამშვიდებს, ევროსაბჭოდან გარიცხვას არავინ გვიპირებსო.**

— ვინ მისცა უფლება ან გურამ მამულიას, ან ლანა ღოღობერიძეს ქართველი ერის სახელით ლაპარაკისა! ლანა ღოღობერიძესა და მის ევროსაბჭოს თუ ასე ეწვით გული 56 წლის წინ დატრიალებულ ტრაგედიაზე, და საერთოდ, უსამართლობაზე, რატომ არ ახსენდებათ სამაჩაბლო და აფხაზეთი. კარგი, აეღოთ ვალდებულება, ოღონდ სრულიად საქართველოსთან შეთანხმებით. თანაც ხომ შეიძლებოდა საკითხის სხვანაირად დაყენება — ჩვენ ვიზრუნებთ თურქი მესხების დაბრუნებაზე, თქვენ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაში დაგვეხმარეთ, რომ აფხაზეთიდან დევნილებსაც და რეპატრიირებულ ადამიანებსაც ნორმალური ცხოვრების პირობები შევუქმნათო. ეს ორი საკითხი პარალელურად უნდა განხილულიყო. არც ახლაა გვიან. ევროსაბჭო აფხაზეთისა და სამაჩაბლოს პრობლემების წინა პლანზე წამოწევით უნდა შევაჩეროთ. ევროსაბჭო დაგვეხმაროს დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებაში, მხოლოდ ამის შემდეგ ვისაუბროთ ე.წ. თურქ მესხებზე.

**— თქვენს ასეთ კატეგორიულ ტონს საზოგადოების ერთი ნაწილი პოპულისტობად მიიჩნევს, დემაგოგობასაც გაბრალებენ.**

— დემაგოგია ის, ვინც საქართველოს მოტყუებას ცდილობს. დემაგოგია ის, ვისაც ქვეყანაში 300.000-ზე მეტი ლტოლვილი ჰყავს და იმ ხალხის ჩამოსახლებაზე ზრუნავს, ვინც ერთი ამდენს კიდევ გამოგვიყრის ახლა მესხეთ-ჯავახეთიდან. ახალციხელი თურქების ასოციაციის თავმჯდომარე მაკსუდ იზატოვი თურქი მესხების მიმართ გენოციდის დაწყებას ილია ჭავჭავაძეს აბრალებს. თურქი მესხები წმინდანსაც არ გვისვენებენ საფლავში და, ცოცხლებს რაღა ხეირს დაგვაყრიან?! ჩემი მკვეთრი გამოსვლები სულაც არ ნიშნავს იმას, რომ არაჰუმანური და არადემოკრატიული ბუნების ადამიანი ვარ. როგორც ფილოლოგმა და როგორც ჰუმანიტარმა, მთელი ჩემი შეგნებული ცხოვრება სამშობლოს, ქართველი ერის სიყვარულს მივუძღვენი. ჩემთვის არც სხვა ეროვნების ტკივილია ძნელი გასაგები. არც იმისაკენ მივისწრაფვი, რომ საქართველო სისხლისმსმელად, სტალინისა და ბერიას რეჟიმის გამგრძელებლად დავსახო. ჩვენ შემოვიღეთ იმიგრაციული კვოტა, რაც უცხოეთში მცხოვრებ 150-200 ადამიანს აძლევს საქართველოში დაბრუნების უფლებას. ამ კვოტით უკვე 1.000-მდე ადამიანმა ისარგებლა. მინდა გითხრათ, რომ არც ერთ ე.წ. თურქ მესხს არ მოუმართავს განცხადებით. თუ მათ საქართველო უყვართ და მართლაც სამშობლო მიწის ძახილი არ ასვენებთ, მსოფლიოო კი არ უნდაააწრიალონ, გააკეთონ განცხადება, დავეხმარებით ზემოხსენებული კვოტის ფარგლებში. ჩვენ მივცემთ საადაპტაციო ვადას ისე, როგორც ხდება ევროპაში, ამერიკაში და თავად აზიაში. ამ ხნის განმავლობაში რეპატრიაციის მსურველებმა უნდა ისწავლონ სახელმწიფო ენა, ქვეყნის ისტორია, კულტურა, უნდა ჩამოყალიბდნენ ენობრივადაც, შეგნებითაც. მხოლოდ ამის შემდეგ უნდა მიეცეთ მათ მოქალაქეობის უფლება. მაგრამ მამულიას პროტეჟეებს არ აწყობთ ასე სათითაოდ დაბრუნება, არც საქართველოს სხვადასხვა კუთხეში დასახლება ნებავთ. ისინი გვაძალებენ, ყველანი ერთად დავაბრუნოთ და კომპაქტურად დავასახლოთ მესხეთში. მთავარი მაინც ის გახლავთ, რომ ე.წ. თურქი მესხები მოდიან არა საქართველოს მესხეთში, არამედ ახალციხის საფაშოში. ისინი ბრუნდებიან „ისტორიული სამართლიანობის აღსადგენად“ — ახალციხე უნდა შეუერთდეს თურქეთს, მისი მცხოვრებნი კი თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქეები გახდნენ.

ნუ ეცდებიან ნურც მამულიები, ნურც ღოღობერიძეები და ნურც მათი მხარდამჭერნი ათაბაგობასა და ჯაყელობას, რომელთა ხელშეწყობითაც დავკარგეთ ბაგრატიონთა სამშობლო — ტაო-კლარჯეთი. ისტორიულმა სინამდვილემ იცის, რომ მცირე აზიაში თურქეთის სახელმწიფო, როგორც ასეთი, არ არსებობდა. იგი შეიქმნა საბერძნეთის, საქართველოსა და სომხეთის ტერიტორიების მიტაცების ხარჯზე. „მეზობლებმა“ ჩამოყალიბებული საზღვრების პირობებშიც კი, ვერ დაიოკეს მადა.

ჩვენ შეცდომის დაშვების უფლება უბრალოდ აღარ გვაქვს!

***მანანა კენჭიაშვილი***


## ხვრინვა საშიშია ჯანმრთელობისთვის!




### გუდ ნაით სთოფ სნორი – GOOD NIGHT STOP SNORE

გაღვიძებისთანავე ხშირად ვგრძნობთ ყელის სიმშრალეს, უხასიათობას, შეშუპებას, დაღლილობას, შრომის უნარის დაქვეითებას და აზრადაც არ მოგვდის, რომ შეიძლება ამის მიზეზი ვითომდა „უწყინარი“ ხვრინვა იყოს. თანამედროვე მედიცინის ექსპერტების სერიოზული კვლევების საფუძველზე დამტკიცდა, რომ ხვრინვა, რომელიც წარმოქმნის ჟანგბადის უკმარისობას, ჯანმრთელობისთვის ფრიად საშიში პრობლემაა, რაც უსათუოდ იწვევს საკმაოდ სერიოზულ დაავადებებს. ხვრინვასთან დაკავშირებულ პრობლემებს თქვენ წარმატებით მოგიხსნით მსოფლიოში ცნობილი შვეიცარიულ-ინგლისური კომპანია „სვისჰელსის“ მიერ შექმნილი, თავისი ეფექტურობით საკმაოდ პოპულარული ხვრინვის საწინააღმდეგო საშუალება „გუდნაით სთოფსნორი“, რომელიც წარმოადგენს აბსულუტურად ნატურალური, უნიკალური ეთერზეთების კომბინაციას, რომლის რამდენიმე თქვენთვის ნაცნობი კომპონენტი ცალ-ცალკე ტრადიციულად გამოიყენება როგორც ანტისეპტიკური საშუალება ცხვირ-ხახის არეში სხვადასხვა დაავადების დასაამებლად.

გამოივლეთ „გუდ ნაით სთოფ სნორის“ ორი-სამი წვეთის ხსნარი რეგულარულად, ძილის წინ და თქვენ გარანტირებული გექნებათ ჯანსაღი ძილი ხვრინვის გარეშე!

**მოიკითხეთ სააფთიაქო ბაზებსა და აფთიაქებში.**




„სვისჰელსის“ ექსკლუზიური დისტრიბუტორი კომპანია „ფლორეტი“

ტ: 99-87-37

## ჰიმალაის ცოცხალი — — და მკვდარი წყლები



ორი თვე გაატარა ჰიმალაიში ექსპედიციამ, რომელიც გაზეთმა — „არგუმენტი ი ფაკტი“, თვალისა და პლასტიკური ქირურგიის რუსეთის ცენტრმა და სააქციო საზოგადოებამ — „ოილთრეიდმარკეტი“ მოაწყო.

ექსპედიციის მუშაობას სენსაციური აღმოჩენა მოჰყვა: როგორც გაირკვა, ლეგენდარული „ცოცხალი“ და „მკვდარი“ ზღვა მართლაც არსებობს და მას უამრავი დაავადების განკურნება შეუძლია, თვით კიბოსიც კი. მეცნიერთა დასკვნით, კიბოთი დაავადებული უჯრედების გარშემო გროვდება წყალი, რომელიც მათში „სიკვდილის გენს“ აამოქმედებს, უფრო სწორად, სპობს უჯრედებს. ჯანსაღ უჯრედებს გარს ერტყმის წყალი, რომელიც ააქტიურებს „სიცოცხლის გენს“ და ხელს უწყობს მათ ნორმალურ ფუნქციონირებას. ადამიანი ავად ხდება, როცა ეს მექანიზმი ირღვევა.

ერთ-ერთმა ადრინდელმა ექსპედიციამ ჰიმალაიში აღმოაჩინა ფენომენი სომატი — იოგების თვითკონსერვაციის უნარი (ღრმა ძილში ჩაძირვა) და სიცოცხლისკენ დიდი ხნის შემდეგ შემობრუნება. ექსპედიციის ერთ-ერთი წევრის აზრით, სომატის მექანიზმი დაფუძნებულია წყლის გადასვლაზე მეცნიერებისათვის ჯერაც უცნობ მეოთხე განზომილებაში და რომ ასეთ მდგომარეობაში მყოფი იოგას ორგანიზმში ინტენსიურად გამომუშავდება მკვდარი წყალი, რომელიც ცუდ უჯრედებს სპობს. იოგები სომატის მდგომარეობაში იოლად შესასვლელად მთებში მიდიან, სადაც გასაიდუმლოებული ტბებია და იქაურ წყალს სვამენ. სომატის მდგომარეობიდან გამოსასვლელად წყალს იმავე ტბებიდან იღებენ. მეცნიერებმა შეისწავლეს აურა იოგებისა, რომელთა ასაკი 63-დან 83 წლამდე იყო. აურის ნათების ინტენსივობა მათ გაცილებით ძლიერი ჰქონდათ, ვიდრე ახალგაზრდა და ჯანსაღ პირებს.

ექსპედიციის წევრებმა 5.000 მ სიმაღლეზე იპოვეს მკვდარი წყლის ტბა, ამ ტბიდან წყლის აღება მხოლოდ იოგებსა და ე.წ. „განდობილ“ პირებს შეუძლიათ, ამიტომაც მასთან მისასვლელს მეომარი სიქჰები იცავენ. ექსპედიციის წევრებს გაუმართლათ — ზამთარი იყო, ამიტომაც მათ შეძლეს სხვადასხვა სიღრმიდან წყლის სინჯების აღება.

მაღალი რანგის იოგები მკვდარ წყალს სვამენ. ადგილობრივი მოსახლეობა კი ცოცხალ წყალს ხმარობს — იგი დიდხანს არ ფუჭდება. იქაურ ექიმს მიაჩნია, რომ ცოცხალი წყალი ორგანიზმში ჯანსაღ უჯრედებს ააქტიურებს, ისინი კი თავის მხრივ, თრგუნავენ ავადმყოფ უჯრედებს. ოცი წლის მანძილზე იქაურ მოსახლეობაში კიბოთი დაავადების მხოლოდ ერთი შემთხვევა იყო.

***კალეიდოსკოპი №41***

## მიხანი დაფნა



ერთხელ, ნორჩ დაფნას თვალი მოჰკრა ღმერთმა აპოლონმა. მშვენიერ ოლიმპოელს თავდავიწყებით შეუყვარდა ნიმფა. შეეცადა, ხელში ჩაეგდო და დაედევნა.

ნიმფას თავზარი დასცა ღმერთის სიყვარულმა და გაექცა. ფრთებგამოსხმულივით მიქროდა დაფნა, გრიგალივით მისდევდა აპოლონი.

ის-ის იყო, ხელი უნდა ეტაცა, რომ სასოწარკვეთილმა ნიმფამ ზევსს შესთხოვა, — მიხსენი აპოლონისგანო. დიდმა ოლიმპოს მბრძანებელმა ისმინა ნიმფას ვედრება და მშვენიერ ხედ აქცია იგი. დამწუხრებულმა აპოლონმა ბევრი ცრემლი დაღვარა დაფნას ფერხთით, მაგრამ რახან სიცოცხლე ვერ დაუბრუნა სატრფოს, ნიშნად მარადიული სიყვარულისა და ხსოვნისა, მისი ტოტებით გვირგვინი გაიკეთა. მას შემდეგ მწუხარედ აჟღერებდა კითარას დაფნისგვირგვინოსანი აპოლონი და ზედ სევდიანად ამღერებდა ნიმფას დაკარგული სიყვარულის ამბავს...

იმ დღიდან იქცა დაფნა სათაყვანებელ ხედ. მისი მარადმწვანე რტოებით უმკობდნენ თავს ოლიმპიადებსა და შეჯიბრებებში გამარჯვებულებს...

აი, ასეთი ლამაზი, მაგრამ სევდიანი ლეგენდა შემოგვინახეს უძველესმა მითებმა.

დაფნის ხე სუბტროპიკულ ზონაშია გავრცელებული. მის გარეშე თითქმის წარმოუდგენელია კერძების დამზადება, თანაც ეს საოცარი მცენარე სამკურნალო თვისებებითაც გამოირჩევა. მაგრამ ცოტამ თუ იცის, რომ დაფნას მაგიური ძალაც გააჩნია.

თითქმის ყველა ოჯახში ინახება დაფნა, რომელსაც გარკვეული დროის შემდეგ ყრიან ხოლმე. ეს კი დაუშვებელია, რადგან იგი რამდენიმე წლის მანძილზეც კი ინარჩუნებს მაგიურ თვისებებს და დაგიცავთ ყოველგვარი საფრთხისგან.

დაწვით დაფნის ტოტი. მშვიდად დადექით ცეცხლის წინ და უყურეთ, როგორ იწვის მცენარე:

— თუ ალი თანაბრად მოედო ტოტს, წარმატება გელით.

— თუ ნაპერწკლები სცვივა და ტოტი ცეცხლში ტკაცუნებს, ეს ნიშნავს, რომ თქვენს არსებაში ნეგატიური ენერგია დაგროვდა. ახლოს მიუჯექით ცეცხლს. იგი განგწმენდთ და წონასწორობასაც აღგიდგენთ. ნაპერწკლები კი გაუწყებთ, რომ არ უნდა იჩქაროთ ახალი საქმის წამოწყება.

— დაფნა თუ უალოდ იწვის, ფრთხილად იყავით, უსიამოვნებას არ გადაეყაროთ.

— კვამლი თუ ზევით მიიწევს, დაიწყეთ ჩანაფიქრის განხორციელება.

— თუ კვამლმა ძირს დაიწია, ახლობლებთან უსიამოვნებას ელოდეთ. ამიტომ თავის დასაცავად ისევ დაფნას მიმართეთ: ჩანთაში, საფულეში ან ჯიბეში მუდამ გქონდეთ საშუალო ზომის ფოთოლი. ოღონდ გახსოვდეთ: ფოთოლი არ უნდა დაიმტვრეს!

***ტაინაია ვლასტ №21***

## ასე აქარწყლებდნენ ჯადოს...

1309 წლიდან 1522 წლამდე, ორი საუკუნის მანძილზე, ბერძნულ კუნძულ როდოსზე წმინდა იოანეს რაინდთა ორდენი ბატონობდა. მუსლიმანებთან ომით გართული იოანიტები არ ავიწროებდნენ ბერძნებს, ნებას აძლევდნენ, შეენარჩუნებინათ წეს-ჩვეულებები, რომლებშიც ბევრი წარმართული ელემენტი იყო. იმ ადათ-წესების გამოძახილს ახლაც შეხვდებით კუნძულ როდოსზე.

როდოსის მთავარი ქალაქის ცენტრში დღესაც დგას უზარმაზარი ქვის გალავნით შემოზღუდული ციხესიმაგრე, სადაც ოდესღაც რაინდები ცხოვრობდნენ. ქალაქის ვიწრო ქუჩები და მოედნები მუდამ სავსეა ტურისტებით. გამოფენილ სუვენირებს შორის ყურადღებას იქცევს კერამიკული კაცუნას უზარმაზარფალოსიანი ფიგურა.

შუა საუკუნეების ციტადელის ქუჩებსა და მოედნებზე ყოველ 20 მეტრში შეხვდებით მამაკაცთა ჰიპერტროფირებულ სასქესო ორგანოებს.

ახლა უკვე ჭირს იმის დადგენა, რომელ ეპოქაში იყენებდნენ ფალოსს ჯადოსა და გათვალვისგან თავის დასაცავად. იგი ოდითგან გამრავლების სიმბოლოდ მიაჩნდათ, თანაც სწამდათ, რომ შურიან თვალს ააცილებდა ადამიანს.

რომაელი მწერალი და ისტორიკოსი პლინიუს-უფროსი (ჩვ.წ.აღ. ს) წერდა, რომ ასეთ ავგაროზებს ბავშვებიც კი ატარებდნენ. პლინიუსი გვამცნობს ერთ მეტად საინტერესო ჩვევას — ომიდან შინ გამარჯვებით დაბრუნებული სარდლების ეტლებს რთავდნენ ფალოსებით, ხოლო ჯარისკაცებს უბრძანებდნენ, დაეცინათ და მასხრად აეგდოთ ტრიუმფატორი. ასეთი საქციელით ისინი გამარჯვებულს შურიანებისგან იცავდნენ.

ავი თვალის მოსაგერიებლად ფალოსს ჭიშკარსა და სახლის კარზე ამაგრებდნენ, კიდებდნენ ვენახში, ხეებზე, იკეთებდნენ ფალოსის სამაჯურებსა თუ ბეჭდებს, ხატავდნენ გემის კიჩოებზე, საომარ ფარსა და გლადიატორის მუზარადზე. სწამდათ, რომ იგი დაიცავდა არა მარტო რომელიმე ადამიანს, არამედ მთელ ქალაქს.

ფალოსის გამოსახულებას ხშირად სასაცილო და ფანტასტიკურ ფორმას აძლევდნენ. ის აუცილებლად მახინჯი და უსიამოვნო გრძნობების აღმძვრელი უნდა ყოფილიყო. ფალოსს ფრთებს აკრავდნენ ან ამაგრებდნენ ქათმის, ცხვრის, ძაღლის თავზე. ასეთ ავგაროზს ზანზალაკს ჩამოჰკიდებდნენ, რომ მის ხმას გაეძლიერებინა ფალოსის დაცვითი უნარი.

ძველად სწამდათ, რომ ბნელ ძალებს აფრთხობდა კტეისიც. როდოსის არქეოლოგიურ მუზეუმში ინახება ნიჟარის ფორმის ავგაროზები, რომლებიც ადრე ქალის სასქესო ორგანოს სიმბოლოდ ითვლებოდა. ამ ნიჟარებისგან აკეთებდნენ ყელსაბამებს. ზოგჯერ ამზადებდნენ ორმაგ ავგაროზებს, რომლებიც გამოსახავდნენ ქალისა და კაცის სასქესო ორგანოებს.

ჰეროდოტესა და პლინიუსის მოწმობით, მოწინააღმდეგეს ავი თვალის ასაცილებლად ფალოსსა და კტეისს უჩვენებდნენ.

სხვათა შორის, სწამდათ, რომ გინება, ე.წ. უცენზურო ჟესტები და გამოხედვა ბოროტს და მავნეს ყურადღებას უფანტავდა და იგი ვეღარ გათვალავდა მაგინებელს.

***ჩასტნაია ჟიზნ №20***

## საკვანძო ცვლილებები (სავარჯიშო ცვინისათვის)

ალექსანდრე დიუმა ნაძლევზე ერთ ღამეში წერდა პიესას. ყველაფერი რომ შეიკრიბოს, რაც მან დაწერა, 1.200 ტომი გამოვა.

ალფრედ დე მიუსე პოემას რამდენიმე დღეში წერდა.



ლოპე დე ვეგა 1.800 პიესის ავტორია, თითოეულს 72 საათს ანდომებდა.

რა თქმა უნდა, მათ მუზა უყურებდა კეთილი თვალით, მაგრამ ნაწარმოების შექმნის სიჩქარე მათი არაჩვეულებრივი შრომისუნარიანობის დამსახურება გახლდათ. როცა ალექსანდრე დიუმა რომანს წერდა და ამ დროს მასთან ვინმე მივიდოდა, მწერალი მისალმების ნიშნად მარცხენა ხელს გაიწვდიდა, მარჯვენათი კი წერას აგრძელებდა.

ზემოთ ჩამოთვლილი მწერლები დროს უქმად არ კარგავდნენ. კალამს მაშინ ჰკიდებდნენ ხელს, როცა მათი გონებრივი პოტენციალი უმაღლეს წერტილს მიაღწევდა. მუშაობდნენ მანამ, სანამ ნაწარმოებს არ დაასრულებდნენ.

სხვათა შორის, „მაღალჩქაროსნული რეჟიმის“ გასავითარებლად დიუმას არასოდეს გამოუყენებია ალკოჰოლი, არ სვამდა ყავას და არ ეწეოდა.

ჩვენ კი რამდენ ფინჯან ყავას ვსვამთ, რამდენ ღერ სიგარეტს ვეწევით, სანამ რაიმე პრობლემის გადაწყვეტას შევუდგებოდეთ?

ქვემოთ მოყვანილი ვარჯიში გონებრივი მოღვაწეობის გასავითარებლად, ისეთივე ჩვეულებრივ საქმიანობად უნდა იქცეს თქვენს ცხოვრებაში, როგორიც ყოველ დილით კბილების ხეხვაა.

გაღვიძებისთანავე სწრაფად დაითვალეთ ასიდან ერთამდე.

სწრაფად დაასახელეთ ქალისა და მამაკაცის ოცი იშვიათი სახელი.

დაასახელეთ ოცი სიტყვა, რომელიც ერთსა და იმავე ასოზე იწყება.

შეადგინეთ ოცი წინადადება ერთი და იმავე სიტყვით.

წაიკითხეთ გადმობრუნებული გაზეთი.

ოთახში უკუსვლით (კიბორჩხალასავით) გაიარეთ.

მოიფიქრეთ სკამის (მაგიდის, ჭურჭლის და ა.შ.) ხმარების ოცი წესი.

გაიხსენეთ, როგორი მუსიკა გიძლიერებთ შემოქმედებით უნარს?

რომელი ფერი უწყობს ხელს შემოქმედებით მუშაობას? დღე-ღამის რომელი მონაკვეთია თქვენთვის ყველაზე პროდუქტიული? სად, რომელ ადგილას აზროვნებთ ყველაზე კარგად — საწერ მაგიდასთან, პარკში თუ მდინარის პირას?

***პოსლედნიე ნოვოსტი №41***



## ევოლუციის ალგორითმი

ახალი აზროვნების აკადემიის ევოლუციური მოდელირების ლაბორატორიის ხელმძღვანელმა, ბიოლოგმა ვიაჩესლავ პლოხოვმა, 20 წლიანი მათემატიკური გაანგარიშების შედეგად ჩვენი მზის სისტემის ჩასახვისა და განვითარების მოდელი შეიმუშავა.

თურმე, ერთ დროს ჩვენი მნათობი შავი ხვრელი იყო, რომელიც ენერგიით დამუხტვის შემდგომ ვარსკვლავად აკიაფდა. მზე, ევოლუციისდაკვალად, პერიოდულად ჩამოიშორებდა ხოლმე გარე ფენებს, რომელთაგან ერთიმეორის მიყოლებით იბადებოდნენ პლანეტები. თავდაპირველად, გაჩნდა პლუტონი, ნეპტუნი, შემდეგ ურანი, სატურნი და იუპიტერი. ყოველი ახალი პლანეტა წარმოქმნის შემდეგ ერთი ორბიტით გადაიწევდა ხოლმე, ე.ი. რაც უფრო შორსაა პლანეტა მზისგან, მით „ასაკოვანია“ იგი.

საინტერესოა პლოხოვის სამომავლო პროგნოზები: 2004-დან 3004 წლამდე დედამიწას აყვავების ხანა დაუდგება. ახალ ცივილიზაციას შესაძლებლობა მიეცემა, თავიდან აიცილოს ის შეცდომები, რომლებიც გასულ ევოლუციურ ეტაპზე დაუშვა და მიაღწევს კიდევ უფრო მეტს. მაგრამ თავდაპირველად კაცობრიობა მეტად მკაცრ ევოლუციური შერჩევის ეტაპს გაივლის, ამას ბიბლიაში განკითხვის დღე ეწოდება. ეს ეტაპი სწრაფი ტემპით წავა და მოსახლეობა მესამედით მაინც შემცირდება. ეს იქნება კატაკლიზმების, დიდი მეცნიერული აღმოჩენების წლები, განსაკუთრებით, დიდი ცვლილებები მოხდება სატრანსპორტო და ენერგეტიკულ სფეროებში.

მოგვიანებით საზოგადოებასა და თითოეულ კონკრეტულ ადამიანში მეხსიერების წაშლის ეფექტი ამუშავდება, რათა აღარ ახსოვდეთ ზეციური „წმენდა“. ასეთი რამ კაცობრიობის ისტორიაში ერთხელ უკვე იყო: გავიხსენოთ ბაბილონის გოდოლის ნგრევა, როცა ადამიანთა სალაპარაკო ენა აირია და ერთმანეთის აღარ ესმოდათ. „ახალ“ დედამიწელებს საწინააღმდეგო პროცესი ელით: დაიწყება ახალი საურთიერთობო ენის ფორმირება. ეს კი გამოიწვევს ადამიანის წარმოსახვაში ცვლილებებს, შეიცვლება ცხოვრების წესი, დაიწყება ხალხთა დიდი გადასახლება. ეს ყველაზე მეტად შეეხება დასავლეთ ევროპის ქვეყნებსა და ამერიკას.

კაცობრიობა ისწავლის საერთოპლანეტარული მეხსიერების მართვას, აღადგენს მოვლენებს, რომლებიც მილიარდობით წლის წინ მოხდა. მიეცემა მომავლის თვალნათლივ განჭვრეტის უნარი.

მაშ, დაველოდოთ 2004 წელს!

***ნლო №40***



## ღვთისმშობელი ვიდეოფირზე

ათასობით ქრისტიანი მომლოცველი მიაწყდა ეგვიპტის ქალაქ ასიუტს — აქ, წმინდა მარკოზის სახელობის ეკლესიის თავზე, აგერ უკვე რამდენი ხანია, დედა ღვთისმშობელი ჩნდება.

ეს პირველად 17 აგვისტოს მოხდა. მას შემდეგ, ყოველთვის, სანამ ხელებგაშლილი ღვთისმშობელი კაშკაშა ღრუბლის ფონზე გამოჩნდება, ეკლესიის თავზე თეთრი მტრედების გუნდი გადაიფრენს ხოლმე. როცა ჩვენება ქრება, ყველა გრძნობს ჰაერში დატრიალებულ გუნდრუკის სურნელს. ერთი ეგვიპტელი ქალის თქმით, ღვთისმშობელი ხშირად დილის 3სთ-სა და 6სთ-ს შორის ეჩვენება ხალხს.

მომლოცველებით სავსეა ქალაქის ყველა ეზო და ქუჩა, ხალხი სახლების სახურავებზეც ადის ღამის გასათევად.

ღვთისმშობლის გამოცხადება ასიუტის თავზე ეგზალტირებული მრევლის გამონაგონი არ გახლავთ. ჩვეულებისამებრ, ასეთი სასწაული ფირზე არ ფიქსირდება. მაგრამ ამჯერად ასიუტის სასწაულს შთამომავლობაც იხილავს — ღვთისმშობლის გამოცხადება წმინდა მარკოზის სახელობის ეკლესიის თავზე ვიდეოკამერით გადაიღეს.

***ორაკული №11***

## „საზალდო-სალაღო“ გვერდის პასუხები

**I რებუსი**

იაკობ გოგებაშვილი საბავშვო მწერალია.

**II გამოცანაორდი**

**შვეულად:** 1. სანთელი; 2. ენა; 3. კოდალა; 4. რკო; 6. კბილი; 7. ურემი; 8. ირემი; 10. მზე.

**თარაზულად:** 1. საცერი; 3. კარი; 5. ნაკადული; 9. დრო; 10. მგელი; 11. პეპელა; 12. ლომი; 13 ცელი; 14. წიწილა.

**III** ჭინჭრაქა

**IV** „ადა“.

**V** მამალი

*1990 წლის 28 ოქტომბერს საბჭოთა კავშირში უპრეცედენტო შემთხვევა მოხდა — ჩატარდა პირველი მრავალპარტიული არჩევნები, რომელსაც დაუჯერებელი შედეგი მოჰყვა — ერთხმად გაიმარჯვა არა „ჩვენმა მესაჭემ“ — კომუნისტურმა პარტიამ, არამედ სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის მებრძოლმა ბლოკმა „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველო“. უზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ აირჩიეს ყოფილი დისიდენტი, ბატონი ზვიად გამსახურდია.*

*ეს აქტი გახლდათ თავისუფალი ნების ზეიმი.*

*მას შემდეგ ათი წელი გავიდა.*

*გთავაზობთ ბატონ ზვიად გამსახურდიას რადიოინტერვიუს, რომელიც ეთერში გადაიცა 1991 წლის 12 მაისს რადიოპროგრამით „მეათე ტალღა“.*

**მზია ბაქრაძე — ბატონო ზვიად, სანამ სხვა საკითხებს შევეხებოდეთ, მანამდე ხომ არ გვეტყოდით, რას აკეთებდით დღეს?**

— დილით რუსულენოვანი მოსახლეობის დელეგაცია იყო ჩემთან, გრიბოედოვის თეატრის წარმომადგენლები, სხვადასხვა პროფესიის ადამიანები. ვისაუბრეთ ძალზე კონსტრუქციულად, საინტერესოდ. შემდეგ წავედი მარნეულში და შევხვდი მოსახლეობას, როგორც ქართველებს, ასევე აზერბაიჯანელებს.

**— როგორია განწყობა?**

— ძალიან კარგი, შედარება არ არის, რაც იყო უწინ და სადღაც ამას მივაწერ ჩვენს სწორ პოლიტიკას არაქართველი მოსახლეობის მიმართ. მოიხსნა ყოველგვარი დაძაბულობა, გაუგებრობები აქაცა და სხვა არაქართულ რაიონებშიც.



**— თქვენ იცით, რომ ედუარდ შევარდნაძე აგრძელებს პოლიტიკურ საქმიანობას და ფართო კონტაქტები აქვს უცხოეთის წამყვან პოლიტიკოსებთან. ყველასათვის ცნობილია მისი ამასწინანდელი ვიზიტი ამერიკაში, ჯორჯ ბუშთან. რა როლი შეუძლია ითამაშოს ედუარდ შევარდნაძემ საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხში?**

— შეუძლია ითამაშოს დადებითი როლი და ეს ყოველივე მის სინდისზეა დამოკიდებული, სინდისზე! სამწუხაროდ, მან ამ რეფერენდუმში ხმა არ მისცა საქართველოს დამოუკიდებლობას. ეს შეკითხვა მე მას პირადად დავუსვი და მისგან დუმილი მივიღე. თუმც კი აცხადებს, რომ მაინც რაღაცით ცდილობს დაეხმაროს საქართველოს, მაგრამ რეალურ შედეგებს ჯერჯერობით ვერ ვხედავთ.

**— ბატონო ზვიად, საოკუპაციო ჯარი რომ უნდა გავიდეს საქართველოდან — ნათელია, მაგრამ ალბათ ეს უნდა მოხდეს თანდათანობით, როგორც მოხდა ევროპის ქვეყნებში. აქ უკვე დგება ეროვნული არმიის ჩამოყალიბებისა და შეიარაღების საკითხი...**

— ეს საკითხი, სხვა საკითხებთან ერთად, უნდა დავაყენო გორბაჩოვის წინაშე. მე რატომღაც მგონია, რომ აქ ძალისმიერი მეთოდების გამოყენებას ადგილი არ ექნება; იმიტომ, რომ ეს მსოფლიოს წინაშე წამგებიანი იქნება.

თუ ისინი ჩვენ გვაღიარებენ უცხო სახელმწიფოდ (როგორც ეს ცხრათა განცხადებაში არის), მაშინ ლოგიკური იქნება, გაიყვანონ საოკუპაციო ჯარი საქართველოდან. თუ საქართველო გახდება გაეროს წევრი, გვეძლევა შესაძლებლობა, გაეროს ჯარების შემოყვანისა (გართულების შემთხვევაში).

**— რა მნიშვნელობას ანიჭებთ ამერიკის კონგრესის 94-ე რეზოლუციას?**

— ეს არის შედეგი სწორედ იმ ჩვენი ცდებისა საზღვარგარეთ, რომ ყურადღება მოაპყრონ საქართველოს პრობლემებს. ამერიკის კონგრესზე ვერ იმოქმედეს იმ არაკეთილმოსურნე პროვოკატორმა ქართველებმა, რომლებიც იქ აქტიურობენ. დღეს მათ ძალზე ეფექტურად უპირისპირდება და ამხელს აქედან წასული ახალგაზრდა, ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტიის წევრი ბატონი ირაკლი კაკაბაძე. მიუხედავად ამ არნახული დაპირისპირებისა, რაც კრემლის მიერ არის უცხოეთში ინსპირირებული, ამერიკის კონგრესი ჩვენ გვიჭერს მხარს.

**— თქვენს პატივსაცემად იქ, კაპიტოლიუმზე, დროშა აღმართეს...**

— იყო ასეთი ფაქტი, მიუხედავად იმისა, რომ ამერიკაში ყოველდღიურად იბრძვიან ჩემს წინააღმდეგ...

**— გამოდის, რომ იბრძვიან საქართველოს წინააღმდეგ და არა თქვენს წინააღმდეგ, რაც ძალზე გულდასაწყვეტია... ბატონო ზვიად, მახსენდება სალვადორ დალის ერთი სურათი, როიალის თეთრ კლავიშებზე, ყოველი ოქტავის დასაწყისში ლენინის პატარ-პატარა თავებია დახატული. ეს საუკუნე დაიწყო ლენინით და ყოველი ათწლეული მისი იდეების ინტერპრეტაცია იყო სხვადასხვა ტონალობაში. რით დამთავრდება ეს საუკუნე?**

— დამთავრდება ლენინიზმის სრული კრახით! უკვე დამთავრდა კიდევაც, ჩემი აზრით.

**— ბატონო ზვიად, რადიომსმენელები გეკითხებიან, როგორი იქნება არაქართველი მოსახლეობის მდგომარეობა თავისუფალ საქართველოში.**

— არაქართველი მოსახლეობა ყოველი თვალსაზრისით გაცილებით უკეთ იცხოვრებს თავისუფალ საქართველოში, ვიდრე კომუნისტების დროს ცხოვრობდა — უფლებების თვალსაზრისით, ეკონომიკური თვალსაზრისითაც, ვინაიდან ჩვენი პრინციპი არის ეროვნულ უმცირესობათა უფლებების პატივისცემა. ჩვენ დავაკანონებთ ამ უფლებებს.

**— საინტერესო იქნებოდა გაგვეხსენებინათ რაიმე თქვენი წარსულიდან, როგორ გდევნიდათ სუკი, როგორ ავიწროებდნენ თქვენს ოჯახს...**

— ამას ალბათ ერთი ტომიც ვერ დაიტევს... ძალიან ძნელად წარმოსადგენია დღეს ადამიანისთვის ის, რაც ჩემ გარშემო ხდებოდა. ფაქტობრივი შინაპატიმრობა, რასაკვირველია, ოფიციალურად არ ცხადდებოდა. ჩემს სახლთან 24 საათი ყარაულობდნენ ოპერატიული მანქანები, ყველგან დაგყვებიან, აფიქსირებენ ყველა შენს ნაცნობს, ვისაც შეხვდები, დაელაპარაკები, სადაც მიხვალ და შემდეგ ამ ხალხის ტოტალური დარბევა იწყება. ასე რომ, ქუჩაში გამვლელთ ან ჩემს სამსახურში ადამიანებს გამარჯობის თქმაც კი ეშინოდათ. ლიტერატურულ ან სამეცნიერო საქმეზე დავდიოდი სულ რამდენიმე ადგილას. ისინიც კი გაფრთხილებული იყვნენ — არ გაეცათ ჩემთვის ხმა... იყო შემთხვევები, როდესაც მივიდოდი დაწესებულებაში, ჩამოვარდებოდა ხოლმე სამარისებური სიჩუმე. თავდაპირველად ვერ ვხვდებოდი, რაში იყო საქმე, შემდეგ უკვე იძულებულნი გახდნენ, ეთხოვათ, — ნუღარ მოხვალ ჩვენთან, იმიტომ, რომ გვარბევენ, გვხსნიან სამსახურიდანო. მეც იძულებული ვიყავი, აღარ მივსულიყავი. თუ, ვთქვათ, რედაქციაში რაიმე მქონდა მისატანი, მე კი არ მივდიოდი, სხვას ვატანდი: რაც შეეხება ოჯახს და შვილებს, იძულებული ვიყავი, ბავშვები გამომეყვანა სკოლიდან, ვინაიდან საშინლად იდევნებოდნენ. შექმნილი იყო ჯგუფები, ბანდები, რომლებიც ბავშვებს ავიწროებდნენ. გაგიკვირდებათ, მაგრამ ახლაც კი ჭირს. იგივე არ ხდება, მაგრამ გარკვეული უსიამოვნებები მაინც ხდება. ვფრთხილობთ, თქვენ იცით, რომ, ჩვენ კომუნისტური რეჟიმი გავაუქმეთ, მაგრამ აგენტურა მაინც მოქმედებს, კრიმინალებად არიან შენიღბულნი. მათი საფრთხე კიდევ არსებობს, ეს იმავე ძალისგან მომდინარეობს, იმავე ცენტრისგან.

## ზვიად გამსახურდია: „ქართველ ერს ვპირდები თავისუფლებას!“

ბევრი რამ შემიძლია გავიხსენო: ავარიების მოწყობის მცდელობები, ე.წ. ხულიგნების სახლზე თავდასხმები — ამას სისტემატურად აკეთებდნენ. მიზანი კი ერთი იყო — გამოვსულიყავი წყობიდან და ისეთი რამ ჩამედინა, რომ სისხლის სამართლის დამნაშავესავით გავესამართლებინე...

**— ბატონო ზვიად, უფრო ხშირად ახსენებენ ხოლმე მამათქვენს — ბატონ კონსტანტინე გამსახურდიას, ბუნებრივიც არის, მაგრამ დედას — ქალბატონ მირანდას, ნაკლებად...**

— ქველმოქმედი ადამიანი იყო და ნიადაგ სხვებზე მზრუნველი, საოცარი ალტრუისტი, რომელმაც, შეიძლება ითქვას, საკუთარი ჯანმრთელობაც კი შესწირა სხვა ადამიანების სამსახურს, სხვების კეთილდღეობას. არასოდეს ფიქრობდა თავის თავზე, თითქოს ყოველივე ამას მეც შთამინერგადა. მახსოვს, დასასვენებლად ვიყავით ზაფხულში, სანატორიუმში (მე ბავშვი ვიყავი), მთელი ზაფხული გაიუფერულა იმით, რომ უვლიდა ერთ უპატრონო ავადმყოფ მრეცხავს. დადიოდა მასთან, წამლები მიჰქონდა... გასაკვირია, მაგრამ თავად სანატორიუმის პერსონალი ამ მრეცხავს ახლოს არ ეკარებოდა, ისე იყო დაავადებული. ასეთი იყო დედა მთელი სიცოცხლე. საოცარი დემოკრატი, საოცარი... ადამიანების შემწე და ქომაგი, მოყვარული. ეს იყო მთავარი მასში.

**— რა გაძლევდათ ძალას ყველაზე უიმედო, ტერორის წლებში ისევ საქართველოს საქმე გეკეთებინათ?**

— რწმენა! ხშირად მახსენდებოდა მამაჩემის ნათქვამი: „როგორც XX საუკუნე იყო საუკუნე პიროვნების საბოლოოდ განთავისუფლებისა, ასევე XX საუკუნე არის საუკუნე ერების განთავისუფლებისა! იცოდე, რომ საბოლოოდ ერები განთავისუფლდებიან და საქართველოც განთავისუფლდება, საუკუნის ბოლომდე“, — აი, ამას შთამაგონებდა ყოველთვის და ეს გამომდინარეობდა საერთოდ ისტორიის ლოგიკიდან.

**— ღვთის შეწევნით და თქვენი მეცადინეობით... ვინ გეხმარებოდათ იმ ძნელბედობის ჟამს?**

— ბევრი აღარც არის ცოცხალი, ბევრი შეეწირა ამ ურჩხულთან ბრძოლას. ის ძალა, ის სისტემა ხშირად პირდაპირი ტერორით არ ანადგურებდა ხალხს. მორალურ ტერორს მიმართავდა, ათასგვარ ფარულ მეთოდს. ბევრი დაიღუპა და, რაც მთავარია, აღარ არის ჩემი უახლოესი მეგობარი და სულიერი ძმა მერაბ კოსტავა. ვინც შემორჩა, არ არის დასამალი, ზოგი გატეხეს კიდევაც, შეიძლება ითქვას, გადამიდგნენ... სხვადასხვა მიზეზით მოხდა ეს...

მე დავასახელებ ერთ-ერთ ჩემს ერთგულ თანამებრძოლს, რუსთავის პრეფექტს თემურ ჯანელიძეს. იგი ჩემი და მერაბ კოსტავას გვერდით იდგა, გვეხმარებოდა და დიდი წვლილი აქვს ეროვნულ მოძრაობაში. თქვენ წარმოიდგინეთ, ბევრს, ვინც მაშინ მეხმარებოდა, დღესაც კი არ სურთ, რომ მათზე ვილაპარაკო (ისეთი ტრავმა და ისეთი საშინელი ცხოვრება გაიარეს). მათ უნებართვოდ შეიძლება გამიჭირდეს კიდევაც მათი დასახელება. მართალია, ოფიციალურად გავაუქმეთ, მაგრამ დრაკონი კვლავ ცოცხალია და ისევ მოქმედებს!...

**— ძალიან რთულია პოლიტიკური მოღვაწისათვის ყველა ქრისტიანული მცნების დაცვა. დიდი ხანია საქართველოს არ ღირსებია ქრისტიანი წინამძღოლი... როგორ ახერხებთ ამას პირადად თქვენ, როგორც მორწმუნე ადამიანი, როგორ უმკლავდება თქვენი სული ამას?**

— მაქსიმალურად ვცდილობ, რამე ისეთი სისასტიკე არ ჩავიდინო, ან ანტიადამიანური კანონი, ან ქმედება. ერთმა კანდიდატმა დაგვაბრალა, თითქოს ჩვენ ვმალავთ სიკვდილის დასჯის სტატისტიკას. არც ერთი ადამიანი არ დასჯილა სიკვდილით მას შემდეგ, რაც მე მოვედი ხელისუფლების სათავეში. კანონით მრავალი დანაშაულისთვის გაუქმდა სიკვდილით დასჯა. ვისაც უყვარს ხოლმე ჩემი პიროვნების შედარება სადამ ჰუსეინთან — ეს გაითვალისწინოს (იცინის).

**— არა მხოლოდ პურითა ერთითა ცხონდების ადამიანი, ნათქვამია და, ქართველი ერიც სარწმუნოების, სახარების, ქრისტესმიერი პურით უნდა ცხონდეს. როგორც მორწმუნემ და ქრისტიანობის ღრმად მცოდნემ, ქართველ ხალხს ქრისტეს მიერ ხუთი პურის გამრავლების სასწაულზე, მის მნიშვნელობაზე და მის ღვთიურ არსზე უთხარით...**

— ამ იგავს არ უყურებენ სერიოზულად, მარტო განყენებული ჰგონიათ. არადა უაღრესად ცხოვრებისეული ამბავია და ამას დაადასტურებს ყველა, ვისაც განუცდია ლოცვის ძალა, იცის, რა არის ლოცვა და სულიერი პური. მე გავიხსენებ ჩვენი ოჯახის ახლობელი ადამიანის, პოლიტპატიმრის, გულაგის წამებული ადამიანის — რაფიელ ნიჟარაძის მონათხრობს. გადასახლებაში მასთან ერთად იყო ერთი მეპურე, კახელი კაცი. ისეთი შიმშილი იყო ბანაკში, რომ პურის ნამცეცების შოვნა დიდი ბედნიერება იყო! პატიმრების ჯგუფი, როგორც კი იშოვიდა პურის ნარჩენებს, ამ მეპურეს სთხოვდა, ხელახლა გამოეცხო პური. მეპურე გამოაცხობდა პურს, თავად არ ჭამდა, დაურიგებდა პატიმრებს და იტყოდა: წავალ, ვილოცებ და დავნაყრდებიო. პატარა მთაზე ავიდოდა თურმე, ილოცებდა, ჩამოვიდოდა, იყო მაძღარი. ამას სისტემატურად აკვირდებოდა რაფიელი. ადასტურებს, რომ ეს მართლაც ასე ხდებოდა. შემდეგ, როცა ციხეში მოვხვდი, ხშირად ლოცვას ჩემთვის შეუცვლია საჭმელ-სასმელი. რწმენით შეიძლება იცხოვროს კაცმა და რწმენამ და ლოცვამ შეიძლება შეცვალოს ფიზიკური საზრდელი. ამიტომაც არის სახარებაში ნათქვამი: ნუ ზრუნავთ, რა შეიმოსოთ, რა ჭამოთ, რა სვათ, ეძიეთ სასუფეველი ღვთისა და ესე ყოველი მოგეცეს თქვენ. ამაშია ქრისტიანობის არსი და ეს მარტო ცალკეულმა ინდივიდმა კი არა, ერმა უნდა გაითვალისწინოს. მთავარია, უფლის სასუფევლის ძიება და დანარჩენი ყველაფერი მოგვეცემა. ხოლო როდესაც მხოლოდ დანარჩენზე ვფიქრობთ და უფლის გზაზე — არა, მასაც დავკარგავთ, რაც გვაქვს. აი, ეს არის ქრისტიანობის არსი.

**— რას ჰპირდებით ქარველ ერს პრეზიდენტად არჩევის შემთხვევაში?**

— მოკლედ ვიტყვი: ქართველ ერს ვპირდები თავისუფლებას!

**— არ შემეძლო, რომ ბატონი კონსტანტინეს „მთვარის მოტაცებიდან“ ერთი იგავი არ გამეხსენებინა. ლუკაია ლაბახუა თარაშ ემხვარს უამბობს: „მე ერთი ამბავი უნდა გიამბო, შურიგე, — დაიწყო ლუკაიამ, — თორმეტი კაცი მდგარა თურმე ერთ მაღალ, ძლიერ მაღალ ხის ქვეშ. მათ შორის თერთმეტი ბრმა ყოფილა და ამ ერთმა თვალხილულმა შეამჩნია ამ ხის ზეთავზე ცისფერი ფრინველი იჯდა, ტურფა რამ ნაკრტენით მოსილი, სახილველად საშური იყო ფრინველი იგი, მაგრამ დანარჩენნი ვერ ხედავდნენ მშვენებას მისას. თვალხილული აღუტაცნია იმა ფრინველის შეპყრობის წადილს, მაგრამ ვაგლახად კოჭლი ყოფილა კაცი იგი დედის საშოდანვე. ხე მაღალი იყო, ქაცვებიანი... არც თუ კიბე სჩანდა სადმე... მაშინ უქადაგა კოჭლმა ბრმებს, დაიყოლია, კაცი კაცზე შემდგარიყო და მეთერმეტეს თავად ზედ მოექცეოდა. და როცა კაცი კაცზე შეაყენა თვალხილულმა, მეთერთმეტეს შეადგა ფეხი, სულ ქვევით მიწაზე მდგარმა ზევიდან დათვლით, კაცმა უკანასკნელმა, არ ინდომა თერთმეტივე სულის ტვირთვა. წაიქცა მაშინ განგებისად კაცი იგი უკანასკნელი და ცოცხალი კიბეც ძირს დაენარცხა. თვალხილულმა ხელი ააცდინა იმ საოცარ არსებას, ხის წვერზე შემომჯდარს და ხელშეუხები გაფრინდა თურმე იგი ფრინველი“. „რად ამბობო ამას, ლუკაია“, — შეეკითხა თარაშ ემხვარ. „ისე, ჩემთვის ვამბობო“. ბატონო ზვიად, მე რაღაცით ეს იგავი ჩვენს დღევანდელ სიტუაციას მაგონებს.**

— ჭეშმარიტად. აი, იმ კაცს, ვინც დაბლა დგას, დიდი გამძლეობა უნდა და დიდი ძალა. უმადურობა ზოგჯერ სახიფათოა, შეიძლება ძალა გამოაცალოს. საბოლოოდ, მადლიერება და კეთილი ნება ჩვენი ერისა სძლევს, ეს მაძლევს მე ძალას.

**— უღრმესი მადლობა.**

— გმადლობთ თქვენც!

P.S. რამდენიმე დღეში პრეზიდენტობის კანდიდატი ქართველმა ერმა პრეზიდენტადაც აირჩია. ეს იყო 1991 წლის 26 მაისი...

***მზია ბაქრაძე***

---

## გია ცინცაძე: „უმორჩილესად მინდა ვთხოვო საპატრიარქოს...“

(დასაწყისი გვ. 8)

საპატრიარქო დაგვპირდა ამ საკითხში დახმარებას, მღვდლების გამოგზავნას, მაგრამ, სამწუხაროდ, ჯერჯერობით ვერ მოხერხდა.

ვფიქრობ, სასულიერო პირების სიმცირისა და ხალხში რწმენისკენ გაუთვითცნობიერებელი სწრაფვის ბრალია სწორედ სექტების მომრავლებაც, რასაც ვერც ჩვენი რაიონის მოსახლეობა ასცდა.

ცხადია, არავის მოვუწოდებ რელიგიური შეუწყნარებლობისკენ, მაგრამ ვთვლი, რომ ჩემი შესაძლებლობიდან გამომდინარე, მართლმადიდებლობის ცივილიზებული ფორმით დაცვა ჩემი, როგორც ქართველის, ქრისტიანისა და რაიონის თავკაცის ვალია და ამიტომ ვითხოვ იმ თანადგომას, რომელზეც წეღან გესაუბრებოდით.

დამეთანხმებით, რომ როგორც ზოგიერთები აკეთებენ — სადაც იეღოველები გამოჩნდებიან, მიდიან და ხელჩართულ ბრძოლას უმართავენ, ეს მეთოდი ცივილიზებულისგანაც შორსაა, ვერც ვერაფერს მიაღწევ — პირიქით, ხალხში მეტ თანაგრძნობას იწვევენ და, ბოლოს და ბოლოს, ყველას ვერც გასწვდები.

როგორც გითხარით, ჩვენს ეკლესიებში რომ ღირსეული და საკმაო რაოდენობის მოძღვრები გვყოლოდა, რომლებიც ახლოს იქნებოდნენ თავის მრევლთან, ეს პრობლემა ალბათ აღარ დადგებოდა. მაგრამ რადგან ეს გაძნელდა, ვფიქრობ, რომ „მოწინააღმდეგესთან მისივე მეთოდებით ბრძოლა“ იქნება უპრიანი, მით უმეტეს, რომ როგორც ვიცი, ეს პრაქტიკა ყოველთვის არსებობდა ქრისტიანულ ეკლესიაში, ამიტომ უმორჩილესად მინდა ვთხოვო საპატრიარქოს: გამოაგზავნოს გარკვეული ხნით მქადაგებლები, რომლებსაც არ გაუჭირდებათ ხალხთან ღვთის სიტყვის მიტანა და ჭეშმარიტ რწმენასთან მათი ზიარება. როგორც იეღოველები დადიან თავიანთი წიგნებით ეზო-ეზო და ყანა-ყანა, ასე მივიდნენ ისინიც ხალხამდე და მიაწოდონ საღმრთო წერილი და ჭეშმარიტი რწმენა.

ჩვენ კი, საერო ხელისუფალნი, მაქსიმალურად



ბახმაროს ფერისცვალების ეკლესია

უზრუნველვყოფთ მათ ტრანსპორტით, საკვებით, სოფლებში ღამის გასათევით და ცხადია, უსაფრთხოებით. ღმერთმა მაპატიოს, თუ ჩემი კომპეტენციის ფარგლებს ვცილდები ამ ინიციატივით, მაგრამ როგორც ვხედავ, ამ ღონისძიებამ ნამდვილად უნდა გამოიღოს კეთილი ნაყოფი.

ჩვენს რაიონში კულტურა და განათლება ყოველთვის მაღალ დონეზე იდგა და ამით ყოველთვის ვამაყობდით, ახლაც ვცდილობთ ამ მხრივ რაღაცის გაკეთებას — დღევანდელ პირობებშიც კი მოხერხდა ფოლკლორული ანსამბლების შენარჩუნება, რამდენიმე სახლ-მუზეუმის გადარჩენა, მაგრამ ვფიქრობ, რომ წინაპართა რწმენის გადარჩენა უმთავრესი საქმეა და თუ სხვა რაიონების ხელმძღვანელებთან ერთად ამას ხელს შევუწყობ, თავს ბედნიერად ჩავთვლიდი.

*ჩოხატაურიდან გაორებული გრძნობით წამოვედით — ხალხს მართლაც უჭირს, ეს ჩვენთან საუბარშიც გამოხატეს, მაგრამ ოპტიმიზმი მაინც არ ტოვებს მათ. არც რაიონის ხელმძღვანელობის მიმართ „დაუშურებიათ“ საყვედური, მაგრამ იქვე ამატებდნენ ხოლმე — მაინც ჩვენი რაიონის შვილია და რაც შეუძლია, აკეთებსო.*

*სხვათა შორის, იმ ოთხი დღის განმავლობაში, როცა იქ ვიმყოფებოდით, შუქი მხოლოდ დღისით, ისიც 3-4 საათით ქრებოდა.*

*კიდევ ერთი, სხვა რაიონებისთვის დიდი ხნის გადაუჭრელი პრობლემაა მოხსნილი ჩოხატაურში — დასავლეთ ევროპაშიც ვყოფილვარ, მათ შორის სოფლებში და, დამიჯერეთ, არ ვაჭარბებ: ასეთი გზები ბევრგან არ მინახავს. თანაც ამ გზებს აშკარად ეტყობა, რომ მათზე გამუდმებით ზრუნავენ — დაზიანებული ადგილები საგულდაგულოდაა შეკეთებული (სხვათა შორის, ამის შესახებ ჩვენთან საუბარში ბატონ გიას არაფერი უთქვამს).*

*მას არც ის უთქვამს, რომ ბახმაროს ულამაზესი ეკლესია, პირადად მისი ინიციატივითა და სახსრებით აშენდა, თუმცა ეს ამბავი ეკლესიის წარწერამ გვამცნო: „სადიდებლად წმიდისა და თანაარსისა, ცხოველსმყოფელისა და განუყოფელისა სამებისა მამისა და ძისა და წმიდისა სულისა... აღვაშენეთ ბახმაროს მაცხოვრის ფერისცვალების ეკლესია ჩვენ — ცინცაძე გრიგოლ, ჩხიკვაძე მერაბ, ბერძენიშვილი ზურაბ (ხუროთმოძღვარი), ცინცაძე ავთანდილ (მშენებელი), საოხად სულთა ჩვენთა და შვილთა ჩვენთათვის. ამინ!“*

*ღმერთმა უსმინოს ყველა მართალ ერისკაცს!*

***P.S.*** *ჩვენ დავუკავშირდით საპატრიარქოს პრესცენტრის უფროსის მოადგილეს, ბ-ნ ზურაბ ცხოვრებაძეს და ბ-ნ გია ცინცაძის ინიციატივის შესახებ ვაცნობეთ, რომელმაც დიდი კმაყოფილებით მიიღო იგი და საპატრიარქოსთან შუამდგომლობა აღგვითქვა.*

***ზვიად გურული***

# ბისმარკის შთამომავალთა სამი სურვილი

გერმანულ საზოგადოებას დღეს ნაკლებად აინტერესებს ძველ დიდგვაროვანთა საქმიანობის სფერო. ჰერცოგები, გრაფები და ბარონესები ახლა სხვებთან ერთად დგანან შრომის ბირჟის რიგში. წარსულს ჩაბარდა მათი კუთვნილი პრივილეგიები, თუმცა გამონაკლისიც არსებობს: მაგალითად, ბისმარკის, რკინის კანცლერის შვილთაშვილიშვილმა, კარლ-ედუარდ ფონ ბისმარკმა, რომელიც გრაფის წოდებას ატარებს, თავის თანამედროვე ზოგიერთი არისტოკრატის მსგავსად კი არ გაფლანგა მემკვიდრეობით მიღებული ქონება, არამედ გააორკეცა კიდეც თავდაუზოგავი შრომით. 38 წლის გრაფი ბისმარკების სატყეო მეურნეობას უძღვება; მშვენიერი ბოტანიკური ბაღი აქვს, პეპლების უნიკალური კოლექცია-



მუზეუმით. მის განკარგულებაშია ტყის მიმდებარე რაიონში აგებული ოტელები და რესტორნები. კარლ-ედუარდი თავისი ამაყი წინაპრებისთვის საკმაოდ არაპრესტიჟულ საქმიანობას — უძრავი ქონებით ვაჭრობასაც ეწევა. უფრო მეტიც, გრაფისთვის საერთოდ მიუღებელ საქმეს — ალკოჰოლური სასმელებითა და თავისი დიდი ბაბუის პორტრეტით დამშვენებული სიგარებით ვაჭრობს. „რკინის კანცლერი" ოტო ფონ ბისმარკი სიგარეტის მხოლოდ მომხმარებელი იყო. იგი დღეში დაახლოებით 12 ცალ სიგარას ეწეოდა... პოლიტიკური ჭორიც გავრცელდა, თითქოს ბრიტანეთის პრემიერმა უინსტონ ჩერჩილმა სიგარის მოწევის ჩვევა ბისმარკისგან გადაიღოო. ყოველ შემთხვევაში, ამჟამინდელი გრაფი ფონ ბისმარკი მარჯვედ იყენებს ამ ამბავს სიგარის რეკლამისათვის. სწორედ მისი მეშვეობით დაიმკვიდრა ადგილი კარლ-ედუარდმა ამერიკის ბირჟაზე (აშშ-ის 420 თამბაქოს მაღაზიასთან აქვს კონტრაქტი). საკმაოდ დიდი შემოსავალი საშუალებას აძლევს ახალგაზრდა ბიზნესმენს, არისტოკრატის რენომე შეინარჩუნოს: გრაფს ხშირად იწვევენ უმაღლესი საზოგადოების ქორწილებსა და წვეულებებზე, კულტურისა და ხელოვნების სფეროში ყველა გახმაურებულ ღონისძიებაზე... მას ძვირად ღირებული ლიმუზინებისა და იახტების კოლექციაც აქვს. სწორედ ამ ჰობის წყალობით შეხვდა კარლ-ედუარდი მონაკოში უმდიდრესი შვეიცარიელი მაკლერის ქალიშვილს, რომელიც გრაფის მეორე ცოლი გახდა. პირველი ქორწინება 1985 წლის „მის ამერიკა" — ლაურა ჰერინგთან ძალზე ხანმოკლე აღმოჩნდა. ამბობენ, ლამაზმანი არც ინტელექტითა და არც ოჯახური საქმეების ცოდნით გამოირჩეოდაო. ახალმა მეუღლემ — ცელიამ დაამთავრა ბოსტონის უნივერსიტეტი, იცის ოთხი ენა, დიზაინის ხელოვნებაც ემარჯვება და შესანიშნავი წესრიგი დაამყარა ფრიდრიხის კოშკში: თავთავიანთი ადგილი მიუჩინა გობელენების, ანტიკვარიატის და ფერწერულ ტილოთა კოლექციებს. მან თვითონ დახატა „რკინის კანცლერის" ლოგოტიპი სიგარისთვის. კიდევ ცოტა და, ცელიას ბრწყინვალედ ეცოდინება გერმანული ენა. დედამთილთან (წარმოშობით ბელგიელი) იგი ფრანგულად საუბრობს, მეუღლესთან — ინგლისურად, რადგან სიყვარულის გამოსახატავად ინგლისური მიაჩნია საუკეთესო საშუალებად. გარდა საქმეებისა და მეჯლისებისა, გრაფს ახალი გატაცება — პოლიტიკისადმი ინტერესიც გაუჩნდა. ამას წინათ, იგი „XDC"-ის კომიტეტის მდივნად აირჩიეს (ლაუენგბერგში), თავის დროზე აქედან ბაბუამისი აირჩიეს ბუნდესტაგის დეპუტატად 60-იან წლებში: როგორც ახალგაზრდა არისტოკრატი აცხადებს, — სურს აიღოს თავის თავზე არა მარტო კომერციული და ოჯახური, არამედ პოლიტიკური პასუხისმგებლობაც.

ქრისტესშობის დღესასწაულზე, სადაც ბისმარკების მთელი ნათესაობა და მეგობრები შეიკრიბნენ, გრაფინია ბისმარკმა სთხოვა სტუმრებს: გამოეცნოთ კოშკის მეპატრონეთა სამი სურვილი. უმრავლესობამ — კიდევ ერთხელ მსოფლიოს ირგვლივ მოგზაურობაო... სხვებმა: კარიბის ზღვაზე ახალი ვილაო... ხასხასა წითელი ფერის „ფერარიო", აფრიკაში თამბაქოს ბაზრის დაპყრობაო და მისთანები...

ცელიამ კი თავისი სამი სურვილი მორიდებით გაამხილა: თავდაპირველად, გვინდა ვაჟიშვილი; მერე — კიდევ ერთი ვაჟი და მესამე სურვილი — გვინდა ქალიშვილიო.

„რკინის კანცლერმა" საუკუნის წინ დაქსაქსული გერმანული სამთავროები ერთ სახელმწიფოდ გააერთიანა... დღეს კი მის მემკვიდრეებს სხვა არაფერი დარჩენიათ, გარდა იმისა, რომ შვილებზე იოცნებონ.

***ზა რუბეჟომ***

# შარლ დე გოლის მემკვიდრეები კვლავ მწყობრში არიან...



გენერალი შარლ დე გოლი მათი წინაპარია... ამ 200 ადამიანიდან გენერლის გვარს ყველა არ ატარებს, მაგრამ იციან, რომ სახელოვანი კლანის წარმომადგენლები არიან და ამიტომაც პასუხისმგებლობას გრძნობენ თავიანთი დიდი წინაპრის სახელის წინაშე. „დე გოლის სახელის ტარება ძნელია. არც ერთ დე გოლს არა აქვს შეცდომის დაშვების უფლება", — ხშირად იტყოდა გენერლის ვაჟი, ადმირალი ფილიპ დე გოლი. დღეს მეხუთე რესპუბლიკის შემქმნელის კლანის საფუძველს 58 შვილიშვილი და შვილთაშვილი შეადგენს. სხვათა შორის, მათგან დიდი პოლიტიკოსი ან გამოჩენილი ფილოსოფოსი არავინ ყოფილა, — არც უიღბლო და ბედით განაწყენებული დარჩენილა ვინმე. მაგრამ მთელი ნათესაობა (200 ფრანგი) ყალყზე დადგა, როცა გაიგეს, რომ დიდი გენერლის შვილიშვილი, მისი სახელის მატარებელი შარლ დე გოლი ევროპარლამენტის არჩევნებში კენჭისყრას აპირებს ეროვნული ფრონტის პარტიიდან, რომელსაც ჟან მარი ლე პენი ხელმძღვანელობს. პოლიტიკაში ლე პენთან ხელიხელჩაკიდებული სვლა გენერალ შარლ დე გოლის იდეალების ღალატს ნიშნავსო, — აცხადებენ დე გოლის მემკვიდრეები. მართლაც, ის პრინციპები, რისთვისაც შარლ დე გოლი 40-იანი წლების დასაწყისიდან იბრძოდა, აბსოლუტურად მიუღებელია ლე პენის პარტიის რასისტი და რადიკალი წევრებისთვის — დე გოლი-უმცროსი არც იმ ფაქტს დაუფიქრებია, რომ მისი მოძრაობის ერთ-ერთი წევრია ჟან-ჟაკ სუზინი. ეს ის სუზინია, რომელიც გენერალ დე გოლზე თავდასხმაში მონაწილეობდა. „სახედარივით ჯიუტია", — ამბობენ ეროვნული ფრონტის ახალგამომცხვარ აქტივისტზე, გზააბნეულ შარლ-უმცროსზე მისი ნათესავები. დიდი გენერლის 57-მა შვილიშვილმა მოაწერა ხელი „მოღალატე" დე გოლის მიმართ გაზეთ „მონდში" გაგზავნილ საპროტესტო წერილს, მაგრამ 50 წლის ადვოკატი ყურსაც არ იბარტყუნებს. მისთვის პოლიტიკა ერთადერთი საარსებო წყარო შეიქნა. მან მარჯვედ გამოიყენა ცნობილი ბაბუის სახელი და ევროპარლამენტში მეორე ნომრად („ვაშას" ძახილით) გავიდა ეროვნული ფრონტის პარტიიდან.

ერთი მოვლენა მაინც საგულისხმოა, დიდი დე გოლის ნათესავებმა „მადლობა" უნდა უთხრან თავიანთ ბიძაშვილს. საპროტესტო წერილის ხელმოწერის შემდეგ, მთელი ოჯახი კვლავ გაერთიანდა, საფრანგეთის ყველა კუთხეში მიმობნეულმა ნათესაობამ კვლავ დიდ კლანად იგრძნო თავი. თუმცა კი, მის წარმომადგენელთ რეალურ ცხოვრებაში არავითარი უპირატესობა არ ჰქონიათ. თავის დროზე, თავად გენერალი მკაცრად მოითხოვდა, რომ არც ერთ ნათესავთაგანს არ გამოეყენებინა მისი სახელი და სახელმწიფოს ხარჯზე არ გამდიდრებულიყო. გენერალს უყვარდა მთელი ოჯახის (შორეული ნათესავებისაც) თავშეყრა ბუასერის მამულში ან ელისეს სასახლეში. ამჟამად ასაკოვანნი აღფრთოვანებით იგონებენ, როგორ აპურებდნენ იხვებს პრეზიდენტის ბაღში და როგორ სეირნობდნენ ბაბუასთან ერთად. „გენერალ დე გოლის სისხლის მეოთხედი შენს ძარღვებში ჩქეფს, შენ არ უნდა მიიღო არც ერთი ოთხიანი, მეუბნებოდნენ მასწავლებლები", — იხსენებს ქსავიე დე გოლი. ერთიანი ოჯახი მთელი შემადგენლობით მალე დაესწრება რობერ ოსეინის სპექტაკლს „ის, ვინც თქვა „არა", რომელიც დიდი გენერლის იდეებს მიეძღვნა (სპექტაკლზე 200 ადგილი დაჯავშნული იყო). ერთ-ერთმა მადლიერმა შვილიშვილმა ასე დაახასიათა ბაბუა: „არ ვიცი, დღეს რას გააკეთებდა გენერალი დე გოლი, ცოცხალი რომ ყოფილიყო, მაგრამ კარგად ვიცი, ის, რასაც იგი არასდროს გააკეთებდა".

დღეს შარლ დე გოლი-უმცროსი ულტრამემარცხენე ეროვნული ფრონტის მუნიციპალურ არჩევნებში გასამარჯვებლად იბრძვის. იგი თავის ელექტორატს წაუძღვება ლოზუნგით: „საფრანგეთი ფრანგებს, პარიზი — პარიზელებს!", რომელიც მიმართულია იმიგრანტების წინააღმდეგ. „ფრონტელებმა" თავიანთი კანდიდატურები დედაქალაქის 20 ოლქში წამოაყენეს. მომავალ ბატალიებში ლე პენი დიდ იმედებს ამყარებს „სიმბოლურ პიროვნებაზე", რომელიც თავის თავს ცნობილი ბაბუის სულიერ მემკვიდრედ მიიჩნევს და რომელიც გარეგნობით საოცრად ჰგავს თავის წინაპარს. იგი აცხადებს, რომ პარიზის ამჟამინდელი მმართველობის სისტემა „აუტანელი გახდა პარიზელებისთვის". დე გოლი-უმცროსი საქვეყნოდ განუცხადებს პრეზიდენტს: „ბატონო შირაკ, თქვენ იყავით ცუდი მერი, სანამ ცუდი პრეზიდენტი გახდებოდით. თქვენთვის სულერთია პარიზის ბედი..." პარიზის მერის სავარძლის ხელში ჩაგდების შანსი ძალიან მცირეა, მაგრამ დე გოლი-უმცროსი შეეცდება, ხელი შეუშალოს გამარჯვებაში მემარჯვენეებს, რომლებიც უხსოვარი დროიდან უდგანან პარიზს სათავეში.

***ფრანგული პრესის მიხედვით***

# ნინა ნობელი — მშიერთა დამპურებელი



დედამიწაზე, ალბათ, არ არსებობს ადამიანი, რომელიც არ იცნობდეს ალფრედ ნობელს; მის სახელთან არის დაკავშირებული მსოფლიოში ყველაზე პრესტიჟული — ნობელის პრემია. საინტერესოა, რა ბედი ეწია ნობელის დინასტიის წარმომადგენლებს... დინამიტის გამომგონებლის მრავალრიცხოვანი შთამომავლობა მიმოფანტულია მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. ამერიკელმა მოქალაქემ ნინა ნობელმა (შვილთაშვილი) ცნობილი წინაპრისგან განსხვავებით, ცხოვრების სხვა გზა აირჩია. იგი ეხმარება იმათ, ვისაც ესაჭიროება მისგან დახმარება. უკვე ერთი წელიწადია, ქ-ნი ნინა ტაშკენტში ცხოვრობს და წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საერთაშორისო ორგანიზაციების ჰუმანიტარული დახმარების პროგრამას ახორციელებს არალისპირეთში. გთავაზობთ **ნინა ნობელის** ინტერვიუს ამონარიდს.

**— გავიხსენოთ არალის ზღვის ტრაგედია. ის პროგრამა, რომელსაც თქვენ ხელმძღვანელობთ, არის ცენტრალურ აზიაში გლობალური ეკოლოგიური უბედურების მიმართ მსოფლიო საზოგადოებრიობის გამოძახილი. რას იტყვით ამ ფაქტთან დაკავშირებით?**

— არალის კრიზისი არის საბჭოთა სისტემის ერთ-ერთი „უდიდესი მიღწევა". მილიონწლიანმა არალის ზღვამ რაღაც 2 ათეულ წელიწადში 640 კუბკმ წყალი დაკარგა (ნახევარზე მეტი!), დაკარგა მარილიანობა. უდაბნოდქცეულ ტერიტორიაზე ქარი ათეული მილიონობით ტონა შხამიან მარილიან მტვერს დააქროლებს 800 კმ-ის მანძილზე. გაქრა თევზი, ათასობით მეთევზე უმუშევარი დარჩა. სავალალოა ბავშვების მდგომარეობა, რომლებსაც ვერც წარმოუდგენიათ უკეთესი ცხოვრება. ეს მზარავს. ბავშვებს სუფთა წყალი არა აქვთ და მწვანე ბალახსაც ვერ ხედავენ.

**— ხალხი წლობით სვამს უვარგის წყალს... ეტყობა, მიეჩვია ადამიანის ორგანიზმი?**

— რა მიჩვევაზეა ლაპარაკი. ბავშვთა სიკვდილიანობა აქ ყველაზე მაღალია მსოფლიოში. ქალების 80% ანემიით არის დაავადებული. მძვინვარებს ჰეპატიტი, მუცლის ტიფი; არის შემთხვევები, როცა ახალშობილი უარს ამბობს დედის მარილიან რძეზე. ასე იძიებს არალი შურს... საქმე ის არის, რომ ცენტრალური აზიის სახელმწიფოებს არ გააჩნიათ სახსრები, რომ არალის კრიზისის ზონა გამოაჯანსაღონ.

**— საჭიროა საერთაშორისო მხარდაჭერა, ფინანსური დახმარება. რატომღაც შენელდა დონორი სახელმწიფოების ინტერესი ამ რეგიონის მიმართ.**

— არა მგონია, სულ ასე იყოს. ჩვენი ჰუმანიტარული დახმარების პროგრამა მთლიანად რეალიზებულია. ჩვენს პროგრამას ამერიკის წითელი ჯვარი ასპონსორებს, ვმუშაობთ ყაზახეთსა, თურქმენეთსა და უზბეკეთში. დახმარებას ღებულობენ პირველ რიგში ინვალიდების სახლი, ტუბერკულოზის საავადმყოფო, ბავშვთა სახლები და მრავალშვილიანი ოჯახები. თითოეულმა ოჯახმა ჩვენგან 120 კგ სურსათი მიიღო. ჩვენი ანგარიშით, გამოვკვებეთ დაახლოებით 100 ათასი ადამიანი. ასეც გვქონდა დაგეგმილი.

**— რა დაგიჯდათ ჰუმანიტარული ტვირთის გადმოზიდვა და დახარისხება?**

— პროექტის ღირებულება (შემოტანა, ტვირთის შენახვა) 4 მლნ დოლარი ღირს. თვით ჰუმანიტარული სურსათი კი ამერიკელ ქველმოქმედთაგან უფასოა.

**— გაგიჭირდათ პროექტის რეალიზება?**

— დიდი სიძნელეები გადავლახეთ. ტვირთს დიდი გზა უნდა გაევლო. ამერიკიდან ევროპამდე — ზღვით, მერე ბუხარამდე — რკინიგზით, შემდეგ საწყობებში — ავტომობილებით. ჩვენი ჰუმანიტარული ტვირთის ირგვლივ ყოველთვის ვხედავდით საეჭვო პიროვნებებს, რომლებიც ცდილობდნენ, რაიმე ნაწილი ხელთ ეგდოთ. დიდი ძალისხმევა გვჭირდებოდა, ტვირთს რომ დანიშნულ ადგილზე, ადრესატამდე მიეღწია. დღეს პროექტი პრაქტიკულად შესრულებულია. დავრწმუნდით, რომ ადგილობრივი ზოგიერთი მოხელე კეთილსინდისიერია.

**— კმაყოფილი ხართ თქვენი მუშაობით?**

— ყველაფერი გავაკეთე, რაც შემეძლო. ძალიან მიხარია, რომ ქველმოქმედებმა პროექტის გაგრძელება გადაწყვიტეს. კიდევ ერთ წელიწადს „გამოვკვებავთ" არალის ეკოლოგიური კრიზისის ზონაში მცხოვრებთ. არასოდეს დავივიწყებ ამ დროს, უზბეკ ხალხს, მე ბევრი რამ ვისწავლე, ბევრი დავინახე... როგორ ტოვებდნენ თავიანთ სახლ-კარს უსახსრობისა და ცუდი პირობების გამო... მაგრამ ყარაკალპაკები სხვა ხალხია, მათ ამ გაუბედურებულ მიწასთან წინაპრების მრავალსაუკუნოვანი ხსოვნა აკავშირებთ. ძლიერი ხალხია და ამასთანავე გულუბრყვილოც. მოხუცებს სჯერათ, რომ ზღვა დაუბრუნდება მათ დალოცვილ მიწას...

ახალგაზრდებმა კი იციან, რომ ბუნების მკვლელობაში სტიქია კი არ არის დამნაშავე, არამედ თვით ადამიანი. და ასე ვიმკით ბოროტმოქმედი მოღვაწეობის შედეგებს.

**— არალისპირეთში არაფერი შეიცვლება. აღმოსავლეთ ქვეყნებში უძველესი დროიდან იცოდნენ წყლის ფასი, მას „თხევად ოქროს" უწოდებდნენ. დღეს თვით ვანადგურებთ მას. ახლა სხვადასხვა გამომგონებელს ნობელის პრემიით აჯილდოებენ. მაგრამ ბუნების დამცველებს არანაკლები ღვაწლი მიუძღვით კაცობრიობის წინაშე. ისინიც უნდა დაჯილდოვდნენ ნობელით.**

— სამწუხაროა, ალფრედ ნობელმა სიკვდილის წინ თავის პროექტში არ შეიტანა პრემიის გაცემა ბუნების დაცვისთვის. რასაკვირველია, ეს არ არის სამართლიანი.. იქნებ სხვა, მაგრამ არანაკლებ პრესტიჟული ჯილდო უნდა არსებობდეს კაცობრიობის გადამრჩენთათვის.

***ნეზავისიმაია გაზეტა №121***

# ახალი ნაპოლეონი კორსიკაზე...



ის, რომ ცნობილ პიროვნებათა შვილები, შვილიშვილები და ნათესავები ცდილობენ, თავიანთი სახელგანთქმული წინაპრების ნაკვალევს გაჰყვნენ, სავსებით ბუნებრივია. ამ მხრივ გამონაკლისი არც ლეგენდარული ნაპოლეონის ერთ-ერთი შთამომავალი გახლავთ — მან 130 წლის შემდეგ „დიდი ნაპოლეონის" სახელის დაბრუნება მოისურვა პოლიტიკაში. ახალ ნაპოლეონს ისეთივე გრანდიოზული გეგმები არა აქვს, როგორიც მის დიდ წინაპარს. იგი არ აპირებს არც იმპერიის შექმნას, არც ქვეყნებისა და კონტინენტების დაპყრობას. ერთადერთი, რაც სურს, ის არის, რომ კორსიკის მერი გახდეს.

50 წლის კაროლ ნაპოლეონი, შვილთაშვილი იერონიმ (ჟერომი) ბონაპარტისა (იმპერატორის ძმისა), არქიტექტორია და პარიზის პატარა კომპანიაში მუშაობს. იგი მთელი ამ დროის მანძილზე კორსიკაზე იმპერატორის სახელს პატრონობს. მშობლიური კერის მიმართ სიყვარული ძირითადად პოლიტიკური მოტივით აიხსნება. საქმე ის გახლავთ, რომ მხოლოდ კორსიკაში მცხოვრებს აქვს არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლება და სწორედ ამის გაკეთებას აპირებს ახალი ნაპოლეონი: მომავალი წლის მარტში იგი მუნიციპალურ არჩევნებში დამოუკიდებელი კანდიდატის სახით წარდგება. პოტენციურ პოლიტიკოსს ორი ლოზუნგი აქვს: „უარი ვუთხრათ კორუფციას, რომლითაც დაავადებულია სხვადასხვა პარტია!" და მეორე — „არა" ვუთხრათ ნეპოტიზმს" (თანამდებობათა დარიგება თავიანთი ნათესავებისთვის). „ქუჩაში მაჩერებენ და მთხოვენ, რაიმე ვიღონო", — ამბობს ნაპოლეონის შთამომავალი. მაგრამ ცოტა არ იყოს, უხერხული ხომ არ არის ნეპოტიზმის წინააღმდეგ პროტესტი ნაპოლეონის შთამომავლისგან, იმ ნაპოლეონისა, რომელმაც თავისი ნათესავებით „დაასახლა" ევროპის თითქმის ყველა ქვეყანა და სახელმწიფო სტრუქტურები.

მაგრამ, იქნებ, ამ შემთხვევაში კვიცი გვარზე არ ხტის.

***იზვესტია №120***



# ლობანოვსკის ეპოქა დასრულდა?

## ჩემპიონთა ლიგა. I ჯგუფური ეტაპი. V ტური

**ჩემპიონთა ლიგის პირველი ჯგუფური ეტაპის დასრულებამდე ერთადერთი ტურია დარჩენილი, გასულ კვირას მომდევნო ეტაპზე გასული კიდევ რამდენიმე გუნდი გამოვლინდა. ზოგიერთმა კლუბმა საბოლოოოდ დაკარგა ჯგუფიდან გასვლის შანსი, თუმცა რამდენიმე ჯგუფში ისეთი სიტუაცია შეიქმნა, რომ ბოლო ტურის წინ ოთხივე გუნდს გააჩნია პრაქტიკული შანსი იმისა, რომ გაზაფხულიდან კვლავ ჩაერთოს ევროპის ყველაზე პრესტიჟულ საკლუბო ტურნირში. სამშაბათი სენსაციების დღე იყო, ოთხშაბათს თითქმის არც ერთი მოულოდნელი შედეგი არ დაფიქსირებულა.**

უაღრესად საინტერესო სიტუაცია შეიქმნა E ჯგუფში. „დეპორტივომ“ შინ „პანათინაიკოსს“ მოუგო და პირველობა გაინაღდა. ყველასათვის მოულოდნელად „იუვენტუსი“ შინ დამარცხდა „ჰამბურგთან“ და თავისუფლად შეიძლება, მეორე ეტაპზე ველარც გავიდეს. ბოლო ტურში ტურინელებს მხოლოდ გამარჯვება აძლევს ხელს სტუმრად „პანათინაიკოსთან“. საბერძნეთში მოგება როგორი საქმეა — კარგად მოგეხსენებათ, მით უმეტეს, ბერძნების გამარჯვების შემთხვევაში მეორე ეტაპზე სწორედ „პანათინაიკოსი“ გავა. ფრე „ჰამბურგისთვის“ არის ხელსაყრელი, ვინაიდან სავარაუდოა, რომ გერმანელები შინ ადვილად დაამარცხებენ უმოტივაციოდ დარჩენილ „დეპორტივოს“. „ბებერი ქალბატონი“ ზიდანმა და დავიდსმა დაალალატეს და პირველი ტაიმის მიწურულს მსაჯს წითელი ბარათები დასტყუეს. წაგება წაგებად და თუ იუვენტუსმა მეორე ეტაპზე ბრძოლა გააგრძელა, ზინედინ ზიდანის იმედი არც იქ უნდა ჰქონდეს. უეფამ იმსჯელა ტურინში მომხდარ ინციდენტზე, ისიც გაითვალისწინა, რომ ზიდანს სამი მატჩის წინაც წითელი ბარათი ჰქონდა მიღებული და ფრანგს ხუთმატჩიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯა. რაც შეეხება დავიდსს, იგი მხოლოდ „პანათინაიკოსთან“ მატჩში დააკლდება ტურინულ კლუბს.


ლაციო-შახტიორი 5:1

მიუხედავად იმისა, რომ ჩემპიონთა ლიგის ისტორიაში მიუნხენის „ბაიერნმა“ უსუსტესი თამაში ჩაატარა, ოტმარ ჰიტცფელდის გუნდი, რომელმაც შინ ვერ მოუგო შვედურ „ჰელსინგბორგს“, მაინც გავიდა მომავალ ეტაპზე. F ჯგუფის მეორე მატჩში კი იმდენი გოლი გავიდა, რამდენიც ლიგას არ ახსოვს. „პარი სენ ჟერმენმა“ 7:2 (!) მოუგო „რუსენბორგს“ და „ბაიერნის“ მსგავსად ისიც გაზაფხულიდან ჩაერთვება ჩემპიონთა ლიგის გათამაშებაში.

„მანჩესტერ იუნაიტედი“ დამარცხდა, ბელგიის „ანდერლეხტთან“ 1:2. დამარცხების შემდეგ კი ალექს ფერგიუსონმა ღმერთს მადლობა შესწირა — კიდევ კარგი დიდი ანგარიშით არ წავაგეთო. ის, რომ „იუნაიტედმა“ საშინლად ითამაშა, ბელგიელთა დამსახურებაა, „ანდერლეხტმა“ მინდვრის ერთი გოჯიც კი არ დაუთმო სახელოვან მეტოქეს — შედეგად G ჯგუფის ლიდერი გახდა და თუ ბოლო ტურში ფერგიუსონის ბიჭებმა „ოლდ ტრაფორდზე“ კიევის „დინამოს“ ვერ მოუგეს, ნაადრევად დაემშვიდობებიან გათამაშებას.

კვლავ საზიზღრად ითამაშა უკრაინის ჩემპიონმა. საკმარისია ითქვას, რომ კიევის „დინამოს“ შინ ერთი საგოლე მომენტიც კი არ შეუქმნია „ეინდჰოვენის“ კართან. კალაძისა და დემეტრაძის გუნდმა მეორე ეტაპზე გასვლის თეორიული შანსიც დაკარგა, უეფას თასზე კი მხოლოდ იმ შემთხვევაში ითამაშებს, თუ სტუმრად „მანჩესტერს“ დაამარცხებს, რაც მეტად ძნელი წარმოსადგენია. ბევრი სპეციალისტი უკვე მიიჩნევს, რომ ვალერი ლობანოვსკის დიდებული სამწვრთნელო კარიერა დასასრულს მიუახლოვდა. ვერც უკრაინის ნაკრები აჩვენებს ისეთ თამაშს, ლობანოვსკის გაწვრთნილ გუნდს რომ ეკადრება და ვერც კიევის „დინამო“. გიორგი დემეტრაძე რომ შევჩენკოს ვერ შეცვლიდა, იმთავითვე ნათელი იყო, თუმცა ასეთ სუსტ თამაშს მისგან მაინც არ ველოდით, თავის შესაძლებლობებზე ბევრად სუსტად ითამაშა კახი კალაძემაც, რომელიც მეორე ტაიმის დასაწყისშივე შეცვალეს. ჯგუფში კი ბოლო ტურის წინ ასეთი ვითარებაა: „მანჩესტერსა“ და კიევის „დინამოზე“ უკვე მოგახსენეთ. 8 ნოემბერს პ.ს.ვ. შინ ეთამაშება „ანდერლეხტს“ და თუ მოუგო ან მატჩი ფრედ დასრულდა — მეორე ეტაპზე ჰოლანდიური კლუბი ითამაშებს, „ანდერლეხტი“ კი გამარჯვებით ჯგუფიდან გასვლასაც გაინაღდებს და პირველ ადგილსაც. შეგახსენებთ, რომ თუ „მანჩესტერმა“ ვერ მოიგო, „ანდერლეხტი“ და პ.ს.ვ. ერთობლივად გააგრძელებენ მეორე ეტაპზე ბრძოლას.


მონაკო-გალათასარაი 4:2

უდიდესი ფეხბურთელია რივალდო. ბრაზილიელი რომ არა, „ბარსელონა“ ლიდსში დატოვებდა ჯგუფიდან გასვლის უკანასკნელ იმედს. „ბარსა“ მთელი 90 წუთი ცდილობდა თავისივე მეკარის, დუტრუელის მიერ მატჩის დებიუტში დაშვებული სულელური შეცდომის გამოსწორებას, მაგრამ სასწაულებს სჩადიოდა ინგლისელთა 19 წლის მეკარე რობინსონი. კატალონიელებს „შრომა“ მხოლოდ მატჩის 94-ე წუთზე დაუფასდათ, ლიდსში გამართული დრამატული მატჩი კი დიდი გაწევ-გამოწევით დასრულდა. „მილანმა“ სტუმრად უპრობლემოდ მოუგო „ბეშიქთაშს“ და ბოლო ტურის წინ თავი ქუდში აქვს. კატალონიელებმა სწორედ „მილანზე“ უნდა ილოცონ, თუ ალბერტო ძაკერონის გუნდი შინ „სან სიროზე“ ბოლო ტურში ლიდსს ვერ მოუგებს, ან არ მოუგებს — „ბარსელონას“, რომელიც ალბათ ბოლო ტურში შინ „ბეშიქთაშზე“ იყრის „ლიდსის“ ჯავრს, უეფას თასზე გამოსვლით მოუწევს დაკმაყოფილება. კლუბის პრეზიდენტს კი ახალი მთავარი მწვრთნელის მოძებნა დასჭირდება, ვინაიდან H ჯგუფში ჩარჩენას „ბარსას“ არავინ აპატიებს.

„ნოუ კამპზე“ წაფორხილების შემდეგ, ისევ გაახარა ქომაგები მადრიდის „რეალმა“. სამეფო კლუბმა შინ 4:0 მოუგო პორტუგალიის ჩემპიონს — „სპორტინგს“ და ბოლო ტურში მოსკოვში ასევე არხეინად მყოფ „სპარტაკთან“ პრესტიჟის დაცვას თუ შეეცდება. მოსკოველებმა, მართალია, სტუმრად წააგეს მწვრთნელგაგდებულ და შეურაცხყოფილ ლევერკუზენის „ბაიერთან“, მაგრამ ამ გუნდთან ბურთების დადებითი სხვაობა შეიქმნეს და ბოლო ტურის წინ სანერვიულო არაფერი აქვთ. უეფას თასზე კი A ჯგუფიდან კრისტოფ დაუმის ყოფილი კლუბი ითამაშებს, რომელიც ბოლო ტურში სტუმრად გაეჯიბრება ყველასგან დაბრიყვებულ „სპორტინგს“.

B ჯგუფში მოულოდნელი არაფერი მომხდარა, თუმცა აღსანიშნავია, რომ „შახტიორი“ პირველი ტაიმის შემდეგ რომში უგებდა „ლაციოს“. რომაელებმა მეორე ტაიმში ხუთჯერ დალაშქრეს უკრაინელთა კარი და სხვა ჯგუფებიდან გასულ გუნდებს ოფიციალურად შეუერთდნენ, თორემ „ლაციო“ რომ ჯგუფში არ დარჩებოდა, ამას დიდი მიხვედრა და წინასწარმეტყველება არ სჭირდებოდა. დიდებულ ფორმაშია ლონდონის „არსენალი“, რომელმაც მეორე ეტაპზე თამაში წინა ტურში გაინაღდა და შინ „ჰაიბერიზე“ საკუთარ პრესტიჟსაც პატივი სცა და სტადიონზე შეკრებილ მაყურებელსაც. ამ ჯგუფიდან კი უეფას თასზე „სპარტასა“ და „შახტიორისაგან“ ის ითამაშებს, რომელიც ბოლო ტურის მატჩს უკეთ ჩაატარებს. „სპარტა“ „ლაციოს“ მასპინძლობს, „შახტიორი“ კი — „არსენალს“.

C ჯგუფში „ვალენსიას“ განაღდებული ჰქონდა პირველი ადგილი და პირეოსში „ოლიმპიაკოსის“ წინააღმდეგ დიდად არ გამოუდვია თავი. ბერძნებმა, რომლებმაც მთელი 90 წუთი შეტევაში გაატარეს, სავსებით დამსახურებულად მოიგეს, თუმცა მომდევნო ეტაპზე გასასვლელად ეს საკმარისი არ აღმოჩნდა, ვინაიდან სტუმრად იმარჯვა მათმა უშუალო მეტოქემ — „ლიონმაც“. ასე რომ, ბოლო ტურში „ოლიმპიაკოსს“ ფრე მაინც სჭირდება სტუმრად „ლიონთან“, წაგების შემთხვევაში ბერძნებს უეფას თასზე მოუწევს თამაში, ჰოლანდიურ „ჰერენვენს“ კი ბოლო ადგილს ველარავინ „შეეცილება“.

D ჯგუფში კი ვითარება ისე დაიძაბა, რომ ოთხივე გუნდს აქვს არათუ ჯგუფიდან გასვლის, არამედ პირველი ადგილის (!) დაკავების შანსიც კი. ისე გამოდის, თითქოს ამ გუნდებს მთელი ხუთი ტურის მანძილზე ტყუილად უწვალიათ, თავად განსაჯეთ — „შტურმს“ ფრეც ხელს აძლევს, მოგებაზე რომ არაფერი ვთქვათ. „რეინჯერსი“ მოიგებს? — გადის, „მონაკო“ მოიგებს? — გადის, „გალათასარაი“ მოიგებს? — ისიც გადის. ბოლო ტურში ჯგუფის ლიდერი, ავსტრიული „შტურმი“ სტუმრად ეთამაშება „გალათასარაის“ და თუ წააგო ან შოტლანდიაში „რეინჯერსისა“ და „მონაკოს“ ბრძოლა ფრედ არ დასრულდა, მეორე ეტაპის მიღმა რჩება.

### A ჯგუფი

25.X.

ლევერკუზენი-სპარტაკი 1:0

რეალი-სპორტინგი 4:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეალი | 5 | 4 | 1 | 0 | 15:7 | 13 |
| სპარტაკი | 5 | 3 | 0 | 2 | 8:3 | 9 |
| ლევერკუზენი | 5 | 2 | 0 | 3 | 9:12 | 6 |
| სპორტინგი | 5 | 0 | 1 | 4 | 5:15 | 1 |

ბოლო ტური. 7 ნოემბერი: სპარტაკი-რეალი; სპორტინგი-ლევერკუზენი.

### B ჯგუფი.

25.X.

ლაციო-შახტიორი 5:1

არსენალი-სპარტა 4:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არსენალი | 5 | 4 | 1 | 0 | 11:5 | 13 |
| ლაციო | 5 | 3 | 1 | 1 | 12:4 | 10 |
| შახტიორი | 5 | 1 | 0 | 4 | 7:15 | 3 |
| სპარტა | 5 | 1 | 0 | 4 | 6:12 | 3 |

ბოლო ტური. 7 ნოემბერი: შახტიორი-არსენალი; სპარტა-ლაციო.

### C ჯგუფი

25.X.

ჰერენვენი-ლიონი 0:2

ოლიმპიაკოსი-ვალენსია 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვალენსია | 5 | 4 | 0 | 1 | 6:3 | 12 |
| ოლიმპიაკოსი | 5 | 3 | 0 | 2 | 6:4 | 9 |
| ლიონი | 5 | 2 | 0 | 3 | 7:6 | 6 |
| ჰერენვენი | 5 | 1 | 0 | 4 | 2:8 | 3 |

ბოლო ტური 7 ნოემბერი: ლიონი-ოლიმპიაკოსი; ვალენსია-ჰერენვენი.

### D ჯგუფი

25.X.

შტურმი-რეინჯერსი 2:0

მონაკო-გალათასარაი 4:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შტურმი | 5 | 3 | 0 | 2 | 7:10 | 9 |
| რეინჯერსი | 5 | 2 | 1 | 2 | 8:11 | 7 |
| გალათასარაი | 5 | 2 | 1 | 2 | 8:5 | 7 |
| მონაკო | 5 | 2 | 0 | 3 | 11:8 | 6 |

ბოლო ტური. 7 ნოემბერი: გალათასარი-შტურმი; რეინჯერსი-მონაკო.

### E ჯგუფი

24.X.

იუვენტუსი-ჰამბურგი 1:3

დეპორტივო-პანათინაიკოსი 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დეპორტივო | 5 | 2 | 3 | 0 | 5:3 | 9 |
| იუვენტუსი | 5 | 1 | 3 | 1 | 8:9 | 6 |
| პანათინაიკოსი | 5 | 1 | 2 | 2 | 3:4 | 5 |
| ჰამბურგი | 5 | 1 | 2 | 2 | 8:8 | 5 |

ბოლო ტური. 8 ნოემბერი: ჰამბურგი-დეპორტივო; პანათინაიკოსი-იუვენტუსი.

### F ჯგუფი

24.X

ბაიერნი-ჰელსინგბორგი 0:0

პარი სენ ჟერმენი-რუსენბორგი 7:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაიერნი | 5 | 3 | 1 | 1 | 8:3 | 10 |
| პ.ს.ჟ. | 5 | 3 | 0 | 2 | 13:8 | 9 |
| რუსენბორგი | 5 | 2 | 0 | 3 | 12:14 | 6 |
| ჰელსინგბორგი | 5 | 1 | 1 | 3 | 5:13 | 4 |

ბოლო ტური. 8 ნოემბერი: რუსენბორგი-ბაიერნი; ჰელსინგბორგი-პ.ს.ჟ.

### G ჯგუფი

24.X.

ანდერლეხტი-მანჩესტერი 2:1

დინამო-ეინდჰოვენი 0:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ანდერლეხტი | 5 | 3 | 0 | 2 | 8:12 | 9 |
| პ.ს.ვ. | 5 | 3 | 0 | 2 | 7:6 | 9 |
| მანჩესტერი | 5 | 2 | 1 | 2 | 10:7 | 7 |
| დინამო | 5 | 1 | 1 | 3 | 7:7 | 4 |

ბოლო ტური 8 ნოემბერი: პ.ს.ვ.-ანდერლეხტი; მანჩესტერი-დინამო.

### H ჯგუფი

24.X

ბეშიქთაში-მილანი 0:2; ლიდსი-ბარსელონა 1:1.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მილანი | 5 | 3 | 1 | 1 | 11:5 | 10 |
| ლიდსი | 5 | 2 | 2 | 1 | 8:5 | 8 |
| ბარსელონა | 5 | 1 | 2 | 2 | 8:9 | 5 |
| ბეშიქთაში | 5 | 1 | 1 | 3 | 4:12 | 4 |

ბოლო ტური: 8 ნოემბერი. მილანი-ლიდსი; ბარსელონა-ბეშიქთაში.

## უეფას თასი. მეორე ეტაპი. I მატჩები

**23.X.**

**ირაკლისი (საბერძნეთი) — კაიზერი (გერმანია) 1:3**

**24.X.**

**უდინეზე (იტალია) — პაოკი (საბერძნეთი) 1:0**

**ვერდერი (გერმანია) — გენკი (ბელგია) — 4:1**

**ოსიეკი (ხორვატია) — რაპიდი (ავსტრია) 2:1**

**27.X.**

**ვისლა (პოლონეთი) — პორტუ (პორტუგალია) 0:0**

**ტიროლი (ავსტრია) — შტუტგარტი (გერმანია) 1:0**

**ლოკომოტივი (რუსეთი) — ინტერი (სლოვაკეთი) 1:0**

**ლილესტრიომი (ნორვეგია) — ალავესი (ესპანეთი) 1:3**

**ნანტი (საფრანგეთი) — მ.ტ.კ. (უნგრეთი) 2:1**

**ჰერტა (გერმანია) — ამიცა (პოლონეთი) 3:1**

**პარმა (იტალია) — დინამო (ხორვატია) 2:0**

**აეკ (საბერძნეთი) — ჰერფიოლგე (დანია) 5:0**

**ოფი (საბერძნეთი) — სლავია (ჩეხეთი) 2:2**

**ლოზანა (შვეიცარია) — აიაქსი (ჰოლანდია) 1:0**

**ბაზელი (შვეიცარია) — ფეინოორდი (ჰოლანდია) 1:2**

**ჰალმსტადი (შვედეთი) — მიუნხენ 1860 (გერმანია) 3:2**

**ბრიუგე (ბელგია) — სენტ გალენი (შვეიცარია) 2:1**

**ცრვენა ზვეზდა (იუგოსლავია) — სელტა (ესპანეთი) 1:0**

**ბორდო (საფრანგეთი) — სელტიკი (შოტლანდია) 1:1**

**ინტერი (იტალია) — ვიტესი (ჰოლანდია) 0:0**

**რაიო ვალეკანო (ესპანეთი) — ვიბორგი (დანია) 1:0**

**ლივერპული (ინგლისი) — ლიბერეცი (ჩეხეთი) 1:0**

**ბოავიშტა (პორტუგალია) — რომა (იტალია) 0:1**

**ესპანიოლი (ესპანეთი) — გრაცერი (ავსტრია) 4:0**

## არსენ ვენგერს ინგლისის ნაკრების ჩაბარება არ სურს

ლონდონის „არსენალის“ მთავარმა მწვრთნელმა ფრანგმა არსენ ვენგერმა გასულ ხუთშაბათს ოფიციალურად განაცხადა, რომ არავითარ შემთხვევაში არ ჩაუდგება სათავეში ინგლისის ეროვნულ ნაკრებს. ვენგერს ლონდონურ კლუბთან კიდევ ორწლიანი კონტრაქტი აკავშირებს. მიუხედავად მწვრთნელის ოფიციალური განცხადებისა, ბრიტანელი მიმომხილველები მაინც ფრანგ მწვრთნელს ასახელებენ ინგლისის ნაკრების მწვრთნელის მთავარ კანდიდატად, იქაური ტოტალიზატორები კი კვლავ გამალებით იღებენ ფსონებს არსენ ვენგერის კანდიდატურაზე და თან საკმაოდ მაღალი კოეფიციენტით. წინა კვირაში გაუწყეთ, რომ ამ პოსტზე განიხილებოდა აგრეთვე გერმანიის ნაკრების ყოფილი მწვრთნელის ბერტი ფოგთსის დანიშვნის საკითხი. ფოგთსის შესახებ ხმები მიწყნარდა, სამაგიეროდ კიდევ ორი კანდიდატურა ამოტივტივდა — „ლაციოს“ თავკაცი სვენ გორან ერიქსონი და დანიური კოპენჰაგენის მწვრთნელი, შოტლანდიის ნაკრების ყოფილი თავკაცი როი ჰოჯსონი.

## ხორვატები უმწვრთნელოდ დარჩნენ

ხორვატიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი მიროსლავ ბლაჟევიჩი, რომელმაც იქაური ფეხბურთის ისტორიაში ნაკრებს უდიდესი წარმატება მოუტანა, თანამდებობიდან გადადგა. ბლაჟევიჩმა 1998 წელს ხორვატიის ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატის პრიზიორად აქცია, ახლა კი განაცხადა, რომ მობეზრდა პრესისაგან ამდენი უადგილო კრიტიკა. უკანასკნელ 23 მატჩში ხორვატიის ნაკრებმა მხოლოდ 6 მოიგო, ამდენივე წააგო და 11 ფრედ დაასრულა, რაც საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ ერთ დროს გმირად შერაცხული მწვრთნელი გაეთავისუფლებინათ. მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში ხორვატებს ორი მატჩი აქვთ ჩატარებული, ორივე მათგანი ფრედ დასრულდა. ახალ თავკაცს ხორვატები სავარაუდოდ მიმდინარე კვირაში დანიშნავენ.

## საჭადრაკო კლუბი

**„კვირის პალიტრა“ აქვეყნებს საჭადრაკო ამოცანებს, მათი ამოხსნისათვის საჭადრაკო დაფა არ არის აუცილებელი.**

შავების დაშამათება არ უნდა გაგიჭირდეთ (თუ, რა თქმა უნდა, მოინდომებთ).

წინა ამოცანის ამოხსნა: 1. ლg6-e6!

თეთრები იწყებენ და აკეთებენ მათს ორ სვლაში.



# სპორტი და თემიდა

## ვირანკმა დოპინგის გამოყენება აღიარა



ცნობილ ფრანგ ველომრბოლელ რიშარ ვირანკს ერთწლიანი დისკვალიფიკაცია ემუქრება. ასეთი იქნება იმ აღიარების შედეგი, რომელიც მას სასამართლომ თავისი სხდომის მეორე დღეს აიძულა ქალაქ ლილში. „ფესტინას საქმე“ ამ ქალაქის სასამართლოში თითქმის ორი წლის წინ აღიძრა. ვირანკი ამ გუნდის ლიდერი იყო 1998 წლის „ტურ დე ფრანსზე“, სადაც გრანდიოზული დოპინგ-სკანდალი მოხდა.

„დიახ მე დოპინგს ვიღებდი — თქვა ვირანკმა — მაგრამ მე არჩევანი არ მქონდა. ჩვენ ისეთ სამყაროში ვცხოვრობთ, რომლის კანონები ძალიან დიდი ხნის წინაა დადგენილი და თუ მათ არ დაემორჩილები, „თეთრ ყვავად“ გადაიქცევი და ფაქტობრივად აღარც იარსებებ. ველოსპორტში არასოდეს იტყვიან: „დოპინგის მიღება“, იქ ამბობენ: „შეჯიბრისათვის მზადება“. მე უბრალოდ ექიმს ვენდობოდი“.

დისკვალიფიკაციის საბოლოო ვადას შვეიცარიის ველოფედერაცია დაადგენს, რომლის ლიცენზიითაც გამოდის ფრანგი სპორტსმენი უკვე ორი წელია. ამ ქვეყანაში საცხოვრებლად ვირანკი ორი წლის წინ გადავიდა, დოპინგ-სკანდალის ატეხვისთანავე.

## ლუშენბურგუს დასაჭერად აქვს საქმე



ბრაზილიურ ფეხბურთში ახალი გრანდიოზული სკანდალი მწიფდება. სამშაბათს სენატის სპეციალურმა კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ მოხსნას ყოველგვარი საიდუმლოება ბრაზილიის ნაკრების ყოფილი მწვრთნელის ვანდერლეი ლუშენბურგუს საბანკო ანგარიშებსა და საგადასახადო ქვითრებზე. მას ბრალად გადასახადებისათვის თავის არიდება და გუნდის მწვრთნელის პოსტზე ყოფნისას თანამდებობის ბოროტად გამოყენება ედება. ამას გარდა სენატორთა სამიზნეში აღმოჩნდა ბრაზილიის ფეხბურთის კონფედერაცია, კერძოდ ისინი აპირებენ შეისწავლონ კონფედერაციასა და ცნობილ ფირმა „ნაიკს“ შორის დადებული გარიგების დეტალები. „ნაიკი“ კონფედერაციის ოფიციალური სპონსორია.

ბრაზილიური პრესის ცნობებით სენატის კომისია წლის ბოლომდე აპირებს ოცზე მეტი ისეთი ადამიანის დაკითხვას, რომელთა სახელი ფეხბურთის ნებისმიერი გულშემატკივრისთვისაა ცნობილი — ამ სიაში ისეთი ხალხი მოხვდა, როგორებიც ფიფას ყოფილი პრეზიდენტი ჟოაო აველანჟი, „ფეხბურთის მეფე“ პელე, კონფედერაციის ამჟამინდელი ხელმძღვანელი რიკარდუ ტეიშეირა და „ვასკუ და გამას“ თავდამსხმელი რომარიო არიან. კანონმდებლებს უნდათ პელესაგან გაიგონ, თუ კონკრეტულად რა ჰქონდა მას მხედველობაში, როდესაც სამი წლის წინ ჟურნალ „ვეჟასთვის“ მიცემულ ინტერვიუში განაცხადა: „ბევრს მოუწევდა ციხეში გამომწყვდევა, თუ გაცხადდებოდა ყველაფერი, რაც დაკავშირებულია ფეხბურთელებსა და კლუბებს შორის კონტრაქტებთან და კიდევ ბევრ სხვა საფეხბურთო საქმეებთან.“

აველანჟს, სენატორთა აზრით, შეუძლია ძიებას დაეხმაროს, რადგან უზარმაზარი გამოცდილება აქვს ფიფას პრეზიდენტად მუშაობისა და ყველაზე უკეთ იცის ფედერაციებსა და სპონსორებს შორის ურთიერთობის უმცირესი დეტალებიც კი.

## რუასაც სასამართლოში მისვლა მოუწევს




ჰოკეის მოყვარულებმა იციან, რომ ორიოდე კვირის წინ NHL-ის კიდევ ერთი რეკორდი აღინიშნა დიდი ზარ-ზეიმით — „კოლორადო ეველანშის“ 35 წლის გოლკიპერი პატრიკ რუა ყველა დროის აბსოლუტური რეკორდსმენი გახდა მოგებული მატჩების მიხედვით და ჰოკეის ე.წ. „დიდების დარბაზში“ შეიყვანეს. მაგრამ უეცარმა პოპულარობამ რუას თავსატეხიც გაუჩინა — პრესა ზედმეტად გულმოდგინედ დაინტერესდა მისი პირადი ცხოვრებით და ორიოდე დღის წინ მის ფურცლებზე გაჩნდა ცნობა, რომ ახალგამომცხვარი რეკორდსმენი სახლში სკანდალებს აწყობს, რაც დასამტვრევია, ყველაფერს ამტვრევს და ყინულზე მეტოქეებთან დაწყებულ ჩხუბს სახლში თავის ცოლთან ამთავრებს.

რუას ერთი ღამე გაუთენებია პოლიციის განყოფილებაში, სადაც თავისი მეუღლის — მიშელის საჩივრის გამო მიუბრძანებიათ, დილას ჯარიმაც გადაახდევინეს და სასამართლოშიც დაიბარეს. როგორ დამთავრდება ეს „ოჯახური გაუგებრობა“ ჯერჯერობით უცნობია, მაგრამ რუას გულშემატკივრები მას უჭერენ მხარს და დენვერის ქუჩებში უკვე ტრანსპარანტებიც გამოჩნდა: „მიშელ, ნუ უშლი ქმარს ნერვებს!“

## პსჟ დიდიე დომის დაბრუნებას ცდილობს

ორი წლის წინ „პარი სენ ჟერმენმა“ თავისი მცველი დიდიე დომი ინგლისურ „ნიუკასლს“ მიჰყიდა 2,5 მილიონ გირვანქა სტერლინგად. იმის შემდეგ პარიზული გუნდის ფინანსური მდგომარეობა გაცილებით გაუმჯობესდა და ამჟამად იგი ფეხბურთელების ყიდვით უფროა დაკავებული, ვიდრე მათი გასხვისებით. როდესაც გუნდს კვალიფიციური მცველები დასჭირდა, მათ ისევ დომი გაახსენდათ და „ნიუკასლს“ შეეხმიანნენ, მაგრამ ინგლისელთა, წელს დანიშნული მწვრთნელი ბობი რობსონი უარზეა და თავის მხრივ პარიზელებს სხვა მცველს — აგრეთვე მათ თანამემამულეს ალენ გომას სთავაზობს.

მოლაპარაკებები ამ კვირაში უნდა დამთავრდეს.

## მაკ-მანამანის საქმეც გაურკვეველია



შარშან მადრიდის „რეალში“ დიდი ზარზეიმით გადასული სტივ მაკ-მანამანი, ბევრისათვის მოულოდნელად, ესპანურ კლუბში სათადარიგოთა სკამზე აღმოჩნდა — მიმდინარე სეზონში მან მოლოდ 48 წუთი დაჰყო მოედანზე. აქედან 26 — ჩემპიონთა ლიგის მატჩში. ამის მიუხედავად, მაკ-მანამანი კატეგორიულ უარზე იყო ინგლისში დაბრუნებაზე და გაწბილებულები გაისტუმრა „მიდლსბროს“ მენეჯერები, რომლებიც კარგ ანაზღაურებას და ძირითად შემადგენლობაში თამაშს ჰპირდებოდნენ, თუმცა ამან უკან ვერ დაახევინა „ლიდსის“ ხელმძღვანელობას, რომელმაც მადრიდის რეალს 12,5 მილიონი დოლარი შესთავაზა თანამემამულე თავდამსხმელის სანაცვლოდ, იმის მიუხედავად, რომ ამ კონტრაქტის განხორციელების შემთხვევაშიც კი, მაკ-მანამანს უფლება არ ექნება „ლიდსისათვის“ უმთავრეს ტურნირში — ჩემპიონთა ლიგაში მონაწილეობის მიღებისა.

„მიდლსბროსგან“ განსხვავებით, „ლიდსელებს“ მაკ-მანამანმა მოსაფიქრებელი დრო — ათი დღე მოსთხოვა. ეტყობა, მადრიდში სათადარიგოთა სკამის „ხეხვა“ უკვე მასაც ყელში ამოუვიდა.

## „რეალმა“ ბრაზილიელი მცველი „მილანს“ ათხოვა

მადრიდის „რეალის“ მცველი ხულიო სეზარი, სეზონის ბოლომდე იჯარის წესით გადავიდა იტალიურ „მილანში“ ამის შესახებ ხუთშაბათს ოფიციალურად გამოაცხადა სამეფო კლუბის პრესცენტრმა. პარასკევს ბრაზილიელმა ცენტრალურმა მცველმა, რომელიც „რეალმა“ ერთი წლის წინ იყიდა, მილანურ კლუბში სამედიცინო შემოწმება გაიარა, ხოლო შაბათს, უკვე კონტრაქტს ხელი მოაწერა კლუბებს შორის შეთანხმების მიხედვით, „მილანს“ არ ექნება შემდგომში ხულიო სეზარის გამოსყიდვის უფლება — ამგვარად, მიმდინარე საზონის დასრულებისთანავე ბრაზილიელი მადრიდში დაბრუნდება.

გასულ სეზონში ხულიო სეზარმა ესპანეთის ჩემპიონატში 21 მატჩი ჩაატარა „რეალის“ შემადგენლობაში, წელს კი უფრო ხშირად სათადარიგოთა სკამზე ჯდომა უხდებოდა, რადგან მისი ძირითადი კონკურენტი — ფერნანდო იერო ტრავმის შემდეგ გამოჯობინდა. თავის მხრივ „მილანს“ დღეისათვის დიდი პრობლემები აქვს დაცვაში, რომლებიც განსაკუთრებით რობერტო აიალას გაყიდვისა და ფერნანდო რედონდოს სწორედ „რეალში“ გაყიდვის შემდეგ გამწვავდა.

## უეფას „საპატიო ნიშნები“ — სუპერკლუბებს

ამსტერდამის „აიაქსი“, მადრიდის „რეალი“, „მილანი“ და მიუნხენის „ბაიერნი“ ის გუნდები არიან, რომლებმაც უეფასაგან თავიანთ ფორმაზე თავისებური განმასხვავებელი ნიშნის ტარების უფლება მიიღეს.

ასეთი პატივი მხოლოდ იმ კლუბებს ერგოთ, რომლებიც თავიანთი ისტორიის მანძილზე ხუთჯერ, ან ზედიზედ სამჯერ ფლობდნენ ევროპის ყველაზე პრესტიჟულ საკლუბო ჯილდოს — ჩემპიონთა თასს. ანუ როგორც მას ხშირად უწოდებენ, „ყურებიან თასს“.

„აიაქსი“ თასს 1971, 1972, 1973 და 1995 წლებში ფლობდა და ამიტომ თასის გამოსახულებიანი ნიშნის ზემოთ ამიერიდან ამ კლუბის ფეხბურთელების მაისურებზე ციფრი „4“ იქნება გამოსახული. გარდა ამისა, ამსტერდამის კლუბი ერთადერთია ოთხ დანარჩენ დაჯილდოებულს შორის, რომელიც ორი დანარჩენი ევროთასის — უეფასა და თასების თასის მფლობელიც იყო: „უეფას“ თასი მათ 1992 წელს, ხოლო თასების თასი კი — 1987 წელს მოიპოვეს. ამას გარდა „აიაქსის“ ანგარიშზე ევროპის სუპერთასზე მოპოვებული სამი გამარჯვებაცაა.

## „სიმღერა დიეგოზე“



იტალიურმა როკ-ჯგუფმა „დონე ე კოლორი“, რომელმაც მილანის „სან-სიროს“ სტადიონის 20 წლისთავთან დაკავშირებით კომპაქტ-დისკი გამოუშვა, თავისი ერთ-ერთი სიმღერა დიეგო მარადონას მიუძღვნა, რომელიც სულ მალე თავის 40 წლის იუბილეს იზეიმებს. როკ-ჯგუფის ლიდერმა განაცხადა: „მარადონა იმსახურებს ისტორიის ყოველ გვერდზე ჩაწერას, რადგან ის ბურთთან ყოველ შეხებას შედევრად აქცევდა“. არგენტინის ერთ-ერთმა ტელეარხმა უკვე გამოაცხადა ამ სიმღერის შესყიდვის სურვილი, რომლის მიხედვითაც ვიდეო-კლიპის გადაღება სურს.

იტალიელმა მუსიკოსებმა განაცხადეს, რომ გადაწყვეტილი აქვთ კიდევ ერთი სიმღერის შექმნა, ამჯერად „ნაპოლის“ შესახებ, რომელშიც მარადონა წამყვანი მოთამაშე იყო და ორჯერ — 86/87 და 89/90 წლების სეზონში იგი ჩემპიონი გახდა.

## მორაგბეებს სურთ ვიდეოთი მსაჯობა სცადონ

შოტლანდიის რაგბის ფედარაციამ მსაჯობის ახალი ხერხი შესთავაზა გულშემატკივრებს — ვიდეოს საშუალებით. რაც სამ საერთაშორისო ამხანაგურ მატჩში იქნება გამოცდილი. ახლა ერთი მსაჯი მატჩის პერიპეტიებს თვალყურს ვიდეომონიტორის საშუალებით მიადევნებს, ხოლო მისი მითითებები რადიოკავშირით იქნება გადაცემული. ასე რომ, მას მოუსმენენ არა მხოლოდ სპორტსმენები, არამედ მაყურებლებიც. არბიტრებს აშშ-ს, ავსტრალიისა და სამოას ეროვნული გუნდების წინააღმდეგ მატჩებში რეგბის საერთაშორისო კავშირი დანიშნავს და ისინი ნეიტრალური ქვეყნების წარმომადგენლები იქნებიან. მსაჯობის ასეთი მეთოდი რამდენიმე წლის წინ უკვე იყო გამოყენებული სამხრეთ სანევარსფეროს სარეგბო ჩემპიონატებში.

## რუსი «კრემლის თასის» ფინალში დამარცხდა




წყვილთა თანრიგში პარტნიორები, ერთეულთა ფინალში ერთმანეთს დაუპირისპირდნენ.

მოსკოვში დასრულებულ „კრემლის თასის“ ფინალში, რუსი ანა კურნიკოვა და მსოფლიოს პირველი ჩოგანი, შვეიცარიელი მარტინა ჰინგისი შეხვდნენ ერთმანეთს. კურნიკოვას ვერაფერი უშველა მრავალრიცხოვანი თაყვანისმცემლების მხურვალე ქომაგობამ და ორ სეტში დამარცხდა — 3:6, 1:6.

ჰინგისმა ჯილდოდ 166 ათასი დოლარი მიიღო და მასთან ერთად მთავარი პრიზიც, რომელიც მოსკოვის მერმა იური ლუჟკოვმა გადასცა.

აღსანიშნავია, რომ სპეციალისტებისთვისაც და თავად ჰინგისისთვისაც მოულოდნელობად იქცა ის, რომ ფინალზე მეტად მეოთხედფინალური მატჩისას გაუჭირდა, სადაც მხოლოდ მესამე დამატებით სეტში სძლია ახალგაზრდა რუს ჩოგბურთელს ელენა დემენტიევას — 7:5;

## პიტ სამპრასს სპორტზე მეტად სიყვარულში უმართლებს

ამერიკელმა ჩოგბურთელმა პიტ სამპრასმა, რომელიც მსოფლიო კლასიფიკაციაში მესამე ადგილზე იმყოფებოდა, უკანასკნელ მომენტში უარი განაცხადა ვენაში მიმდინარე ტურნირში მონაწილეობაზე.

ტურნირის ორგანიზატორები ძალიან ნაწყენნი დარჩნენ, მაგრამ თვით სამპრასს ეს დიდად არ უდარდია. შეგახსენებთ, რომ უკანასკნელად მან ამერიკის ღია ჩემპიონატზე ითამაშა, სადაც ფინალში რუს მარატ საფინთან დამარცხდა. ამ წაგების შემდეგ, ამერიკული პრესა მხოლოდ სამპრასის ლანძღვით იყო დაკავებული და მისი კარიერის დასასრულზე ალაპარაკდა: „პიტის ერა დასრულდა“, „პიტი დანებდა“... ამ პუბლიკაციების პასუხად სამპრასი ადგა და... ცოლი შეირთო. მსოფლიო ჩოგბურთის ვარსკვლავი თავის თანამემამულეზე, კინომსახიობ ბრიჯიტ უილსონზე დაქორწინდა. ქორწილი ბევერლი-ჰილზში, სამპრასის სახლში გადაიხადეს. პატარძლის კაბაზე 400 ათასი დოლარის ბრილიანტები იყო ასხმული. სხვათა შორის, ამ ქალბატონს უკვე კარგა ხანია ხედავდნენ სამპრასის ყველა მატჩის მაყურებელთა შორის, თუმცა ქორწინებაზე არავინ ლაპარაკობდა, რადგან სამპრასს, უფრო ხშირად, მსახიობ ჯიმ კერის ყოფილ ცოლთან, ლორენ ჰოლისთან ერთად აფიქსირებდა პრესა.

როგორც სამპრასმა განაცხადა, — ოჯახური პრობლემა უკვე მოაგვარა და ახლა ჩოგბურთისთვისაც მოიცლის.

## «კასპაროვის ერა» დამთავრდა?!



ლონდონში დასასრულს მიუახლოვდა მატჩი მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისათვის ჭადრაკში, მის ახლანდელ მფლობელ გარი კასპაროვსა და ახალგაზრდა პრეტენდენტ ვლადიმირ კრამნიკს შორის.

ათი პარტიის შემდეგ, კრამნიკი ორი ქულით იგებდა — 6:4, რაც სენსაციის წინაპირობად იქნა ყველას მიერ აღქმული. თუმცა კასპაროვის მომხრეებს იმედი ჰქონდათ, რომ მეთერთმეტე პარტიაში, თეთრებით თამაშისას მათი კერპი მოახერხებდა ანგარიშში სხვაობის მინიმუმამდე შემცირებას. „სასწაულით გადამირჩა“ — თქვა კასპაროვმა, ამ პარტიის ყაიმის დამთავრების შემდეგ, მაგრამ მისი ბაქი-ბუქისა ბევრს აღარ სჯერა და აცხადებენ, რომ „კასპაროვის ერა“ ჭადრაკში დასასრულს მიუახლოვდა.

მართლაც საეჭვოა, რომ კრამნიკმა დარჩენილ 5 პარტიაში ორი ქულა ვერ მოიპოვოს, რაც მას ჩემპიონის გვირგვინს დაადგამს.

## ახალგაზრდა ქართველმა მოჭადრაკეებმა მსოფლიო ჩემპიონატზე გაიმარჯვეს

მორიგ წარმატებას მიაღწიეს ახალგაზრდა ქართველმა მოჭადრაკეებმა საერთაშორისო ასპარეზზე.

ესპანეთში ექვს ასაკობრივ ჯგუფში ჩატარდა მსოფლიო ჩემპიონატი, რომელიც თერთმეტ ტურად — შვეიცარიული სისტემით მიმდინარეობდა.

16 წლის სპორტსმენებს შორის, როგორც გოგონათა, ასევე ვაჟთა ტურნირში, ჩვენმა სპორტსმენებმა გაიმარჯვეს და მსოფლიო ჩემპიონობა მოიპოვეს.

გოგონებში სოფიკო ხუხაშვილმა იმარჯვა, რომელმაც 8,5 ქულა დააგროვა, ვაჟებში კი ზვიად იზორიამ გაიმარჯვა 9,5 ქულით.

ქართველ მოჭადრაკეებს არც სხვა ასაკობრივ ჯგუფებში შეურცხვენიათ თავი — ნანა ძაგნიძე, 14 წლის გოგონებს შორის მხოლოდ უარესი კოეფიციენტის გამო გავიდა მეორე ადგილზე, მან 9 ქულა დააგროვა.

ასევე კოეფიციენტის მაჩვენებლების გამო დაკარგა ვერცხლის მედალი 18 წლის ბაადურ ქობავამ და მხოლოდ მესამე ადგილს დასჯერდა.

ამავე ასაკის გოგონებში V-V ადგილები გაიყვეს სოფიკო გვეტაძემ და ანა მათნაძემ.

დღევანდელი დუხჭირი პირობებიდან გამომდინარე, ისიც დიდი საქმეა, რომ ჭადრაკის ფედერაციამ შეძლო ჩემპიონატზე სრული გუნდის გაშვება, ხოლო ახალგაზრდა სპორტსმენების მიერ მოპოვებული წარმატებები იმედს გვინერგავს, რომ ქართულ ჭადრაკს საიმედო ცვლა ეზრდება.

**გვერდი მოამზადა ზვიად გურულმა**

# პრეზიდენტმა კლინტონმა კვლავ დაკარგა თავი



აშშ-ის პრეზიდენტის გამოსწორებას საშველი არ დაადგა. თავისი სასიყვარულო თავგადასავლებით ცნობილი ბილი ლევინსკისთან დიდი სკანდალის შემდეგაც ვერ დაშოშმინდა — თვალს არ აცილებს 70-იანი წლების სექსსიმბოლოს. მანამ მისი ცოლი ჰილარი კარიერით არის დაკავებული, კლინტონმა გადაწყვიტა, უქმად არ დაკარგოს დრო და მთელი ყურადღება გადაიტანა 49 წლის მსახიობ ლინდა კარტერზე, რომელიც განსაკუთრებით პოპულარული იყო აშშ-ში მეოთხედი საუკუნის წინ, როცა მთავარი როლი შეასრულა თავის დროზე ცნობილ სერიალში „საოცარი ქალი“. კარტერი იყო „მისს აშშ“ და „მისს მსოფლიო“. დღესაც, ასაკის მიუხედავად, მსახიობი საოცრად ახალგაზრდულად გამოიყურება.

ლინდამ აშშ-ის პრეზიდენტი თეთრ სახლში გაიცნო წვეულებაზე. კლინტონი ვერ დარჩა გულგრილი ქალის მიმართ. მისი სილამაზით მოხიბლული პრეზიდენტი ლინდას მთელი საღამო საოცარ ქალს ეძახდა. არც ლინდა დარჩა ვალში, ის მრავლისმეტყველ მზერას არ აშორებდა კლინტონს. ვინაიდან წვეულებას არც ჰილარი ესწრებოდა და არც მსახიობის მეუღლე, ადვოკატი რობერტ ალტმანი, წყვილი საკმაოდ თავისუფლად იქცეოდა, ისინი განცალკევდნენ და დიდხანს საუბრობდნენ.

ჯერჯერობით ფორმალურად ჰილარის არ შეუძლია ქმრის დადანაშაულება რაიმეში. მაგრამ, თეთრი სახლის თანამშრომლები, რომლებიც კარგად იცნობენ თავიანთ პრეზიდენტს, დარწმუნებულები არიან, რომ ბილი 17 წლის ყმაწვილივით არის შეყვარებული.

***ოტდოხნი №41***

# მონები კავკასიიდან ტაილანდში გადაზხავნეს

ინტერნეტით მოვიდა ცნობა, რომ კავკასიაში მცხოვრებმა ვინმე ვაჰიდმა, რომელიც რუსეთიდან ტაილანდში გაიქცა, ჯუნგლებში ერთ-ერთ პატარა სოფელში შექმნა მაიმუნების კოლონია, სადაც ვაჰიდისთვის მუშაობს 200 მაკაკა. ჩვენი უმცროსი ძმები ვაჰიდის ქოხის წინ უფროს-უმცროსობით არიან ჩამომწკრივებულნი, თითოეულს კისერზე ჯაჭვი აქვს შებმული. ვაჰიდი მათ სახელებით იხმობს და ისინიც რიგრიგობით მიცუნცულებენ პატრონთან.



შემდეგ კავკასიელი ემიგრანტი განკარგულებას იძლევა: მაკაკებმა უნდა შეაგროვონ ქოქოსის კაკალი. ერთი დღის შრომის გასამრჯელოდ თითოეული მაკაკა 3 ბანანს იღებს. ყოველდღიურად მათ ასწავლიან — უკეთ როგორ შეაგროვონ ნაყოფი. გარდა ამისა, ვაჰიდი საჯაროდ სჯის ზარმაც და უქნარა „მონებს“. უმცირებს ბანანის ულუფას და ერთი-ორჯერ შემოჰკრავს კიდეც რბილ ადგილზე.

ტაილანდში მუშახელი ძვირი სიამოვნებაა, ხოლო ადამიანის დამონებისათვის ან სახრჩობელა გელით ან სპილოს მსხვერპლი გახდებით.

ამიტომაც გადაწყვიტა ვაჰიდმა მაკაკების შრომის გამოყენება.

ჯაჭვდადებული ცხოველები ხეებზე მიძვრებიან და პატრონისათვის მანგოსა და ქოქოსის ნაყოფს კრეფენ. თურმე ისინი უფრო საიმედო მუშები არიან, ვიდრე ადამიანი. თითო მაკაკა 50 დოლარი ღირს. მოხულიგნო მაკაკები დამჯერი მოსწავლეები აღმოჩნდნენ და მალე აითვისეს „საგანი“ — შესანიშნავად განასხვავებენ მწიფე ნაყოფს მკვახისაგან. თავისუფალ დროს „მონებს“ უფლება ეძლევათ, ითამაშონ კალათბურთი, რომელიც მათ დიდ სიამოვნებას ანიჭებს... ეშმაკი ვაჰიდი კი, სოლიდურ თანხას იღებს ეგზოტიკური ხილის გაყიდვით...

***პოსლედნიე ნოვოსტი №41***

# პირველი ჩინელი ნობელიანტი



შვედეთის აკადემიის უმაღლესი ჯილდო, ნობელის პრემია მიენიჭა ნაკლებად ცნობილ ჩინელ მწერალს გაო ქსინგჯიანს.

60 წლის ნობელიანტს ცხადია, ეს სასიამოვნო ამბავი უფრო გაეხარდებოდა, სამშობლოში, ჩინეთში რომ ცხოვრობდეს. იგი მილოცვებს პარიზში იღებს.

— ნობელის პრემიის მინიჭების შესახებ რომ შევიტყვე, განვცვიფრდი. თანდათან ვაცნობიერებ, რას ნიშნავს, იყო მწერლობაში ასეთი საპატიო პრემიის ლაურეატი, — ამბობს გაო, რომელსაც საზღვარგარეთ უფრო აფასებენ, ვიდრე სამშობლოში. ჩინეთის მთავრობა მას დისიდენტად მიიჩნევს.

„კულტურული რევოლუციის“ პერიოდში გაო 6 წელი იჯდა ციხეში. პოლიტიკურად „ხელახლა აღზრდილს“ მხოლოდ 1979 წელს დართეს მოთხრობების დაბეჭდვის ნება. 1983 წელს მისი პიესა „ავტობუსის გაჩერება“ ცენზურამ მავნე იდეების ქადაგებისთვის აკრძალა, ხოლო მწერალი პერსონა ნონ-გრატად გამოაცხადა. გაო საზღვარგარეთ გააძევეს. მან საფრანგეთში დაიდო ბინა.

რა თქმა უნდა, ის, რომ ასეთი უცნობილესი პრემია მიანიჭეს, დისიდენტად აღიარებულ შემოქმედს დიდი დარტყმაა ოფიციალური პეკინისთვის და კომუნისტური ჩინეთიდან პასუხმაც არ დააყოვნა — ჩინეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გაოსთვის პრემიის მინიჭება პოლიტიკურ აქტად მონათლა — მის ნაწარმოებებს არ იცნობს ჩინელი მკითხველიო.

ჩინეთში კი ხელიდან ხელში გადადის მწერლის ბოლო მოთხრობის „მთის სულის“ ქსეროანაბეჭდები.

***ნიუზუიქი, 23 ოქტომბერი***

# შრიოდერი ლუდის წყალობით გამდიდრდა!

ცოტა ხნის წინ გერმანიის კანცლერმა გერჰარდ შრიოდერმა ერთ-ერთ რესტორანში კათხა ლუდით დიდი სიამოვნებით დალია მომღერალ შტეფან რააბის სადღეგრძელო.

იკითხავთ, რით დაიმსახურა რააბმა ასეთი პატივცემული პიროვნების ყურადღებაო. იმით, რომ მან კანცლერი ტელე და პოპ-მუსიკის სუპერვარსკვლავად აქცია!

ალმოსავლეთ გერმანიაში მოგზაურობისას ავტოგრაფების დარიგებამ ბატონი შრიოდერი ისე დაქანცა, რომ იხვეწებოდა, — ერთი ბოთლი ლუდი დამალევინეთ, თორემ ავტოგრაფებს ვერავის მივცემო.

შტეფან რააბმა ეს თხოვნა ფირზე ჩაიწერა, სიმღერაში ჩადო და ჰიტი ინტერნეტში გაუშვა.

ხალხს ძალიან მოეწონა რააბის ნამუშევარი, რომელშიც კანცლერის ხმა გამუდმებით იმეორებს ფრაზას: „მომეცით ერთი ბოთლი ლუდი!“

მალე ეს კომპაქტ-დისკი მაღაზიებშიც გამოჩნდება და შრიოდერი თითოეული გაყიდული ფირფიტიდან მიიღებს 30 პფენინგს, ხოლო რადიოთი ყოველი გადაცემისას კანცლერის ჯიბეში თითო წუთში 2,75 მარკა ჩავა.



შრიოდერს ძალიან გაუმართლა, ასეთი პროდიუსერი რომ გამოუჩნდა, თანაც პოპულარული მომღერალი!

უნდა აღინიშნოს, რომ ახლა ძალიან არის მოდაში უშინაარსო სიმღერები. წავიდა მუსიკაში მაღალი პოეზიის გამოყენების დრო. ხალხს აღარ სურს თავის შეწუხება, მაღალმხატვრული ტექსტების მოსმენას, უაზრობა ურჩევნია...

***პოსლედნიე ნოვოსტი №42***

# სიმახინჯე სილამაზის სახელით

კაცობრიობის ისტორიის მანძილზე, ყოველთვის ცდილობდნენ ადამიანები ყოფილიყვნენ ლამაზები, რათა მოპირდაპირე სქესის ინტერესი გამოეწვიათ. მართალია, სილამაზე ყველა ხალხს თავისებურად ესმოდა. შედეგად, გამოჩნდნენ ლამაზმანები, რომელთა მიმზიდველობა, საყოველთაოდ დაწესებული საზომებით თუ ვიმსჯელებთ, მეტად საეჭვო იყო. უფრო მეტიც, ისინი უფრო მახინჯები იყვნენ, ვიდრე ლამაზები.



ჩვ.წ.აღ-მდე მე-2 საუკუნეში ჩინელი ქალები ადრეული ასაკიდანვე ტერფების ზრდას მეტად მტკივნეული პროცედურით იჩერებდნენ. სამი წლის ასაკში ფეხის თითები იხრებოდა და ტერფს მაგრად გადაახვევდნენ ნაჭრით. ასეთი სახვევი ქალს მთელი სიცოცხლე უნდა ეტარებინა. ქალისთვის ტერფის სიგრძის ეტალონი 7-9 სმ იყო. ეს წესი ჩინეთში 1912 წლამდე შემორჩა. ჩინური ლეგენდით, ამ სასტიკი ჩვეულების საფუძველი ეჭვიანობა იყო — აქაოდა, ტერფგადახვეული ქალი შორს ვერ წავა და ღალატის შესაძლებლობა ნაკლებად ექნებაო.

მსგავსი პრაქტიკა დღემდეა შემორჩენილი ერთ-ერთ ინდიელ ტომში, ჩრდილო-აღმოსავლეთ არგენტინაში. დაბადებიდან რამდენიმე თვის შემდეგ, ჩვილს ფეხის თითებს აჭრიან. ეს ტრადიცია ძველთაგან არსებობს — მეზობელ ტომებთან მეომარ ინდიელებს კვალის ასარევად უთითო ფეხები დიდ სამსახურს უწევდა.

კიდევ ერთი უჩვეულო წესი იყო ფრჩხილების გაზრდა. ასეთი პრაქტიკა ძირითადად, ჩინელ, კორეელ და იაპონელ მანდარინებთან იყო გავრცელებული. მხოლოდ საჩვენებელ თითზე იჭრიდნენ ფრჩხილს, რათა რაიმეს გაკეთება მაინც მოეხერხებინათ. ყველაზე დიდი ფრჩხილები შანხაიელ ერთ-ერთ მონარქს ჰქონდა — იგი მათ 27 წლის მანძილზე იზრდიდა. 1910 წელს მონარქის ფრჩხილების სიგრძე 58 სმ-ს აღწევდა.

ზოგიერთ აფრიკულ ტომში ქალებს დღესაც უგრძელებენ კისერს საგანგებო სპილენძის რგოლებით. პერიოდულად, წლიდან წლამდე, რგოლები მატულობს. ზოგის კისრის სიგრძე 25 სმ-საც აღწევს.

ყველაზე სასტიკი უძველესი ჩვეულება — თავის ქალის დეფორმაცია იყო. ჰუნები, რომლებიც თეთრ რასას მიეკუთვნებოდნენ, მონგოლოიდებს რომ არ დამსგავსებოდნენ, ცხვირსა და თავის ქალის გვერდებს იბრტყელებდნენ. ასეთ დროსაც გადახვევის პრაქტიკას მიმართავდნენ.

ჩინეთში მარკო პოლომაც ნახა სხვადასხვა სექტის ბერები თივის ზვინის ფორმის თავის ქალებით. ეს მე-20 საუკუნის დასაწყისში ცნობილმა ფრანგმა ანთროპოლოგმა ლეკონტმაც დაადასტურა.

მე-19 საუკუნეში თურქეთსა და რუსეთის ზოგიერთ რეგიონში დედები ვალდებულნი იყვნენ, ჩვილების თავის ქალებისთვის სასურველი „აზნაურული“ ფორმა მიეცათ.

თავის ქალის დეფორმაციის ყველაზე ეგზოტიკური ჩვეულება პერუელ ინდიელებს ჰქონდათ, მე-19 საუკუნეში — ისინი კვადრატული თავებით იწონებდნენ თავს.

***კალეიდოსკოპი №41***

# პაგანინის უცნაური თითები

ნიკოლო პაგანინის ისიც კი იცნობს, ვინც ერთხელაც არ დასწრებია სავიოლინო კონცერტს. ცნობილი იტალიელი ვირტუოზი მევიოლინეს, გიტარისტისა და კომპოზიტორის პიროვნება სიცოცხლეშივე იყო ლეგენდებით მოცული. ძალზე შთამბეჭდავი იყო პაგანინის გარეგნობაც, რომელიც მისმა თანამედროვე პიროვნებებმა — გოეთემ და ბალზაკმა დაგვიტოვეს. იგი გამოირჩეოდა ძალზე ფერმკრთალი სახით, თითქოს სანთლიდან გამოუძერწავთო, საშინელი სიგამხდრით, მოუხერხებელი მოძრაობებით და რაც მთავარია, მოქნილი, თხელი და ძალზე გრძელი, ჩვეულებრივი ადამიანის თითებზე ორჯერ გრძელი თითებით. პაგანინის უცნაური ხასიათი ჰქონდა. ერთნი ამბობდნენ „ეშმაკთან არის შეკრულიო“, სხვები კი — მისი ხელოვნება ზეციური ჰარმონია, ანგელოზის ხმააო. დღემდე გავრცელებული იყო გადმოცემა, რომ პაგანინის ახალგაზრდობაში მეტი მოქნილობისათვის ხელების ოპერაცია გაუკეთდა. აღსანიშნავია, რომ კომპოზიტორის სავიოლინო ნაწარმოებები ძალზე რთული შესასრულებელია. ბევრ ვირტუოზსაც უჭირს მისდიოს ავტორის „განკარგულებებს“. თავად მევიოლინე კი ურთულეს ვარიაციებს ადვილად ასრულებდა ერთ სიმზეც. მსმენელს ეჩვენებოდა, რომ თითქოს იმავდროულად მეორე ვიოლინოც უკრავდა.

უეჭველია... მეორე პაგანინი კაცობრიობას არ ღირსებია. მუსიკოსის არაჩვეულებრივი სავიოლინო ტექნიკის საიდუმლოებას ხსნის ამერიკელი ექიმი მაირონ შენფელდი. იგი ამტკიცებს, რომ პაგანინი დაავადებული იყო იშვიათი ე.წ. მარფანის სინდრომით. ეს სენი პირველად აღწერა 1896 წელს ფრანგმა პედიატრმა ა. მარფანმა. დაავადება საყრდენ-მამოძრავებელი აპარატის, თვალისა და შინაგანი ორგანოების დაზიანებით გამოიხატება. მისი მიზეზები საკმაოდ არ არის შესწავლილი. მარფანის სინდრომით დაავადებულები თავისებური გარეგნობით გამოირჩევიან: ფერმკრთალი სახე, ღრმად ჩასმული თვალები, გამხდარი სხეული, შენელებული მოძრაობები, „ობობას“ თითები, რაც ზუსტად ემთხვევა პაგანინის გარეგნობას. მუსიკოსის „მარფანის“ სინდრომი იმითაც დამტკიცდა, რომ სიცოცხლის ბოლოს მან ხმა დაკარგა. შემორჩენილია პაგანინის მკურნალი ექიმის დღიური, რაც კიდევ ერთი დასტურია ამ შეუსწავლელი დაავადებისა: ასტენიური აღნაგობა, სქოლიოზი, „ფრინველისებური“ სახის გამომეტყველება, ვიწრო თავის ქალა, გაყოფილი ნიკაპი, დარბილებული სახსრები, სხეულსა და კიდურებს შორის დისპროპორცია, ხელის მტევნებსა და ფეხის ტერფებზე „ობობასმაგვარი“ თითები. აი, რით აიხსნება პაგანინის დემონური გარეგნობა. ექიმ შენფელდის აზრით, ნაკლებდასაჯერებელია, რომ ნიჭიერი მუსიკოსი თავისი კარიერის დასაწყისში ასეთ რისკზე წავიდოდა და ხელების ოპერაციას გაიკეთებდა. თითების განსაკუთრებული მოქნილობა და უჩვეულო სიგრძე დაავადებამ გამოიწვია. აღსანიშნავია, რომ ასეთ დაავადებულთა შორის პაგანინის გარდა არავინ გამხდარა. ამ შემთხვევაში კი მარფანის სინდრომმა მეტი ტექნიკური შესაძლებლობა შესძინა მუსიკოსს. ხოლო პაგანინი გენიალურ მუსიკოსად დიდი ნიჭის წყალობით იქცა.

***ნეზავისიმაია გაზეტა №189***

## კროსვორდი



**თარაზულად**: 5. ოცეოლა, ვინეტუ; 6. მაკენა, ხეობა; 10. ჯარი, ჩინი; 11. მენთოლი, მწვანილი; 12. სოკო, ტალკვესი; 13. ჯაბა, პარკოსანი; 14. ოპერა, მონოლოგი; 16. სიტყვა, ღირებულება; 19. ნათლობა, ჯამი; 20. კაბა, კუდი; 24. წესი, ტრადიცია; 25. ანბანი, ელემენტი; 26. ზღვა, ჯარი; 27. არსაკიძე, მურტალო; 28. ნიკაპი, ძვალი; 31. მინელი, რესტორანი; 32. მიზანი, რწმენა; 35. ხოგაი, ვაჟი; 38. გამოგონება, უფლება; 39. გამოცდა, ჟიური.

**შვეულად:** 1. არაგვი, მტკვარი; 2. საღებავი, ზეთი; 3. ფილმი, სურათი; 4. მანქანა, თვალი; 7. რომი, ფარაონი; 8. სურვილი, ფიქრი; 9. წრეწირი, ზომა; 15. ტარიელი, დობილი; 16. შიოლა, სოფიკო; 17. გატაცება, კულმინაცია; 18. ევროპა, კავკასიონი; 21. რაიკომი, გამგებელი; 22. ანარა, ფელინი; 23. მექანიკა, წონასწორობა; 29. გრუშე, მწერალი; 30. ყინვა, ნიშანი; 33. სერიალი, შანელი; 34. საფრანგეთი, წყნეთელი; 36. ერდო, ხმა; 37. ბანქო, ქალი.

**წინა კროსვორდის პასუხები**:

**თარაზულად**: 3. ყაისნალი; 5. ნაზარეთი; 10. თბილისი; 11. არსენა; 12. ასკერი; 16. პალატა; 18. კომეტა; 20. ალისა; 22. ცვილი; 23. განგაში; 24. ლანცეტი; 27. პიესა; 31. ანტრე; 32. კოდალა; 33. სინუსი; 36. პარიკი; 39. ბანანი; 40. ჯეირანი; 41. ისპანახი; 42. პროდუქტი.

**შვეულად**: 1. კიმონო; 2. ტერასა; 4. ლობე; 6. აისი; 7. ყვრიმალი; 8. კლეოპატრა; 9. კარუსელი; 13. ხბო; 14. რტო; 15. პასიანსი; 17. ლევიტანი; 19. მარში; 21. ფრაუ; 25. ლიმონათი; 26. ბრეზენტი; 28. თონე; 29. პასტორი; 30. ბოსი; 34. სკრეპი; 35. ბარაქა; 37. ხერხი; 38. ქნარი.

## №43 (212) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შედეგები

რეიტინგს 722 მკითხველი გამოეხმაურა. შვიდი ბარათი არასწორად იყო შევსებული. 248 ქალმა და 467-მა მამაკაცმა უპასუხა კითხვას: **„ვინ არის ყველაზე მჭევრმეტყველი და სიტყვამოსწრებული?“**

როგორც შედეგებმა გვიჩვენა, ჩვენი მკითხველები აქ ჩამოთვლილი ადამიანებიდან ყველაზე სიტყვამოსწრებულად შალვა ნათელაშვილს მიიჩნევენ. რესპონდენტთა 32-მა დაუწერა მას მაქსიმალური — 9 ქულა, მინიმალურით კი მხოლოდ 2-მა შეაფასა. **6,11** საშუალო ქულით იგი პირველ ადგილზეა. შემდეგ ადგილზე ირინა სარიშვილი-ჭანტურიაა, საშუალო ქულაა 5,47. თუმცა, მაქსიმალურ ქულათა რაოდენობის მიხედვით მას „მოქალაქეები“ — ზურაბ ჟვანია და მიხეილ სააკაშვილი უსწრებენ წინ. როგორც ჩანს, მკითხველი არანაკლებ მჭევრმეტყველებად მიიჩნევს მათ. მესამე ადგილზე 5,44 საშუალო ქულით იუსტიციის ახალი მინისტრია, რომელიც სულ მცირედი სხვაობით ჩამორჩება მჭევრმეტყველ ქალბატონს. უნდა აღინიშნოს, რომ სააკაშვილი მკითხველთა 15-მა შეაფასა მაქსიმალური — 9 ქულით, ზურაბ ჟვანია კი — 17-მა.

ჩვენი მკითხველების აზრით, გურამ შარაძე, მამუკა გიორგაძე და კახა თარგამაძე აქ ჩამოთვლილ სიტყვამოსწრებულ ადამიანებთან შედარებით, ნაკლებად იმსახურებენ „მჭევრმეტყველის“ ტიტულს, მათ შორის ყველაზე ნაკლებად კი — შს მინისტრი, რომელსაც რესპონდენტთა მხოლოდ 3-მა დაუწერა მაქსიმალური — 9 ქულა, ხოლო მინიმალური — 1 ქულით კი 39-მა შეაფასა. 2,67 საშუალო ქულით კახა თარგამაძე „მჭევრმეტყველთა“ რეიტინგში სულ ბოლო ადგილზეა.




საპრიზოს ზუსტად, მხოლოდ ერთი ბარათი-რეიტინგი დაემთხვა. ჩვენი გამარჯვებული 61 წლის თბილისელი **ვენერა ჩოჩია.**

გამარჯვებულს ვულოცავთ და პრიზის — 100 ლარის მისაღებად ველით რედაქციაში სამშაბათს, 31 ოქტომბერს, 17 საათზე.

## №44 (213) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

**„კვირის პალიტრა“** თავისი მკითხველებისთვის აწყობს გამოკითხვებს სხვადასხვა საინტერესო საკითხზე, რაც საშუალებას მოგვცემს (ჩვენ და თქვენ), გავიგოთ საზოგადოების აზრი ამა თუ იმ მოვლენაზე, ფაქტზე და ა. შ.

გარდა ამისა, გამოკითხვა-რეიტინგები საპრიზოა, საპრიზო ფონდით —

### 100 ლარი

თქვენ მიერ შედგენილი რეიტინგებით დგება ერთი საერთო რეიტინგი, რომელიც გამოქვეყნდება **„კვირის პალიტრის“** მომდევნო ნომერში გამარჯვებულის ვინაობასთან ერთად.

პრიზს მიიღებს გამოკითხვის ის მონაწილე, რომლის მიერ შედგენილი (და, რა თქმა უნდა, რედაქციაში გამოგზავნილი) რეიტინგიც დაემთხვევა საშუალოს.

საპრიზო გამოკითხვაში შემოთავაზებული თემების თითოეული გრაფისათვის მკითხველთა მიერ დაწერილი ქულები ჯამდება და შემდეგ იყოფა რეიტინგის მონაწილეთა რაოდენობაზე, რაც გვაძლევს ამ გრაფის საშუალო ქულას.

რამდენიმე გამარჯვებულის შემთხვევაში, საპრიზო ფონდი მათ შორის განაწილდება, ხოლო თუ არც ერთი მკითხველის რეიტინგი არ დაემთხვა საშუალოს, პრიზს მიიღებს მასთან ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორი.

იმ შემთხვევაში, თუკი მიახლოებული ვარიანტიც არ იქნება, თანხა ემატება შემდეგი რეიტინგის საპრიზო ფონდს.

* საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შევსებისას ნუ დაგავიწყდებათ, უპასუხოთ დამატებით კითხვას.

**№44 (213) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათი რაიონებში განთავსებულ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთებში ჩააგდეთ ოთხშაბათის, 1 ნოემბრის 10 საათამდე, თბილისში — ხუთშაბათის, 2 ნოემბრის 13 საათამდე.**

© თბილისი, 1997

**თემა №44 (213) — თბილისი**

**თქვენი აზრით, ვინ „უკვდავყო“ თბილისი ყველაზე ლამაზად** (ჩამოთვლილთაგან)**?** დაუწერეთ მას **8** ქულა, მომდევნოს — 7 და ა.შ. 1-მდე.

№44(213) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

| № | | ქულა |
|---|---|---|
| 1 | იოსებ გრიშაშვილი | |
| 2 | გოგი ცაბაძე | |
| 3 | ნიკო ფიროსმანი | |
| 4 | რევაზ ლაღიძე | |
| 5 | იეთიმ გურჯი | |
| 6 | ნანი ბრეგვაძე | |
| 7 | ელგუჯა ამაშუკელი | |
| 8 | ვახტანგ კიკაბიძე | |

### დამატებითი კითხვა

**როგორ შეაფასებდით თქვენი ოჯახის ეკონომიკურ მდგომარეობას, როგორი იყო ის ბოლო ერთი წლის განმავლობაში?**

| საშუალოზე ბევრად დაბალი | საშუალოზე დაბალი | საშუალო | საშუალოზე მაღალი | საშუალოზე ბევრად მაღალი |
|---|---|---|---|---|
| | | | | |

(შესაბამისი უჯრა გადახაზეთ)

თქვენი სახელი, გვარი

ქალაქი (რაიონი)

ასაკი ტელეფონი

**„კვირის პალიტრის“ ყუთებში მითითებულ დროზე გვიან მოთავსებული ბარათები კონკურსში არ მონაწილეობს**

## დამატებითი კითხვის შედეგები

დამატებით კითხვას 693-მა მკითხველმა უპასუხა. კითხვა ასეთი იყო: **„რა იქნება გათბობის ძირითადი საშუალება თქვენი ოჯახისათვის ამ ზამთარს?“**




მკითხველთა 2 ამ ზამთარს არაფრით არ აპირებს გათბობას; ელექტროენერგიის იმედად რესპონდენტთა 16-ია; 23 ნავთის საშუალებით აპირებს გამოზამთრებას; შეშა და გაზი რესპონდენტთა ზუსტად ერთნაირი რაოდენობის — 26-26-ის ძირითადი გასათბობი საშუალება იქნება ამ ზამთარს.

რესპონდენტთა დანარჩენი 7-სათვის კი გასათბობი საშუალებებია: თბილი ტანსაცმელი, მეორე ნახევარი, სირბილი, ხტუნვა, მზე, „გრელკა“, „ტკბილი მოგონებები და პრეზიდენტის დაპირებები“, „სიდედრის მორთმეული ჭაჭა და ერთი კბილი ნიორი დილაობით“...

აქ ჩამოთვლილ გასათბობ საშუალებებს შორის, როგორც ვხედავთ, ყველაზე ნაკლები მომხმარებელი (16) ელექტროენერგიას ჰყავს, რადგანაც ხალხს წინასაარჩევნო დაპირების — „ოცდაოთხსაათიანი ელექტროენერგია“ — უკვე აღარ სჯერა.

## © · ფოტოპალიტრა · ფოტოპალიტრა · ფოტოპალიტრა · ფოტოპალიტრა ·

***გთავაზობთ თქვენთვის ნაცნობი პიროვნებების ფოტოებს. გთხოვთ, პასუხები გამოგვიგზავნოთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. ყველაზე ორიგინალური პასუხები გამოქვეყნდება გაზეთის შემდეგ ნომერში.***

რას დაარქმევდით?

თქვენი სახელი, გვარი

ქალაქი (რაიონი)



ვალერი ჩხეიძე, ირაკლი მენაღარიშვილი, დავით თევზაძე

**ნ.ჟ.** — ვახტანგ, ჩემს ქმარს რომ ალმასისთვლიან ბეჭედს შეჰპირდი, სად არის?
**ვ.რ.** — ხომ მაწვალეთ ერთი წელი ვიცე-სპიკერობაზე. ახლა ცოტა მე უნდა გაწვალოთ.

***გელა ფაჩუაშვილი, თბილისი***

**ვ.რ.** — ნინო, ამ სურათში ბათუმში ვარ.
**ნ.ჟ.** — ვახტანგ, აქ მარტო ზღვაა!
**ვ.რ.** — ჩაყვინთული ვარ, ჩაყვინთული.

***კ. თაყაიშვილი, ბორჯომი***

**ვ.რ.** — ერთი კარგი სიზმარი მომენატრა!
**ნ.ჟ.** — აი, ერთი კარგი სიზმარი მაქვს, ოთხწლიანია.
**რ.ჩ.** — (უყურებს) აქეთ ედუარდი, იქით ედუარდი, უკანაც ედუარდი.

***ტვილდიანი ნათია, თბილისი***

**ვ.რ.** — ნინო, ხანდახან თუ არ დავხედე პარტბილეთს, გული მტკივა. ეჰ, კომუნიზმი, კომუნიზმი!!

***კ. ძოწენიძე***

**ვ.რ.** — ლექსი დავწერე სიყვარულზე ნინო, წაგიკითხო?!
**ნ.ჟ.** — არა, არ გინდა. სახლში თუ იციან ლექსებს რომ წერ?
**ვ.რ.** — ჯერ არა.
**ნ.ჟ.** — ჰოდა ნურც ეტყვი, თავიანთი გაჭირვებაც ეყოფათ.

***ოთარი, თბილისი***



ნინო ჟვანია, ვახტანგ რჩეულიშვილი

***წინა ნომერში გამოქვეყნებულ „ფოტოპალიტრას“ 119 მკითხველი გამოეხმაურა, მადლობას ვუხდით მათ. ვაქვეყნებთ რამდენიმე ორიგინალურ პასუხს.***

არ მოიშალა ლამაზმა,
შავი თვალების ბრიალი,
ზურას და ვახტანგის შორის,
ატყდა ხანჯლების ტრიალი.
(იმღერება ფანდურის აკომპანიმენტით)

***თინა, თბილისი***

**ვ.რ.** — (უყურებს ზურაბ ჟვანიას ფოტოს) ოხ, ამ ცხოვრების დედა ვატირე, ეს ზურაბ ჟვანია უნდა იყოს ყველაზე სექსუალური მამაკაცი? მე კი ათეულშიც ვერ მოვხვდი!

***გიორგი გონგაძე, თბილისი***

**ვ.რ.** — ნინო, ეს ქალი აქ ვინ შემოუშვა?
**ნ.ჟ.** — აი მისი საშვი, ეს ჩემი საკუთარი „მანიკურშაა“, სახლში ვერ მოვასწარით და თან წამოვიყვანე.
**ვ.რ.** — კიდევ კარგი, ბანაობა მოგისწრია.

***იურა „რიჟა“, თბილისი***

**ვ.რ.** — ნინო, ეს ლექსი გეძღვნებათ თქვენ:
სიყვარულმა მე კი არა,
გადარია ტარიელი,
ბასეინში გადავხტები (თავით)!
გინდა იყოს ცარიელი.

***ტრისტანი, თბილისი***

**ნ.ჟ.** — ვაიმე, პასპორტი ამომაცალეს! აი, ჩემი პასპორტი, ეხლავე დამიბრუნეთ!
**ვ.რ.** — როგორ გეკადრებათ, ქალბატონო, ეს ჩემი პასპორტია!
**ნ.ჟ.** — როგორ, ეს ხომ ჩემი სურათია?!
**ვ.რ.** — სურათი კი თქვენია, მაგრამ პასპორტი ჩემია!

***ნანა ახალკაციშვილი, თბილისი***

**ნ.ჟ.** — მეუღლე მირეკავს: „ვის უნდა 20 ათასიდან“ — სამჯერ შვიდი რამდენიაო და ხომ ვერ მეტყვით?
**ვ.რ.** — აგერ მაქვს პითაგორას ცხრილი. 12 ყოფილა. „ჯეოსელიც“ დავირტყიი!

***სოსიკო და ნინიკო, დედოფლისწყარო***

## ფოტო განწყობისათვის



— რა არის, სულ სპილოებზე რომ ლაპარაკობთ, მეც ხომ ვცხოვრობ თქვენს ზოოპარკში!..




## წინა სკანვორდის პასუხები



## წამალი „სალხინო“ — მართლაც ქართული ფლორის საოცრება

თუ გსურთ განიკურნოთ პროსტატიტის, ცისტიტის, ქალური დაავადების და სხვა შარდსასქესო ორგანოების დაავადებებისაგან, როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი, გამონადენი, ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმლების არეში, სათესლე ჯირკვლებში, შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, სქესობრივი კავშირის დროს თესლის ნაადრევი გამოყოფა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია, მიიღეთ წამალი „სალხინო“ და მოგიხსნით ამ პრობლემებს. „სალხინო“ აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

„სალხინო“ გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტი, გასტრიტი, ნეფრიტი, გინგივიტი, სტომატიტი, ბრონქიტი და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. „სალხინო“ აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი „სალხინო“ კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს — მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ „სალხინოს“ სამკურნალო და პროფილაქტიკური თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანის და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ და რეგისტრირებულია, მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია. იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

**ჩვენი მისამართია: დავით აღმაშენებლის 115, პოლიციის ეზოში, ფირმა „სალხინო“**

„კვირის პალიტრის“ **უფასო განცხადების ქვითრით** შემოსული განცხადებები გამოქვეყნდება „კვირის პალიტრის“ დამატებაში — გაზეთში **„სიტყვა და საქმე“** (აქ განთავსებული განცხადება „კვირის პალიტრაზე“ არანაკლებ ეფექტიანია).

**„კვირის პალიტრაში“** კი, ქვეყნდება მხოლოდ **ფასიანი განცხადების ქვითრით** შემოსული განცხადებები, რომლებიც იყიდება საგაზეთო ჯიხურებში (ფასი 4 ლარი — 20 სიტყვა).

*„უფასო განცხადების ქვითარი“ ჩააგდეთ „კვირის პალიტრისა“ და „სიტყვა და საქმის“ საფოსტო ყუთებში. **ყუთები ი[illegible]ება ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ ხუთშაბათობით 13 სთ-დან.** მათი განთავსების ადგილებია - თბილისში: მეტრო[illegible]ლიტ[illegible]ის ყველა სადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე; დოლიძის ქუჩის კუთხეში; საბურთალოს ბაზრის [illegible] შესას[illegible]ელთან; ორთაჭალაში - გორგასლის ქუჩაზე (ციხესთან) და ავტოვაგზალთან; მოსკოვის გამზირის [illegible]ლო[illegible] ჩოლოყაშვილის (5 დეკემბრის) ქუჩის ბოლოში; დიდუბის ავტოსადგურთან; დიდ დიღომში:იოანე [illegible]ჩრიწ[illegible] ქ. 3 - სურსათის მაღაზიის წინ, მე-3 მ/რ-ნი, მე-15 კორპ. წინ - ავტობუსების გაჩერებასთან; დავით [illegible]მაშე[illegible]ლისა და თამარ მეფის გამზ. გადაკვეთაზე, ბანკის წინ, ავტობუსის გაჩერებასთან; დავით აღმაშენებლის გამზ. [illegible]უსკომედიის წინ, გაჩერებასთან; ჩიქობავას (საბჭოს) მოედანზე; ზაარბრიუკენის (ვორონცოვის) მოედა[illegible]ე; ნა[illegible]ადევში კ.თ „საქართველოსთან“, წერეთლის გამზ. გამოფენის წინ, გაჩერებასთან, „თელასთან“ და სტ[illegible]იონ[illegible]; დიდუბეში, „სამთო ქიმიის“ გაჩერებასთან; დიღომში - მეგობრობის გამზ. მილიციასთან, უნივერ[illegible]მის [illegible]მდებარე გაჩერებასთან; მანქანების ბაზრობის ორივე შესასვლელთან; ვაკეში - კავსაძის ქუჩაზე; ჭა[illegible]ვაძი[illegible] 46 და უნივერსიტეტის I კ.-თან; რუსთაველის 34; ბაგებში - გაჩერებასთან; გამსახურდიას გამზ. [illegible]ვ.ფშ[illegible]ელას დასაწყისში; ქავთარაძის ქუჩაზე - იზოტოპების ინსტიტუტთან, ბოლო (უნივერსიტეტის) გა[illegible]ჩერებას[illegible]ნ; ნუცუბიძის ქუჩაზე: II მკრ-ის ასახვევთან და „საქართველოს ბანკთან“.*

***ქალაქებში და [illegible]აიო[illegible]ბში:*** *ᲛᲪᲮᲔᲗᲐ, ᲙᲐᲡᲞᲘ, ᲒᲝᲠᲘ, ᲥᲐᲠᲔᲚᲘ, ᲮᲐᲨᲣᲠᲘ; ᲡᲣᲠᲐᲛᲘ; ᲖᲔᲡᲢᲐᲤᲝᲜᲘ; ᲥᲣ[illegible]ᲐᲘᲡ[illegible] ᲬᲧᲐᲚᲢᲣᲑᲝ, ᲡᲐᲛᲢᲠᲔᲓᲘᲐ, ᲗᲔᲠᲯᲝᲚᲐ, ᲮᲝᲜᲘ; ᲐᲑᲐᲨᲐ, ᲡᲔᲜᲐᲙᲘ, ᲖᲣᲒᲓᲘᲓᲘ, ᲤᲝᲗ[illegible] ᲥᲝ[illegible]ᲣᲚᲔᲗᲘ, ᲑᲐᲗᲣᲛᲘ; ᲝᲖᲣᲠᲒᲔᲗᲘ, ᲚᲐᲜᲩᲮᲣᲗᲘ; ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘ, ᲡᲐᲒᲐᲠᲔᲯᲝ, ᲬᲜᲝᲠᲘ, Ს[illegible]ᲦᲜᲐ[illegible]Ი, ᲧᲕᲐᲠᲔᲚᲘ, ᲚᲐᲒᲝᲓᲔᲮᲘ, ᲗᲔᲚᲐᲕᲘ; ᲑᲝᲠᲯᲝᲛᲘ, ᲐᲮᲐᲚᲪᲘᲮᲔ;* ***არსებული „სიტყ[illegible] და [illegible]საქმის“ საფოსტო ყუთები იცლება ოთხშაბათობით 10 საათიდან.*** *ᲐᲮᲛᲔᲢᲐᲨᲘ **ყუთე[illegible] და[illegible]ლება ყოველი თვის I კვირის ხუთშაბათს 10 სთ.-დან.** ᲓᲔᲓᲝᲤᲚᲘᲡ ᲬᲧᲐᲠᲝᲨᲘ **[illegible]თვის [illegible]I კვირას ხუთსაბათს.** ᲑᲝᲚᲜᲘᲡᲨᲘ **თვის III კვირის ხუთსაბათს.** ᲥᲘᲜᲕᲐᲚᲡᲐ ᲓᲐ [illegible]ᲣᲨ[illegible]ᲔᲗᲨᲘ **კი თვის IV კვირის ხუთსაბათს.***

**ᲧᲣᲠᲐᲓᲦ[illegible]ᲑᲐ: „ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲞᲐᲚᲘᲢᲠᲘᲡ“ (ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ) ᲡᲐᲤᲝᲡᲢᲝ (ᲡᲐᲙᲝᲠᲔᲡ[illegible]ᲜᲓ[illegible]ᲜᲢᲝ) ᲧᲣᲗᲔᲑᲖᲔ ᲡᲐᲐᲕᲢᲝᲠᲝ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲓᲐᲪᲣᲚᲘᲐ ᲙᲐ[illegible]ᲝᲜᲘᲗ.©**

### (44) [illegible]ᲤᲐᲡᲝ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲥᲕᲘᲗᲐᲠᲘ

განცხადების ტექსტი ____________________

ᲡᲘᲢᲧᲕᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲛᲔ

*გთხოვთ, ტექსტი გარკვევით დაწეროთ: სიტყვათა მაქსიმალური რაოდენობა — 30 (მისამართის და ტელეფონის ნომრის ჩათვლით) გაურკვევლად ნაწერი განცხადება არ გამოქვეყნდება*

№44 ქვითარი „კვირის პალიტრის“ ყუთებში ჩააგდეთ 2 ნოემბერს (ხუთშაბათი), 13.00 სთ-მდე.




ზვიგენების საყვარელი სადღეგრძელო:
— მათ გაუმარჯოთ, ვინც ზღვაშია!



მეზობელმა შესჩივლა მეზობელს:
— ვირთხებმა წამილეს, აღარ შემიძლია.
— კი მაგრამ, კატა ხომ გყავს.
— მაგან მომკლა სწორედ. ეზოში იჭერს და სახლში მოყავს.



## სილამაზის „კონკურსზე“ ცალხელამ გაიმარჯვა

ისტორიაში პირველად „სილამაზის კონკურსზე“, რომელიც ატლანტიკსითიში ჩატარდა, გამარჯვებული იყო ცალხელა 24 წლის ტერეზა, რომელსაც მარცხენა ხელი დაბადებიდან არ აქვს. მაგრამ, უნდა აღინიშნოს, რომ ლამაზმანი სულაც არ განიცდის ამ დეფექტს და თავის თავს XX საუკუნის სილამაზის ეტალონად მიიჩნევს.



გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის მოსაზრებებს.
რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან გადმოთარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე, სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
[R] ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
**რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.**
**მთავარი რედაქტორი ლალი გუნთაიშვილი**
**მთ. რედაქტორის მოადგილეები: ნუცა დუმბაძე, გიორგი თევდორაშვილი.**
**სარედაქციო კოლეგია.**
მის: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან)
ტელ **რედაქცია:** 33-39-54
**რეკლამა:** 98-74-44
palitra@access.sanet.ge
palitra@geo.net.ge
**სარეგისტრაციო ნომერი 1518**
**„კვირის პალიტრა“ გამოდის ორშაბათობით**
გაზეთი დაიბეჭდა გამომცემლობა „კოლორში“.

შავი ყვითელი ლურჯი წითელი